ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№26
26.VI-2.VII 2013



# ლევან ყოჩიაშვილის 15 წლიანი ოჯახი დაირღვა

## „ჯერ ჩემს ცოლს დავშორდი, მერე — ნინას“

სერიალის გმირის და მსახიობის ბედი ერთმანეთს გადაება გვ.8

გვ.23



## კომედი შოუს ქალები სასიძოზე კასტინგს აცხადებენ

„მივმართავთ ბიჭებს: ეკას გულისკენ გზა ნაყინზე გადის!“

გვ.20



## ვინ არის ქალი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს პრესკონფერენციებზე გვერდს უმშვენებს

გვ.35



## ეთერ კაკულიამ ახალდაბადებულ შვილიშვილს პალატაში უმღერა

გვ.25



## სოზარ სუბარი სამივე შვილის დაბადებას დაესწრო

თამთა ყუბანეიშვილი: „ქმარმა ცოტა ნაკლები საუბარი მასწავლა, მე კი — ცოტა მეტი ლაპარაკი“

გვ.9




„ყველაფერს კადრულობდნენ, იმასაც ამბობდნენ, რომ მე სხვა შვილებიც მყავდა“

## გურამ გირგვლიანი: „კიდევ ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ჯერ არ ვამბობ“

გვ.31



## თემო მჭავიას რუსი ცოლი ქართულ ენას სწავლობს

ISSN 1987-9369
9 771987 936002

## „თვითმკვლელობა იმიტომ ვცადე, რომ დედა სხვა კაცთან ვნახე“ გვ.12

სითი ფარმა

CITY PHARMA

ჯიპისი GPC

# ზღაპრული ფასები ჯიპისის და სითი ფარმას ქსელში!

## ყოველ ოთხშაბათს

20 ლარის ან მეტის დახარჯვის შემთხვევაში

მიიღეთ **წარმოუდგენლად დაბალი ფასი**

**ნებისმიერ მედიკამენტზე**



ასევე **ყველაზე დაბალი ფასები**

კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის,

ბავშვის მოვლისა და კვების

**ყველაზე მოთხოვნად 30 პროდუქტზე.**

**პამპერსის სველი ხელსახოცი**




2,60 ~~3,65~~

**ბავშვის საფენი - პამპერსი 7-18 N54**




17,90 ~~25,55~~

**ელსევე შამპუნი**




3,40 ~~4,80~~

**ოლვეისი - ულტრა ნორმალი 4წვ**




2,90 ~~4.20~~

# ნომერშია


**კინო და ცხოვრება**

ლევან ყოჩიაშვილის 15 წლიანი ოჯახი დაირღვა 8

**სიმართლის დრო**

გურამ გირგვლიანი: „კიდევ ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ჯერ არ ვამბობ“ 10

**გახმაურებული საქმე**

„ლა ტრუფეში“ მომხდარ ჩხუბში ბრალდებულებად ნიკა მელია და ბექა მაზიაშვილი გამოცხადდნენ 10

**გულახდილი საუბრები** 12-13

**შოკი**

ალეკო ელისაშვილს ეკა კვესიტაძის და ირაკლი კაკაბაძის გაშველება მოუხდა 14

**პოლიტიკა**

- ეკა ბესელია: „17 მაისს სასულიერო პირების მხრიდან ძალადობა არ იყო!“ 16
- ლია მუხაშავრია: „ამ კადრების ჩვენებით წავაგეთ — შიგნითაც და გარეთაც“ 17
- შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილს სურს, ყველა უბედურება, რაც გვჭირს, პერიოდულად გამოშვებული პორნოკასეტებით გადაფაროს“ 18

**მეოთხე ხელისუფლება**

ვინ არის ქალი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს პრესკონფერენციებზე გვერდს უმშვენებს 20

**დედმამიშვილები**

რატომ ტიროდა თიკა ჯამბურიას ქორწილში მისი უფროსი და 22

**გოგონები შოუდან**

კომედი შოუს ქალები სასიძოზე კასტინგს აცხადებენ 23

**მეორე ნახევარი**

სოზარ სუბარი სამივე შვილის დაბადებას დაესწრო 25

**მრგვალი თარიღი**

ლია რუსიაშვილი: „ამ დღეს ცრემლების გარეშე ვერასოდეს გავიხსენებ“ 26

**მოზარდები** 28-29

**სიყვარულის ისტორია**

- რატომ გაუხარდა გიორგი ვაშაძის ცოლს არჩევნებში ნაციონალების დამარცხება 30
- თემო მჟავიას რუსი ცოლი ქართულ ენას სწავლობს 31

**ოჯახური კავშირები**

მარიამ როინიშვილი მამიდობისთვის ემზადება 33

**ახალი ამპლუა**

ეთერ კაკულიამ ახალდაბადებულ შვილიშვილს პალატაში უმღერა 35

**სარკის წინ**

ნინო იოსელიანი: „სახის კანს ოქროს ძაფებით გადავიჭიმავ“ 36

**ავტომოყვარული**

ბადრი ვადაჭკორია ქალ მძღოლებს ფოტოაპარატით დასდევს 37

**ცხოვრება ჩემოდნებზე**

რა შიში ჭამა ნიუ იორკში დავით მაზანაშვილმა 43

**მებზური**

სარდინია — კუნძული გამოცანა 45

**შოუმენი**

ამიკო ჩოხარაძემ შვილებს სიმღერა დაუწერა 46

**მხოლოდ ქალებისთვის** 48

**დედიკოების სკოლა** 49

**ჩემი მშვენიერი ლედი**

დათო მარსაგიშვილი: „გოგომ, რომელსაც სერიოზულად შევხვდავ, გენდერულ თანასწორობაზე ლაპარაკი არ უნდა დამიწყოს!“ 50

**სპორტის მიღმა** 51

**ადამიანის ინსტიტუტი**

- ბავშვობის შიშებს დაემშვიდობეთ 52
- როგორ მოვექცეთ თავხედს 52
- ისწავლეთ „არას“ თქმა 52

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე** 53

**შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** 54-55


## „შვილებთან სულიერ კავშირს ათასობით კილომეტრიც ვერ წყვეტს“

„უცებ ძილში რაღაცამ წამომაგდო. გულისცემას ყელშიც კი ვგრძნობდი. ჩემი უფროსი გოგონას სახელს ხმამაღლა ვამბობდი... მის სახელს გავიძახოდი და გაურკვეველ შიშს ვყავდი ატანილი. როგორც იქნა, ღონე მოვიკრიბე და ტელეფონზე ჩემი ქმრის ნომერი ავკრიფე... ქმარმა გამიმხილა, ახლა ოპერაციას უკეთებენო...“.



გვ.12


**სახალისო** 56-57

**იყავით ჯანმრთელი**

- დიაბეტი — ცბიერი დაავადება 58
- როგორ გავისუფთაოთ სუნთქვა 58
- გვპასუხობს ექიმი 59

**ჭრელაჭრულა** 62

**ქალური მოთხრობები**

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-25) 66
- ლელა ცუცქირიძე — „სამმაგი სიურპრიზი“ 68

**წმინდანები**

გვირგვინი მხოლოდ თავგანწირულების ხვედრია და საჩუქარი 72

**კითხვები მოძღვარს**

„ვინც ოთხშაბათს და პარასკევს არ მარხულობს, ის ქრისტეს გაცემის და ჯვარცმის მონაწილე ხდება“ 73

**გზა ტაძრისაკენ**

მამა ლაზარე: „უფლისგან ასეთ წყალობას არ ველოდი“ 75

**საბავშვო გვერდი** 77

**ხელსაქმე** 78



№26(792) 26 ივნისი — 2 ივლისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 24.06.2013, 21.00 სთ-ზე.



## ბიძინა ივანიშვილი: „გუნდსაც ძლიერს დავტოვებ და მეც ყოველთვის ადგილზე ვიქნები“

საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ ესტონურ გამოცემასთან ნათქვამმა — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობას რამდენიმე დღეში დავტოვებო, ქართული პოლიტელიტა ააფუთფუთა.

— ვაპირებ, მალე დავტოვო პოლიტიკა. როგორც კი სააკაშვილი წავა და ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, მხოლოდ რამდენიმე დღე გავჩერდები პოლიტიკაში. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს. ჩვენ შორის საინტერესო პრეზიდენტი იქნება არჩეული. გვყავს ძალიან კარგი პარლამენტის სპიკერი. მაქვს იდეა, ვინ შეიძლება ჩემი ადგილი დაიკავოს. არ მინდა და ეს საქართველოს პოლიტიკისთვისაც ცუდი იქნება, ფსონი მუდმივად ერთ ადამიანზე კეთდებოდეს. ახალი სისხლია საჭირო, — განუცხადა ივანიშვილმა უცხოურ გამოცემას.

განცხადებიდან მალე პრემიერს განმარტებების მიცემა ქართველი ჟურნალისტებისთვის მოუწია. მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ საქართველოში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იქნება და მთავრობას აღარ დასჭირდება მისი დახმარება, მიუხედავად ამისა, შორს წასვლას მაინც არ აპირებს.

— სამაგიეროდ, უფრო საჭირბოროტო და საჭირო იქნება საზოგადოების განვითარება. ჩემი გადასვლა და გააქტიურება საზოგადოებაში მოახერხებს იმას, რომ გაჩნდეს საწყისი მუხტი, რასაც ჰქვია სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის სტრატეგია და განვითარება. ჩემი წასვლა ნიშნავს, იოლი ადგილიდან გადავიდე რთულზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავალ, როცა სადღაც დავალაგებ. ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს დავტოვებ მთავრობაში და მხოლოდ ამის შემდგომ გადავალ და გავხდები საზოგადოების აქტიური წევრი, — განმარტა მან. იქვე კი დასძინა, თუ ოდნავი განცდა მაინც იქნება არასტაბილურობის ან შეკითხვები მთავრობის და გუნდის მხრიდან, რომ ამან შეიძლება რაიმე უარყოფითი გამოიწვიოს, არსადაც არ წავალო.

— თქვენ კარგად იცით, სად მოვედი და როგორ მოვედი. როგორ ფიქრობთ, დალაგებულ საზოგადოებას დავტოვებ, სადმე გავიქცევი ან ვინმეს მივცემ დასანგრევად? არავის არაფერს მივცემ დასანგრევად და არც დესტაბილიზაციის უფლებას მივცემ არავის. გუნდსაც დავტოვებ ძლიერს და მეც ყოველთვის ადგილზე ვიქნები... არაპროგნოზირებადი ვინც იყო და არის ჩვენს ისტორიაში, თქვენ კარგად იცით, — განაცხადა მან.

ივანიშვილის შემცვლელზე მთავრობაში საუბარი რომ უკვე დაწყებულია, ეს ღიად დაადასტურა „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა.

— შემცვლელზე საუბარი, ბუნებრივია, მიმდინარეობს, მაგრამ ამ დეტალებზე საჯაროდ ლაპარაკი ჩემი კომპეტენცია არ არის, — განაცხადა მან.

პრესაში რამდენიმე შესაძლო შემცვლელის გვარი უკვე დასახელდა — დავით უსუფაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, ლევან ვასაძე და თეა წულუკიანი.

## „ივანიშვილი თუ წავიდა, უარეს საქართველოს დატოვებს“

ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში, რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ თუ პრემიერმინისტრი ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავა, ის იმაზე უარეს საქართველოს დატოვებს, ვიდრე ჩაიბარა 1 ოქტომბერს, რადგან მხოლოდ სააკაშვილის წასვლა პოსტიდან ნაციონალებს ვერ დაამარცხებს.

— თუ პრემიერს მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ქვეყანა დალაგებულია, ალბათ უნდა ვუთხრათ, რომ ეს შეცდომაა, ქვეყანა დალაგებული არ არის. მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომა ნაციონალებს არ დაამარცხებს. ეს ძალიან ძლიერი, ენერგიული პარტიაა, რომელიც გაცილებით მეტი სიმძაფრით დაიწყებს ბრძოლას, თუ დაინახავს, რომ ისეთი ძლიერი ფიგურა, როგორიც ივანიშვილია, მათი მეტოქის მხარეს აღარ იქნება. ასე რომ, ივანიშვილი მიიღებს არა იმ საქართველოს, რომელიც მან ჩაიბარა, არამედ უარესს, — აცხადებს ექსპერტი.



## ბაჩო ახალაია სასამართლოში ჩივილით იმუქრება

საქართველოს შსს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია სამეგრელოში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. ის კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს ფარულ ჩანაწერებთან და აცხადებს, რომ სასამართლოში უჩივლებს ყველა იმ პირს, ვინც მისი სახელის დისკრედიტაციას შეეცდება.

„საჯაროდ ვაცხადებ, არც ამ ჩანაწერების მოპოვებასთან და არც მის გავრცელებასთან არანაირი კავშირი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. უფრო მეტიც, უახლოეს დღეებში ვაპირებ, სასამართლოს მივმართო და ყველა უპასუხისმგებლო ადამიანსა თუ გამომცემლობას მოვთხოვო ბოდიშის მოხდა ჩემი და ჩემი ოჯახის სახელის დისკრედიტაციისათვის. უკან არასოდეს დამიხევია გამოწვევების წინაშე და არც დღეს ვაპირებ. მე საქართველოში იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ვიღაცასთან გარიგების გზით კომფორტი და ხელშეწყობა მივიღო. საღად ვაფასებდი ვითარებას და ზუსტად ვიცოდი, რა მელოდა წინ და რაც უნდა რთულ პირობებში მომიწიოს ყოფნა, ვიცი, რომ ჩემი სიმართლის დამტკიცება სწორედ ამ რთულ გზაზე გადის“, — ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

## სამალავში აღმოჩენილ ფირებზე აღბეჭდილი მსხვერპლის ვინაობა გამჟღავნდა?

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი ნინო ლომჯარია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე შსს-ში ვიდეომასალის ჩვენებიდან თავისი წამოსვლის მიზეზს განმარტავს.

„ჩემი პოზიცია იყო ის, რომ კადრები, რომელიც სახელმწიფოს აქვს, მართლმსაჯულების ფორმატში განხილულიყო და არა „სეირის ყურების“ რეჟიმში. ამბობენ იმასაც, რომ მძიმე კადრების ყურებას ავარიდეთ თავი. პირიქით, შეიძლება ძალიანაც მაინტერესებდა, რა იყო ფირზე, მაგრამ ჩემს ცნობისმოყვარეობაზე მაღლა ყველა იმ მსხვერპლის მდგომარეობა დავაყენე, რომლებსაც ალბათ მეორეჯერ გაიარეს ის ჯოჯოხეთი იმის გამო, რაც შსს-ში ხდებოდა... იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ენჯეოების კრიტიკით ცდილობენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულის მოგებას, ვეტყოდი, იქნებ შსს-ს დაუსვან კითხვები, მაგალითად, უკვე 8 თვეა, რაც პოლიტიკური ოპონენტების, საზოგადოების ცნობილი სახეების პირადი ცხოვრების უკანონო თვალთვალის ამსახველი ვიდეოფაილები უდევთ სამინისტროში და გამოძიება რატომ არ დაიწყეს? რატომ არ დაკითხეს არავინ და არ წაუყენეს შესაბამისი ბრალი შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებს?..

იცით თუ არა, რომ ზუგდიდში უკვე ყველა ლაპარაკობს მსხვერპლის ვინაობაზე, თუმცა აქ მისი და მისი ოჯახის წევრების სულიერი ტკივილი რა მოსატანია...“, — წერს ლომჯარია.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ქლენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.



Cyan Magenta Yellow Black

## ყოფილ პრემიერს სანდრო გირგვლიანის საქმის გაყალბება ბრალად წაუყენეს

საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრ ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა. ახალი ბრალი მას ე.წ. მატროსოვის ციხეში წარუდგინეს. პროკურატურის ინფორმაციით, დადგენილია, რომ:

პირველი: სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორება განხორციელდა შეკვეთით, რომელიც საქართველოს შსს-ს იმდროინდელი გენერალური ინსპექციის უფროსის, ვასილ სანოძის დაბადების დღის აღსანიშნავი სუფრიდან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა.

მეორე: სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორებაში დათა ახალაიას გარდა მონაწილეობდნენ არამხოლოდ ზემოაღნიშნული განაჩენით მსჯავრდებული პირები, არამედ, როგორც მინიმუმი, პოლიციის კიდევ ორი მაღალი თანამდებობის პირი.

მესამე: სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის ხელის შეშლის, დანაშაულის შემკვეთისა და თანამონაწილეების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განრიდების მიზნით, მსჯავრდებულმა პირებმა დუმილის სანაცვლოდ მიიღეს ფულადი ანაზღაურება, თითოეულმა რამდენიმე ათეული ათასის ოდენობით.

მეოთხე: მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ განსაკუთრებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

მეხუთე: საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებული პირების შეწყალება და მათი ვადამდე პირობით გათავისუფლება განხორციელდა ტენდენციურად, კანონის მოთხოვნათა და დადგენილი პროცედურების უხეში დარღვევით.

მეექვსე: ივანე მერაბიშვილმა სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად საკუთარი მეუღლის თამარ (თაკო) მერაბიშვილი-სალაყაიას, აგრეთვე, სხვა მასთან დაახლოებული პირების (დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვის და სხვათა) დანაშაულისაგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, რამაც პრაქტიკულად ზუსტი ასახვა ჰპოვა სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს ვერდიქტში.

შსს-მ 2013 წლის 24 ივნისს საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. ბრალდებაში აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები მერაბიშვილმა ჩაიდინა პირადი მოტივებით.

მერაბიშვილი გირგვლიანის ეპიზოდზე სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში 19 ივნისს დაკითხეს. მისი ადვოკატის, გიორგი ჩივიაშვილის ინფორმაციით, მერაბიშვილმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ აზრი არ აქვს რამის თქმას, რადგან იგი პოლიტიკური პატიმარია და ყველაფერი მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

## ვანო მერაბიშვილი საზოგადოებას და პატიოსან პოლიციელებს ბოდიშს უხდის

საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის ოფიციალურ გვერდზე „ფეისბუქში“ განცხადება გამოქვეყნდა, სადაც ის საზოგადოებას და ათასობით პატიოსან პოლიციელს ბოდიშს უხდის:

„დღემდე ვფიქრობდი, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება ვიამაყებდი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს განხორციელებული რეფორმებით. იმით, რომ ჩემს მეგობრებთან და ათასობით პოლიციელთან ერთად რეგიონში ყველაზე კორუმპირებული და არაპოპულარული პოლიცია ყველაზე პოპულარულად და არაკორუმპირებულად ვაქციეთ, რითაც ჩვენი რეფორმა ბევრი ქვეყნისთვის სამაგალითო გახდა. მე ვამაყობდი, რომ ჩემი მინისტრობის დროს არც ერთი პოლიტიკური ოპონენტი, ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკულად განწყობილი არც ერთი წარმომადგენელი არ მოუკლავთ, არ გაუტაცებიათ და უგზო-უკვლოდ არ დაკარგულან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პოლიციელებმა მონაწილეობა მიიღეს ადამიანების წამებაში, ეს ჩემს წარმატებას ეჭვქვეშ დააყენებს. მე მინდა ვთქვა, რომ ჩემი მინისტრობის დროს მსგავსი რამ არ უნდა მომხდარიყო. მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი, ვინც ამ ფაქტში მონაწილეობას იღებდა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.



მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც ჩემი მინისტრობის დროს პოლიციელების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. მინდა, ბოდიში მოვუხადო ათასობით პოლიციელს, ვინც ჩემთან ერთად არ დაიშურა ენერგია და დაუღალავი შრომის, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად, საქართველო ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად აქცია. მე ვთხოვ საზოგადოებას, ეს რისხვა არ გადაიტანოს ყველა პოლიციელზე. მინდა, ბოდიში მოვუხადო ჩემს პარტიულ მეგობრებს, რომლებმაც მანდეს ეს საპასუხისმგებლო თანამდებობები და რეფორმების განხორციელებაში მეხმარებოდნენ.

მე დავამტკიცებ, რომ ამ ფაქტებთან არავითარი კავშირი არ მაქვს. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ცემის, წამების და არასათანადო მოპყრობის გამო რამდენიმე ასეული პოლიციელის დასჯის ფაქტი საკმარისი იქნებოდა, რომ მსგავსი პრაქტიკა პოლიციიდან მთლიანად აღმოფხვრილიყო. სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ჩემს სისტემაში გამოვლინდა დანაშაული, რომლის გამოც დღეს მე საზოგადოებას და ათასობით პატიოსან პოლიციელს ბოდიშს ვუხდი“.



## ზურაბ ადეიშვილი კონტრდაზვერვის მასალების გამომზეურებას სახელმწიფოს ღალატად აფასებს

საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის სახელით „ფეისბუქზე“ განცხადება გავრცელდა, სადაც ის ლადო ბედუკაძის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებასა და სამალავში აღმოჩენილი 12.000 ფაილის ფაქტებს ეხმაურება.

„არანაირი პირობა არ იყო ბედუკაძის გათავისუფლებისთვის. ეს არის შერჩევითი სამართლის უბადლო ნიმუში. გამოდის, ვიღაცას აწყობდა, რომ ასე მომხდარიყო, კანონის უზენაესობა ცალსახად ბედუკაძის პატიმრობაში დარჩენას გულისხმობს... ვინაიდან ის ასცდა კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას, გამოდის, რომ ვიღაცამ ააცილა ეს რაღაცის სანაცვლოდ. თუ რის სანაცვლოდ, მგონი, არ არის ძნელი მისახვედრი“, — აღნიშნულია განცხადებაში.

რაც შეეხება სამალავს, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს უშიშროების სამსახურის მიერ შეგროვებული მასალაა და მისი ასე გამომზეურება სახელმწიფოს ღალატია.

„კონტრდაზვერვის სამსახური ყველა ქვეყანაში ახორციელებს თვალთვალს, მაგრამ ეს იმდენად მკაცრად დაცული ინფორმაციაა, რომ ხელისუფლების ცვლაც კი არ გულისხმობს ამ კადრებზე ინფორმაციის გავრცელებას. როგორც კადრების მნახველები ამბობენ, იქ არის არა მხოლოდ თვალთვალი, არამედ წამება და გაუპატიურება, რაც ცალსახად დანაშაულია და უნდა იქნეს გამოძიებული და დადგენილი, ეს სისტემური დანაშაულია თუ კონკრეტულად იმ პირების სისასტიკე, ვინც ამას სჩადის. მაგრამ 12.000 ფაილის ხსენება არასწორია, რადგან, სავარაუდოდ, შსს საუბრობს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ფაილებზე, სამსახურზე, რომელსაც ევალება თვალთვალი, ხოლო ამ ფაქტის გამომზეურება სახელმწიფო ღალატს უტოლდება. ჩათვალეთ, რომ დღეიდან საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი პარალიზებულია, თანამშრომლები დემორალიზებულები ან ჩემსავით გაფანტულები არიან სხვადასხვა ქვეყნებში. ყველანაირი გზა აქვს გახსნილი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, საქართველოში თამამად იმუშაონ.

იქ მარტო 2003 წლიდან გადაღებული მასალა არ არის. გასული საუკუნის 90-იან წლებში კონტრდაზვერვის ის მწირი მასალებიც არის... ეს ისეთი სფეროა, რომ ყვირილი და სააშკარაოზე გამოტანა სათუთი თემაა. რა თქმა უნდა, წამება უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ამ დანაშაულის გამო მთელი კონტრდაზვერვის მასალის მსხვერპლად შეწირვა, კიდევ ერთხელ ვამბობ, სახელმწიფოს ღალატია“, — ნათქვამია ადეიშვილის სახელით გავრცელებულ განცხადებაში.



Cyan Magenta Yellow Black

Apifito PHARM

# ზეთი „ჟივიცა“

100% ნატურალური პროდუქტი!

**ზეთი „ჟივიცა“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!**

გვსურს გაგაცნოთ ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღების უნიკალური სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „ციმბირული განწმენდა“, რომელიც სათავეს იღებს ჯანსაღი სულის მქონე რუსული ტაიგიდან. სისტემა საუკუნეების მანძილზე შემოწმებულია ციმბირის ტაიგის მცხოვრებთა მიერ, რომლებიც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი დევგმირული ჯანღონით.დღეს ლეგენდარული „ციმბირული ჯანმრთელობა“ ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვისაც სურს აღადგინოს და გაიკაჟოს ორგანიზმი, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და ზრუნავს საკუთარ თავზე და თავის ახლობლებზე.„ციმბირული განწმენდა“ მეტად მარტივია, მისი ჩატარება არ ახდენს სტრესულ გავლენას ორგანიზმზე, თუმცა რბილად და ქმედითად რთავს წმენდა-გაჯანსაღების პროცესს უჯრედულ დონეზე. შედეგი არის ორგანიზმის თითოეული უჯრედის გენეტიკური ჯანმრთელობის აღდგენა. გამოყენების დასაწყისშივე აღინიშნება მწვავე სიმპტომებისა და ტკივილის გაქრობა. „ჟივიცას“ შემადგენლობაში, კედარის ფისით გამდიდრებული კედარის ზეთის გარდა, შედის დინდგელი და ქაცვის ზეთი. „ჟივიცა პლუსის“ თითოეული მდგენელი თავისთავად მარგებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ამასთან ერთად ჰარმონიულად შერჩეულ სხვა კომპონენტთან ერთად აძლიერებს (ან, როგორც ექიმები იტყვიან, პოტენცირებს) მის მოქმედებას.ამ კომპონეტთა მარგებელი თვისებების მხოლოდ ჩამოთვლა დაიკავებდა მთელ საგაზეთო გვერდს. მათ საფუძველზე შექმნილ ზეთს შეიძლება უნივერსალური ეწოდოს ადამიანის ორგანიზმზე თერაპიული ზემოქმედების კუთხით.„ჟივიცა“ ღირებულ დახმარებას უწევს დასუსტებულ გულის კუნთს - მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც პროფილაქტიკის საშუალება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ასევე კომპლექსური თერაპიისას არითმიის, იშემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აღადგენს კაპილარების ელასტიკურობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანოებისა და ქსოვილების სიღრმისეული სისხლით მომარაგება. შედეგად უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში, მცირდება ინფარქტებისადა ინსულტების რისკი, მსუბუქდება მდგომარეობა ვარიკოზებისა და თრომბოფლებიტების დროს.წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ანემიისას, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს.ზეთის ერთჯერადი გამოყენება გვაშორებს გულძმარვის მსუბუქ ფორმას, მუდმივი - კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს.




„ჟივიცას“ სამიზნეა დისბაქტერიოზი, ქრონიკული კოლიტი, პანკრეატიტი, ჰეპატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, ცისტიტი, ბუასილი.„ჟივიცას“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული თვისებები და ნაჩვენებია მიკოზების (სოკოვანი დაავადებების), ჰერპესის, დერმატიტების, ფსორიაზის, ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობების, ჭრილობების, მოყინვის მკურნალობისას. საშუალების ადგილობრივი გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, და ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს „ჟივიცა“ ასევე საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღმოფხვრისას, ქუსლის დეზით დაწყებული და ართროზებით, ართრიტებით, რადიკულიტითა და ხერხემლის თიაქარით დამთავრებული.„ჟივიცა“ ახდენს ზოგადგამაკაჟებელ მოქმედებას, აწესრიგებს წნევას, ამცირებს მეტეოდამოკიდებულებას, შესაძლებელია მხედველობის გაუმჯობესება, მათ შორის გლაუკომის დროს.მიღებულია კარგი შედეგები ბალზამის ჩართვისას ენდოკრინული დაავადებების, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა და შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ თერაპიაში.ზეთი აწესრიგებს რეპროდუქციული სისტემის მუშაობას. მამაკაცებმა უნდა გამოსცადონ მისი მარგებელი ძალა პროსტატიტის, ადენომის, პოტენციის დაქვეითების დროს.პრეპარატები უძველესი რეცეპტების საფუძველზე უმჯობესდებოდა, და არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს პოპულარობა ექიმებს, მკურნალებსა და ავადმყოფებს შორის. აი „ჟივიცაც“ ათწლეულზე ნაკლებ ხანში იქცა ლეგენდად, ათასობით ადამიანს დაეხმარა სნეულების დაძლევასა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში.

---

მაწუხებდა სახსრები და კუჭ-ნაწლავის სისტემა, კოლიტი, შებერილობა და დისბაქტერიოზი. ხშირად დიეტაზე ყოფნა მიწევდა. ჯივიცით მკურნალობით კარგი შედეგი მოვიღე.პირველ რიგში მადა მომემატა, კუჭის მოქმედება მომიწესრიგდა, მეორე ყურში შუილები მქონდა და მომეხსნა, სახსრებიც აღარ მაწუხებს. შესანიშნავად ვგრძნობ თავს! თამრიკო ინასარიძე. 70წ.

---

ინსულტი მქონდა გადატანილი. მარჯვენა მხარე პარალიზებული მქონდა,ლაპარაკიც მიჭირდა. უამრავ წამლებს ვღებულობდი. როცა დავიწყე ზეთი ჯივიცას მიღება 4 ფლაკონზე შევატყვე,რომ ხელ-ფეხს ნელ-ნელა ვამოძრავებდი და მეტყველებაც აღმიდგინდა! ანა ფაიჭაძე 63წ. თბილისი.

---

ზეთი ჯივიცა ჩემმე ახლობელმა მირჩია.მაქვს გლაუკომა,თვალის წნევა მაღალი მქონდა,ამის გარდა მაწუხებდა სახსრები და გულძმარვა.უკვე მივიღე 3 ფლაკონი,ზეთი კომპლექსურად მოქმედებს და ძალიან ეფექტურია.მკურნალობის შედეგად თვალის წნევამ დაიწია,მომეხსნა სახსრების ტკივილები,გულძმავა აღარ მაწუხებს (დიეტაზე ვიყავი)ეხლა კი ყველაფერს ცოტ-ცოტას ვჭამ და სიარულიც შემიმსუბუქდა, ვენები აღარ მაწუხებს.

ნონა ბაკურაძე .75წ.რუსთავი.

---

მქონდა შაქარი, 300მდე ადიოდა. შაქრის გამო ფეხებიც მტკიოდა და გამიჩნდა პრობლემა მხედველობაზე, შემაწუხა კუჭ-ნაწლავმაც. ჩემმა რძალმა გაზეთში ამოიკითხა ზეტი ჯივიცას შესახებ და მირჩია მიმეღო. შევიძინე ჟივიცა. ჩავიტარე 2 კურსი, შაქარი მომიწესრიგდა, კუჭ-ნაწლავიც, თავს მსუბუქად ვგრძნობ, შედეგით კმაყოფილი ვარ!

ქორიძე მერი, 53 წლის, ბათუმი,

---

კუჭის და 12-გოჯას წყლული მაქვს.ხშირად ტკივილები, სისუსტე და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ მქონდა.გაზეთში წავიკითხე ბალზამის შესახებ ძალიან დავინტერესდი და მიღება გადავწყვიტე. 3 ფლაკონი მივიღე და ვგრძნობ,რომ ტკივილები და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ გამიარა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ზეტი ჯივიცა უნიკალური საშუალებაა ადამიანის დაკარგული ძალებისა და ადაპტაციური მექანიზმების აღსადგენად!

გოდერძიშვილი გიორგი 74წ. ქ.თბილისი.

---

როცა წავიკითხე გაზეთში ზეტი ჯივიცას შესახებ,არ დავიჯერე,რომ ის იმდენად შედეგიანი შეიძლება ყოფილიყოს,მაინც შევიძინე და მიღება გადავწყვიტე.არტერიული წნევა და თავის ტკივილები მქონდა და ერთი თვის მკურნალობის შემდეგ თავის ტკივილებმა გამიარა და არტერიული წნევა დაიწია120/70 ,რამოდენიმე დღეა რაც წნევა არ გამიზომია,ადრე კი ყოველდღე ვიზომავდი.დიდი მადლობა ასეთი შედეგიანი პროდუქწციისათვის!

ელიკო თოფურია. 76წ.ქ.თბილისი.

---

მხედველობასთან დაკავშირებით გამიჩნდა პრობლემები, მიჭირდა კითხვა. მქონდა გულის არითმია, ქოშინი, პროსტატა, წანაზარდები თირკმელზე. დავიწყე ჟივიცას მიღება. უკვე 4 დღის შემდეგ მხედველობა გამიუმჯობესდა. შევძელი წვრილი ასოების წაკითხვა . უკვე მივიღე ერთი ქილა. გულის მდგომარეობა გამოსწორდა. თქვენი მადლიერი ვარ!

ბედოიძე ზურაი, 64 წლის, რუსთავი.

---

თქვენ პენსიონერი გწერთ მე 81 წლის ვარ.თქვენთან შევიძინე ზეთი ჯივიცას 3 ქილა და სამადლობელო წერილს გწერთ ასეთი ხარისხიანი პროდუქციის შემქმნელს.დამირეგულირდა არტერიული წნევა,ამის გარდა სამწვერვა ნერვის ანთებაც მქონდა,ძლიერი ტკივილები მქონდა,ბალზამს შინაგანად ვღებულობდი და მტკივნეულ ადგილასაც(სახეხე)ვისმევდი.ეხლა ტკივილები მომეხსნა,არ მჯერავს ,რომ ტკივილის გარეშე სიცოცხლე შესაძლებელი იყო,რადგან არაფერი მშველიდა! ეხლა კი თქვენ ხართ ჩემი იმედი,დიდი მადლობა თქვენ! ჟუჟუნა ლოსაბერიძე.81წ.ქ.თბილისი.

---

მაქვს ქრონიკული ბრონქიტი, ხშირი ხველა, მუდმივად ვარ წამლებზე. გაზეთში წავიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ,მისი უნიკალური შემადგენლობა ძალიან მომეწონა, შევიძინე და დავიწყე მიღება. მალევე ვიგრძენი შვება, სუნთქვა შემიმსუბუქდა, ხველამ გამიარა. დიდი მადლობა ზეთი ჯივიცას,ყველას ვურჩევ, რადგან ის ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა! ქურდაძე ზ.70 წლის, ქ. ქუთაისი.



Cyan Magenta Yellow Black

პრობლემები მქონდა ნაღვლის ბუშტზე,კუჭ-ნაწლავზე,მაწუხებდა ტკივილები, პირის სიმწარე,მაღალი წნევები, არითმია, ტახიკარდია. ჭამის მერე ვიღებდი ფესტალს. მქონდა ასევე მარილგროვები სხეულის სხვადასხვა ადგილებში. ზეთი ჯივიცას შესახებ გაზეთში ჯანმრთელობის გვერდში წავიკითხე. მიღებიდან ორ-სამ დღეში ვიგრძენი წვა ზუსტად იმ ადგილებში, სადაც მარილები მქონდა. მივხვდი რომ ეს იყო მარილების დაძვრის და ნელნელა დაშლის დასაწყისი. მართალი აღმოვჩნდი. ტკივილები თანდათან დამიამდა.თავს მსუბუქად ვგრძნობ. არითმია მოწესრიგდა.პირში სიმწარე მცირდება და ეს ყველაპერი სამ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ!

მაღრაძე მარინა, 48 წლის, ბათუმი.

მქონდა შემდეგი პრობლემები: მტკიოდა მუხლები, მიჭირდა მოძრაობა, ადგომაც კი.მქონდა ფეხის დაჭიმულობა.ფეხის თითებზე მქონდა სოკო. გაზეთში ამოვიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ. გადავწყვიტე ჟივიცას შეძენა. ერთი ბოთლის მიღების შემდეგ შედეგი მაქვს. მუხლების ტკივილმა საგრძნობლად მიკლო. ვმოძრაობ ბევრად თავისუფლად. გარეთაც გავდივარ.ზეთს გარედანაც ვისვამდი ფეხის თითებზე. სოკო უკვე აღარ მაქვს. დიდი მადლობა თქვენ!

მაძღარაშვილი ნელი, 70 წლის, თბილისი

ჩემი მდგომარეობა ვფიქრობ განსაკუთრებულია.თითქმის 40 წელია მაწუხებს ფსორიაზი სახეზე და ხელებზე. ამ დროის განმავლობაში შეიძლება ითქვას უამრავი რამ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ . ბოლოს სინტომიცინის მალამოს ვისვამდი, რომელმაც უფრო გამიღიზიანა კანი. ჟივიცას შესახებ გაზეთში ამივიკითხე და გადავწყვიტე ესეც მეცადა. არ დაიჯერებთ მაგრამ ასეთ შედეგს მეც არ ველოდი. სახე და ხელები მომისუფთავდა. ქავილებიც არ მაქვს. ახლა ვაგრძელებ ჟივიცას მიღებას. უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი პროდუქციის. !

ვაშაკიძე გივი, 72 წლის, თბილისი

გაზეთი ჯანმრთელობის გვერდი ზეთი ჯივიცას შესახებ შევიტყვე,მისი 100% ბუნებრივი შემადგენლობა ძალიან მომეწონა და მიღება დავიწყე,ბევრი რამ მაწუხებდა.ვენების ვარიკოზული დაავადება, სისხლ-ძარღვების შევიწროვება, არითმია (აჩქარებულიგულისცემა), უძილობა, ნევროზი. ზეთი ჯივიცა ნამდვილად შედეგიანო აღმოჩნდა 3 ქილის შემდეგ, შევატყვე, რომ აჩქარებული გულისცემა და ქვედაკიდურების შესუპება გამიარა, სისხლის მიმოქცევა დამირეგულირდა, ეხლა ღამე კარდაგ და მშვიდად მძინავს, აღზნებადობა მომეხსნა და ძილი დამირეგულირდა! ყველას ვურჩევ ზეთს ჯივიცას!

ოთარ ბერულავა.63წ.ქუთაისი.

18 წელია უკვე,როგორც მაქვს ბრონქიალური ასთმა,ტაქიკარდია და არტერიული წნევა.ხშირად ინგალატორს ვხმარობდი, დისკომფორტის შეგრძნება მქონდა გულმკერდის არეში. გაზეთიდან ჯენმრთელობის გვერდი გავიგე ზეთი ჯივიცას თაობაზე. მისი შემადგენლობა ძალიან მომეწონა, ის ხომ ბუნებრივია. მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა გამიუმჯობესდა,ასთმური შეტევები აღარ მაქვს, გულის რითმი და წნევა დამირეგულირდა. უღრმესი მადლობა!

მალხაზ ქეტოშვილი 67წ.თბილისი.

წლების მანძილზე ავად ვიყავი,მქონდა ქოლეცესტიტი და პანკრეატიტი,გული მაწუხებდა,სისხლ-ძარღვებიც მქონდა შევიწროვებული.მქონდა ტკივილები კუჭქვეშა ჯირკვლის თავის არეში,ტკივილს ჰქონდა შეტევითი ხასიათი.სახლში მომივიდა ჯანმრთელობის გვერდი საიდანაც შევიტყვე ზეთს ჯივიცას შესახებ.მიღება დავიწყე და შედეგიც მივიღე.მომეხსნა ტკივილები კუჭქვეშა ასეში,გულიც აღარ მაწუხებს,სისხლის მიმოქცევა გამიუმჯობესდა! ნინელი მაღრაძე 71 წ. ბათუმი.

აჩქარებული გულისცემა, წელის ტკივილები მაწუხებდა. მოძრაობა მიჭირდა. გამაშუქეს და დამიდგინდა ხერხემალზე თიაქარი. დამინიშნეს ოპერაცია, მაგრამ შემეშინდა და არ გავიკეთე. ამასთანავე მქონდა შარდის შეკავება, პროტრომბინმაც ამიწია. მოკლედ აღარ ვიცოდი რა მექნა. ამ დროს ჩემმა ახლობელმა მირჩია მიმეღო ზეთი ჯივიცა. 4 ფლაკონის მიღების შემდეგ თავს მშვენივრად ვგრძნობ,გულის რითმი დამირეგულირდა,თიაქარი შესამჩნევად დამიპატარავდა, პროტრომბინმა დამიწია, მოძრაობა შემიმსუბუქდა, ენერგიაც მომემატა. მადლობა თქვენს კომპანიას და ზეთ ჯივიცას!

ელისო გუგავა 77წ.



## „პრომიოდი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

## ყურადღება!!! განრიგში ცვლილებებია!!!

**თბილისი**

**26, 27, 28, 29, 30 ივნისი, 1, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 ივლისი**
მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.
ვარკეთილი – 3,2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1. 167-ე მარშრუტკის ბოლო გაჩერება, „ავერსის“ აფთიაქის თავზე. ყოველდღე, 10.00-20.00 სთ.

**29 ივნისი და 13 ივლისი, თელავი.** მის.: 26 მაისის ქ. 5. ჭადრაკის სახლი. 11.00-12.00 სთ.

**1 და 15 ივლისი, რუსთავი.** მის.: შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო“, 10.00-11.00 სთ.
**კასპი.** მის.: კოსტავას 1. კულტურის სახლი, 13.00-14.00 სთ.
**გორი.** მის.: სტალინის გამზ. 26. სასტუმრო „ჯორჯია“. 15.00-16.00 სთ.

**2 და 16 ივლისი, ბათუმი.** მის.: ზუბალაშვილების 18. სასტუმრო „თიკო“. 10.00-12.00 სთ.
**ოზურგეთი.** მის.: იოანე პეტრიწის 1. რესტორანი „იზაბელა“. 11.00-12.00 სთ.
**ქობულეთი.** მის.: აღმაშენებლის გამზ. 388. სასტუმრო-კაფე „რივიერა“, 13.00-14.00 სთ.
**ფოთი.** მის.: 9 აპრილის 10. „ბალუ“. 15.00-16.00 სთ.
**ზუგდიდი.** მის. გამსახურდიას 26. „ატრიუმი“. 17.00-18.00 სთ.

**3 და 17 ივლისი, სამტრედია.** მის.: შ. რუსთაველის 21. რესტორანი „ჭურტავა“, 10.00-11.00 სთ.
**ქუთაისი.** მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“. 12.00-13.00 სთ.
**ზესტაფონი.** მის.: სტაროსელსკის 22. სასტუმრო „ალტედე“. 14.00-15.00 სთ.
**ჭიათურა.** მის.: აღმაშენებლის 91. სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“. 16.00-17.00 სთ.

**4 და 18 ივლისი, ახალციხე.** მის.: კოსტავას 4/24. ბარი „სტუმრად ნუკისთან“. 12.00-13.00 სთ.
**ბორჯომი.** მის.: რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი“. 14.00-15.00 სთ.
**ხაშური.** მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 სთ.

## ასევე გაყიდვაშია ბალზამი „პრომიოდი“

ბალზამი „პრომიოდი“ ერთი შეფუთვის ფასი 32.80 ლარი.
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის 29.80 ლარი.
ადგილზე მიტანით ქ.თბილისში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა — 2 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია.

ზეთი “ჟივიცა” ერთი შეფუთვის ფასი: 31.60 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 28.60 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მიღების კურსი - 3 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

საინფორმაციო: www. apifito.net

571 22 98 98



Cyan Magenta Yellow Black

# ლევან ყოჩიაშვილის 15 წლიანი ოჯახი დაირღვა

## „ჯერ ჩემს ცოლს დავშორდი, მერე — ნინას"



### სერიალის გმირის და მსახიობის ბედი ერთმანეთს გადაება

პოპულარულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, მსახიობი ლევან ყოჩიაშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საზოგადოების გულისწყრომა იმით დაიმსახურა, რომ მისმა გმირმა დათომ ცოლს უღალატა, ცხოვრებაში რეალურად დგას ოჯახის დანგრევის პირას. მისი მეუღლე, მარინა ყაჭაშვილი, შვილებიანად მშობლების სახლშია გადასული. ლევანი ამბობს, რომ ცოლს ოფიციალურად არ გაშორებია, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ შერიგება არ მოხდეს. ამის შესახებ მსახიობმა პირველად „სარკეს" გაანდო.

ლევან ყოჩიაშვილმა და მარინა ყაჭაშვილმა 15 წელი იცხოვრეს ერთად. ორი შვილი ჰყავთ — 14 წლის კესო და 5 წლის ვასიკო. როცა „ჩემი ცოლის დაქალები" დაიწყო, ლევან ყოჩიაშვილი თავისი გმირივით ერთგული ქმარი და მამა იყო. მისი და მისი ცოლის ერთობლივ ინტერვიუებშიც სრული ოჯახური იდილია ჩანდა.

მათი რომანი წლების წინ პატარა რაიონულ ცენტრში, დედოფლისწყაროში დაიწყო. ლევანი მომავალ საბედოს სახლში თავისი ფეხით მიადგა — მარინას დედა ინგლისურ ენაში ბავშვებს ამზადებდა და მე-8 კლასელი ლევანიც მასთან მიიყვანეს. მას და მასწავლებლის შვილს ერთმანეთი მაშინვე მოეწონათ. მერე საერთო მეგობრის წვეულებებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ლევანი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა სასიდედროს სტუდენტ ქალიშვილთან შეხვედრის უფლება სთხოვა. მარინა მასზე ცოტათი უფროსი გახლავთ.

„კიდევ კარგი, ჩემი სასიმამრო არ დაგვხვდა სახლში, თორემ ვერაფრის თქმას მოვახერხებდი. ახლა მეშინია, რომ ვიხსენებ... ძლივს ამოვღერღე, რისი თქმა მინდოდა... მარინა 8 წელი მიყვარდა, სანამ დავქორწინდებოდით. ჩვენს სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა", — ყვებოდა „სარკეში" ლევან ყოჩიაშვილი.

მარინამ ინსტიტუტი დაამთავრა. ლევანი კი მე-3 კურსის სტუდენტი იყო, როცა გაიპარნენ და ცოლ-ქმარი გახდნენ მშობლების თანხმობის გარეშე.

სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ წყვილი ერთმანეთზე უზომოდ იყო შეყვარებული და ამის შესახებ „სარკეს" უყვებოდნენ. „მე ისევ ისე მიყვარს, როგორც 14 წლის წინ მიყვარდა. გრძნობა სულაც არ გამნელებია... ლევანი ძალიან მზრუნველი მამა და ყურადღებიანი მეუღლეა. არ არსებობს, რამე დაავიწყდეს და გამორჩეს... ამდენი წელია ერთად ვართ და ვცდილობთ, ერთმანეთი არ გავაბრაზოთ", — გვითხრა მაშინ მარინამ.

„ყველას უკვირს ჩვენი ურთიერთობა. მარინას მშობლებმა აღარ იციან, რითი მცენ პატივი და ასევე არიან ჩემი მშობლებიც... მარინას მადლობელი ვარ, რადგან სულ ხელს მიწყობს. ჩემს საქმეს ერთგულება სჭირდება. თუ ერთგული არ ხარ, არაფერი გამოვა. როცა ოჯახიდან გადასაღებ მოედანზე გაგიჟებულს გაგიშვებენ, რაღას გააკეთებ?! მარინა კარგად მივლის. ბევრი საყოფაცხოვრებო საკითხი არ მეხება, ყველაფერს ჩემი ცოლი აკეთებს და ამით ბედნიერი ვარ... მე რომ ვსწავლობდი, მარინა მუშაობდა. ერთგული და ჭკვიანი ქალია. სხვა ბევრი კარგი თვისებაც აქვს. ქალური ჭირვეულობა კი ახასიათებს, მაგრამ ისე არა, რომ შეაწუხოს და გაგაგიჟოს. რამე თუ უნდა, თვითონ ვხვდები", — ასეთი სიყვარულით ახასიათებდა მსახიობი ცოლს.

❖

ლევან ყოჩიაშვილს გადასაღებ მოედანზე შევხვდით. დაბნეული და ანერვიულებული ჩანდა. გვითხრა, ეს იმის ბრალია, მთელი დღეები რომ გადაღებებზე ვარ და ნორმალურად არ მძინავსო.

— **ლევან, მართალია, რომ ცოლს გაშორდით?**

— ოფიციალურად არ გავშორებულვართ, ისევ ცოლ-ქმარი გვქვია, მაგრამ გარკვეული პერიოდია, რაც ერთად აღარ ვართ.

**„ჩვენი დაშორება ჩემი ბრალიც არის და მისიც. შვილები ძალიან განიცდიან, უნდათ, რომ შევრიგდეთ. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინც უნდა გაპატიოს. თუ უყვარხარ, გაპატიებს, თუ არ უყვარხარ — არა. რაც ნინამ აპატია დათოს, შეიძლება სხვა ქალმა არ გაპატიოს".**

— **15 წლის ცოლ-ქმარი, რომელთაც სულ რაღაც ერთი წლის წინ სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი, რას უნდა დაეშორებინა? ყველა იფიქრებს, რომ თქვენ შორის ვიღაც მესამე ჩადგა.**

— არა, მხოლოდ მაგ მიზეზით არ ხდება დაშორება. ყოფაში ათასი სხვა რამე შეიძლება გახდეს მიზეზი. ცხოვრებაა და რა არ შეიძლება მოხდეს? ცოლ-ქმარი ხან იჩხუბებენ, ხან გაიბუტებიან... ისევ ცოლ-ქმარი ვართ ჩვენ!

— **მარინა მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა?**

— დიახ და ბავშვებიც იქ ჰყავს. უმცროსი პატარაა და მე არ მაქვს მისი მოვლის დრო, დედასთან უნდა იყოს. უფროსი გოგონა დედოფლისწყაროს სკოლაში გადავიდა, ახლა არდადეგები აქვს. ხდება ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ასეთი რამეები. დეტალებს არ გეტყვით.

— **სხვა დროსაც ყოფილა ასეთი შემთხვევა და შერიგებულხართ?**

— არა, მსგავსი არასოდეს მომხდარა, მაგრამ ხომ ხდება და მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი.

— **დაბნეული მეჩვენებით.**

— ღამის 3 საათზე მივდივარ სახლში. სულ უძილო ვარ.

— **შერიგებას ისევე რომანტიკულად შეეცდებით, როგორც სერიალში?**

— ადამიანმა რაღაცეები უნდა მოინელოს, შეაფასოს, გადააფასოს... ჩვენი დაშორება ჩემი ბრალიც არის და მისიც. შვილები ძალიან განიცდიან და უნდათ, რომ შევრიგდეთ. იმაზეა დამოკიდებული, ვინც უნდა გაპატიოს. თუ უყვარხარ, გაპატიებს, თუ არ უყვარხარ — არა. გააჩნია, რა გააკეთე, მაგრამ მაინც ქალზეა დამოკიდებული. რაც ნინამ აპატია დათოს, შეიძლება სხვა ქალმა არ გაპატიოს. ნინას უყვარდა დათო და აპატია. ჰოდა, გაუმარჯოს!

— **თქვენი მშობლები ცდილობენ, რომ შეგარიგონ?**

— არა, დიდები ვართ უკვე. 35 წლის ვარ. ადრე მოვიყვანე

**„ეს მსახიობების ბედია. შეიძლება შენს პერსონაჟს ფეხი სტკიოდეს და შენც აგტკივდეს. კინოში თუ გერევა ცხოვრება, რეალურ ცხოვრებაშიც გერევა ყველაფერი. ემოციებზე, გრძნობებზეა დამყარებული ეს პროფესია. აჰყვება ხოლმე ერთმანეთს ცხოვრებისეული და პერსონაჟის დეტალები".**

ცოლი, 20 წლის ვიყავი, ჩვენი გოგონა რომ გაჩნდა.

— **ცოტა ხნის წინ ისეთი სიყვარულით ლაპარაკობდით ერთმანეთზე...**

— კი და ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ რას ვიზამთ?! 50 წელი არიან ხოლმე ერთად, შვილიშვილები ჰყავთ და მაინც შორდებიან.

— **შეცდომებს ხშირად უშვებთ?**

— ვცდილობ, შეცდომა არ დავუშვა. ყველაფერს ვერ გააკონტროლებ, მაგრამ საერთოდ, ძალიან ფრთხილი კაცი ვარ. ისეთი რამ არ უნდა გააკეთო, მერე შენს თავს რომ არ დაუსვა კითხვა — „რა-



■ ლევანი და მარინა



Cyan Magenta Yellow Black

ტომ?“. მაგალითად, სერიალში ჩემს გმირს რა უნდოდა ნათიას ყოფილ ქმართან, ზაქროსთან, რომელმაც კარგად სცემა?! ასეთი რამ ჭკუის სასწავლებლად გამოდგება.

— **საქმეზე კი დაემთხვა ერთმანეთს თქვენი გმირის და თქვენი პირადი ცხოვრების ამბები.**

— ეს მსახიობების ბედია. შეიძლება შენს პერსონაჟს ფეხი სტკიოდეს და შენც აგტკივდეს. ფეხი მოუტეხია მსახიობს, როცა ფეხმოტეხილ კაცს თამაშობდა. კინოში თუ გერევა ცხოვრება, რეალურ ცხოვრებაშიც გერევა ყველაფერი. ეს პროფესია ემოციებზე, გრძნობებზეა დამყარებული. შეიძლება ჯერ ცხოვრებაში დაგემართოს რაღაც და მერე ის ფილმში გამოიყენო. ემოციურად იხსენებ, როგორ იყავი იმ დროს. აჰყვება ხოლმე ერთმანეთს ცხოვრებისეული და პერსონაჟის დეტალები.

— **დათომ ცოლს რომ უღალატა, თქვენ გლანძღავდნენ მის გამო, თითქოს რეალობაში ხდებოდა ეგ ამბები.**

— კი, სერიალში რომ ცოლს ვუღალატე, ხალხი ძალიან გაბრაზდა. ქუჩაში მაჩერებდნენ და მეუბნებოდნენ, ნინას დაუბრუნდი, ისეთი გვიყვარხარ, როგორიც იყავიო. ჰოდა, დავბრუნდი. სულ გარე-გარე მქონდა გადაღებები, ახლა კი „სახლში“ ვიღებთ.

— **თქვენი აზრით, ოჯახის შენარჩუნების გარანტი რა არის?**

— ერთმანეთს ანგარიში უნდა გაუწიონ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ რას ფიქრობს შენზე და რას იფიქრებს. ერთმანეთის პატივისცემა და დაფასება უნდა იცოდე და, რა თქმა უნდა, სიყვარული უნდა გქონდეს. სხვა რეცეპტი არ არსებობს. ცხოვრებაში საკმაოდ ერთგული კაცი ვარ. სიყვარულიც ვიცი, თანაგრძნობაც, პატივისცემაც. ხანდახან ზედმეტადაც გამოვხატავ ამ ყველაფერს.

— **ცხოვრებაში და სერიალში ცოლთან თქვენს დაშორებას ერთი და იგივე მიზეზი აქვს?**

— არა! ჩვენი ამბავი სულ სხვაა. სერიალში ძალიან მძაფრია ყველაფერი. კაცი ორი შვილით რომეოდ გადაიქცა. ეგ კიდევ სხვა უბედურებაა. რადგან ხალხს ნერვები აეშალა, ესე იგი, გამოგვივიდა. ადამიანებს რომ რაღაც სწყინთ ერთმანეთისგან, ეგ უფრო ადვილი საპატიებელია. დათო კი რომეოდ იქცა და გვერდიდან საშინლად გამოიყურებოდა. მეც კი მიშლიდა ჩემი გმირი ნერვებს. იმათ ატყუებდა, ვისაც უყვარდა და მისი სჯეროდა. მიზეზი არ ჰქონდა, სხვა შეჰყვარებოდა. ცოლი ზედ ჰყვებოდა, სიმარტოვეს და სიცივეს არ გრძნობდა, ამიტომ ეს უფრო საშინელი მოსასმენი და სანახავია.

— **ჯერ სერიალში დაშორდით და მერე ცხოვრებაში თუ პირიქით?**

— სერიალში დაშორებამდე მოხდა ჩვენი ამბავი. დაახლოებით ამ წლის იანვრიდან აღარ ვართ ერთად.

— **შერიგების შანსი არის?**

— შეიძლება აღარც შევრიგდეთ.

— **და სხვა ოჯახი შექმნათ?**

— არა, ჯერ ასე არ არის საქმე.

— **ახლა მარტო ცხოვრობთ?**

— დიახ, მარტო ვარ.

— **არაფერს ნანობთ?**

— როგორ არა? ბევრი რამის გაკეთება შემეძლო, რაც არ გავაკეთე. ბევრი რამის სწავლა შემეძლო და არ ვისწავლე. ბევრ რამეს სულ ტყუილად ჩამოვრჩი.

✓ **რუსუდან ადვაძე**



# გურამ გირგვლიანი: „კიდევ ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ჯერ არ ვამბობ“

## „ყველაფერს კადრულობდნენ, იმასაც ამბობდნენ, რომ მე სხვა შვილებიც მყავდა"

„ვარდების ხელისუფლების“ პერიოდში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და შოკისმომგვრელი ისტორიის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება დასასრულს უახლოვდება. პროკურატურამ ბრალი შსს-ს ყოფილ მინისტრსა და ყოფილ პრემიერმინისტრს, ამჟამად ნაციონალური პარტიის გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილს წაუყენა.



„სანდროს გარდაცვალება რომ შევიტყვე, იმ წუთიდან კარგახანს არაფერი მახსოვს. ოქროყანაში რომ ავედით მის მოსაძებნად და ბიჭებმა არ მიმიშვეს შვილის სხეულთან, გონება დავკარგე და რაღაც-რაღაცები ბუნდოვნად მახსოვს".

პროკურატურამ დაადგინა, რომ სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორება შეკვეთით განხორციელდა. ბრძანება შსს-ს იმდროინდელი გენერალური ინსპექციის უფროს ვასილ სანოძის დაბადების დღის აღსანიშნავი სუფრიდან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდის) იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა. წინა ხელისუფლებამ ამ საქმეზე ოთხი პირი გაასამართლა — გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური. ყველა მათგანი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი იყო. ისინი დიდხანს არ დარჩენილან ციხეში, საქართველოს პრეზიდენტმა მალევე შეიწყალა. პატიმრობის პერიოდშიც ხშირად ტოვებდნენ ციხეს და საკუთარ ოჯახებში იყვნენ. უფრო მეტიც — როგორც აღმოჩნდა, ძველ სამსახურსაც სტუმრობდნენ და გარკვეულ გადაწყვეტილებებსაც იღებდნენ. მათ დუმილის სანაცვლოდ ათასობით დოლარი აქვთ აღებული... არსებობს სხვა პიკანტური დეტალებიც, რომელთა გამჟღავნებისაგან პროკურატურა თავს იკავებს.

ბრალდების მიხედვით, ივანე მერაბიშვილმა, რომლისთვისაც დანაშაულის დღიდან — 2006 წლის 28 იანვრიდან ზედმიწევნით ზუსტად იყო ცნობილი მომხდარის ყველა დეტალი, დანაშაულისგან საკუთარი ცოლის, თამარ სალაყაიას და მასთან დაახლოებული პირების ხელოვნურად გარიდების მიზნით უზრუნველყო მოცემულ დანაშაულზე ფალსიფიცირებული საქმის წარმოება და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი შეუშალა.

ამ ბრალდების მოსმენის შემდეგ ვანო მერაბიშვილმა მოწმის უფლება გამოიყენა და საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა.

■

მკვლელობის გამოძიება, რომლის შესახებაც ყველამ ყველაფერი იცოდა, გაუგონარი სიყალბითა და ცინიზმით წარიმართა. საზოგადოება ამას ვერ შეეგუებოდა. სანდრო გირგვლიანის დედამ, ირინა ენუქიძემ, თავი გადადო სიმართლის საძიებლად და ამ ბრძოლას შეეწირა კიდეც, ერთადერთი შვილის სიკვდილიდან წელიწადნახევარში გარდაიცვალა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და ირინა ენუქიძის თავდადება ვარდებით მოსული სასტიკი რეჟიმის დასასრულის დასაწყებად გადადგმული პირველი ნაბიჯი გახდა.

სანდრო დედისერთა იყო, მამის დაბადების დღისთვის „საჩუქრად“ გაჩენილი. მის გარდაცვალებას მალე დეიდის სიკვდილი მოჰყვა — ვერ გაუძლო დისშვილზე დარდს. მერე ბებია — ირინა ენუქიძის დედაც გარდაიცვალა, შემდეგ — თავად ქალბატონი ირინა და ბოლოს — ირინას მამა.

სანდროს მამამ, გურამ გირგვლიანმა, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლის, ამხელა ტრაგედიას ვერ გაუძლო, სულიერად გატყდა, ერთი პერიოდი სმას მიჰყო ხელი. სამართლის პოვნის და შვილის სიკვდილში დამნაშავეების დასჯის სურვილმა გამოაფხიზლა. საბოლოოდ ეს დროც დადგა.

**გურამ გირგვლიანი:**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოვიდოდა სანდროს მკვლელების დასჯის დრო. ახალი ხელისუფლების მოსვლამ კი დააჩქარა ეს ყველაფერი. თავის დროზე სტრასბურგის სასამართლომ საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოიტანა. იქ გარკვევით წერია, თუ რა დანაშაული იქნა ჩადენილი და, პრეზიდენტიდან დაწყებული უბრალო ჩინოსნებით დამთავრებული, ყველა ცდილობდა ამ საქმისთვის ხელშეშლას. ევროსაბჭომ სახელმწიფო დაავალდებულა, წარედგინა, თუ რა ხდებოდა ამ ამბის გარშემო. სისულელე დაწერეს, სანდროს მკვლელობა შემთხვევითი იყოო. დღეს კიდევ უფრო მტკიცდება, რომ სანდრო შეგნებულად მოკლეს და არა — შემთხვევით. ეს ჩვენ მაშინაც ვიცოდით. არ შეიძლება, ადამიანს ყელზე 14 ჭრილობა მიაყენო ბასრი საგნით და მისი მოკვლა არ გინდოდეს. ფაქტია, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს.

— **ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილის ცოლს, თაკო სალაყაიას, ტელეფონით ასმენინებდნენ სანდროს ხმას, როცა მას აწამებდნენ. თქვენთვის დამაჯერებელია ეს ინფორმაცია?**

— ამის თქმა ძალიან ძნელია და არ ვიცი. ისე კი, სატელეფონო ჩანაწერების მიხედვით, იმ ღამით სულ ხაზზე იყვნენ მკვლელები და თაკო სალაყაია ერთმანეთთან, მას რაღაც ინფორმაციას აწვდიდნენ. დიდი მუშაობა გასწია ახლანდელმა გამომძიებელმა. ბევრი ისეთი რამ გამოიკვეთა, რაც აქამდე არ ვიცოდით. პირდაპირ პროკურატურაში გააყალბეს სანდროს საქმე. პრეზიდენტმა იმ დღეს დიდი ამბით ახსენა ჩხატარაშვილი, რომელიც მაგათი კაცი იყო და ადეიშვილის მარჯვენა ხელი გახლდათ. პირადად მას ებარა სანდროს საქმე და გამყალბებელიც ეგ იყო. ეს თავად საააკაშვილმაც დაამტკიცა ბოლოს გაკეთებული განცხადებით.

— **სანდროს მკვლელობის საქმეზე ვანო მერაბიშვილს გაასამართლებენ. ამას წარმოიდგენდით?**

— ხალხი ელოდა მის დაპატიმრებას. უკვე ამდენი ხანი გავიდა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ და ჯერ არავინ დაუსჯიათ, რადგან ისევ აგრძელებენ ტყუილით თავის გატანას. გნებავთ, რობაქიძის →10





Cyan Magenta Yellow Black

← 9 საქმე აიღეთ და ნახეთ, რა ჩაატარეს. გაყალბებული ფირები მოიტანეს და ისევ თავისას გაიძახოდნენ. ამ ბიჭის მშობლებს კი რა უქნეს იმ კადრების კიდევ ერთხელ გაშვებით... წარმოუდგენელი სიმხეცეა. ცდილობდნენ, სხვა კუთხით წაეყვანათ გამოძიება. ვაზაგაშვილის ამბავი ჯერ ისევ გაუგებარია. გამცემლიძე და კიდევ ვინ იცის, რამდენი ჰყავთ მოკლული, რომელთა საქმეც ასე არ გახმაურებულა.

ჩვენი საქმე კი, როგორც ჩანს, ყველაზე წინ იდგა, რადგან თავიდანვე ავტეხეთ ხმაური და თავიდანვე მივაწოდეთ ხალხს ინფორმაცია. რა არ მოიგონეს — ხან სვანური გარჩევა დაარქვეს, ხან ვითომ სანდროს ბანკში, სადაც მუშაობდა, ვალები ჰქონდა და თავი მოიკლა... როცა მიხვდნენ, რომ იმ ოჯახში არ მოხვდნენ, რომელიც ხმას არ ამოიღებდა, მერე რაღაცეებით გადაფარვა დაიწყეს. ახლა ახალ ხელისუფლებაზე ამბობენ, ვერ იძიებენ და უნდათ, ერთი ამბავი მეორეთი გადაფარონო.



■ ირინა, გურამი, სანდრო — ოჯახი

**„ირინა ბოლოს ჩემზეღა დარდობდა. ჩემს მეგობრებს უბარებდა, გურამს მიმიხედეთ, ოჯახი შეაქმნევინეთო. 7 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ცოლის მოყვანაზე არც მიფიქრია".**

რა თქმა უნდა, ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებას ველოდებოდი და იმედი მაქვს, რომ ყველა დამნაშავეს გვერდით მიუსვამენ. ჩემი შვილი მათი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო და ირინას ფაქტორმა გაახმაურა ეს ამბავი. ირინა მსვლელობებს აწყობდა, ითხოვდა, გვერდით დასდგომოდნენ. თავიდან 9-10 კაცამდე ედგა გვერდით, მერე კი მათი რიცხვი გაიზარდა. ირინამ საზოგადოება აზრზე მოიყვანა.

**— ბატონო გურამ, მაშინ მხოლოდ ქალბატონი ირინა ჩანდა, თქვენ — ნაკლებად.**

— დედა დედაა და ვერანაირი ხელისუფლება და ძალა ამ ფენომენს წინ ვერ დაუდგება. ირინა მთხოვდა, ასე მოვქცეულიყავი. კაცი ვარ და შეეძლოთ, ნარკოტიკი თუ სხვა რამ ჩაედოთ და მერე ისევ ირინასთან წავიდოდა ვაჭრობა. ერთმა კომპეტენტურმა პირმა გვითხრა, შენ მაინცდამაინც ნუ ჩაერევი, ჯობია, დედა იყოს წინა პლანზეო. კონსულტაციებს გავდიოდით და, როგორც გვირჩევდნენ, ისე ვიქცეოდით. ალბათ ქალსაც გააჩნია. ბევრი დედა გაამწარეს, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ.

**— როგორი ბავშვი იყო სანდრო, როგორ ზრდიდით?**

— მე 12 თებერვალს ვარ დაბადებული, სანდრო 13 თებერვალს დაიბადა. ჩემი დაბადების დღის სუფრა იყო გაშლილი ოჯახში. ღამის 2 საათი იყო, ირინას რომ მუცელი ასტკივდა. ერთ საათში დაიბადა კიდეც. შესანიშნავი ბიჭი იყო. მიშა რომ ამბობს ხოლმე, ქუჩაო, დიახ, როცა დრო მოვიდა, ქუჩაშიც გავიდა და უბანში „ბირჟაზეც". სანდრო სპორტული ბიჭი იყო. ჩოგბურთზე, თხილამურებზე დადიოდა. საუკეთესო მეგობრები ჰყავდა. მისმა მეგობრებმა წარმოუდგენელი გააკეთეს და ახლაც იბრძვიან. სტრასბურგში წავიდნენ, რადგან ახლა ამ ე.წ. უმცირესობას უნდა, ვანო მერაბიშვილს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მისცენ. სანდროს მეგობრებს უნდათ, დაამტკიცონ, რომ მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარი კი არა, ჩვეულებრივი კრიმინალია.

სანდრომ თბილისის 51-ე სკოლა დაამთავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა საერთაშორისო ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მერე მაგისტრატურაშიც ჩააბარა კავკასიის სკოლაში. ამერიკული მეთოდით ასწავლიდნენ. ცოტა ხანში კი გაერთიანებულ ქართულ ბანკში დაიწყო მუშაობა. მე ისე ვზრდიდი, რომ ნამდვილი ვაჟკაცი, კაცი გამოსულიყო. ირინა კი სულ ეფერებოდა, სულ კოცნიდა, ეხვეოდა. ვბრაზდებოდი ხოლმე, ბიჭია და ამდენი ხვევნა-კოცნა რა უბედურებაა-მეთქი. გიჟი დედა იყო ირინა. როგორც კი დააგვიანებდა, რეკავდა და რეკავდა. ვეუბნებოდი, პატარა აღარ არის, შეეშვი-მეთქი. 28 წლის ბიჭს თავისი ცხოვრება ჰქონდა უკვე, უსაქმური არ იყო. მუშაობდა, სპორტით იყო დაკავებული, მეგობრებთან სათევზაოდ დადიოდა, სავსე ცხოვრება ჰქონდა.

სანდრო სულ ბავშვი იყო, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად ხუროთმოძღვრების რესპუბლიკური საყმაწვილო სკოლა დავაარსე. 20-მდე ბავშვი, რომელთა შორის სანდროც იყო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგვყავდა. ფეხით დავდიოდით და მიზანი საქართველოს ისტორიის ადგილზე შესწავლა იყო. მოვიარეთ მთელი მესხეთ-ჯავახეთი, სვანეთი, ბოლნისის მხარე. ბოლოს ბულგარეთშიც წავიყვანეთ პეტრიწონის მონასტრის სანახავად. ამ სკოლამ დიდი როლი შეასრულა ბავშვების აღზრდასა და განვითარებაში. არეული დრო გახლდათ — მხედრიონი და მთელი ამბავი და ჩვენი მიზანი იყო, ბავშვები ცუდ გარემოში არ მოხვედრილიყვნენ. სანდრო არასოდეს ყოფილა ცუდ რამეში შენიშნული. სიცოცხლე და მეგობრები უყვარდა. მხარჯველი იყო. დიდი ხელფასი ჰქონდა, მაგრამ მაინც დედამისს სთხოვდა ფულს. იცოდა, რომელ მეგობარს უჭირდა და ეხმარებოდა.

**— საცოლე ჰყოლია. ამის შესახებ იცოდით?**

— არა, ახლაც არ ვიცით, ვინ არის ის გოგო. დედაჩემისთვის კი გაუცვნია, უთქვამს, ცოლად უნდა მოვიყვანოო. მოსკოვში უნდა წასულიყო მივლინებით და გვეუბნებოდა, იქიდან რომ ჩამოვალ, ცოლსაც მოგიყვანთო.

**— სკანდალში, რომელმაც მისი სიცოცხლე შეიწირა, გოგოს გამო მოხვდა. ის არ იყო სანდროს საცოლე?**

— რამდენადაც ვიცი, არა. უბრალო ნაცნობი იყო და ეწყინა, რომ მოატყუა და არ უთხრა, სად იყო. საოცრად ამაყი გახლდათ. სანდროს გარდაცვალება რომ შევიტყვე, იმ წუთიდან კარგახანს აღარაფერი მახსოვს. ოქროყანაში რომ ავედით მის მოსაძებნად და ბიჭებმა აღარ მიმიშვეს შვილის სხეულთან, გონება დავკარგე და რაღაც-რაღაცეები ბუნდოვნად მახსოვს. თავზე უამრავი ნაცნობ-მეგობარი მეხვია... მიმძიმს იმ წუთების გახსენება. ირინა ღამის 1 საათამდე ეკონტაქტა ტელეფონით. პასუხობდა, მალე მოვალო. მერე კავშირი დაიკარგა, სანდროს ტელეფონი გამოირთო...

ირინას ყველა გმირ დედას ეძახის. ეს იყო ქალი, რომელმაც საშინელ რეჟიმს დაუწყო ბრძოლა. ამბობდა, იმიტომ ვიბრძვი, რომ სხვისი შვილები გადავარჩინოო. ჩვენს სახლში სულ ვიღაც იყო და მუდამ იმაზე ვსაუბრობდით, რა გვექნა. ყოველთვის ვთანხმდებოდით, ირინას რა ეთქვა ჟურნალისტებთან. სულ ვეუბნებოდი, რამდენიც უნდა ილაპარაკო, მხოლოდ ერთ ფრაზას გაუშვებენ ტელე- →71

# „ლა ტრუფეში" მომხდარ ჩხუბში ბრალდებულებად ნიკა მელია და ბექა მაზიაშვილი გამოცხადდნენ

11 მაისს კლუბ-რესტორან „ლა ტრუფეში" გამართული ცემა-ტყეპის ინციდენტში ოფიციალურად უკვე გამოიკვეთნენ ბრალდებულები — მთაწმინდის რაიონის გამგებელი, ნაციონალური პარტიის წევრი ნიკა მელია და ბექა მაზიაშვილი. ორივე მათგანს ხულიგნობის მუხლი აქვს მიყენებული. აღნიშნული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი ვადით 120-დან 180 დღემდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

შეგახსენებთ, ინციდენტი თბილისის ცენტრში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ-რესტორანში მოხდა. იქ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და რესტორანში მყოფ მოქალაქეებს — ბექა მაზიაშვილს, მანანა გიორგობიანსა და მამუკა ბაკურიას შორის ჩხუბი ატყდა. ნაციონალების მხრიდან იყვნენ პარლამენტის დეპუტატები გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია და მთაწმინდის გამგებელი ნიკა მელია.

იმის გარკვევა, თუ რეალურად ვინ ვინ სცემა, არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ორივე მხარე ერთმანეთს ჩხუბის დაწყების პროვოცირებაში ადანაშაულებს. ნაციონალები მომხდარში პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ხედავენ.

ნიკა მელიამ ჟურნალისტებს შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ინციდენტში მონაწილე ბექა მაზიაშვილი 15 ივნისს სამართალდამცავებმა ნარკოტიკების დიდი ოდენობით შეძენა-მოხმარება-გასაღების ბრალდებით დააკავეს. მელიას ადვოკატ გოგიტა გაბაიძის ინფორმაციით, ბექა მაზიაშვილი 15 ივნისს მიცემულია პასუხისგებაში და მისი დანაშაული 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, თუმცა გაბაიძე ეჭვობს, რომ, რადგან მაზიაშვილი დაკავებული არ არის, მას პროკურატურამ აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო მოსთხოვა, „რათა ხვალ-ზეგ მასთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და პროკურატურამ გამოიყენოს მთავარ მოწმედ ნიკა მელიას წინააღმდეგ".

საპირისპიროს ირწმუნება ბექა მაზიაშვილის ადვოკატი მამუკა ლომიძე. მისი თქმით, ბექა მაზიაშვილი ნასამართლევი არ არის, მას არც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაუდენია. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ნინო გიორგობიანი „სარკესთან" საუბარში ადასტურებს, რომ ბექა მაზიაშვილი 15 ივნისს ნამდვილად იყო დაკავებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ბრალდებით, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-მოხმარებას გულისხმობს.

ერთ-ერთი ბრალდებული, ნიკა მელია, „სარკესთან" აცხადებს, რომ მის მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება და მო-





Cyan Magenta Yellow Black

წინააღმდეგე მხარე თავის ჩვენებებში სრულიად განსხვავებულ სურათს ხატავს, ვიდრე მანამდე საჯაროდ ყვებოდა:

— მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი სიამაყით და საარაკოდ ყვებოდნენ, როგორ იბზრიალა სამმა კაცმა ოც კაცში. დღეს, ჩვენებების მიხედვით, ჩანს, რომ ისინი სასტიკად ნაცემები არიან და სამივეს ფიზიკურად მე გავუსწორდი. გამოდის, რომ ან მაშინ იტყუებოდნენ, ან ახლა. ამჟამად მერიის თანამშრომელი, ერთ-ერთი რაიონის გამგებელი ვარ, ამიტომ ვიღაცას არ აწყენდა, მერიაში ზედმეტი ადამიანის დისკრედიტაცია ასეთი ხერხებით მოეხდინა. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. ეს ქალბატონი ამბობს, რომ თურმე მათ მოტაცებას ვაპირებდი, ავტომატიანი, ნიღბიანი ხალხი მყავდა გამოძახებული და მათ პატრულმა უშველა. ძალიან ბავშვური ბრალდებებია.

**— თქვენი სამეგობროდან ბრალი მხოლოდ თქვენ წაგიყენეს?**

— დიახ. ბრალი მხოლოდ ამ სამი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით წამიყენეს. დარწმუნებული ვარ, სასამართლოში ყველაფერი გაირკვევა, რადგან მტკიცებულებები არ აქვთ. ეს იყო პოლიტიკური მოტივით განპირობებული გადაწყვეტილება, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

**— ინციდენტის მიზეზსაც პოლიტიკას უკავშირებთ?**

— რა თქმა უნდა. ეს მათი ჩვენებებიდანაც იკვეთება. მათი თქმით, სუფრის სხვა წევრებისგან, მაშინ, როცა მე იქ საერთოდ არ ვიყავი, აგრესიას გრძნობდნენ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ინციდენტამდე რესტორანში 5 წუთის შესული ვიყავი. ეს ადამიანები ჩემს მისვლამდე იყვნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული, მათი შეძახილებიც ამაზე მეტყველებდა, უბრალოდ ჩვენ ამ ყველაფერზე არ წამოვეგეთ. რამდენიმე დღის წინ იმ სამიდან ერთ-ერთი 5.000 ლარით დააჯარიმეს ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების ფაქტზე. რამდენადაც ვიცი, ეს მისმა ადვოკატმა უარყო. არამარტო მე, ჩემი მეგობრებიც ფიქრობდნენ, რომ ინციდენტის დღეს ის ადამიანები არამხოლოდ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგან ძალიან არაადეკვატურად იქცეოდნენ. ის ადამიანი ხულიგნობაზე ორჯერ არის დაკავებული. ჩემს უფლებებს ნამდვილად დავიცავ.

❖

ადვოკატი **მამუკა ლომიძე** ბექა მაზიაშვილის, მანანა გიორგობიანის, მამუკა ბაკურიას და ხათუნა დარბაისელის ინტერესებს იცავს. ის კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდების მხარეს და მაზიაშვილს თავდასხმის ობიექტად აცხადებს. გარდა ამისა, პრეტენზიები აქვს კლუბ-რესტორნის მეპატრონისა და დაცვის პოლიციასთანაც.

**— ბატონო მამუკა, ინციდენტში, რომელიც „ლა ტრუფეში“ მოხდა, ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. რატომ წაუყენეს ხულიგნობის მუხლით ბრალი მხოლოდ ბექა მაზიაშვილსა და ნიკა მელიას?**

— ამაზე კომპეტენტურ პასუხს პროკურორი გაგცემთ. ბრალის წაყენება არ ნიშნავს, რომ გამოძიება დასრულდა. გამოძიება მაშინ დასრულდება, როცა ბრალდების ან დაცვის მხარე თავის მტკიცებულებებს სასამართლოში წარადგენს. მათ მტკიცებულებები, რესტორნის შიდა კამერების ჩანაწერები ვერ მოიპოვეს, თუ რატომ, ეს სხვა თემაა. ამაზე პასუხის გაცემა ბრალდების მხარეს მოუწევს ან რესტორნის მენეჯერსა და მეპატრონეს. მანანა გიორგობიანის და მამუკა ბაკურიას ყველა ჩვენებით დგინდება, რომ მათ ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღიათ, მამუკა გაშველებას ცდილობდა. მანანა გიორგობიანს კი ორჯერ დაარტყა ვიღაც უცნობმა ხელი, გამოძიებამ ეს ადამიანი ჯერ ვერ გამოკვეთა. ექსპერტიზის დასკვნა გვაქვს, რომ მანანას ყელის მიდამოში ჩალურჯებები აქვს. რაც შეეხება ბექა მაზიაშვილს, ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მასზე 8-12-მა ადამიანმა მიიტანა იერიში. საფეთქლიდან ორი მილიმეტრის დაშორებით 5 ნაკერი აქვს. ეს უკვე ჩხუბი კი არა, თავდასხმა იყო.



■ ნიკა მელია

**ნიკა მელია: „საარაკოდ ყვებოდნენ, როგორ იბზრიალა სამმა კაცმა ოც კაცში. დღეს, ჩვენებების მიხედვით, ჩანს, რომ ისინი სასტიკად ნაცემები არიან და სამივეს ფიზიკურად მე გავუსწორდი".**

**— მაშინ მეორე მხარემ დაზიანებები როგორ მიიღო? ფაქტია, რომ ისინიც დაშავებულები იყვნენ.**

— ამაზე რესტორნის პერსონალმა დაკითხვისას გასცა პასუხი. მათ გამოძიებას განუმარტეს, რომ, როცა ისინი ქვემოთ ჩავიდნენ, შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ის 20 ადამიანი ერთმანეთში ჩხუბობდა. სხვათა შორის, დაცვის პოლიციასთანაც გვაქვს პრეტენზია. სანამ ისინი ინციდენტში მონაწილე პირებს გააშველებდნენ, ბექა მაზიაშვილს მკერდის არეში დაზიანებები მიაყენეს.

**— „სარკესთან“ მანანა გიორგობიანი ამბობდა, რომ ჩხუბის დროს ის ხელსაც იქნევდა და მუშტსაც და ფეხსაცმლის ქუსლიც კი ჰქონდა მორყეული.**

— ფეხსაცმელზე ქუსლის მორყევა იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ურტყამდა. როცა ხედავ, რომ მეგობარს 10 ადამიანი სცემს, შეუძლებელია, არ აღშფოთდე. როგორც ვიცი, მეორე მხარე რაღაც ნივთებსაც კი ისროდა. პირის მიმართ, რომელზეც თავდასხმა მოხდა, ხულიგნობის მუხლით ბრალის წაყენება ბრალდების მხარეს არ გამოუვა და სასამართლო პროცესზე ამას დავამტკიცებ. ბექა იქ 5 წუთის მისული იყო, მასთან მელია მივიდა და ეს ამბავი დაიწყო. მაზიაშვილი ვინმეს მაგიდასთან ან ვინმესთან მივიდა? ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა? პროკურატურა ასე რატომ მოიქცა, ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

**— მეორე მხარე ამბობს, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფებმა ჩვენება შეცვალეს. აქამდე ისინი ამბობდნენ, რომ თავად სცემეს 20 ადამიანი, ახლა კი აცხადებენ, რომ თავად არიან ნაცემი.**

— პირველ დღეს ადვოკატის კონსულტაციის გარეშე მიცემული მათი ჩვენება ადვოკატთან ერთად მიცემული ჩვენების იდენტურია. „ბატონო მამუკა, კიდევ კარგი, რომ პატრულმა მოგვისწრო და გადავრჩით, თორემ ღმერთმა უწყის, სად აღმოვჩნდებოდით“ — ეს იყო პირველი ფრაზა, რომლითაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა ჩემთან საუბარი დაიწყეს. სხვათა შორის, მათ ცალ-ცალკე შევხვდი და სამივეს პირველი სიტყვები ასეთი იყო. იქ იყო ადამიანების დიდი ჯგუფი, 20-დან 25 კაცამდე, გადაწყვიტეს, ეს 4 ადამიანი რაიმე გზით იძულებული გაეხადათ, რომ იქაურობა დაეტოვებინათ.

**მამუკა ლომიძე: „ბექა მაზიაშვილი 12-მა ადამიანმა სცემა და ბრალი კიდევ ჩვენ წაგვიყენეს?!".**

**— კონფლიქტის წამომწყები ვინ არის?**

— კონფლიქტის წამომწყები გამოძიებას გამოკვეთილი ჰყავს და ეს ნიკა მელიაა.

**— ამის მტკიცებულებები არსებობს?**

— ეს კითხვა პროკურორთან.

**— მეორე მხარე სწორედ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფებზე, გიორგობიანსა და ბაკურიაზე ამბობს, რომ ისინი იყვნენ ამ ინციდენტის პროვოკატორები.**

— მანანა გიორგობიანი და მამუკა ბაკურია კაფეში ისხდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვიდნენ ბექა მაზიაშვილი და ხათუნა დარბაისელი. პროვოკაცია თუ ჩაფიქრებული ჰქონდათ, პრეზიდენტის თანდასწრებით უფრო სარფიანი არ იყო, ვიდრე მის გარეშე? ინციდენტი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების მაგიდასთან მოხდა, ისინი არ ამდგარან და არავისთან წასულან. ის ადამიანები აქეთ მოვიდნენ. პროკურატურამ კი იმავე დანაშაულში წაგვიყენა ბრალი, რაშიც მელიას. ბექა მაზიაშვილი 12-მა ადამიანმა სცემა და ბრალი კიდევ ჩვენ წაგვიყენეს?!

**— იქით მხარეს ზაზა გოროზიას ხელი ჰქონდა მოტეხილი, გიორგი ვაშაძეს თავი — გატეხილი, დავით საყვარელიძეს თავზე ტრავმები ჰქონდა...**

— დაზიანებები ვინ რა დოზით და რა სიტუაციაში მიიღო, ეს გამოძიების ჩვენებებში არის, მაგრამ დეტალურად სასამართლო სხდომაზე გამოიკვეთება. სანამ სასამართლო ჩაინიშნება, ერთ მნიშვნელოვან ფაქტს გეტყვით. ბექა მაზიაშვილი იმ დღეს სასწრაფო დახმარების მანქანით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიდა, ამის შემდეგ მისი დაზიანებები სამხარაულის სახელობის ექსპერტიზამ შეამოწმა. ეს საქმეში დევს. მეორე მხარე კი კერძო კლინიკაში მივიდა, სადაც დაზიანებებზე დასკვნა აიღეს. სამხარაულის ექსპერტიზა კი დასკვნას არა ფიზიკური დათვალიერების შედეგად, არამედ ისტორიის საფუძველზე წერს.

**— ნიკა მელიამ საზოგადოებას ბექა მაზიაშვილის მიერ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინა. მისი თქმით, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი 15 ივნისს სწორედ ამ ბრალდებით იყო დაკავებული.**

— ყველა ჩემს სიტყვაზე პასუხს ვაგებ! ბექა მაზიაშვილი ნასამართლევი არ არის, ის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებული არ არის! თანამდებობის პირი, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრი, ყოფილი გუბერნატორი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ინციდენტის შემსწრეები არიან, სადაც ბექა მაზიაშვილზე მოხდა თავდასხმა და ამ დროს ჟურნალისტებს, საზოგადოებას თურმე ის აინტერესებს, ბექა მაზიაშვილი ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაჯარიმებული არის თუ არა.

ბრალდების მხარეს სასამართლოზე გაუჭირდება მტკიცებულებებით გაამყაროს და დაასაბუთოს ის ბრალი, რაც ბექა მაზიაშვილს წაუყენა. ბრალდების მხარეს ასევე გაუჭირდება სასამართლოს პასუხი გასცეს, თუ რატომ არ წაუყენა ბექა მაზიაშვილის ცემაში მონაწილე ყველა პირს ბრალი.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black



# „თვითმკვლელობა იმიტომ ვცადე, რომ დედა სხვა კაცთან ვნახე“

თვალის გახელა არ მინდა, რადგან ვიცი, ისევ სიყალბის დანახვა მომიწევს. ყველა თვალთმაქცურად გამიღიმებს, მე კი მეყო სიცრუე! სითბოდაწრეტილ ხელებს თმაზე მისვამენ. რომ იცოდნენ, როგორ მაღიზიანებენ და კიდევ უფრო როგორ მაშორებენ თავიანთ გულებს...

„დე, ეს რატომ გააკეთე?“ — მეკითხება დედა. „ეს როგორ გამიბედე?!“ — მეუბნება მამა. „თვითმკვლელობა უდიდესი ცოდვაა“, — ბურტყუნებს სანიტარი. „ღმერთმა შეგინდოს!“ — პირჯვარს მწერს მოძღვარი. „რატომ არაფერი გვითხარი, რაც გაწუხებდა?“ — თანაგრძნობას იჩენენ მეგობრები. ჩემი გული კი იმ კლინიკის კედლების ფერია, სადაც ვწევარ. თეთრხალათიანების გამომცდელი მზერა დახუჭულ თვალებშიც აღწევს და გუგებს მწვავს. ვაღიარებ, სუსტი აღმოვჩნდი, მაგრამ ხმამაღლა არ ვიტყვი.

ყველას აინტერესებს, რატომ ჩავიდინე ეს. ამას არასოდეს არავინ გაიგებს. ამ ერთხელ ამოვთქვამ და მორჩა, ამით დავასრულებ! იმ საბედისწერო დღეს დედა სხვა კაცთან ვნახე და თითქოს ყველაფერი დასრულდა, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. არავისთვის მითქვამს. დიდხანს ვებრძოდი ჩემს ემოციებს. რაღაცეების გაგებას, ახსნას ვცდილობდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. კითხვებზე პასუხები ვერ ვიპოვე. დარდს ვერ მოვერიე და ვიფიქრე, ყველაფერს თავად დავუსვამდი წერტილს. ახლა ამას ძალიან ვნანობ.

კლინიკაში ჩემ გვერდით ახალგაზრდა ქალი წევს, საკმაოდ მძიმე დიაგნოზით. პატარა, ანგელოზივით შვილი თავზე დასტრიალებს. განწირული ქალის თვალებში, მის ყველა მოძრაობაში სიცოცხლის ისეთი სიყვარული იგრძნობა, საკუთარი თავის მრცხვენია. თვალს მისკენ ვაპარებ, რომ რამე ვისწავლო. შეიძლება ცხოვრებას მართლაც უნდა ებრძოლო, რომ საცოდავ არსებად არ გადაგაქციოს. იქნებ მეც გამომივიდეს და შევძლო უსუსურობის განცდის დამარცხება. საშინლად დამთრგუნველია, როცა გითანაგრძნობენ, თავზე ხელს გისვამენ, ისე გიფრთხილდებიან, თითქოს შუშის იყო. ამის გაძლებას ისევ ბრძოლა სჯობია.

ძალას მოვიკრებ. ვიცი, ღმერთი დამეხმარება განსაცდელის დაძლევაში, ვიცი, ჩემთან დარჩება, არ მიმატოვებს, რადგან ახლა ყველაზე მეტად მჭირდება.

**„სარკის“ მკითხველი**

# „მოძალადე ქმარს მხოლოდ იმიტომ ვიტან, რომ ჩემს მშობლებს არჩენს“



ჩემი მშობლების ერთადერთი შემოსავალი პენსიაა. ჩემი ძმა კი უმუშევარია. მამაჩემს გული აწუხებს და მუდმივი მკურნალობა, წამლები სჭირდება, რასაც ყოველთვიურად საკმაოდ დიდი თანხა უნდა. ჩემი ქმარი რომ არა, ახლა ცოცხალი არ იქნებოდა. ჩემს ოჯახს ის არჩენს. სხვათა შორის, არაფერს აკლებს, მათთვის არც ფული ენანება.

მედალს ორი მხარე აქვს და ჩემს ქმარსაც აქვს უარყოფითი თვისება, უფრო სწორად, აუტანელი. ნამდვილი მოძალადეა. რამე რომ არ მოეწონება, სიტყვით კი არ იტყვის, ხელს დაგარტყამს. მისი სასტიკი მოპყრობით განადგურებული ვარ. ზოგჯერ მეშინია, რომ მომკლავს.

ასეთ ქმართან ნამდვილად არ გავჩერდებოდი, მაგრამ ოჯახი მაბრკოლებს. ჯოჯოხეთს მხოლოდ იმიტომ ვუძლებ, რომ ქმარი ჩემს მშობლებს არჩენს. ბევრ რამეზე მტკივა გული, მაგრამ ახლა ვერ ვწერ. იქნებ ოდესმე ამაზეც მოგწეროთ. ამ წერილის დაბეჭდვისთვის წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**

# „შვილებთან სულიერ კავშირს ათასობით კილომეტრიც ვერ წყვეტს“

უცხოეთში ცხოვრებამ ქართველი ქალები რკინად გვაქციაო, წერდა თქვენს ჟურნალში ემიგრანტი საბერძნეთიდან. მისი ტკივილი კარგად მესმის, ვხვდები, ეს რამხელა დარდმა დააწერინა, მაგრამ მთლად ასე არ არის. წლებია, მეც უცხო მიწაზე ვცხოვრობ, ამიტომ მანდ დარჩენილი ახლობლები უნდა დავამშვიდო, ჩვენ სამშობლოში სიყვარულით სავსე ადამიანებად დავბრუნდებით და არა — აბჯარასხმულ დედაკაცებად. მინდა, ყველა ბავშვი ვანუგეშო, შვილებთან სულიერ კავშირს ათასობით კილომეტრიც ვერ წყვეტს.

ყველა ემიგრანტის ცხოვრება ერთმანეთს ჰგავს. ყველას ცხოვრება თითქოს ერთ თარგზე გამოჭრა ბედის მწერალმა. ამიტომ არ დავწერ, რამ წამომიყვანა ამ სიშორეს ან აქ რისი გადატანა მომიხდა. უბრალოდ მინდა, ორი ამბავი მოგიყვეთ.

საქართველოში ორი პატარა შვილი დავტოვე და იტალიაში წამოვედი. ბავშვებს ყოველდღე ვურეკავდი და ველაპარაკებოდი. იმ დღესაც ორივეს ვესაუბრე და ისე დავიძინე. უცებ ძილში რაღაცამ წამომაგდო. გულისცემას ყელშიც კი ვგრძნობდი. ჩემი უფროსი გოგონას სახელს ხმამაღლა ვამბობდი. ვერ გეტყვით, რომ სიზმარი ვნახე, რადგან მსგავსი არაფერი მახსოვს, უბრალოდ მის სახელს გავიძახოდი და გაურკვეველი შიშს ვყავდი ატანილი. როგორც იქნა, ღონე მოვიკრიბე და ტელეფონზე ჩემი ქმრის ნომერი ავკრიფე. გვიან მიპასუხა. ვუთხარი, ბავშვი დამალაპარაკე-მეთქი. გაოცდა. მითხრა, ამ შუაღამისას რატომ რეკავო. გავუმეორე, რომ ჩემი გოგონას ხმა უნდა გამეგონა. მიპასუხა, სძინავს, ვერ გავაღვიძებო. მე კი უკვე ისტერიკულად ვკიოდი, ახლავე შეუტანე ოთახში ტელეფონი, ხმა უნდა გავიგონო-მეთქი. ჩემმა ქმარმა წაილუღლუღა, ვინმემ რამე ხომ არ გითხრაო... ხმა წამერთვა, ხავილი დავიწყე, შვილი დამალაპარაკე-მეთქი. ქმარმა გამიმხილა, ახლა ოპერაციას უკეთებენ, ბრმანაწლავის შეტევა ჰქონდაო. წარმოიდგინეთ, ზუსტად იმ მომენტში, როცა მე შიშმა ფეხზე წამომაგდო, ჩემი გოგონა საოპერაციოში შეჰყავდათ!

მეორედ დედაჩემზე დამემართა იგივე. დღე იყო, ვმუშაობდი. უცებ დედა საშინლად მომენატრა. იმ შეგრძნებას ვერ გადმოგცემთ, მაგრამ საშინლად მომინდა, ჩავხუტებოდი, მოვფერებოდი. ეს ისეთი დაუოკებელი სურვილი აღმოჩნდა, რომ ვერაფრით მოვთოკე. უფროსს დავეთხოვე, სახლში მივვარდი და კომპიუტერი ჩავრთე. ძმისშვილს „სკაიპში“ ვთხოვე, ბებო დამალაპარაკე-მეთქი. ბავშვმა გამიმხილა, რომ დედაჩემი ძალიან ცუდად იყო და საავადმყოფოში იწვა. საბედნიეროდ, ჩემი დედიკო დღეს კარგად არის და ამისთვის მადლობა უფალს!

ამ ორი შემთხვევის შემდეგ ვინმე იტყვის, რომ დედაშვილობას საზღვრები აქვს? ქვეყანაზე არ მეგულება ძალა, ეს კავშირი გაწყვიტოს. ასე რომ, ჩემო ემიგრანტო ქალებო და ჩვენო შვილებო, არ შეგეშინდეთ, ჩვენი გული ყინულად არასოდეს იქცევა. შვილებთან და დედებთან თბილი, სიყვარულით სავსე გულებით დავბრუნდებით.

**მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black

# „თურმე ქმარს არ ვუყვარებივარ“



ბევრჯერ მქონდა შანსი, ოჯახი შემექმნა, მაგრამ არ გავაკეთე. დიდ სიყვარულს ველოდებოდი და მაჭანკლებს სახლიდან უარით ვისტუმრებდი. ჩემს თაყვანისმცემლებს შორის ღირსეულებიც იყვნენ, მაგრამ ვერც მათ გადამადგმევინეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მე ჯიუტად მჯეროდა დიდი სიყვარულის და ასეთივე სიჯიუტით ველოდებოდი. ამასობაში კი 28 წლის გავხდი. ჩემები ხშირად მახსენებდნენ, რომ დრო იყო, გათხოვებაზე მეფიქრა, მაგრამ მათ შეგონებას ყურის მიღმა ვატარებდი. მერე კი ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა მოწიფული მამაკაცი, რომელმაც ჩემი გული დაიპყრო. გულწრფელად შემიყვარდა. მასზე ფიქრით ვიძინებდი და ვიღვიძებდი. როცა ცოლობა მთხოვა, არც დავფიქრებულვარ, თანხმობა ვუთხარი. მის დიდ სიყვარულში ეჭვი არასოდეს შემპარვია, რადგან სხვანაირად ვერ წარმომედგინა.

თავიდან ყველაფერი კარგად იყო. ჩვენმა შვილმა ცხოვრება უფრო გამილამაზა, მაგრამ მერე ყველაფერი აირია. ქმარს დავშორდი სულიერად, ხორციელად. თითქოს მოვალეობის გამო ვიყავით ერთად. სალაპარაკო თემები გამოგველია, მთელი დღე ისე გავიდოდა, ერთ სიტყვასაც კი არ მეტყოდა. ოჯახში კიდევ ერთი ქალი იყო ჩემსავით დაბოღმილი, გაღიზიანებული — ჩემი დედამთილი. ალბათ მას თავის ქმართან ჰქონდა პრობლემა და მასზე გაბრაზებული ბოღმას ჩემზე ანთხევდა. თავიდან მის გამოხდომებზე თვალს ვხუჭავდი, მაგრამ მერე აუტანელი გახდა, ყველა წვრილმანზე მედავებოდა. ჩვენი კინკლაობა იქამდე მივიდა, რომ ოჯახის მამაკაცებიც შეწუხდნენ და ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგება გადაწყვიტეს.

ერთ დღეს დედამთილთან ძალიან ვიჩხუბე, უფრო სწორად, ის მეჩხუბა და არც მე დავუთმე. ჩემი ქმარი სამსახურიდან რომ დაბრუნდა, დედამისთან საქმის გარკვევა სცადა. სალაპარაკოდ პირველ სართულზე ჩავიდნენ. მათ შორის ცხარე კამათი გაიმართა. ბოლოს ჩემი ქმარი ისე გამწარდა, უთხრა, შენ მეუბნებოდი, ცოლად მოიყვანე, კარგი დედ-მამა, მდიდარი ძმა ჰყავს, თორემ კარგად იცი, მე არ მიყვარდაო. დედამისმა რაღაც წამოიკრუსუნა, ამან კი დაუმატა, აიჩემეთ, ცოლი მოიყვანე, ცოლიო, დავქორწინდი და ახლა ამას ველარ ეგუებითო.

ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა! ყველაფერზე ამეხილა თვალი. მივხვდი, რომ ქმარს არ ვუყვარდი და ჩემზე უბრალოდ იმიტომ დაქორწინდა, კარგი ვარიანტი ჩაუვარდა ხელში. საერთოდაც ცოლის მოყვანა იმიტომ გადაწყვიტა, რომ დრომ მოუწია. საქართველოში ხომ ასე ხდება. ძალიან ბევრი იმიტომ ქმნის ოჯახს, რომ უბრალოდ დაქორწინების დრო უკაკუნებთ კარზე. სწორედ ამას გავურბოდი. ზუსტად ეს არ მინდოდა, რომ მხოლოდ გათხოვებისთვის გავთხოვილიყავი. დიდ სიყვარულზე ვოცნებობდი და ხელში რა შემრჩა? ცივი მამაკაცი, რომელსაც მეუღლე და შვილი თავისი ცხოვრების ფასადად სჭირდებოდა.

დღეს ისევ მისი ცოლი მქვია, მაგრამ მშობლებთან ვცხოვრობ. ჩემი ქმარიც ხშირად მოდის, რჩება კიდეც, მაგრამ ამას ორივეს მხრიდან მოვალეობის მოხდა უფრო ჰქვია, ვიდრე ცოლქმრული ურთიერთობა. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობა დავასრულო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან მიჭირს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

გამოხმაურება

## „რა ბარიკადი შეაკავებს ქართველი დედის ეგოიზმს!“

ჟურნალ „სარკის“ 25-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დედამთილი იმ დროს ხდება ცუდად, როცა ქმარი მეფერება“. რა სჭირთ ქართველ დედამთილებს? ნეტა, ამის წამალი არ არსებობს? ყოველ დილით ჩემს საძინებელში დედამთილი კისრისტეხით შემორბის. ამ „ავადმყოფობას“ ვერაფრით ვუშველე. რა აღარ ვუთხარი, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

ჩემთან თუ ნაჩხუბარია, გამეხებული სახით შემორბის, ცოცხით და იატაკის ჯოხით. თან გაიძახის, მე თუ არ დავალაგე, მტვერში გაიგუდებიან, საცოდავი ჩემი შვილი როგორი დაბრმავებულიაო. თუ კარგ ხასიათზეა, ღიღინ-ღიღინით შემოდის, შეიძლება საბანიც აგვაცალოს და გასამზეურებლად გაიტანოს. ჩემმა ქმარმაც რა აღარ უთხრა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ერთხელ კართან სკამი დავუდე და მაინც ვერ მიხვდა, რომ არ უნდა შემოსულიყო. „ბარიკადი“ გადმოანგრია და ისე შემოვარდა. ან რა ბარიკადი შეაკავებს ქართველი დედის ეგოიზმს! მათ „საცოდავ“ ბიჭებს ხომ სხვისი შვილები ლოგინში კლავენ.

**„სარკის“ მკითხველი**

## „მეგობარმა საქმრო წამართვა“

ჟურნალ „სარკის“ 25-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია — „ქალმა, რომელსაც უცხოეთში შვილივით ვუპატრონე, ქმარი წამართვა“. ღალატი ჩემთვის ნაცნობია. ვიცი, ამ დროს რას გრძნობს ადამიანი. მე მეგობარმა მიორგულა. მამაკაცი, რომელსაც ვთვლიდი, რომ ნამდვილად ის იყო, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი, წამართვა.

8 თვის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთმანეთი გვიყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან ნამდვილად იყო დიდი გრძნობა. მეგობარმა ამის შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ დამინდო. იმდენი მოახერხა, საქმრო წამართვა. ახლა ისინი ერთად ცხოვრობენ, მე კი მარტო ვარ. ჩემი ყოფილი დაქალი ყველას თავს ისე აჩვენებს, თითქოს ძალიან ბედნიერია. ზოგთან იმასაც კი ამბობს, თითქოს თავიდანვე ისინი იყვნენ შეყვარებულები, მე კი მისი საქმრო შემიყვარდა. ვიცი, მისი არავის სჯერა და არც ის მგონია, ბედნიერი იყოს. თუმცა ტყუილებში ცხოვრება მისი არჩევანი იყო და ახლა ბევრიც რომ ინერვიულოს, ვერაფერს შეცვლის.

**„სარკის“ მკითხველი**

## „ნათესავებს მაშინ გავახსენდით, როცა სიღატაკეს თავი დავაღწიეთ“

„სარკის“ 24-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ღარიბი რომ ვარ, ქმრის ნათესავები არ მკადრულობენ“. მინდა, ამ ქალს გამოვეხმაურო და ვუთხრა, რომ არ ინერვიულო, ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი და ვერაფერს შეცვლი. ჩემს ამბავს მოგიყვები, რომ იქნებ გაგამხნევო.

მე 62 წლის ქალი ვარ. 23 წლის ვიყავი, ოჯახი რომ შევქმენი. არც მე მებადა რამე და არც — ჩემს ქმარს. ორმა ღარიბმა სტუდენტმა სარდაფის ერთ პატარა ოთახში დავიწყეთ ცხოვრება და იქ წლები გავატარეთ. პირველი შვილიც იქ გაგვიჩნდა. ბევრჯერ მთელი ღამე გაგვითენებია იმაზე ფიქრით, ჩვენი გოგონასთვის მეორე დღეს რა გვეჭმია, ჩასაცმელი როგორ გვეყიდა. მაშინ ნათესავები ახლოს არ გვეკარებოდნენ. არც ქორწილებში გვეპატიჟებოდნენ, არც დაბადების დღეებზე. ჩემს შვილს ზედ არ უყურებდნენ. შეძლებული ნათესავების შვილები იყვნენ ლამაზები, ჭკვიანები, ჩემს გოგონას ვერც კი ამჩნევდნენ.

მერე ყველაფერი შეიცვალა. ჩემი მეუღლე კარგი ადამიანების წრეში აღმოჩნდა, მისი ნიჭი დაფასდა და კარგ სამსახურშიც მოეწყო. დააწინაურეს და რამდენიმე წელში ძლიერი ოჯახი გვქონდა. ჩემი ქმარი გავლენითაც სარგებლობდა და ბევრს უმართავდა ხელს.

ნათესავებს მაშინ გავახსენდით, როცა სიღატაკეს თავი დავაღწიეთ. ვერ წარმოიდგენთ, ერთბაშად როგორი ლამაზები, როგორი ჭკვიანები გავხდით. ჩემს გოგონას საჩუქრებით ანებივრებდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვხვდებოდით, ჩვენ მიმართ ასე რატომაც შეიცვალნენ, არავისთვის არაფერი გვიგრძნობინებია. ალბათ თვითონაც ხვდებიან, რომ კარგად არ იქცეოდნენ. ასე რომ, მათ გასაგონად, ვისაც დღეს სიღარიბის გამო დამცირების გადატანა გიწევთ, ვიტყვი, რომ ფარ-ხმალი არ დაყაროთ. ცხოვრებას შეეჭიდეთ და მერწმუნეთ, გაიმარჯვებთ. იფიქრეთ, თუ სხვას აქვს, შეიძლება თქვენც გქონდეთ, უბრალოდ, მეტი მოინდომეთ.

**„სარკის“ კეთილისმსურველი მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ალეკო ელისაშვილს ეკა კვესიტაძის და ირაკლი კაკაბაძის გაშველება მოუხდა

## შსს–ში გამართული სკანდალური ჩვენების დეტალები

„უნდა დამეწერა, რომ რამდენიმე პირთან ერთად ვმონაწილეობდი 2008 წლიდან 2010 წლამდე მომხდარ აფეთქებებში. აღნიშნულზე უარი განვაცხადე, რის გამოც ჩემ მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა განხორციელდა. მაგინებდნენ უშვერი სიტყვებით, მაფურთხებდნენ სახეში, მემუქრებოდნენ იარაღის დამიზნებით. ისინი მირტყამდნენ რკინის ხელკეტებით ზურგსა და ფეხების არეში... შემდეგ გადამიყვანეს ქალაქის სამმართველოში, სადაც ძალის გამოყენებით დამალევინეს წყალი, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება იყო გარეული და დიდი ოდენობის ნარკოტიკის შენახვა-მოხმარება წამიყენეს ბრალად... სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ისევ მთხოვდნენ, დამეწერა აღიარებითი ჩვენება... მიმიყვანეს ერთ-ერთი საკნის კართან და შემახედეს სათვალთვალოში, სადაც დავინახე, როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. თან მეუბნებოდნენ, რომ კარგად მეყურებინა და დამემახსოვრებინა, რადგან, თუ არ დავწერდი აღიარებით ჩვენებას, მეც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ამის შემდეგ მომცეს ფურცელი და პასტა...

ჩვენებაში დავწერე სხვადასხვა დროს ტელევიზიაში გასული აფეთქების შესახებ და მივუთითე, რომ აღნიშნულში მონაწილეობა მქონდა მიღებული. ეს ნაწერი მეგის ქარდავას აუტანეს და ცოტა ხნის მერე მეც ამიყვანეს მასთან. რომ შევედი, მეგის ქარდავა ჩემს ნაწერს კითხულობდა და მითხრა, რომ ეს არ იყო ის ჩვენება, რომელიც მას სჭირდებოდა. ბრძანება გასცა, ის ფურცელი შემეჭამა. ვინც მეგისს ახლდა, ძალით შემაჭამა ქაღალდი. მერე უთხრა, რომ ისევ ჩავეყვანე ქვემოთ და თან დააყოლა — მოტყ..., მაგის დედაცო. ჩამიყვანეს ქვემოთ. შემაგდეს კარანტინში და კარები დახურეს. ამის შემდეგ იღება ტუალეტის კარი და გამოდის ორი ნიღბიანი მამაკაცი. ისინი მეცნენ შარვლის ჩასახდელად, მაგრამ წინააღმდეგობა გავუწიე. ერთი ეუბნება მეორეს — წესიერად დამიკავე ეს ნაბიჭვარი, უნდა მოვ...ო. უცებ გაიღო „კარმუშკა“, საიდანაც იყურებოდა ორი პირი, ვინც მეგის ქარდავას ახლდა და ფოტოების გადაღება დაიწყეს. ამ დროს იატაკზე დამაგდეს შარვალჩახდილი და... მე ბეტონზე თავს ვურტყამდი. შებოჭილი ვიყავი. ერთმა თავზე დამადო ფეხი, მეორემ კი მოიტანა თავისი სასქესო ორგანო ჩემს პირთან და ამ მდგომარეობაში სურათი გადამიღეს. მითხრეს, თუ არ მივცემდი აღიარებით ჩვენებას, ამ სურათებს ინტერნეტში დადებდნენ“, — ეს ჩვენება ერთ-ერთმა დაწერა იმ მრავალრიცხოვან დაზარალებულთაგან, რომელთა ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერებიც შსს-მ სამეგრელოში აღმოაჩინა.

❖

შს მინისტრმა ღარიბაშვილმა, საზოგადოება ადამიანთა სასტიკი მოპყრობისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალების ნამდვილობაში რომ დაერწმუნებინა, ამ კადრების საყურებლად ჯერ დიპლომატიური კორპუსი, შემდეგ კი ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიწვია. დიპლომატიურმა კორპუსმა შსს შოკირებულმა დატოვა. მედიის წარმომადგენლებიდან ბევრმა უარი განაცხადა იქ მისვლაზე — ამ საშინელი კადრების ნახვას ვერ გავუძლებთო. ვინც გაბედა და მივიდა, დიპლომატების მსგავსად, შოკი მიიღო. ზოგი მივიდა, რათა პროვოკაცია მოეწყო და შემდეგ იქაურობა დემონსტრაციულად დაეტოვებინა.

თუ რა ხდებოდა შსს-ში ადამიანთა წამების ამსახველი კადრების ჩვენებაზე, დეტალების გასარკვევად „სარკე“ „მეცხრე არხის“ გენერალურ დირექტორს, ლუბა ელიაშვილსა და ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტს, ალეკო ელისაშვილს ესაუბრა, რომლებიც მათ შორის იყვნენ, ვინც ამაზრზენი კადრების ნახვა გარისკა.

**ლუბა ელიაშვილი**: შს მინისტრის მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე მივედი. საია-ს ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ წამოაყენა წინადადება, რომ გამართულიყო დისკუსია, რამდენად ღირდა ამ ყველაფრის ნახვა. სხვებმა განაცხადეს, ყველამ ვიცით, რის სანახავადაც მოვედითო. შემდეგ კი ეკა კვესიტაძემ და დავით პაიჭაძემ სცადეს, რომ სხვა თემაზე გადაეყვანათ შეხვედრა. კვესიტაძემ მინისტრს საქმის გარჩევა დაუწყო, თუ რატომ არ მიდის მის გადაცემაში. არც ჩვენს ტელეკომპანიაში მოდის, მაგრამ არც მომსვლია აზრად, რომ იქ ამაზე მესაუბრა. მე ირაკლი კაკაბაძის გვერდით ვიჯექი. ირაკლი ცხარობდა და ამბობდა, ჯობს, პოლიტიკურმა მეძავებმა ხმა არ ამოიღონო. ამ დროს მოვარდა კვესიტაძე და მიკროფონი მოუღერა. ვერ მისწვდა, რომ ჩაერტყა, თორემ არ დაინდობდა. მეც გადავრჩი, რომ თავში არ მომხვდა.


ლუბა ელიაშვილი

მერე კი პაიჭაძემ დაიწყო იმაზე საუბარი, თუ რამდენად შეიძლებოდა ნაწამები ადამიანების იდენტიფიცირება. უთხრეს, რომ ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც თავისას იმეორებდა. მან მიიღო პასუხი, 9 წლის განმავლობაში რატომ არ ადარდებდა ის ამბავი, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში. ამის შემდეგ მათ დატოვეს იქაურობა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, დარბაზი დაეტოვებინათ.

**— რა ინფორმაცია გქონდათ, რის სანახავად მიგიწვიეს და რა დაგხვდათ რეალურად?**

— იმას, რაც იქ ვნახე, ვერც ერთი ნორმალური ადამიანის ფანტაზია ვერ წარმოიდგენს. ვნახე სრულიად წარმოუდგენელი, აღვირახსნილი, გაუკუღმართებული სექსუალური ძალადობა. ისე ცუდად გავხდი, კინაღამ წნევამ დამარტყა. საშინლად გავბრაზდი საკუთარ თავზე, ასე უდარდელად რომ ვექცეოდი ჩემი ოჯახის წევრებს და არსად გავხიზნე მაშინ, როცა ასეთი საფრთხე არსებობდა. მადლობა უფალს, რომ გადავრჩი!

**— თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინც ითხოვს, რომ არსებული ვიდეომასალა არ უნდა განადგურდეს. რატომ ფიქრობთ ასე?**

— სანამ არ დადასტურდება, რომ სისტემური დანაშაული იყო, მანამდე მაინც არ უნდა განადგურდეს. ამ მასალის ნახვის შემდეგ მივხვდი, საიდან მოდიოდა ის აგრესია, რომელსაც 17 მაისს ჰქონდა ადგილი. საქართველოში ხდებოდა ადამიანების ღირსების შელახვა, დამცირება სწორედ ჰომოსექსუალური ნიშნით. ადამიანების გარკვეული ნაწილის ცნობიერება-

**ლუბა ელიაშვილი: „ვნახე აღვირახსნილი, გაუკუღმართებული სექსუალური ძალადობა. ისე ცუდად გავხდი, კინაღამ წნევამ დამარტყა. საშინლად გავბრაზდი საკუთარ თავზე, ასე უდარდელად რომ ვექცეოდი ჩემი ოჯახის წევრებს და არსად გავხიზნე".**

ში, როგორც ჩანს, მოხდა ქვეცნობიერი იდენტიფიცირება და ამიტომაც იყვნენ ასეთი აგრესიულები. ეს აგრესია მათ გადაანაცვლეს ჰომოსექსუალურ ფენომენზე. შეიძლება ყველას არ გადახდა მსგავსი რამ თავს, მაგრამ, როგორც საფრთხეს, ამას ყველა მამაკაცი გრძნობდა. ვიღაცამ რაღაცა მოყვა, სხვამ მოისმინა და შიში, რომ ასე დაემართებოდათ, ყველას ჰქონდა. აქამდე არ მესმოდა, როგორ გაგიჟდა ასე ხალხი, რომ 17 მაისს ავტობუსები ამტვრიეს და ა.შ. თურმე ჩვენს საზოგადოებაზე სწორედ ამ ტიპის ძალადობა ხორციელდებოდა. არასწორია ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილის დამოკიდებულება, რომლებიც ნაწამებ ადამიანებს კიდევ უფრო უღრმავებენ დანაშაულის განცდას. სინამდვილეში ისინი დამნაშავეები კი არა, პირიქით, ღირსეული ადამიანები არიან, რადგან იმ სისტემას არ დაემორჩილნენ და ამისთვის მათი დასჯა დასჭირდათ. ყველა ნაწამები ადამიანი ჩვენი მხრიდან არის ბოდიშის მოხდის და იმის აღიარების ღირსი, რომ ისინი ადამიანებად დარჩნენ და სწორედ იმიტომ დასჭირდათ მათზე ძალადობა. იოლად არ შეეკვრნენ ტყუილს და ფარისევლობას. საზოგადოებამ ბევრად უფრო მაღალი ზნეობა უნდა გამოაჩინოს, რათა მათ

**ლუბა ელიაშვილი: „მივხვდი, საიდან მოდიოდა ის აგრესია, რომელსაც 17 მაისს ჰქონდა ადგილი. საქართველოში ხდებოდა ადამიანების ღირსების შელახვა სწორედ ჰომოსექსუალური ნიშნით და, როგორც საფრთხეს, ამას ყველა მამაკაცი გრძნობდა. აქამდე არ მესმოდა, როგორ გაგიჟდა ასე ხალხი, რომ ავტობუსები ამტვრიეს. თურმე ჩვენს საზოგადოებაზე სწორედ ამ ტიპის ძალადობა ხორციელდებოდა".**

არ ეშინოდეთ, თქვან, რომ ისინი გარკვეულ პერიოდში ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. ვინც ძალადობდა, მათ უნდა ეწვოდეთ მიწა ფეხქვეშ და არა — ნაწამებ ხალხს.

**— ეს ამაზრზენი ძალადობა კადრებში სრულად ჩანდა?**

— რეალურად კადრებში არაფერი ჩანდა, მაგრამ ტიტრები იწერებოდა ინგლისურად და ის გახვედრებდა, რა ხდებოდა. ის ტექსტები ისეთი შემზარავი იყო, ვერ გადმოგცემთ. ხმა არ ისმოდა, მაგრამ ის ხმა იწერებოდა. იდენტიფიცირება წარმოუდგენელი იყო, ისეთი დაცვა ჰქონდა შსს-ს გამოყენებული.

**— ბევრი თვლის, რომ ამ ყველაფრის თუნდაც მცირე წრისთვის ჩვენებაც ერზე ერთგვარი ფსიქოლოგიური ტერორია.**

— დიდი ბოდიში, მაგრამ ფსიქოლოგიური ტერორი იყო ფაშიზმის ნამოქმედარი რომ გამოაშკარავდა?! ერთ გერმანელ ქალს ჰკითხეს, ასე კარგად რომ ცხოვრობდი და შენ გვერდით შენობაში რომ ადამიანებს წვავდნენ და იქიდან ყვითელი კვამლი ამოდიოდა, რას შვრებოდიო. მან უპასუხა, ვცდილობდი, იქით არ გამეხედაო. არ უნდა გავიხედოთ იქითკენ?! საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა დაემართათ მის წევრებს და სად ცხოვრობდნენ. როცა ის ადამიანები ისევ ბოგინობენ, შეიძლება ადამიანი ისე გაბრაზდეს, რომ ქუჩაში გავიდეს და 17 მაისი მოხდეს.

ჩემს ლეპტოპშიც იყო დაყენებული მოსასმენი პროგრამა, მაგრამ, ღვთის მადლით, ისეთი ვერაფერი გადამიღეს.



Cyan Magenta Yellow Black

**— თურმე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები „ფლეშკებით“ ვრცელდება ქვეყნის მასშტაბით.**

— ეგ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! ძლიერი დაცვა უნდა ამ ყველაფერს. მაგალითად, 10 კაცი, 10 გასაღები უნდა იცავდეს, რომ სეიფი გაიხსნას. რომ გავანადგურებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადავრჩით.

**— თქვენ ამ კადრებს ტელევიზიით აჩვენებდით?**

— თუ ეს კადრები ხელში ჩაგვივარდა, აუცილებლად გავუშვებთ ეთერში, მაგრამ არ გვივარდება, არ გვაძლევენ. ჩვენც და ელჩებიც საზოგადოება ვართ. თუ ელჩებმა ნახეს და გაუძლო მათმა ფსიქიკამ, რატომ არ გაუძლებს დანარჩენების ფსიქიკა?! მთელ მსოფლიოში არის მუზეუმები, სადაც ზოგან ადამიანის მოჭრილი თმა ყრია, ფოტოებია უამრავი შიშველი ადამიანის, რომლებიც ფაშისტებმა სადღაც ერთად შეყარეს. ეს ამბავი ჩვენი მეხსიერებიდანაც არ უნდა წაიშალოს! ასე რომ, ჩვენ ამ კადრებს, ხელში ჩავარდნის შემთხვევაში, აუცილებლად გავავრცელებთ, ოღონდ მაქსიმალურად დავფარავთ მსხვერპლს. ბევრი ჩემი კოლეგა ფიქრობს, რომ სხვებმა ეს არ უნდა ნახონ. რატომ ჰგონიათ, რომ ვიღაცისგან გამორჩეულები არიან და თვითონ რაც გაიგეს, სხვა, ექიმი თუ პედაგოგი, ვერ აღიქვამს? ჩვენ არ წარმოვადგენთ ორგანიზაციას, რომელსაც რაღაცის დამალვის ვალდებულება აქვს. ჩემი ვალდებულება ინფორმაციის გავრცელებაა.

**ლუბა ელიაშვილი: „მე ირაკლი კაკაბაძის გვერდით ვიჯექი. მოვიდა ეკა კვესიტაძე და მიკროფონი მოუღერა. ვერ მისწვდა, რომ ჩაერტყა, თორემ არ დაინდობდა".**

❖

ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ კადრების სანახავად იმიტომ მივიდა, რათა შს მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეემოწმებინა, რამდენად შეესაბამებოდა ნანახი გაგონილს.

**ალეკო ელისაშვილი**: ღარიბაშვილმა შეხვედრის დასაწყისში თქვა, ძალიან მძიმე კადრებია და ვისაც ყურება არ შეგიძლიათ, წადით, რადგან დიპლომატები რომ იყვნენ, გვისაყვედურეს, თქვენ კი წინასწარ გაფრთხილებთო. კახა კოჟორიძემ იკითხა, ამ კადრების ჩვენება რა მიზანს ემსახურებაო. მინისტრმა უპასუხა, იმას, რომ დაგანახოთ, როგორ სისტემურ ამბავთან გვქონდა საქმეო. ვერაფრით მივხვდი კოჟორიძის დემარშს, თუ რატომ დატოვა დარბაზი. იცოდნენ, რისთვისაც მოდიოდნენ და მერე რატომ წავიდნენ, გაუგებარია. გარეთ რომ გავიდა, ამბობდა, როგორც მომიყვნენ, იდენტიფიცირება შესაძლებელიაო. დამჯდარიყო და ენახა, შეიძლებოდა თუ არა იდენტიფიცირება. საია-ც და „საერთაშორისო გამჭვირვალობაც“ იმდენად სერიოზული ორგანიზაციებია, რომ ასე არასერიოზულად არ უნდა მოქცეულიყვნენ.

მერე კვესიტაძემ მოითხოვა სიტყვა და ღარიბაშვილს მიმართა, ჩემს გადაცემაში რატომ არ მოდიხართო. ჩემთანაც არ მოსულა, რაც შინაგან საქმეთა მინისტრია და ეს რა შუაში იყო, ვერ გავიგე. შეეძლო, დაემარტოხელებინა და ისე ეკითხა. ამან კვესიტაძის მიმართ აგრესია გამოიწვია, ირაკლი კაკაბაძე შეეპასუხა. კვესიტაძემ უთხრა, შე ნაძირალაო. მიკროფონი ეჭირა და ცოტა დააკლდა, რომ ჩაერტყა. ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ ვაშველებდით.

**— მათ შორის მართლა ღარიბაშვილი ჩადგა, როგორც ამბობენ?**

— არა, მე ვიდექი. კვესიტაძე მინისტრის დაცვამ გაიყვანა. როგორც ჩანს, ხელითაც შეეხნენ, რადგან ნინო ჯანგირაშვილი ყვიროდა, ქალია და ნუ ეხებითო. მე ამ დროს ირაკლი კაკაბაძეს ვაწყნარებდი. ღარიბაშვილი მიკროფონში იძახდა, დაწყნარდითო. კვესიტაძე რომ გაიყვანეს, ისევ შემოაბრუნეს, მაგრამ მერე ისევ წივილ-კივილი დაიწყო და ისევ მიახტა კაკაბაძეს. ამასობაში მის მიმართ ისეთი აგრესია და გინება წამოვიდა დარბაზიდან, რომ იძულებული გახდა, თვითონ წასულიყო. მერე კი პაიჭაძის გინებაზე გადავიდნენ, რადგან მან თქვა, სახე დაფარულია, მაგრამ სხეულის კონტურებით ხომ მივხვდებით, ვინ არისო. ღარიბაშვილმა უთხრა, 9 წელი რატომ არ ინტერესდებოდი არამარტო სხეულის კონტურებით, არამედ საერთოდ რაც ხდებოდა და არ გაქვს უფლება, ასეთ კითხვებს სვამდეო. მასაც აგინებდნენ და ადგა და გავიდა.

**— პირადად თქვენ რა მიზნით მიხვედით?**

— მე კარგად ვიცოდი, რისთვისაც მივედი და ერთადერთი კითხვა მქონდა — შეიძლებოდა თუ არა იდენტიფიცირება. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მართლა წამოვიდოდი. პაიჭაძეს სხეულის კონტურები და თმის ფერი თუ აინტერესებდა და ასეთი კირკიტა ჟურნალისტი იყო, წლების განმავლობაში იმხელა გასაქანი ჰქონდა „პირველ არხზე“, რომ შეეძლო ყველაფერი სცოდნოდა. იქ იმისთვის მივედი, რომ მენახა, რას სჩადიოდა სააკაშვილის ხელისუფლება. სასჯელაღსრულების სისტემაში რაც ხდებოდა, ვიცოდით და ამ მხრივ პოლიციის სისტემის მუშაობა მაინტერესებდა.

**— თქვენც ფიქრობთ, რომ ეს კადრები საზოგადოებამ უნდა ნახოს?**


ალეკო ელისაშვილი

— დიახ, უნდა აჩვენონ და ყველამ უნდა ნახოს, განსაკუთრებით მათ, ვინც ნაციონალურ მოძრაობას დღემდე მხარს უჭერს. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, შსს-ს საქმიანობის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. 45 წუთიანი მასალიდან, მგონი, სულ 5 წუთი გვაჩვენეს, რადგან იქ დავიდარაბა ატყდა... დაიჭირეს ადამიანი და უთხრეს, უნდა დაიბრალო, რომ ტერორისტი ხარო. უარი რომ მიიღეს, „მიასკოჩეს“ მაგიდაზე და გააუპატიურეს არაერთგზის და არაერთგვარად. რა ხერხებითაც შეიძლება კაცი გააუპატიურო, ყველანაირად. მერე დაიბრალა ტერორისტობა. ეს იმდენად არადამაჯერებელი იყო, რომ ტერორიზმში არ ჩაუთვალეს და სახლში დააბრუნეს. გააფრთხილეს, ხმა არ ამოიღო, თორემ უარესს დაგმართებთო. ასეთი რამ რამდენ კაცს დაემართა მთელ საქართველოში, ღმერთმა უწყის. უამრავი ჩანაწერია. ასეთი კაცი ხომ განადგურებულია, ადამიანი აღარ არის, დაშინებული, დამცირებული, გაუბედურებულია. ჩვენს სამეზობლოში რამდენია ასეთი, არავინ იცის. არც ის კაცი იღებდა ხმას. რომ ამოიცნეს და დაკითხეს, დაადასტურა ეს ამბავი, თორემ რას იტყოდა?

**ალეკო ელისაშვილი: „სააკაშვილი ბრძანებას გასცემდა, მერაბიშვილი ასრულებდა, ადეიშვილი ოფიციალურად აფორმებდა, მოსამართლე თეთრზე შავს ამბობდა, კუდ-ის თანამშრომლები ხალხს უთვალთვალებდნენ, კვესიტაძეები და პაიჭაძეები კი ამ ყველაფერს „აპრავებდნენ".**

ირაკლი ღარიბაშვილი რომ მეუბნებოდა, ასეთი კადრები გვაქვსო, ამის გადასამოწმებლად მივედი, თორემ ის კი არ მაინტერესებდა, ვის როგორ აუპატიურებდნენ. შსს-მ კარგად მოიფიქრა, რომ ხმა გამორთო და მხოლოდ ტიტრები წაგვაკითხა. კიდევ კარგი, დაგვინდეს, თორემ დიპლომატიურ კორპუსს ხმით მოასმენინეს და ამით გაანადგურეს. დალეწილები წასულან იქიდან როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მორალურად. ვიღაც შტატიანი ჰომოსექსუალი აუპატიურებს, ყველანაირი ბინძური მეთოდით. რომ ვხვდებოდი, რა ხდებოდა, აღარც ვუყურებდი.

ვფიქრობ, რომ ეს კადრები ჩვენმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა ნახოს მაშინ, როცა ბავშვები არ იქნებიან ტელეეკრანებთან. რომ არ გავუშვათ, არ ვილაპარაკოთ, არ შეიძლება. გერმანიის სახელმწიფოს ბავშვები ექსკურსიებზე საკონცენტრაციო ბანაკებში დაჰყავს და აჩვენებენ, რა რეჟიმი შექმნა ჰიტლერმა, რომ არ დაავიწყდეთ, რა იყო ეს უბედურება. ჩვენც უნდა გვახსოვდეს, სად ვცხოვრობდით, ვის ხელში ვიყავით და რა იყო ის, დემოკრატიის შუქურას რომ ეძახდნენ. რამდენადაც ვიცი, ქუთაისშიც იყო მსგავსი ფაქტები — ბილიარდის ჯოხით აუპატიურებდნენ, ბორჯომში — სკამის ფეხით და ა.შ.

**ალეკო ელისაშვილი: „არავინ იცის, ჩვენს სამეზობლოში რამდენი კაცია სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუპატიურებული".**

ეს მთელი სისტემა იყო — სააკაშვილი ბრძანებას გასცემდა, მერაბიშვილი ასრულებდა, ადეიშვილი ოფიციალურად აფორმებდა, მოსამართლე თეთრზე შავს ამბობდა, კუდ-ის თანამშრომლები ხალხს უთვალთვალებდნენ, კვესიტაძეები და პაიჭაძეები კი ამ ყველაფერს „აპრავებდნენ“. ნაწილს უნდა შერცხვეს და ნაწილს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს. ამიტომ ეს კადრები უნდა ვანახოთ ყველას!

**— ჟურნალისტებზე, სასულიერო პირებზე, ყველა საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანზე ჰქონიათ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები.**

— დიახ და ალბათ ჩემზეც ექნებათ რაღაც. დარწმუნებით რაც ვიცი, ის არის, რომ ერთმანეთს ულებდნენ. დღესაც არის ერთი მაღალჩინოსანი, რომლის ცოლთან ურთიერთობაა გადაღებული ერთ-ერთ სასტუმროში. რა კომპრომატია ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ ის მაღალჩინოსანი რაღაცნაირად დააშანტაჟეს.

**— თქვენ იცით მისი ვინაობა?**

— დიახ, ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი. ჰომოსექსუალური სცენებიც არის გადაღებული. ითქვა, რომ მსგავსი კომპრომატები ელჩებზეც აქვთ, საყვარლებთან გადაღებული უამრავი მასალაა. როგორც ვიცი, უგზავნიდნენ მეილზე და ეუბნებოდნენ, შენ ახლა ასე უნდა იჭიკჭიკო, თორემ ასე მოგივაო. გარკვეული ნაწილი, რომელიც დღემდე ყელმოღერებული იცავს სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას, ალბათ ასეთ რამეშია გახვეული. ამიტომ შსს-ს მოვუწოდებ, მაგალითად, თუ ჩემზე რამე აქვთ, ჯერ არ წაშალონ. გაარკვიონ, ვინ გადაიღო და იმას აგებინონ პასუხი. რომ წაშალონ, მერე მიშა და მისი ამალა გამოვა და, აბა, როდისო, იტყვის. გახსოვთ, პუტინზე რომ თქვა, ლილიპუტინი და მერე ამბობდა, არმითქვამსო. მის დაქვემდებარებაში მყოფმა ტელეარხებმა არქივებიდან ამოშალეს მისი ეს გამოსვლა. ახლაც ასე მოხდება. მის გარეშე ისიც კი არ წყდებოდა, ჩვენს წარმომადგენელს ევროვიზიაზე როგორი კაბა უნდა სცმოდა და ეს დანაშაული რომ არ იცოდა, ეს ხომ ზღაპარია! დარწმუნებული ვარ, რომ ამ კადრებს სიამოვნებით უყურებდა. სხვაგვარად ვერ ახსნი, რატომ უნდა გადაიღო შენი თანაგუნდელის სქესობრივი აქტი თავის მეუღლესთან.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black





# ეკა ბესელია: „17 მაისს სასულიერო პირების მხრიდან ძალადობა არ იყო!“

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ 17 მაისის მოვლენების შესახებ მომზადებული დასკვნის პროექტს უარყოფითად აფასებენ. მათი თქმით, ამგვარი განმარტებებით დასკვნის პროექტის ავტორები არასწორად ახდენენ ფაქტების წარმოჩენას და ცდილობენ, გამართლება მოუძებნონ სახელმწიფოს არაადეკვატურ მოქმედებასა და კონტრდემონსტრანტების მიერ გამოვლენილ აგრესიას, რომელსაც დანაშაულებრივი ხასიათი ჰქონდა.

— ადამიანის უფლებათა კომიტეტის იმ წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ხსენებული დასკვნის პროექტის მომზადებაში, ადამიანის უფლებათა თანამედროვე გაგების შესახებ აბსოლუტურად არასწორი შეხედულება აქვთ. დასკვნაში მოყვანილი ფაქტები დამახინჯებულია, ხოლო შეფასებები, ნებსით ან უნებლიეთ, ადამიანის უფლებათა სამართლის არასწორი ინეტრპრეტაციებით არის წარმოდგენილი, — ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცახდებაში.

ამ და სხვა აქტუალურ თემებზე „სარკე“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელ ეკა ბესელიას ესაუბრა.

**— ქალბატონო ეკა, ადამიანის უფლებათადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს კატეგორიულად არ მოეწონათ თქვენ მიერ გაკეთებული დასკვნა 17 მაისის მოვლენებზე. რას პასუხობთ მათ?**

— დასკვნა ჯერ არ დაგვიწერია. ეს არის პროექტი, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა. მისი შეფასება ნაჩქარევად მოხდა, რადგან ტექსტში ჯერ კიდევ ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. დიალოგის არქონამ განაპირობა ის, რომ შეფასება ნაჩქარევად გაკეთდა. ამიტომაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვედრა შევთავაზე. როცა ვთქვი, რატომ ბრაზობენ-მეთქი, ვიგულისხმე სწორედ ის, რომ არაფერი იყო გასაბრაზებელი და ეს პირველივე შეხვედრის დროს დადასტურდა. 4 საათი ვიმუშავეთ, რათა მაქსიმალურად მოგვესმინა არგუმენტები და ამ საუბარმა აღმოაჩინა, რომ ჩვენი პოზიციები საერთაშორისო სტანდარტებს არათუ არ სცილდება, პირიქით, მთლიანად ითვალისწინებს. მაგრამ იყო რამდენიმე ფრაზა, რომელიც ინტერპრირებულ იქნა სხვაგვარად. მათი განმარტებაც მოხდა. ჩვენ რაიმე განსხვავებული ხედვა არ გვქონდა ძირითად ფორმულირებებთან, განსაკუთრებით ძალადობაზე, უმცირესობის უფლებების დაცვაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე.

**— რა საკითხზე ვერ მოხერხდა შეხედულებების თანხვედრა?**

— ეს არის პოლიციის მოქმედების შეფასება. ჩვენ დადებითად ვაფასებთ. ამ საკითხში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია უფრო კრიტიკულია. ასევე არის თავი რელიგიაზე, სადაც საუბარია, აქცია და კონტრაქცია, რომელსაც მართავდნენ სასულიერო პირები, იყო თუ არა ძალადობრივი ხასიათის. ჩვენ ვამბობთ, რომ არ იყო, თუმცა ცალკეული შემთხვევები გახლდათ ძალადობრივი, სადაც დაირღვა კანონი და ამისთვის 10 ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული, მათ შორის არიან სასულიერო პირები. ასე რომ, ახლა არის მუშა პროცესი და დიალოგით ხდება საკითხების გადაწყვეტა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამაზე უკეთესი იარაღი არ არსებობს.

**— არასამთავრობო ორგანიზაციების გაღიზიანება იმანაც გამოიწვია, როცა თქვით, რომ დასკვნა არ გასცდებოდა პატრიარქის განცხადებას.**

— ეს კონტექსტიდან გახლდათ ამოგლეჯილი და აზრი დაიკარგა. საუბარი იყო იმაზე, რომ დასკვნის ნაწილი ეთმობა ფაქტების გადმოცემას და ამ მონაკვეთში აგრეთვე მიმოვიხილეთ საპატრიარქოს და 8 რელიგიური გაერთიანების პოზიცია. ვთვლი, რომ ეს ნაწილი, რომელიც ამ ფაქტებს ეხება, სრულად იქნებოდა შესაბამისობაში, რაშიც იგულისხმებოდა ის, რომ არ უნდა დაგვემახინჯებინა მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია და არა — მთლიანად დასკვნა. პატრიარქის განცხადება, რომელმაც მოვლენები შეაფასა, მნიშვნელოვანი იყო.

**— არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ პატრიარქის განცხადებების გადმოწერა კი არა, პარლამენტის მიერ ფაქტის პოლიტიკური შეფასებაა საჭირო.**

— ჰოდა, ჯერ არ შეგვიფასებია, გვაცადონ! თუ ეკითხები პარლამენტს აზრს, უნდა აცადო, რომ გამოხატოს.

**— მკაცრი იყო მათი დამოკიდებულება შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, რომელმაც წამების ამსახველი კადრების ჩვენება მოაწყო. თქვენი აზრით, მართებული იყო ამ ჩვენების გამართვა? საზოგადოებაშიც ამის შესახებ აზრი ორად იყოფა.**

— სულ რამდენიმე არასამთავრობო იყო, ვინც ის ჩვენება დატოვა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა ეჩვენებინა ეს ინფორმაცია შსს-ს, როცა ადამიანის წინაალმდეგ მიმართულ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ეს არ არის ლოკალური ტიპის მოვლენა, ეს გახლავთ სისტემური დანაშაულის გამოვლენის აშკარა ფაქტები და

**„ის მოსამართლე, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა და ეს იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, დღეს იუსტიციის საბჭოშია არჩეული მოქალაქეების მიერ. ის, ვისაც აქციაზე ნაცემი მანიფესტაციის მონაწილეები ჰყავს დაპატიმრებული და დასჯილი ადმინისტრაციული წესით, ასევე მოსამართლედ არის არჩეული".**

ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, მედიაა დაინტერესებული, რომ ნახოს ყველაფერი. ნებისმიერი ჟურნალისტისთვის საოცნებოა, რომ ჰქონდეს სკანდალური მასალა. ნახვაზე ძალას ვერავის დაატან, ეს ნებაყოფლობითია, მაგრამ აკრიტიკო ირაკლი ღარიბაშვილი, რატომ აჩვენა ეს მასალაო, ალოგიკურია. პირიქით, არასამთავრობოებმაც და ჟურნალისტებმაც უნდა იცოდნენ, რა ხდებოდა სინამდვილეში.

**— ასეთი რამ რომ ხდებოდა, მანამდეც ცნობილი იყო, თუმცა ალბათ ასეთი მასშტაბის არავის ეგონა.**

— ამის ჩვენება იმიტომაც არის საჭირო, რომ არ აღმოჩნდა საკმარისი ჩემი საუბარი წამების ფაქტებზე. 2012 წლის თებერვალში პირველი საჯარო განცხადება გავაკეთე, რომ ადამიანი გააუპატიურეს. მან ოფიციალურად მომწერა წერილი და მთხოვა, გამესაჯაროებინა. მაშინ მეგონა, რომ განგაშის ზარებს შემოჰკრავდა საზოგადოება, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. ის პატიმარიც დაუცველი დარჩა, რადგან ის ადვოკატი, რომელიც მასთან გავაგზავნე, პროკურატურამ საქმეს ჩამოაცილა და ამ ბრძოლაში მარტო დავრჩი. პირში წყალი ჩაიგუბეს იმ ორგანიზაციებმაც, რომლებიც დღეს ხმამაღლა საუბრობენ.

**— ისინი ამ ჩვენებას კადრების გასაჯაროებად მიიჩნევენ.**

— არ არის გასაჯაროება, როცა იდენტიფიცირება შეუძლებელია.

**— მათი აზრით, საჭირო იყო ჩვენებამდე ხელწერილის ჩამორთმევა ყველასთვის, რომ მერე ნანახს არ მოყვებოდნენ.**

— ხელწერილის დაწერა ასეთ ფორმატში არ ხდება. ეს არის ვალდებულების ჩამორთმევა პროცესის მონაწილის მიმართ, რომელსაც აცნობ სისხლის სამართლის საკითხებს, მაგრამ როცა საუბარია ისეთ ფაქტებზე, რომლებიც არ

**„2012 წლის თებერვალში პირველი საჯარო განცხადება გავაკეთე, რომ ადამიანი გააუპატიურეს. მეგონა, რომ განგაშის ზარებს შემოჰკრავდა საზოგადოება, მაგრამ არავინ გამოხმაურებია, ამ ბრძოლაში მარტო დავრჩი. პირში წყალი ჩაიგუბეს იმ ორგანიზაციებმაც, რომლებიც დღეს ხმამაღლა საუბრობენ".**

იცი, არის თუ არა მტკიცებულება, ისინი პროცესის მონაწილეები არ არიან და ფაქტს ისე ეცნობიან, როგორც მოვლენას. არ მესმის, რითი უნდა დასაბუთდეს ხელწერილის ფორმატის გამოყენება.

**— მტკიცებულებების განადგურება გადაიდო. ეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას?**

— კანონში რაც წერია, მე იმას ვეთანხმები. იქ კი წერია, რომ ის, რაც არის ფარული ჩანაწერით მოპოვებული და ასახავს პირად ცხოვრებას, უნდა განადგურდეს. კანონიერადაც რომ იყოს მოპოვებული, უნდა განადგურდეს, რადგან პირადი ცხოვრების ამსახველია. რაც შეეხება კანონის დარღვევით მოპოვებულს, ის საერთოდ იურიდიულ ძალას კარგავს და არ ექვემდებარება მტკიცებულების ფორმას. თუმცა იქ შეიძლება გადაირჩეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრია თუ ზოგადი ჩანაწერი — პოლიტიკური საქმიანობის ან საუბრის. ეს შეიძლება მტკიცებულებად დარჩეს იქამდე, სანამ კონკრეტული საქმე არ გადაიხედება, რომ გაირკვეს, თუ აქვს მას შემხებლობა სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან. ასე რომ, ამ პრინციპით უნდა მოხდეს გადარჩევა.

**— არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ, რაც შსს-ს ხელში ჩაუვარდა, იმ კადრების ასლები არსებობს და მათი გასაჯაროება მაინც მოხდება. აპირებთ კანონმდებლობის გამკაცრებას ამ დანაშაულთან მიმართებაში?**

— კი, კანონპროექტი უკვე ინიცირებულია. სასჯელზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ბევრად მკაცრი რეგულაციები შემოდის. ასევე უნდა გამკაცრდეს სასამართლო პროცესი და გამოირიცხოს თვითნებობები. იმ მოსამართლეების იმედი, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდნენ, არც მქონია და არც მაქვს. ადამიანები, რომლებიც გუშინ ჩადიოდნენ დანაშაულს, დღეს ვერ გახდებიან სამართლიანები, მე ამისი ნაკლებად მჯერა. ამ სასამართლოს იმედად



Cyan Magenta Yellow Black

მართლმსაჯულების და ხალხის დატოვება უსამართლოდ მიმაჩნია.

**— მაშინ გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სასამართლო რეფორმაში. ვითარება უნდა შეიცვალოს და ამას მარტო პოლიტიკური ნება არ შველის. ის, რომ ხელისუფლება ზეწოლას არ ახორციელებს სასამართლო სისტემაზე, არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ, როგორც ჩანს, არა — საკმარისი. არიან ისეთებიც, რომლებსაც სამართლიანობაზე თავიანთი წარმოდგენა აქვთ. ის მოსამართლე, რომელმაც ბარი. ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში იყო ადამიანების მასობრივი დევნა, წამება და ეს არ იყო ერთი-ორი ან ათი ფაქტი, ათასობით იყო და სწორედ აქედან გამომდინარე მივიდნენ ამ დასკვნამდე. დარწმუნებული ვარ, როგორი სახელითაც პინოჩეტის, ჩაუშესკოს რეჟიმი შევიდა ისტორიაში, სააკაშვილის რეჟიმიც ასეთივე ადგილს დაიმკვიდრებს. სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი — ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რაც გულისხმობს არა — კაცობრიობის, არა-

**„დარწმუნებული ვარ, როგორი სახელითაც პინოჩეტის, ჩაუშესკოს რეჟიმი შევიდა ისტორიაში, სააკაშვილის რეჟიმიც ასეთივე ადგილს დაიმკვიდრებს... ალბათ მოგვიწევს ამის გაკეთება".**

ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა და ეს იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, დღეს იუსტიციის საბჭოშია არჩეული მოქალაქეების მიერ. ის, ვისაც აქციაზე ნაცემი მანიფესტაციის მონაწილეები ჰყავს დაპატიმრებული და დასჯილი ადმინისტრაციული წესით, ასევე მოსამართლედ არის არჩეული.

**— ახლა მათთვის მოსამართლეობის უვადოდ მინიჭებაზეცაა საუბარი, ამასთანავე მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ უნდა გადაისიდოს.**

— არ მიმაჩნია, რომ ეს სწორი მიდგომაა. პოლიტიკური დავალებების შემსრულებელ მოსამართლეებს არათუ უვადოდ უნდა მიანიჭონ მოსამართლეობის უფლება, პირიქით, უნდა ჩამოართვან.

**— იუსტიციის საბჭოს არჩევნების შემდეგ, სადაც ისევ კოტე კუბლაშვილის კლანმა გაიმარჯვა, რა პერსპექტივა აქვს სასამართლო რეფორმას?**

— რთული იქნება, მაგრამ მთავარია, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, შეუძლებელი არაფერია.

**— საკმაოდ სერიოზული სასამართლო პროცესებია წინ, თუნდაც ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის. სასამართლოსგან როგორ გადაწყვეტილებას ელოდებით?**

— პროგნოზი უმადური საქმეა, სასამართლოს მიმართ კი ჩემი დამოკიდებულება გითხარით, რომ არსებულ სისტემას არ ვუყურებ დიდი მოლოდინით, მაგრამ დადებითი შედეგი გარდაუვალია — ის საზოგადოება, რომელმაც შეცვალა ძალადობრივი რეჟიმი და მოიშორა სააკაშვილის ხელისუფლება, არ შეეგუება უსამართლო სასამართლო სისტემას და მასაც შეცვლის. ჩვენ ერთად შევძლებთ, სასამართლო გავხადოთ სამართლიანი და დამოუკიდებელი.

**— წამების ამსახველი კადრების შემდეგ გააქტიურდა საუბრები ნაცმოძრაობის აკრძალვაზე. თქვენი აზრით, რეალურად ეს შეიძლება მოხდეს?**

— ეს აზრი გაჩნდა იმიტომ, რომ უკვე სისტემურ დანაშაულზეა საუმედ ქვეყნის შიგნით გარკვეული რაოდენობის პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულობებს, რასაც აშკარად ვხედავ ნაცმოძრაობის კონკრეტული პირების ქმედებებში. ალბათ მოგვიწევს ამის გაკეთება.

**— ხომ არ დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხიც?**

— რატომ?

**— თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტი იყოს საზოგადოებაში პოლიტიკური განწყობის შესაბამისი.**

— მაშინ არჩევნები უნდა ჩაითვალოს გაყალბებულად. მართალია, იყო რაღაც გაყალბებები, ნაციონალებს ამდენი ხმა არ უნდა მიეღოთ, მაგრამ თუ შევძელით, რომ არჩევნებით სისტემა შევცვალეთ, ახლა ამ არჩევანსაც უნდა ვცეთ პატივი. საპარლამენტო კულტურაც უნდა ჩამოვაყალიბოთ იმისთვის, რომ მუდმივად ვადამდელი არჩევნები არ ვატაროთ. ესეც ერთგვარი გამოწვევაა და სიჩქარე არ ივარგებს.

**— ბიძინა ივანიშვილმა ესტონურ გამოცემას განუცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში პოლიტიკიდან წავა. ეს ნაბიჯი ჯერ ნაადრევი ხომ არ არის?**

— თუ ვინმეზე შეიძლება თქვა, რომ ადამიანი არის შეუცვლელი ქართულ პოლიტიკაში, მე ვიტყოდი, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი სწორედ ასეთი ადამიანია. პიროვნების გაფეტიშება არ მიყვარს, მაგრამ ამას ვამბობ იმის გათვალისწინებით, რომ ისეთი არაორდინარული, სრულიად განსხვავებული ნიჭისა და შესაძლებლობის ადამიანი, როგორიც არის ბიძინა ივანიშვილი, ბევრი არ მეგულება. გამორჩეულია და ამიტომ ვერ გეტყვით, მას ვინ შეცვლის. ალბათ ამაზე ადრეა საუბარი, მაგრამ მჯერა, რომ მანამდე ყველაფერს დაალაგებს იმგვარად, რომ საფრთხეები გამოირიცხოს, როგორც ქვეყნის საგარეო კუთხით, ისე შიგნით ხელისუფლების რყევის.

**— ბატონი ბიძინა პოლიტიკაში დარჩენის ვადად ყოველთვის 2 წელიწადს ასახელებდა, ახლა კი ერთ წელიწადში აპირებს წასვლას. რა შეიცვალა?**

— უკვე გიპასუხეთ ამ კითხვაზე და ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.



# ლია მუხაშავრია: „ამ კადრების ჩვენებით წავაგეთ — შიგნითაც და გარეთაც"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიპლომატები და მედია შოკში ჩააგდო. სამეგრელოს სამალავში იარაღთან ერთად აღმოჩენილი კადრები, რომლებიც შსს-მ დიპკორპუსისა და მედიისთვის გაასაჯაროვა, იმაზე შემზარავი გამოდგა, ვიდრე რომელიმეს წარმოედგინა. ეს ჩვენება ღარიბაშვილს მათ დასადუმებლად დასჭირდა, ვინც ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური მოტივით დაკავებაზე საუბრობენ. რამდენად შეასრულა დასახული ამოცანა, ძნელი სათქმელია. უფლებადამცველი ლია მუხაშავრია თვლის, რომ ამ ქმედებით ღარიბაშვილმა მხოლოდ საკუთარი უმწიფრობა დაამტკიცა და ქვეყანა რთულ მდგომარეობაში ჩააგდო.

**ლია მუხაშავრია:**

— ძალიან ცუდი ამბავი გვჭირს, ანუ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ყველაზე უარესი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული მკაფიო გადაწყვეტილება, ეს მასალები უნდა განადგურდეს თუ არა. თან მასალის განადგურებას გვპირდებიან, მაგრამ არავის უთქვამს, იმ აპარატურის დემონტაჟის აუცილებლობის შესახებ, რომლითაც ეს ყველაფერი შეიქმნა. ეს მხარე არის გაცილებით საშიში, რადგან ხელისუფლებას აძლევს განუზომელ ძალაუფლებას, გამოიჭიროს, აიძულოს და ყველაფერზე დაითანხმოს ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალა გააჩნია.

**— ვინც ამბობს, რომ არ უნდა განადგურდეს ეს მტკიცებულება, ძლიერი არგუმენტი აქვს.**

— გეთანხმებით. მტკიცებულებების განადგურება სასამართლოს დამთავრებამდე არ შეიძლება, მაგრამ საკითხს ცოტა ღრმად უნდა შევხედოთ. იმისათვის თუ არის 10.000 ჩანაწერი, რომ ადამიანი პასუხისგებაში მისცე, 10.000-ივე არ გჭირდება. საკმარისია ერთი, 9.999 უნდა განადგურდეს. ამაზეა საუბარი. თუ რამე დანაშაულის გასახსნელად გჭირდება, უნდა გამოიყენო, მაგრამ მერე, განაჩენი რომ დადგება, უნდა გაანადგურო. თან ძალიან მარტივია იმის დადგენა, ვინ გააკეთა ეს ჩანაწერი. როგორც იარაღი გაიცემა და ამაზე ყოველდღე ხდება მკაცრი აღრიცხვა, ზუსტად ასეთივე აღრიცხვა ხდება, ვის მიუწვდება ხელი ჩანაწერებზე, ვინ აკეთებს და ვინ არის უფლებამოსილი, დაამონტაჟოს აპარატურა როდის და სად. გამოძიებისთვის ძალიან მარტივია იმის დადგენა, ეს ვინ გააკეთა. აქ არაფერია საიმისო, წლების განმავლობაში ვინახოთ ეს სიბინძურე იმისათვის, რომ გამოვიძიოთ დანაშაული.

არის კიდევ მეორე უბედურება, რომელიც სამეგრელოში აღმოჩენილმა სამალავებმა ნათელი გახადა. ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენ კასრში, რამდენ ყუთში, რამდენ კომპიუტერშია ჩატვირთული, შესაბამისად კანონმდებლებმა ძალიან მკაცრად უნდა მოჰკითხოს მას, ვინც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას დაარღვევს და ამ მაკომპრომეტირებელ მასალას გამოიყენებს. სანქცია უნდა იყოს ისეთი სასტიკი, რომ არავის უღირდეს ამაზე ხელის მოკიდება. ასევე უნდა გამოცხადდეს, ჩვენ ყველა გავანადგურეთ და კიდევ თუ ვინმესთან აღმოჩნდება, მკაცრად დაისჯებაო. ამ მკაცრი სასჯელის გამო ის, ვისაც აქვს, თვითონ გაანადგურებს. ეს არის საკმაოდ ქმედითი მექანიზმი, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ამ გზას ადგას ხელისუფლება. ეს არის საშიში.

**— ღარიბაშვილის უწყებაში კადრების სანახავად თქვენ არ ყოფილხართ. არ მიგიწვევს?**

— არ ვყოფილვარ მიწვეული და ეს მეამაყება.

**— რომ ყოფილიყავით, უარს იტყოდით კადრების ნახვაზე?**

— თუ ვინმე მივიდა და იცოდა, რაც უნდა ენახა, უნდა ენახა, რადგან ის იქნებოდა ფსიქოლოგიურად მზად ამისთვის. თუ პროფესიულად უდგები, უნდა ნახო, მაგრამ აქ არის მეორე მომენტიც — იქ მივიდა ხალხი და არც ერთს დაუწერია ხელწერილი ან არ უკისრია ვალდებულება, ვინმე რომ ამოეცნო, ამას შეინახავდა კონფიდენციალურად.

**„პოლიცია კინოსეანსებს აწყობს იმის გადასაფარად, რომ ჯერ არაფერი გამოუძიებიათ".**

ამიტომ იყო ის კატასტროფა. თან ზოგი ამბობდა, რომ ამოცნობა არ შეიძლებოდაო, ზოგი — პირიქით, შესაძლებელი იყოო. ადამიანურად მესმის, რომ, თუ პირველად უყურებ და არ ხარ ამ საკითხებში გარკვეული, შეიძლება სულ არ გაგახსენდეს, ვინ არის, თავად ვიზუალია შემზარავი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ შემდეგ შეიძლება ვიღაცას გაახსენდეს ეს კადრები, აღიდგინოს და მოახდინოს იდენტიფიცირება. ამით ცალსახად დაარღვია სამინის-

→18



Cyan Magenta Yellow Black

ტრომ კანონი. და მეორე, არ აქვს მნიშვნელობა, 4 კაცს აჩვენებ თუ 4 მილიონს. გასაჯაროება მოხდა! თუ შსს და პროკურატურას ეს არ ესმით, როგორ შეიძლება მათ ვანდოთ ამდენი სიბინძურე შესანახად, თან გაურკვეველი ვადით?

**— ღარიბაშვილმა ღიად თქვა, რომ გასაჯაროება კრიტიკოსებისთვის გააკეთა.**

— ეს არ არის სამართლებრივი არგუმენტი, რომ ვისაც არ სჯერა, იმას ვაჩვენებ. სახელმწიფოებრივად თუ ვუდგებით ამ საკითხს, თუ არის დანაშაული, დამნაშავე უნდა დავსაჯოთ და არა ის, რომ უცხოელ დიპლომატებს გულისყრა დავმართოთ იმაზე, თურმე რა ხდებოდა. ჯერ ერთი, ეთიკურად არ არის ლამაზი, შენი ყველაზე ბინძური საცვლები აფრიალო. თან აფრიალო დიპკორპუსის წინ, ეს — ადამიანურად. სამართლებრივად კი, დიპკორპუსის არც ერთი წარმომადგენელი მოსამართლე არ არის, არც მსაჯული, გამომძიებელი, პროკურორი და რატომ უნდა აჩვენო? თუ უმწიფარი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში და მათ ჰგონიათ, რომ ვიღაცის დარწმუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დამნაშავის იდენტიფიკაცია და დასჯა, ეს საერთოდ კატასტროფაა.

მე აქ თქვენამდე მეჯდა წამების მსხვერპლი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც გაასამართლეს და ჯალათებს მიუსაჯეს 6-6 წელი. როგორი არაადეკვატურია ეს სასჯელი! თუ ასე აპირებენ დამნაშავეების დასჯას, ეს არის საშიში მოვლენა. თუ ჯალათი 6 წელიწადში გამოვა, მსხვერპლს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, თვითონ გაუსწორდეს. ჩვენ კი სახელმწიფო გვინდა იმისათვის, რომ მე არ ვსდიო დამნაშავეს და განაჩენი არ გამოვიტანო. პოლიცია იმისთვის არის, დამნაშავეები დაიჭიროს და არა — კინოსეანსები აწყოს, მაგრამ ეს სჭირდებოდათ იმის გადასაფარად, რომ ჯერ არაფერი გამოუძიებიათ. ერთი განაჩენის მეტი არ არის წამების ფაქტებზე. აი, ამისთვის! ახლა თუ აპირებენ, რომ ვანო მერაბიშვილს დაუდონ ბრალდებად, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა და სისულელე. ბაჩო ახალაიასთან ხომ შეეშალათ, ისე დაემართებათ. არ შეიძლება ჯერ დაიჭირო კაცი და მერე ორი კვირის ინტერვალით ახალ-ახალი ბრალდებები წაუყენო. თან ვერ გადაარწმუნებენ დიპკორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს იმით, რასაც იპოვიან სადღაც კასრებში. ესეც ცოტა საეჭვოა, იარაღთან ერთად კასეტები რატომ ინახებოდა.

**— თქვენ რა ვერსია გაქვთ?**

— ეგებ ვიღაცას დასჭირდა იქ ყოფილიყო, რომ გადაეფარათ საკუთარი უსუსურობა, არაკვალიფიციურობა და უმწიფრობა.

**— ალბათ ვიღაც გიპასუხებთ, არ გინახავთ ეს მასალები და ასე ამიტომ ლაპარაკობთო.**

— თუ მასალებს ვნახავ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მჭირდება საქმისთვის, რადგან ნებისმიერი ასეთი კადრის ნახვა ადამიანის ფსიქიკისთვის არის ტრავმა და ძალადობა.

**— ამ გასაჯაროებით წავაგეთ თუ მოვიგეთ?**

— წავაგეთ შიგნითაც და გარეთაც. თან ვამბობთ, რომ ეს იყო სისტემური და ხომ ხვდებით, რომ მსოფლიოს თვალში ნახევარი საქართველო არის სადისტი და მეორე — ნახევარი გაბახებული და შეურაცხყოფილი. მართლა არ მესმის, რაში სჭირდებოდათ, იმიტომ, რომ ეთქვათ, ღარიბაშვილი კარგია და მერაბიშვილი ცუდიო? იმ ბავშვის დახრჩობა გამოიძია? რატომ არის მერაბიშვილზე უკეთესი? უფრო ახალგაზრდა და ლამაზია? ჩემთვის შედეგია მთავარი, მე მათი კარგი ბიჭობა არ მაინტერესებს. სანამ საქმეები არ დაუდია, კეთილი ინებოს და საქმეს მიხედოს!

**— გატყობ, ლადო ბჟღუკაძის ბრალის მოხსნითაც უკმაყოფილო იქნებით.**

— ვამბობდი და ვამბობ, რომ ყველა დამნაშავეს უნდა წაუყენონ ბრალი, ყველა დამნაშავის ბრალი უნდა იყოს ქაღალდზე დაწერილი და გამტყუნდეს სასამართლოს ძალით და მერე ვაპატიოთ, ბატონო!

**— არჩილ კბილაშვილმა რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება?**

— კბილაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ არის თანამდებობაზე, დარჩა ადვოკატად! როგორც მე ვერასოდეს გავხდები ნინო ანანიაშვილი, სახელი და გვარიც რომ გამოვიცვალოთ, ისეა ისიც. ადვოკატობა ცუდი არ არის, მაგრამ თავის ადგილზე. აქ კი უნდა იყოს კვალიფიციური ბრალდება. გამოძიება 9 წელი მკვდარი იყო. ფაქტია, რომ კადრების პრობლემა გვაქვს. ამას წინათ ჩემი მანქანის ხელოსანმა ამომძახა ორმოდან, მე ვერ მივაწვდენ ხმას ხელისუფლებას, მაგრამ იქნებ თქვენ უთხრათ, თანახმა ვარ, მეტი გადასახადი გადავიხადო და მოსამართლეები უცხოეთიდან ჩამოვიყვანოთ, თუ ქართველები არ გვივარგაო. ხალხმა გაიგო სასამართლოს ფასი.

> „კანონმდებლებმა მკაცრად უნდა მოჰკითხონ მას, ვინც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას დაარღვევს. სანქცია უნდა იყოს ისეთი სასტიკი, რომ არავის უნდოდეს ამაზე ხელის მოკიდება. ამ მკაცრი სასჯელის გამო ის, ვისაც აქვს, თვითონ გაანადგურებს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ამ გზას ადგას ხელისუფლება".

**— მართლა უცხოეთიდან ჩამოვიყვანოთ გამომძიებლები და მოსამართლეები?**

— რატომაც არა?! არც ერთი დონორი არ იტყვის უარს, პენსიონერი გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები ანაზღაურებასაც არ მოითხოვენ, ოღონდ აქ ცხოვრების პირობები შევუქმნათ. უცოდინარობას რამდენიმე ხარისხი აქვს: პირველი, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, სად წავიკითხო და მეორე, არც კი ვხვდები, რომ რაღაცა არ ვიცი და, თუ ამ დღეში ვართ, ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. ალეკო ელისაშვილი ყვებოდა კინოჩვენების დღეზე. ირაკლი კაკაბაძემ და ეკა კვესიტაძემ რომ გაიწიეს ერთმანეთზე, შუაში ჩავხტიო. ვუთხარი, შსს-ში შენ რა „ნაჩალნიკი" იყავი, რომ აშველებდი-მეთქი. აი, როგორი ანომალიაა ეს სცენა, ასეთი ანომალიაა ჩვენი სახელმწიფო დღეს — შს მინისტრის თვალწინ ალეკო ელისაშვილის გასაშველებელი ხდება ორი ადამიანი.

# შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილს სურს, ყველა უბედურება, რაც გვჭირს, პერიოდულად გამოშვებული პორნოკასეტებით გადაფაროს"

## „ახლა გავიგეთ, რომ ასეთი რაღაცეები ხდებოდა? არ გახსოვთ, 2005 წელს სულხან მოლაშვილს პაპიროსები რომ მიაწვეს ტანზე?"

„სახელმწიფო კრიზისია გაქანებული და ამ კრიზისიდან გამოსვლას მკურნალობენ პორნოკასეტებით. ეს არის არნახული მეთოდი უფსკრულიდან თავის დაღწევის და ახალ უფსკრულში გადავარდნის", — ასე აფასებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი სამეგრელოში ნაპოვნ სამალავში აღმოჩენილ ვიდეოკასეტებზე ადამიანთა არნახული წამების კადრების გასაჯაროებას და უკვირს, რომ ვიღაცეებისთვის ეს ყველაფერი თურმე შოკისმომგვრელი სიახლეა.

**შალვა ნათელაშვილი:**

— ახლა გავიგეთ, რომ ასეთი რაღაცეები ხდებოდა? არ გახსოვთ, 2005 წელს სულხან მოლაშვილს პაპიროსები რომ მიაწვეს ტანზე? ის სურათები მე გამომიგზავნა და ოსლოში, ნობელის პრემიის კომიტეტში გავაგზავნე, სადაც პრემიაზე იუშჩენკო და სააკაშვილი იყვნენ წარდგენილი. მაშინ სააკაშვილმა ამ სურათების გამო დაკარგა ნობელის პრემია. და ყველა ეს წამება ხორციელდებოდა, ფინანსდებოდა ბიძინა ივანიშვილის მიერ, ისევე როგორც მთლიანად შს სამინისტრო. მან ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდა. ახლა იმისათვის იყენებს, რომ თავისი წინასაარჩევნო დაპირებებიდან ხალხის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. ივანიშვილის ბლოკი გადაიქცა პორნოკოალიციად და უნდათ, რომ შიმშილი, სიღატაკე და დაპირების შეუსრულებლობა, ყველა ის უბედურება, რაც გვჭირს, გადაფარონ პერიოდულად გამოშვებული კასეტებით.

გავიგეთ, რომ არაკაცები „ხმარობდნენ" პატიმრებს. ახლა ამას უნდა არა საინფორმაციო სივრცის დაკავება და იმაზე მსჯელობა, ვინ როგორ აუპატიურებდა, არამედ ყველა დამნაშავის დაჭერა და ბრალის წაყენება. საქმეზეა ლაპარაკი საჭირო, როგორ გადავრჩეთ და როგორ ამოვიყვანოთ ქვეყანა იმ უმძიმესი კრიზისიდან, სადაც შეგვიყვანა ივანიშვილმა. აი, ეს არის მთელი ისტორია ამ კასეტების, რისი შემოქმედებიც არიან სააკაშვილი, მერაბიშვილი და ახლა ნუ ცდილობს, თვითონ აიცილოს პასუხისმგებლობა და თან ამ ფილმებით წინასაარჩევნო დაპირებები დაგვავიწყოს.

**— გგონიათ, რომ ეს „ფილმები" წინასაარჩევნოდ ამოატივტივეს, სხვა რესურსი აღარ აქვთ?**

— აბა, რა! რადგან ხალხი უკვე ითხოვს ფულს, პენსიას, ხელფასს, წამალს... რაც ადამიანს სჭირდება, მაგრამ არაფერს აძლევს. მარტო მისი ორგანიზაციები მდიდრდებიან. რაც პრემიერი გახდა, მას შემდეგ მისმა ბანკმა 180 მილიონი აიღო, „ლუკოილმა" — 80 მილიონი, „კარფურმა" — 70 მილიონი. გასაგებია, რისთვის მოვიდა — მილიარდებისთვის რომ მილიარდები მიემატებინა. ამის გამო ხალხი პასუხს ხომ მოსთხოვს და მონახა ახლა პორნოკასეტები.

> „ძალიან ხშირად ვხვდები პატიმრებს, მაგრამ არასოდეს მიკადრებია, მიმეყვანა ტელევიზია და ამით ამეწია ჩემი რეიტინგი".

**— მონახა თუ იპოვა, ბატონო შალვა?**

— ძალიან კარგად იცოდა, შს სამინისტროში იყო ეს კასეტები.

**— ანუ რისი თქმა გინდათ, რომ სამალავში მისი გადატანა მოხდა?**

— იმ სამალავში ალბათ იყო იარაღი და მერე იქ შეიტანა ეს პორნოკასეტები, რომ ახალი სიმძაფრე მიეცა ამისთვის. ამბობენ, გავანადგურებთო, მაგრამ მისი განადგურების უფლება არ აქვთ. ეს მოპოვებული დოკუმენტაციაა და უნდა გაირკვეს, ვისი ბრალია, რატომ გადაიღეს, რატომ გააუპატიურეს და ეს ყველა ნივთმტკიცება უნდა შეინახოს.

**— უფლებადამცველები განადგურებას ცალსახად ითხოვენ.**

— უფლებადამცველები აჩმახებენ და უხარიათ. იმაში, რომ ეს უკვე რამდენიმე ეგზემპლარად არის გაკეთებული, ეჭვი არ შეგეპაროთ. რომც გაანადგურონ, ეს ექნებათ მერაბიშვილებს, ახალაიებს...

**— არის მანიშნებელი, რომ ამ საქმეზე პასუხისმგებლობა ბოლოს მერაბიშვილს დაეკისრება.**

— არც ის დაივიწყონ, ვინ აფინანსებდა მერაბიშვილის დროს სამინისტროს, ყიდულობდა ეკიპირებას, ვის შემოჰქონდა მომწამლავი გაზი, ვინ შემოიტანა მოსასმენი აპარატურა. მერაბიშვილის და



Cyan Magenta Yellow Black

საააკაშვილის დაჭერას მათი მოსვლის დღიდან ვითხოვდი, მაგრამ ახლა წაქცეულ კაცს კიდევ გადავუარო, ეს არ არის ჩემი ხელობა. ახლა მიხედოს კანონმა და ღმერთმა! ახლა ეს ძველი ბანდაა დასაჭერი, „ახლობა“ რომ უნდათ. ეს ერთი ჯგუფი იყო, ხალხო! ორივე ძალა უნდა მიეცეს პასუხისგებაში იმიტომ, რომ ერთი პოლიტიკური ძალა იყო. ახლაც შეთანხმებული არიან, მოდით, ჩვენ ვიყოთ და მესამე ძალა არ შემოგვეპაროსო. ან როგორ შეიძლებოდა ამ კადრების დიპლომატებისთვის ჩვენება? სირცხვილია! აქ თავი მოგვაქვს ვაჟკაცობით და ჰომოსექსუალობასთან შეურიგებლობით და ახლა ამას რომ ნახავს მთელი მსოფლიო... ეს არ არის დიპლომატების სანახავი, ეს არის გამოსაძიებელი. ყველა დამნაშავე უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე და სასამართლო დასკვნები დიპკორპუსს მერე უნდა გავაცნოთ.



**„არავითარი არჩევნები არ ყოფილა 1 ოქტომბერს, ეს იყო ოცნება მწვანე დოლარზე და ამ ოცნებით დაბინდული ბევრი ადამიანი, მათ შორის — ჩემი ნათესავი, წავიდა და შემოხაზა პორნოოცნება. სხვათა შორის, პირველი არჩევნები იყო, რომ არ გამიყალბა არავინ. ჩვენ მოუსყიდველი 300 არაგველი გვყავს, რომელიც 30 ათასად იქცა!“.**

**— თქვენი აზრით, რატომ აჩვენეს დიპლომატებს?**

— ალბათ იმიტომ, რომ ისინი მერაბიშვილის გამოშვებას ითხოვდნენ. პოლიტიკური მოტივია.

**— აშშ-ის ელჩმა იმ კადრების ნახვის შემდეგ თქვა, შოკში ვარო. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამერიკა ხელს იღებს ნაცებზე?**

— აშშ ნაცების ზურგი არ არის მას შემდეგ, რაც აიძულა, რომ ხელისუფლება გადაებარებინა. ამერიკა რომ არა, სააკაშვილის ხელისუფლება არ დათმობდა და არავინ დაიჯეროს, რომ ეს ივანიშვილის დამსახურებაა. პირდაპირ უთხრეს კონდოლიზა რაისის დონეზე, ხელისუფლებას ჩააბარებო, ხოლო, რაც ელჩმა თქვა, ეს იყო ნორმალური ადამიანის ემოციური განაცხადი.

**— ამის შემდეგ კიდევ იქნება დასავლეთიდან კოაბიტაციაზე საუბარი?**

— დასავლეთი კოაბიტაციას არ გვაძალებდა, ეს იყო ივანიშვილ-სააკაშვილის გარიგების შედეგი, რომელიც არჩევნებამდე შავნაბადაზე დაიდო. მე ეს მაშინ ვთქვი, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია და ახლა შედეგებს იმკიან.

**— თქვენ როგორ აფასებთ დღევანდელ მდგომარეობას, რა შედეგი მივიღეთ?**

— სახელმწიფო კრიზისია გაქანებული, მათ შორის — ეკონომიკური, სოციალური და კრიზისიდან გამოსვლას მკურნალობენ პორნოკასეტებით. ეს არის არნახული მეთოდი უფსკრულიდან თავის დაღწევის და ახალ უფსკრულში გადავარდნის.

**— ნაცმოძრაობის აკრძალვაზე საუბარს როგორ უყურებთ?**

— ნაცმოძრაობის აკრძალვა უნდა მოხდეს კომპლექსურად, ასევე უნდა აეკრძალოს პოლიტიკაში ყოფნა ივანიშვილს, როგორც ნაცების დამფინანსებელს, ხელისუფლებაში მომყვანს და ვარდების რევოლუციის სულისჩამდგმელს. საბოლოო ჯამში კი, ვინც ხელისუფლებაში იყო 1995 წლის შემდეგ „მოქკავშირიდან“ და ვინც საქართველო მიიყვანა მავთულხლართამდე, რომელიც აგერ ქართლშია გაბმული, ყველა პიროვნებას პერსონალურად უნდა აეკრძალოს პოლიტიკური მუშაობა, მათ შორის — სააკაშვილს, ბერძენიშვილებს, ხიდაშელს, უსუფაშვილს, ძიძიგურს და ამ მრავალპარტიად მოსულ ბანდას! ამის მერე ამოისუნთქებს საქართველო. ნაცმოძრაობის ლიდერები არ იყვნენ კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური, რომ ვარდების რევოლუცია მოიმიწყვეს?!

**— ისინი ამბობენ, რომ იმ პერიოდში იდეა ართიანებდათ, მაგრამ, როცა სააკაშვილმა ნამდვილი სახე გამოაჩინა, განუდგნენ.**

— მაგრამ ამ იდეით რომ მოკლეს საქართველო, ჩვენს ქვეყანას რა ეშველება?! მე რომ კაცი მოვკლა და ჩემი საქციელი მოვინანიო, აღარ ვიქნები მკვლელი?

**— მასხოვს, ნაცმოძრაობის აკრძალვას წლების წინ თქვენც ითხოვდით.**

— კი და 2005 წელს სარჩელიც კი შევიტანეთ სასამართლოში. მაშინ რატომ არ გამოძვრა ივანიშვილი თავისი ბუნაგიდან და თქვა, სწორს ამბობენ ლეიბორისტებიო? რატომ გააგრძელა ამ ბანდის დაფინანსება?

**— მაშინ სჯეროდა, რომ ქვეყნის საქმეს აკეთებდნენ.**

— რას ჰქვია „სჯეროდა“, ჩემს ხარჯზე სჯეროდა?! რაც გააკეთა, იმაზე პასუხი არ უნდა აგოს?!

**— ცოტა ხნის წინ ამერიკაში იყავით. იქ რა ამბები დაგხვდათ ან რა ჩამოიტანეთ?**

— თუ გადახედავთ ჩემს შეხვედრებს, მიხვდებით, რა დონე იყო. კეთილი ინებოს და ივანიშვილმაც გააკეთოს იგივე. სენატორებიდან დაწყებული, სტრატეგიული ცენტრების ხელმძღვანელებით დამთავრებული, ყველას შევხვდი.

**— რაზე ისაუბრეთ?**

— ეს რომ გითხრათ, საერთაშორისო სკანდალი იქნება და არ მაქვს უფლება. მე რას ვეუბნებოდი, იმას გეტყვით — რასაც თქვენთან ვამბობ.

**— როგორ შეატყვეთ, მართლაც ცალმხრივად არის ინფორმირებული ამერიკის ხელისუფლება და პრესა?**

— არა, მათ იციან აბსოლუტურად ყველაფერი, ინფორმაცია სრულად მიეწოდებათ ყველა მხრიდან.

**— ამ კადრების გახმაურება ამერიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის რამეს შეცვლის?**

— ამერიკაში ამ კადრების მერე რომ ივანიშვილის მიმართ რაიმე დადებითი დამოკიდებულება გამოიკვეთოს, ამას გამოვრიცხავ. ვისაც სააკაშვილზე ჰქონდა ცუდი აზრი, მათ გაუორმაგდებათ, მაგრამ ვისაც სააკაშვილზე ჰქონდა კარგი აზრი და მას ლობირებდა, ეს კასეტები მასზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს. იქ მათ თავიანთი პრობლემები აქვთ, გუანტანამოს ციხე.

**„ვინც ხელისუფლებაში იყო 1995 წლის შემდეგ „მოქკავშირიდან“ და ვინც საქართველო მიიყვანა მავთულხლართამდე, რომელიც აგერ ქართლშია გაბმული, ყველა პიროვნებას პერსონალურად უნდა აეკრძალოს პოლიტიკური მუშაობა, მათ შორის — სააკაშვილს, ბერძენიშვილებს, ხიდაშელს, უსუფაშვილს, ძიძიგურს და ამ მრავალპარტიად მოსულ ბანდას! ამის მერე ამოისუნთქებს საქართველო“.**

**— როგორ ფიქრობთ, გადამდგარი არჩევნები ქვეყანაში განმუხტავდა სიტუაციას?**

— სიტუაციას განმუხტავს შემოდგომაზე ჩემი პრეზიდენტად არჩევა და მერე მე ყველას მოვსვამ, თუ უნდათ. მთელმა საქართველომ უნდა ჩაიდოს ყველი და პური ჯიბეში, ჩურჩხელა და გადავარჩინოთ საქართველო ამ ფულიანი სატანებისგან. თუ არ უნდათ, იარონ ასე და უკრან გუდასტვირი, რა ვქნა!

**— არჩევნებამდე კიდევ რას უნდა ველოდოთ?**

— არაფერს, ხელისუფლება ისევ შეეცდება, ასე გადაიტანოს ყურადღება სხვა რამეზე, გააყალბოს საპრეზიდენტოარჩევნები და მოიყვანოს პუტინის ახალი „შნირი“ მარგველაშვილი. დაინახეთ ალბათ, პუტინის პირადი წარმოგზავნილი ლევან ვასაძე როგორ ახლდა ჩხორონწყუს მართლმადიდებლურ სკოლაში მარგველაშვილს. აღარც მალავს, პუტინის პირდაპირი ტრიუმფია საქართველოში, მავთულხლართებით დაწყებული, ივანიშვილ-მარგველაშვილით დამთავრებული. ეს მეტისმეტია და ამას ვერ მოვითმენთ. მოვუწოდებ ეკლესიას, რომ დაანებოს თავი პოლიტიკაში ჩარევას, რადგან ყველაფერს აქვს საზღვარი!

**— და სად ჩანს ასეთი უსაზღვრო ჩარევა?**

— მეტი რაღა გინდა, მართლმადიდებლურ სკოლაში ხვდება მოძღვარი მარგველაშვილს და ვასაძეს, იმ მარგველაშვილს, რომელიც არის ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგი საქართველოში და „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ლიბერალიზმის შემომტანი და დამკანონებელი. ამ კაცს რა უნდა მართლმადიდებლურ სკოლაში, სირცხვილი აღარ არის, კაცო?! მე რომ ეკლესიებში მივდივარ, დამყავს ტელევიზია?! ძალიან ხშირად ვხვდები პატრიარქს, მაგრამ არასოდეს მიკადრებია, მიმეყვანა ტელევიზია და ამით ამეწია ჩემი რეიტინგი. ეკლესიის მხრიდან ჩარევები აქამდე თუ იყო ასატანი, ახლა ეს მეტისმეტია. ამიტომ მექნება საუბარი მეუფეებთან.

**— როგორ ფიქრობთ, გიორგი მარგველაშვილს დასჭირდება არჩევნების გაყალბება?**

— აბა, ისე ვინ აირჩევს?!

**— მის უკან ხომ ივანიშვილი დგას.**

— მისი რეიტინგი კატასტროფულად ეცემა. ვერ ხედავთ, პორნოფილმების ჩვენებაზე გადავიდნენ? თუ არ გააყალბა, ვერ გაიმარჯვებს. ნუ გადამრიეთ ახლა, ქართველი კაცი როგორ არის ასეთი დონის ბრიყვი, რომ მარგველაშვილს გაჰყვეს!

**— ქვეყნის განვითარების დამუხრუჭების მიზეზს რაში ხედავთ?**

— იმაში, რომ ივანიშვილმა თავისი მილიონები, რის გამოც ხალხმა აირჩია, არ ჩადო ეკონომიკაში.

**— ამას არც არასოდეს დაგვპირებია.**

— ქვეცნობიერად ხომ ამას გულისხმობდა მისი შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში? აბა, ახალი იდეა მას არ მოუტანია. ხალხმა მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ რასაც არ ეყოფოდა ბიუჯეტი, ის დაეხმარებოდა თავისი 7 მილიარდით, მაგრამ ამაზე უარს ამბობს. სამაგიეროდ ბიუჯეტიდან იქით მისდის მილიარდები, ანუ უკუღმა გააკეთა ის, რასაც ხალხი ელოდა.

**— თქვენი პარტიის პერსპექტივებზე ვისაუბროთ. არჩევნებამდე სტრატეგიაში რამეს ცვლით?**

— მოდებული ვართ ოკეანის იქით და აქეთ.

**— ანუ საგარეო პოლიტიკის გააქტიურებას გეგმავთ?**

— კი, იმიტომ, რომ ყოველთვის საგარეო ფაქტორი წყვეტდა საქართველოს ბედს და ამას დროულად ვერ მივაქციე ყურადღება.

**— ქვეყნის შიგნით რეიტინგს რითი აიმაღლებთ?**

— რეიტინგი ახლა ყველაზე მეტი მე მაქვს, რადგან საზოგადოება მიხვდა, რომ ყოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდი. ჩემზე მეტი რეიტინგი ვის აქვს — ნაცმოძრობას, პორნოსტუდია „ოცნებას“ თუ გარე ოპოზიციიდან რომელიმეს?

**— თუ ბოლო არჩევნების მონაცემებს დავეყრდნობით...**

— არავითარი არჩევნები არ ყოფილა 1 ოქტომბერს, ეს იყო ოცნება მწვანე დოლარზე და ამ ოცნებით დაბინდული ბევრი ადამიანი, მათ შორის — ჩემი ნათესავი, წავიდა და შემოხაზა პორნოოცნება. სხვათა შორის, პირველი არჩევნები იყო, რომ არ გამიყალბა არავინ. ჩვენ მოუსყიდველი 300 არაგველი გვყავს, რომელიც 30 ათასად იქცა!

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**



Cyan Magenta Yellow Black

# ვინ არის ქალი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს პრესკონფერენციებზე გვერდს უმშვენებს

## მანანა თოქმაჯიშვილი: „პრემიერმინისტრი ჩემს რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებს“



მანანა თოქმაჯიშვილი ის ახალგაზრდა ქალია, რომელსაც ყოველთვის ვხედავთ საქართველოს პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გვერდით, როცა ეს უკანასკნელი პრესკონფერენციებს მართავს. 25 წელია ჟურნალისტიკაშია, მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე არ იყო ე.წ. ცნობადი სახე. სამაგიეროდ მისი ხმა ბევრისთვის ნაცნობი, რადგან წლების განმავლობაში სხვადასხვა რადიოდან გვესმოდა.

მისი პროფესიული გზა „ახალგაზრდა კომუნისტის“ ეპოქაში დაიწყო. ბალღათელი გოგონა თავის თანატოლებზე წერდა და ამ გაზეთის რედაქციას უგზავნიდა. მერე კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იყო მრავალწლიანი მუშაობა რადიოებში, საიდანაც ასევე მრავალგზის განიცადა დევნა-შევიწროება. ახლა მის თანამდებობას „პრემიერმინისტრის მრჩეველი პრესასთან ურთიერთობის საკითხებში“ ჰქვია.

მანანა ორი ქალიშვილის დედაა — 18 წლის ნათიასი და 6 წლის მარიამის. მხატვარი ქმარი ჰყავს, ოთარ მეგრელიძე. ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი საოჯახო საქმეებს შინ ღამღამობით აკეთებს, თუმცა ხშირად სახლში მისულს მეუღლის გაკეთებული კერძიც ხვდება.

**— მანანა, მოგვიყევით, რა გზა გაიარეთ, სანამ საქართველოს პრემიერმინისტრის გვერდით აღმოჩნდებოდით.**

— დაახლოებით 25 წელია ჟურნალისტიკაში ვარ. სკოლაში ვსწავლობდი, როცა იმ დროისთვის ძალიან რეიტინგულ გაზეთში, „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავიწყე მუშაობა. სპეცკორესპონდენტი ვიყავი. ჩემს თანატოლებზე და მათ საქმიანობაზე ვწერდი. ეს ჩემთვის ახალი სამყაროს აღმოჩენა იყო. მივხვდი, რა ძალა ჰქონდა ჟურნალისტიკას. პოპულარობამაც წამათამამა და ეს მომეწონა. ამ ყველაფრის მიუხედავად, სკოლა რომ დავამთავრე, ჟურნალისტიკაზე არც მიფიქრია, ფილოსოფოსობა მინდოდა. ჩემს ოცნებას ახდენა არ ეწერა, რადგან ერთი ქულა დამაკლდა.

მეორე წელს რუსულ ფილოლოგიურზე ჩავაბარე და მერე გადავედი ქართულზე. რეზო სირაძის ლექციების კურსს დავესწარი და იმდენად მოვიხიბლე, რომ მივხვდი, რუსული ფილოლოგია აღარ მინდოდა. ლიტერატურის კრიტიკა იყო ჩემი ვიწრო სპეციალობა და სერიოზულად ვიყავი დაინტერესებული მეცნიერებით. ფოლკლორითაც ვიყავი გატაცებული. რამდენიმე სერიოზული ნაშრომიც გავაკეთე, შემოთავაზებაც მქონდა კათედრიდან.

ამ დროს გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ჩემმა მეგობარმა, დღეს უკვე წარმატებულმა მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმა, დამირეკა და მითხრა, ტელევიზიაში კონკურსი გამოცხადდა და მოდი, გავიაროთო. ეს იყო პირველი კონკურსი, რომელიც ტელევიზიაში ჩატარდა. მაშინ მხოლოდ „პირველი არხი“ იყო. თეონას ხათრით წავედი. ძალიან დიდი კონკურსი იყო „ალიონის“ რედაქციისთვის. უამრავი ადამიანი რომ დავინახე, ვიფიქრე, ამხელა რიგში არ ჩავდგები-მეთქი. მოტივირებული არ ვიყავი. შემთხვევით სიის თავში აღმოვჩნდი და ერთ-ერთი პირველი შევედი. მეორე ტურიც გავიარე და მესამეც. პირველად ვნახე მაშინ სტუდია. ასე აღმოვჩნდი ტელევიზიაში სტუდენტობის ბოლო წელს. ხუთნი აგვარჩიეს. ნაკაიძის წიწილებს გვეძახდნენ, რადგან პატარები ვიყავით და დათო ნაკაიძემ, რომელიც მაშინ მთავარი რეჟისორი იყო, ჩვენზე აიღო მეურვეობა და თქვა: „მე ამ ბავშვებისგან გამოვიყვანე!..“

საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე „ალიონში“ რეპორტიორად. მერე კი პირველ რადიოში გადავედი. ცოტა ხანს ვიმუშავე და მერე რადიო „აუდიენციაში“ გადავედი, ამის მერე — რადიო „იმედში“, სადაც ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის ყველაზე საინტერესო წლები გავატარე. სანამ ნონა ყანდიაშვილი არ გაუშვეს და როგორც ტელეკომპანია „იმედი“, ისე რადიო არ გადავიდა ჯოზეფ ქეის ხელში, იქ ვიყავი. სერიოზული

**„მოდის ჟურნალისტი, სვამს კითხვას და იმის იქით ვეღარ მიდის. ვერ ხსნის, რას ეფუძნება ეს კითხვა და რას გულისხმობს. ზუსტად ამიტომ მოსდის ხოლმე ბატონ ბიძინას კამათი ჟურნალისტებთან. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პოლემიკის მცდელობა და მეტი არაფერი“.**

ცენზურა დაიწყო, არ მქონდა სტუმრის შერჩევის უფლება. მეუბნებოდნენ, თუ არ მოგწონს, განცხადება დაწერეო. მაშინ მედიაში საგანგაშო პროცესები მიდიოდა. მაშინდელმა სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა გვითხრა, ვერ დაგაძალებთ, რომ გამოხვიდეთ და ამის შესახებ საჯაროდ თქვათ, თქვენ გადაწყვიტეთ, რას იზამთ, რადგან სამსახურის დაკარგვა ადვილი არ არისო. მაინც გამოვედით მე და ნინო ცხვარაშვილი, ყველას გავაგებინეთ, რომ ასეთი პრობლემა არსებობდა და კოლეგებსაც მოვუწოდეთ, ღიად ესაუბრათ ამაზე. ამის შემდეგ ჯერ დაკითხვა-სასამართლო მოგვიწყვეს და შემდეგ საერთოდ გამოგვიშვეს. გვითხრეს, როგორ შეიძლება, რაც რედაქციაში ხდება, გარეთ გაიტანოთო. რაც იქ ხდებოდა, მხოლოდ ერთი რედაქციის პრობლემა არ იყო, ეს ქვეყნის პრობლემა გახლდათ.

ამის შემდეგ ცოტა ხანში რადიო „კომერსანტში“ დავიწყე მუშაობა. პირველ რადიოში „პიკის საათის“ პროდიუსერადაც ვიმუშავე, ვიდრე ჩემმა იქ ყოფნამ პრობლემები არ შეუქმნა იქაურ ხელმძღვანელობას. სულ რაღაც 6 თვეში თავიდან გამოაცხადეს კონკურსი, მაგრამ მაშინ ხმაური არ ამიტეხია, ისე წამოვედი და ისევ „კომერსანტს“ დავუბრუნდი, სადაც კომერციულ პროექტებზე ვმუშაობდი.— ასე მოვედი 2011 წლის ოქტომბრამდე. როგორც ყველამ, მეც ტელევიზიით მოვისმინე ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ პოლიტიკაში მოსვლას აპირებდა და სხვების მსგავსად მეც იმედით განვეწყვე. მაშინ შემომთავაზეს მის პრესსამსახურში მუშაობა.

**— ეს შემოთავაზება ივანიშვილის პრესსამსახურის უფროსის, ნონა ყანდიაშვილისგან მოდიოდა?**

— დიახ. მე და ნონას არამხოლოდ თანამშრომლობა, მეგობრობაც გვაკავშირებს, წლებია ერთად ვართ. რადიო ერთად შევქმენით და იმან თუ ლომის წილი ჩადო, მე ჩემი სული და გული არ დავიშურე. არც მიფიქრია ამ შემოთავაზებაზე უარის თქმა. ბატონი



■ მანანა თოქმაჯიშვილი და ბიძინა ივანიშვილი

ბიძინა, რა თქმა უნდა, არ მიცნობდა. ახლა კი პრესსამსახურის მრჩევლის სტატუსი მაქვს. პრესკონფერენციებზე, ასე ვთქვათ, მოდერატორობას ვუწევ პრემიერმინისტრს.

**— როგორ აეწყო თქვენი და ბატონი ბიძინას ურთიერთობა?**

— ძალიან მარტივად, რადგან წარმოუდგენლად უშუალო ადამიანია. როგორც კი მივედი, იმ დღესვე მოვიდა, გამეცნო, მადლობა გადამიხადა, რომ ქვეყნის სამსახურში გადავწყვიტე ყოფნა.

**— როცა ჟურნალისტებს არცთუ კორექტულად მიმართავს ხოლმე და მერე ეს საჯარო განხილვის საგანი ხდება, რას ურჩევთ, როგორც მრჩეველი?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ არაკორექტულია. ამ ადამიანს უყვარს კამათი და პოლემიკაში შესვლა. შეიძლება უცხო თვალით სხვანაირად ჩანს, მაგრამ, რადგან მე კარგად ვიცნობ, ვიცი, რომ ცდილობს, ჟურნალისტებმა გაიგონ, თუ რისი თქმა უნდა. მოდის ჟურნალისტი, სვამს კითხვას და იმის იქით ვეღარ მიდის. ვერ ხსნის, რას ეფუძნება ეს კითხვა და რას გულისხმობს. ზუსტად ამიტომ მოსდის ხოლმე კამათი ჟურნალისტებთან. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პოლემიკის მცდელობა და მეტი არაფერი.

პრემიერს ყოველთვიური შეხვედრა აქვს ჟურნალისტებთან ვრცელი ფორმატით. ეს პრესკონფერენციები 3 საათი გრძელდება და, მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, დავასრულოთ-მეთქი, ბატონი ბიძინა ცდილობს, კითხვის დაუსმელად არავინ გაუშვას. არის შემთხვევები, როცა შეხვედრის დასრულების შემდეგაც მიდიან მასთან ჟურნალისტები და დამატებით პასუხების მიღებას ცდილობენ ან პირდაპირ უთანხმდებენ ინტერვიუებს. საკმარისია, თხოვნა დააწერონ მიმავალ



Cyan Magenta Yellow Black

პრემიერს, რომ ის აუცილებლად მობრუნდება და მათ უპასუხოდ არ დატოვებს. წინასაარჩევნო პერიოდშიც კი, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე აგრესიული მედია ხვდებოდა, უარი არ უთქვამს, მათი შეკითხვებისთვის ეპასუხა.

ბატონ ბიძინას არ აქვს პრობლემა, რომ უნივერსალურია და ყველაფერი იცის. რაც ჩვენს სფეროს ეხება, რა თქმა უნდა, რჩევებს გვეკითხება და ითვალისწინებს კიდეც. პირიქით, უხარია ხოლმე, როცა რამე რჩევას ვაძლევთ, გულწრფელად გეუბნებით! ეს არის არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელმაც ისეთი არაჩვეულებრივი რამ გააკეთა, რომელსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი ვერც მე და ვერც სხვა — საშინელი რეჟიმი შეცვალა. ბოლოს ბიზნესრადიოში ვიყავი, პოლიტიკას არანაირად ვეხებოდი და ჩემს ოჯახზე მაინც იყო ზეწოლა.



■ მარიამი და ნათია

— **რა სახის ზეწოლა იყო?**

— ჩემი მეუღლე მხატვარია, ძალიან შემოქმედებითი ადამიანია. სახელოსნო აქვს და თავისთვის მუშაობს. ბოლოს ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს, უბნის ინსპექტორი მიუგზავნეს, რომელმაც უთხრა, საეჭვო პირთან ურთიერთობაში შეგამჩნიეთ, კორპუსთან იდექით და შავებში ჩაცმულ მამაკაცს ესაუბრებოდით, რომელსაც ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა, მეორეში სამი კვერცხი ეჭირა და გვერდით პატარა ბავშვი ჰყავდა; ეს კაცი იძებნება და უნდა მითხრათ, ვინ იყო, თორემ პრობლემები შეგექმნებათო. სერიოზული დაკითხვა მოუწყვეს. სასაცილოა, რომ ადამიანი, რომელიც იძებნება, ბავშვთან ერთად დადის ქუჩაში. ეს იყო დაშინება — ჭკუით მოიქეცით, თორემ დაკითხვებზე დაგიბარებთო. თავიდან გავიცინეთ, მაგრამ მერე მივხვდით, რომ სახუმაროდ არ იყო საქმე.

— **18 წლის შვილი გყავთ. ადრე გათხოვდით?**

— დიახ. კინოსტუდიაში მოხალისე სცენარისტად მივედი და იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ხშირად დადიოდა იქ მყოფ მხატვრებთან და იქვე ცხოვრობდა. ერთხელ თავის სახელოსნოში დამპატიჟა და თავისი ნახატები დამათვალიერებინა. ის პერიოდი გავიარეთ, ჯერ რომ მეგობრობ, მერე სიყვარულში გადადის და ბოლოს ქორწინებით დავასრულეთ. არ ვიქნები სუბიექტური, თუ ვიტყვი, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ხელწერის, თვითმყოფადი მხატვარია.

— **ჯერ მისი შემოქმედება შეგიყვარდათ თუ ჯერ თვითონ და მერე შემოქმედება?**

— შემოქმედება იმის გაგებაში გეხმარება, როგორი ადამიანია. საკმაოდ საინტერესო მხატვარი ვიპოვე და მივხვდი, რომ საინტერესო ადამიანთან მქონდა საქმე. შინაგანი იმპულსია, როცა ქალი კაცს დაინახავს, კაცი — ქალს და მიხვდებიან, რომ ერთმანეთისთვის არიან გაჩენილი. ეს უნდა იგრძნო. როცა გავყევი, ჩემს ქმარს 18 კვადრატული მეტრი ფართობის სახელოსნო ჰქონდა და კარგახანს იქ ვცხოვრობდით. მერე კი ძლივს მოვახერხეთ ბინის ყიდვა. მაშინ ასე ხდებოდა, ჩემი მეგობრებიც გრძნობით გათხოვდნენ და არა — გონებით. მოგწონდა, გიყვარდა და მორჩა! მერე გავიგე, რომ ოთარს დედა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჰყავდა და ინტელექტუალური ოჯახიდან იყო.

— **შვილებსაც გამოჰყვათ მამის ნიჭი?**

— ჩემი უფროსი შვილი, რომელიც წელს აბიტურიენტია, სამხატვრო აკადემიაში აბარებს. პატარასაც რომ ვეკითხები, ვინ გინდა გამოხვიდე-მეთქი, მეუბნება, მხატვარიო.

— **ქმარს თქვენი პორტრეტები დაუხატავს?**

— კი, ჩემი რამდენიმე პორტრეტი აქვს შესრულებული და ერთი განსაკუთრებით მიყვარს. ჩემი ხასიათი, განწყობა აქვს დაჭერილი.

— **როგორი ხასიათი გაქვთ?**

— როცა საჭიროა, მკაცრიც ვარ და ჯიუტიც. კარგი თვისებებიც მაქვს და ცუდიც. ბოროტება არ ჩამიდენია, ცუდი არც გულში გამივლია. მადლობა უფალს, არასოდეს გამჩენია იმის სურვილი, რომ ცუდზე ცუდით ვუპასუხო და სამაგიერო გადავუხადო. ეს ალბათ ცოტა — გენეტიკის და მეტი — აღზრდის დამსახურებაა.

— **ცუდ თვისებებს შორის რომელი გაწუხებთ?**

— უეცარი გაბრაზება და ხშირად მინანია, რომ ჯობდა, ეს არ გამომეხატა და გონებით მემოქმედა, ვიდრე ემოციით, მაგრამ რას ვიზამთ, ბუნება გძალავს და იმ წუთში საკუთარ თავს ვერ აკონტროლებ. კონფლიქტი მშლის, მანადგურებს. მირჩევნია, რაღაც დავთმო, ვიდრე ვიჩხუბო. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არ გამომდის.

— **როცა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამთ, მეუღლესთან ათანხმებთ თუ დამოუკიდებლად იღებთ გადაწყვეტილებას?**

— ჩვენ იდეურ-მორალური თანხმობა გვაქვს და აზრთა სხვადასხვაობა არასოდეს გვქონია. თვითონ შემოქმედია და იცის თავისუფლების ფასი. ხელს მიწყობს, რომ ჩემს პროფესიაში ბოლომდე განვვითარდე. როცა ივანიშვილის

**„სამი დედმამიშვილი ვიყავით და შეიძლება რაღაცეები გვაკლდა, მაგრამ მთავარი გვქონდა — სიყვარული. ზნეობრივ-მორალური ტრადიციებით გვზრდიდნენ, რომლებსაც დღეს კომპლექსებს ეძახიან. მე ამ „კომპლექსებმა“ მაქცია პიროვნებად და ამის არ მრცხვენია“.**

პრესსამსახურში მუშაობა შემომთავაზეს, პირველ რიგში, მეუღლეს ვკითხე აზრი.

— **დედობა და ჟურნალისტობა თანაბრად კარგად გამოგდით თუ ერთ-ერთი საქმე ზარალდება?**



■ ქმრის მიერ დახატული პორტრეტი

— მგონი, მთლად კარგი დედა ვერ ვარ. უფროსი გოგონა მისაღები გამოცდებისთვის დავარეგისტრირეთ, მაგრამ თურმე სამხატვრო აკადემიაში ცალკე რეგისტრაცია უნდა გაიარო, რომ შემოქმედებით ტურზე მოხვდე. ეს ბოლო დღეს გავიგე სრულიად შემთხვევით და ძლივს მივასწარით. საკუთარ თავს ვერ ვაპატიებდი, ბავშვს აკადემიაში მოხვედრის შანსი რომ არ დარჩენოდა. ჩემმა შვილმა ისე დაამთავრა სკოლა და მედალოსანიც გახდა, რომ ბოლო 4-5 წელია სკოლაში არ ვყოფილვარ. მხოლოდ მის დამრიგებელს ვეკონტაქტები ტელეფონით. ზოგჯერ უთხოვია, მოდი, რა, ჩაიბარე, მინდა, რაღაც გადავამოწმოო და მე თავი ამირიდებია. ძალიან მრცხვენია, რომ ყურადღებიანი დედა არ ვარ და მართლა გამართლებაა ასეთი კარგი შვილი. გარეგნულადაც მგავს და ხასიათითაც. მეც მოწესრიგებული და მოტივირებული ვიყავი, მაგრამ უფრო ჩაკეტილი. ჩემი შვილი კი გახსნილია.



■ მანანას ქმარ-შვილი

**„როცა გავთხოვდი, ჩემს მეუღლეს 18 კვადრატული მეტრი ფართობის სახელოსნო ჰქონდა და კარგახანს იქ ვცხოვრობდით. მაშინ ასე ხდებოდა, ჩემი მეგობრებიც გრძნობით გათხოვდნენ და არა — გონებით. მოგწონდა, გიყვარდა და მორჩა!“**

— **თბილისში გაიზარდეთ?**

— არა, ბაღდათში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იქ გავატარე. დიდ ოჯახში, ბებია-ბაბუების გარემოცვაში, სიყვარულით ვიზრდებოდი. სამი დედმამიშვილი ვიყავით და შეიძლება რაღაცეები გვაკლდა, მაგრამ მთავარი გვქონდა — სიყვარული. ზნეობრივ-მორალური ტრადიციებით გვზრდიდნენ, რომლებსაც დღეს კომპლექსებს ეძახიან. მე ამ „კომპლექსებმა“ მაქცია პიროვნებად და ამის არ მრცხვენია.

— **ოჯახში დიასახლისის უნარ-ჩვევებსაც გასწავლიდნენ და გაჩვევდნენ?**

— ყველაფრის კეთება ვიცი და მეხერხება. სახლში ყველაფერს მე ვაკეთებ. პატარასთვის მყავს ძიძა, დანარჩენი საქმე კი ჩემზეა. ზოგჯერ ვასწრებ, ზოგჯერ — ვერა. ყველაფერს გვიან ღამით ვაკეთებ. სადილს შუაღამეზე ვამზადებ, რადგან დილით 9 საათიც არ არის, სახლიდან რომ გავდივარ და გვიან ვბრუნდები.

— **თვალები მუდამ გიბრწყინავთ, ბედნიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ.**

— ნამდვილად ბედნიერი ვარ. პირველ რიგში, ოჯახით და მერე იმით, რასაც ცხოვრებაში მივაღწიე თუ ვერ მივაღწიე. რასაც ვერ მივაღწიე, იმისთვისაც მადლობელი ვარ.

— **ეკრანზე პატარა გოგოს ჰგავხართ, ვერავინ იფიქრებს, რომ 18 წლის შვილი გყავთ.**

— ასაკი არ მკითხოთ. უკვე იმ ასაკში ვარ, როცა წლოვანებას მალავენ. რაც შეეხება თავის მოვლას, ბევრს არაფერს ვაკეთებ. გენეტიკა მშველის. მამის გენეტიკური ხაზი მაქვს კარგი. ასაკი არც მამას ეტყობოდა. ჩემი უფროსი შვილიც თავის ასაკზე პატარას ჰგავს და ამას განიცდის, ყველას 14-15 წლის ვგონივარო. წელიწადში ორჯერ კოსმეტოლოგთან კი დავდივარ, რომ სახე გავიწმინდო და კანის მოვლის საშუალებებსაც ვხმარობ, მაგრამ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. თმა არასოდეს შემიღებავს, ერთი ღერი თეთრი თმაც არ მაქვს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# რატომ ტიროდა თიკა ჯამბურიას ქორწილში მისი უფროსი და

## „ჩემს დას ისე უნდოდა, გოგო ჰყოლოდა, რომ მე გავუჩინე“



მომღერალ თიკა ჯამბურიას ორი უფროსი და თავზე დაჰფოფინებს, მასზე დედობრივ მზრუნველობას იჩენენ. ია თიკაზე 13 წლით უფროსია, ნინო კი — 4 წლით. უმცროს დაზე ორივეს დიდი ამაგი აქვს, თიკას მომღერლად ჩამოყალიბებასა და მის პოპულარობაშიც მათ მიუძღვით წვლილი. კარგად ახსოვთ ის დღე, როცა პატარა თიკა სამშობიაროდან სახლში მიიყვანეს... სამ დას რადიკალურად განსხვავებული ხასიათები ხელს არ უშლის, ერთმანეთს გაუგონ. თიკას თქმით, ია ძალიან დამთმობი, გულჩვილია და ნაბოლარა დაიკო ხანდახან თავის ჭკუაზეც ატარებს. ნინოსთან კი ეს არ გასდის, ამიტომ ხუმრობით დედინაცვალს ეძახის. ვერც ჩვენთან ინტერვიუზე დაითანხმა. იამ კი თიკას ბავშვობა, თავიანთი ოჯახის ამბები „სარკესთან“ სიამოვნებით გაიხსენა.

ჯამბურიების ოჯახში ოთხი შვილიშვილია, ია ერთი შვილის დედაა, ნინო — ორის, თიკას გოგონას კი ყველა ერთად ანებივრებს.

**— ია, გაიხსენეთ ის დღე, როცა თიკა პირველად ნახეთ. როგორ შეხვდით დები ახალშობილს?**

**ია**: მახსოვს, თიკა სამშობიაროდან სახლში რომ მოიყვანეს, მაღალი ტემპერატურა მქონდა. მას შემდეგ ჩვენს ოჯახში სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. მე არ ვეჭვიანობდი, ნინო კი ძალიან განიცდიდა თიკას არსებობას. ამბობდა, სახლში მოდაში აღარ ვარო. გარკვეული დროის შემდეგ თოჯინებიდან დის მოვლა-პატრონობაზე გადავინაცვლეთ. მე და ნინო სულ ვკამათობდით, ვინ გაასეირნებდა, ვინ დაბანდა, ვინ დააძინებდა, ვინ დაუუთოვებდა კაბებს და ასე შემდეგ.

**თიკა**: იას და ნინოს მანსარდში თავიანთი ოთახი ჰქონდათ მოწყობილი, თავიანთი საიდუმლოებები გააჩნდათ. მათი მშურდა და მინდოდა, მეც დიდი ვყოფილიყავი.

**— რა საერთო თვისებები გაქვთ დებს?**

**თიკა**: სამივე და ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით. ია ძალიან მშვიდი, წყნარი, კეთილი ადამიანია. მე და ნინო აქტიურები და ზედმეტად ემოციურები ვართ. გარკვეულწილად, იას და ნინოს ნაზავიც ვარ. რაღაც თვისებები ერთისგანაც მაქვს აღებული და მეორისგანაც. იას უყვარს კითხვა, ქარგვა, ხატვა, ჩვენი სახლის კედლებს მისი ნაქარგები ამშვენებს. ძალიან კარგი დედაა. ია არის ჩემი ნამდვილი და, ნინო კი ჩემი დედინაცვალია... (იცინიან).

**— „დედინაცვლობას“ რაში ამჟღავნებს?**

**თიკა**: მე და ნინო სულ ვჩხუბობთ. მის სამოსს არ უნდა შევეხო, არადა ნინო ჩემი ტანსაცმლით „გაიზარდა“. ია კი უპრობლემოა, გულს ამოიღებს და მომცემს, ძალიან დამთმობია. ნინოსთან საქმე რთულადაა, ამიტომაც ერთხელ ვუთხარი, შენ ჩემი დედინაცვალი ხარ, ია კი ჩემი ნამდვილი დაა-მეთქი.

**— ია, უმცროსი დის პოპულარობა თქვენზეც ვრცელდება?**

**ია**: რა თქმა უნდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში პატარებს ინგლისურ ენას ვასწავლი და სამსახურში ხშირად მომიხსენიებენ, როგორც თიკას დას, მასთან მოკითხვას ხშირად მაბარებენ. თიკა 5 წლის იყო, ანსამბლ „მზიურში“ რომ მივიყვანეთ. იმდროინდელ ჩანაწერებს რომ ვუსმენ, ახლაც გული მიჩუყდება და მეტირება. მისი სიმღერები გულს ისე ხვდება, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებ. თიკა სულ შრომობდა. მის მუსიკალურ კარიერაში ნინო იყო ჩართული. ნინო პატარა ასაკიდან მართავს მანქანას და თიკა ყველგან მას დაჰყავდა.

> **ია: „თიკას დაბადების შემდეგ ჩვენს ოჯახში სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. მე არ ვეჭვიანობდი, ნინო კი ძალიან განიცდიდა თიკას არსებობას. ამბობდა, სახლში მოდაში აღარ ვარო“.**

**თიკა**: ახლა რასაც ვიტყვი, ჩემი მასწავლებლები რომ წაიკითხავენ, გაგიჟდებიან! სკოლაში საკონტროლო წერა რომ მქონდა, გავიჩეჩავდი თმას, გავიკეთებდი ყურსასმენებს, იას ვურეკავდი და ამა თუ იმ თემაზე ვეკითხებოდი. ისიც მკარნახობდა და საკონტროლოებს ასე ვწერდი. ია ისეთი განათლებულია, მისი ცოდნის მარაგი რომ მქონდეს, პრეზიდენტი ვიქნებოდი.

**ია**: თიკას სულ ვურჩევ საინტერესო წიგნებს. მას კარგი ბიბლიოთეკა აქვს.

**— თქვენი წყალობით, თიკამ ალბათ ინგლისური ენა კარგად იცის.**

**ია**: კი, როგორ არ იცის, უბრალოდ მინდა, უკეთ იცოდეს. კერძო მასწავლებელი ჰყავდა, ჩემთან არ მეცადინეობდა. ყოველთვის მთხოვდა, მის ნაცვლად დავალებები მე გამეკეთებინა. როგორც უფროსი და, უარს ვერ ვეუბნებოდი.

**— თიკა, ია თუ მღერის?**

**თიკა**: ოჯახში ვმღერით — მე, დედა და ნინო. მამა და ია კი საერთოდ ვერ მღერიან, არადა ისე უყვართ, სულ მღერიან, მაგრამ ვაი, ამ სიმღერას. ხომ არიან ადამიანები, რომელთაც ხმა აქვთ და სმენა — არა ან პირიქით? მამას და იას არც ხმა აქვთ და არც სმენა, მაგრამ მაინც მღერიან. ტექსტით თუ გაარჩევ, რას ღიღინებენ. ერთ-ერთ პრივატლონისძიებაზე ია ჯგუფ „ქართულ ხმებს“ სიმღერის დროს აჰყვა. ერთმა გამოხედა და უთხრა, ქალბატონო, არ ღირს, ნუ იხარჯებითო... (იცინიან).

**— ია, მაშინ რა რეაქცია გქონდათ, როცა თქვენს ხელში გაზრდილმა თიკამ გათხოვება გადაწყვიტა?**

> **თიკა: „ია არის ჩემი ნამდვილი და, ნინო ჩემი დედინაცვალია“.**

**ია**: თიკას პირად ცხოვრებაში არასოდეს ვეძიები. მას თუ არ სურს საუბარი, კითხვებს არ ვუსვამ. თიკამ ყოველთვის იცის, რომ მის მოსასმენად ნებისმიერ დროს მზად ვარ. შემიძლია დილიდან საღამომდე ვუსმინო. რაც შეეხება ბექას (თიკას ყოფილი ქმარი ბექა ხოფერია. ავტ.), მას ვუყურებდით, როგორც ბავშვს, რომელიც ჩვენს ოჯახში იზრდებოდა. ჩვენთან ხშირად მოდიოდა და ყველას ძალიან შეგვიყვარდა. როცა დაქორწინება გადაწყვიტეს, ეს არ იყო მოულოდნელი ამბავი ჩემთვის. ქორწილში ძალიან ვიტირე.

**თიკა**: ია ძალიან გულჩვილია.

**ია**: თიკა ლაღია, არასოდეს იმჩნევს უხასიათობას, მე კი არ გამომდის.

**თიკა**: ჩემს ცუდ განწყობას არავის ვახვევ თავს. როცა რთული პერიოდი მქონდა ცხოვრებაში, მაშინ მივხვდი, რომ, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ გამომიყვანდა მდგომარეობიდან.

**— თიკას გოგონას, პატარა ნინას, დეიდები ანებივრებენ?**

**ია**: აი, ნინა სულ სხვა ფენომენია ჩემთვის. ის ახლა წყნეთშია. ტირის, დედა თუ არ მოდის ჩემთან, ია მაინც მოვიდესო.

**თიკა**: იას ისე უნდოდა, გოგო ჰყოლოდა, რომ ნინა გავუჩინე.

**ია**: ნინას რომ ვუყურებ, ზუსტად ისეთი განცდა მაქვს, როგორიც საკუთარი შვილის მიმართ. თიკა ძალიან თბილი დედაა. მგონია, რომ შვილის მიმართ სიმკაცრეს არც მომავალში გამოიჩენს.

**თიკა**: სამი დისშვილი მყავს, ნინო ორი შვილის დედაა, ია — ერთის. იას შვილი ჩემი მშობლებისთვის პირველი შვილიშვილია. ამდენ გოგოში პირველი ბიჭია ოჯახში, პრინციპით ვექცეოდით. ულამაზესი ბავშვი იყო. დღეს კი ეს პატარა პრინცი ჩემზე მაღალი და ჩემზე მეტად აზრზე მოსული ტიპია. ის მართლა ჩემს ხელში გაიზარდა. კალათბურთელია, დეიდა თიკა მშობელთა კრებაზე დაჰყვება და კარგი მეგობრები ვართ.

მინდა, მოგიყვეთ იას ქორწილის ამბები. მართალია, მაშინ საბავშვო ბაღში დავდიოდი, მაგრამ ყველაფერი დეტალებში მახსოვს, ისიც კი, თუ რა მეცვა. ქორწილში დავპატიჟე ბაღის ჯგუფელები, ვიცეკვე ტანგო, ვიმღერე. მახსოვს, მამა როგორ ნერვიულობდა იას გათხოვების გამო, ისიც მახსოვს, როგორ „დავაწყნარე“, მამა, არ ინერვიულო, ძალიან მალე მე გავთხოვდები და მერე ნინოც გამომყვება-მეთქი. არ დაგავიწყდეთ, მაშინ 5 წლის ვიყავი... (იცინიან).

**— თიკას ოჯახის დანგრევა დღემდე სალაპარაკო თემაა. არავის ეგონა, დიდი სიყვარულით დაწყებული ურთიერთობა ასე მალე თუ დასრულდებოდა.**

**ია**: რასაკვირველია, ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო ამ ამბის გადატანა. ნინა ახალი გაჩენილი ჰყავდა, თიკას ძალიან ემოციური პერიოდი ჰქონდა. ყველა ერთად დავუდექით გვერდით — დები, მეგობრები, მშობლები. ამით არ მთავრდება ყველაფერი. ვიცი, მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. ადამიანი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს. თიკამ ძალიან პატარა ასაკში შექმნა ოჯახი.

**თიკა**: შენც ძალიან პატარა გათხოვდი. დედაც არ იყო დიდი, მამას რომ ცოლად გაჰყვა. ამიტომ ჩვენს ოჯახში ადრე გათხოვება უცხო არ არის.

**ია**: იმ ასაკში მე არ ვიყავი მზად ოჯახის შესაქმნელად, თიკა კი იყო. მას კარგი ოჯახი ექნებოდა, კარგი დედაა და კარგი ცოლი იყო.

**— თიკა, თქვენს ცხოვრებაში ახალი ურთიერთობა არ დაწყებულა? რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ბიჭთან ერთად გადაღებული თქვენი ფოტოები, რასაც ჭორებიც მოჰყვა. რა ხდება, სიყვარული გეწვიათ?**

**თიკა**: რა სისულელეა! არავითარი სიყვარული! 22 წლის ვარ და ამ ეტაპზე სერიოზულ ურთიერთობას არავისთან ვაპირებ, გათხოვებას — მით უმეტეს! გათხოვება არ მინდა! წლების შემდეგ, როცა ღირსეული პიროვნება გამოჩნდება ჩემს ცხოვრებაში, ხელმეორედ მაშინ შევქმნი ოჯახს. აბა, პირველ ქორწინებას ხომ არ გადავყვები?!

**— სამზარეულოში რომელი ჯობიხართ?**

**ია**: თიკა ძალიან კარგი მზარეულია, გურმანია და გემრიელი საჭმელებიც გამოსდის. ერთ-ერთ ჩემს დაბადების დღეზე ყველა კერძი თიკამ გააკეთა და ყველაფერი ბრინჯით შეაზავა... (იცინიან). ნინო პროფესიონალი კულინარია, მან ყველა ქვეყნის სამზარეულო იცის და უგემრიელეს სადილებს ამზადებს, მის ფონზე იმის თქმა, რომ მე კარგ აჯაფსანდალს ვაკეთებ, უხერხულია.

✓ **ლანა კიკნაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# კომედი შოუს ქალები სასიძოზე კასტინგს აცხადებენ



■ მარცხნიდან: თამუნა, თათია და ეკა

„მივმართავთ ბიჭებს: ეკას გულისკენ გზა ნაყინზე გადის!“

„კომედი შოუს“ ქალების — თამუნა ლეკვეიშვილის, თათია სულუაშვილის და ეკა აბშილავას ურთიერთობა უკვე დიდი ხანია თანამშრომლობიდან დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. მომავალში რა იქნება, არ იციან, მაგრამ დაქალები ნათელმირონობას არ გამორიცხავენ. ამჟამად თათიასა და თამუნას ყველაზე დიდი პრობლემა ეკას გათხოვებაა. კარგ სასიძოს ეძებენ. როცა მეგობრებთან ინტერვიუს ჩაწერას შევუდექით, იმ პერიოდის გახსენებით დაიწყეს, როცა მათი ურთიერთობა ყალიბდებოდა.

**თამუნა**: „კომედი შოუს“ ჯგუფში სულ პირველად მე ვიყავი, მერე მოვიდა თათია, ჩამაბარეს და მეც ჩავიბარე, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. სამი წელია, რაც ეკა აბშილავაც შემოგვიერთდა.

**თათია**: ეკა უკვე მე ჩავიბარე.

**ეკა**: ამის მერე ჩვენს გუნდში მოსულ გოგოს მე ჩავიბარებ და ვუპატრონებ!

**— თავიდანვე კარგად გაუგეთ ერთმანეთს?**

**თათია**: არა, თავიდან თამუნასგან ერთი-ორი მომხვდა.

**თამუნა**: თავიდან მე და თათია როლებისთვის ერთმანეთს ვხოცავდით. მიხვდით ალბათ, რომ ვხუმრობ. მსგავსი სიტუაციები არასდროს გვქონია.

**ეკა**: არ გაინტერესებთ, რატომ? ჩვენს გუნდში ყველას თავისი საქმე აქვს, თავისი ტიპაჟი ჰყავს და ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს.

**თამუნა**: თათია რასაც აკეთებს, იმას ვერც მე ვითამაშებ და ვერც ეკა, ან პირიქით, ჩვენ რასაც ვასრულებთ, იმას თათია ვერ გააკეთებს.

**თათია**: თამუნა როგორც იმღერებს, მე ისე ვერ ვიმღერებ.

**— როგორ შეარჩიეთ სახელი თქვენი ჯგუფისთვის — „ბოტოქსი გერლზ“? ბოტოქსი თქვენთვის აქტუალურია?**

**თამუნა**: მართალია, ბოტოქსთან ჯერჯერობით არანაირი კავშირი არ გვაქვს, მაგრამ ჯგუფს რატომღაც ეს სახელი დავარქვით.

**თათია**: ყველაფერი შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში და ოდესმე ბოტოქსთანაც გვექნება შეხება.

**— თამუნა, როგორც ვიცი, თქვენ კონსერვატორია გაქვთ დამთავრებული, ეკას და თათიას მუსიკალურ მონაცემებს როგორ აფასებთ?**

**თამუნა**: სმენა ორივეს აქვს, მაგრამ მათი სასიმღერო ტემბრი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. სიმღერას სანამ ჩავწერთ, სირთულის მიხედვით ნაწილდება, ვინ რა ფრაზას იმღერებს.

**თათია**: მე არ მაქვს იმის პრობლემა, რომ აუცილებლად თამუნასნაირად უნდა ვიმღერო. ეს მე არც მევალება. ძირითადად სახასიათო, ძლიერი ხმის გამოშვება მჭირდება, ვეფხვის ან ლომის ბღავილი.

**ეკა**: სმენა მაქვს, უბრალოდ ხმას უნდა დამუშავება.

**— მაინც დაუჯერებელია, რომ სამი ქალი იყოს ერთ შოუში და კონკურენცია არ ჰქონდეთ. ასე ადვილად „იშოვება“ როლები?**

**თამუნა**: როგორც გითხარით, ჩვენთან ყველას თავისი როლი აქვს და ალბათ კონკურენციაც ამიტომ არ იგრძნობა და ვმეგობრობთ, ხომ?

**ეკა**: მთლად მაგას ნუ დავაბრალებთ ახლა!

**თამუნა**: ამას რაღაც აქვს გულში და არ ამბობს! კონკურენცია რომ იგრძნობოდეს და გულში ბოღმები გვახრჩობდეს, ასე ვერ ვიმეგობრებდით. ჩვენ შორის იმ დოზით არის კონკურენცია, რაც საქმის კეთებისთვის გვჭირდება.

**თათია**: ბოღმიანობა და გულქვაობა ჩვენგან შორს!

**თამუნა**: ერთმანეთს ხშირად ვეხმარებით სხვადასხვა საკითხში. ეს დახმარება ძირითადად საგრიმიოროში და გარდერობში ჩანს.

**ეკა**: სკეტჩისთვის ტანსაცმელიც ხშირად შეგვირჩევია ერთმანეთისთვის და თათიასთვის როლთან დაკავშირებით რჩევებიც არაერთხელ მიკითხავს.

**— ტანსაცმელი თქვენია თუ სტუდიის?**

**თათია**: ჩვენი გარდერობი გვაქვს, სადაც ყველანაირი ტიპაჟისთვის საჭირო ტანსაცმელი ინახება. ასე რომ, სახლებიდან სამოსის მოტანა არ გვიწევს.

**— საერთო გარდერობიდან ტანსაცმელს როგორ ინაწილებთ, არც ამაზე მოგდით ჩხუბი?**

**თამუნა**: იმდენად სხვადასხვა ტიპები ვართ, რომ მე რაც მიხდება, ესენი არ იცვამენ და პირიქით. სამივეს სხვადასხვა გემოვნება გვაქვს.

**— როცა შესაფერისი განწყობა არ გაქვთ, ძნელია კომედიური სკეტჩის თამაში?**

**თათია**: როცა ვსუქდები, ფორმიდან მთლიანად ვვარდები, მით უმეტეს, ჩაწერის დროს. თუ შევამჩნიე, რომ წონაში ცოტა მომატებული ვარ, ვერაფერს ვაკეთებ. ჩემს ხასიათზე ზედმეტი კილოგრამები ძალიან მოქმედებს. შეიძლება განწყობა მოღრუბლულმა ამინდმაც გამიფუჭოს, მაგრამ ისეთი სამსახური გვაქვს, ჩვენი ცუდი განწყობები უნდა გადავინახოთ.

**თამუნა**: რაღაც მოტკეცილი რომ გაცვია, სარკეში ჩაიხედავ და არ მოგწონს, ხასიათიც გიფუჭდება და ფორმიდანაც ვარდები.

**ეკა**: მე შეიძლება ფორმიდან მაშინ ამოვვარდე, როცა როლზე ვნერვიულობ. გადაცემის ჩაწერის დროს განწყობა ძალიან მიშლის ხელს. ცუდ ხასიათზე ხშირად არ ვარ, როცა საპასუხისმგებლო სკეტჩი მაქვს, მაშინ ძალიან განვიცდი.

**— სამსახურის გარეთ გრძელდება თქვენი მეგობრობა, მაგალითად, ოჯახებში?**

**თამუნა**: ეკა რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა! ჩემს ბავშვებს ის უვლის.

**თათია**: ჩემთვის ეკას დედას ბევრჯერ უთქვამს, შვილო, ბავშვი დამიტოვე და სადაც გინდა, წადიო. მეც არ მომრიდებია, დამიტოვებია ჩემი ქმარ-შვილი და წავსულვარ.

**თამუნა**: ეს ყველაფერი ხუმრობით იყო და ისე, ჩვენი გრაფიკიდან გამომდინარე, ზომიერად თუ ვახერხებთ მიმოსვლას. ოჯახებით ძალიან გადაბმულები ნამდვილად არ ვართ.

**— თამუნას დედამთილი არ ჰყავს, ამიტომ, თათია, თქვენ გკითხავთ: ქმრის დედასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

**თამუნა**: ისეთი საყვარელი ქალია... ძალიან ახალგაზრდა, მიმზიდველი და, რაც მთავარია, მხიარული.

**თათია**: ჩემს დედამთილს მე კი ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ →24

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



Cyan Magenta Yellow Black

ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს, თამუნა ერთიორად შეუყვარდება.

— **როცა დრო გაქვთ, ძირითადად სად იკრიბებით ხოლმე?**

**თათია**: ძირითადად კორპორატიულ საღამოებზე ვიკრიბებით. მალე ჯომარდობაზე ვაპირებთ წასვლას. ჩვენი გუნდიდან თამუნა მიიღებს მონაწილეობას.

**თამუნა**: მე? მე არა!

**თათია**: როგორ არა, ეგ საკითხი უკვე გადავწყვიტეთ. როცა თავისუფალი დრო გვაქვს, არაფერს ვაკლდებით, მაგრამ ვინაიდან სამსახურს 8-9 საათზე ვამთავრებთ, ის დარჩენილი დრო ოჯახს, ქმარ-შვილს უნდა მივუძღვნათ. ხანდახან გინდა, მეუღლესთან ერთადაც წახვიდე და გაისეირნო.

**თამუნა**: ხანდახან ხომ გინდა, რომ ქმარსაც გაესაუბრო? ისიც ადამიანია და რაღაცას ითხოვს.

**თათია**: შენი გვერდში დგომა უნდა, თორემ როდემდე აიტანს!

— **ეკა, თქვენ გასათხოვარი ხართ, თავისუფალი დრო საკუთარი თავისთვის თქვენ უფრო გექნებათ.**

**ეკა**: მე სამსახურიდან რომ დავაწვები, სად აღარ დავდივარ. ჩემი გოგოები 2 საათით თუ გამომყვებიან. სხვა მეგობრებთან მშვენივრად ვერთობი.

**თათია**: მე ვურეკავ ხოლმე, ეკა, სახლში წასვლის დროა-მეთქი.

— **გამოდის, რომ ეკას პირად ცხოვრებაში ერევით.**

**თათია**: უჰ! ვერევით რომელია!

**თამუნა**: ეკასთვის ერთი კარგი ბიჭი მინდა და ჯერ ვერ მიპოვია.

**თათია**: არ გყავთ ვინმე ეკასთვის, რომ გავურიგოთ? გავიკითხოთ, რაა!

— **როგორ აკონტროლებთ გასათხოვარ ეკას?**

**თათია**: ეკა ის პიროვნებაა, რომელსაც კონტროლი და რჩევა არ სჭირდება, თავის ბედს თვითონ წყვეტს.

**თამუნა**: შეიძლება ეკას უბრალოდ ჩვენი მოსაზრებები ვუთხრათ, მაგალითად, თმის ფერი რომელი უფრო უხდება.

**თათია**: მე ბიჭზეც გადასარევად ვეტყვი.

**თამუნა**: ეგ შემთხვევა მე არ მქონია, თორემ განა მეც არ ვეტყვი!

**თათია**: ჯერ არ ჰყოლია ისეთი ბიჭი, რომ ჩვენთვის გაეცნო. ეკას შეყვარებული რომ ეყოლება, ჩვენს აზრს რაღაცნაირად ვეტყვით.

— **ეკას გვერდით როგორი ბიჭი წარმოგიდგენიათ?**

**თათია**: მაღალი, ფართო მხრებით და ვიწრო კუნთებით!

**თამუნა**: პატარა ფეხებით!

**ეკა**: 24 წლის ვარ, შეყვარებულიც მყოლია, მაგრამ ეს ყველაფერი დამთავრდა და აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი.

**თათია**: მიდი, რა, საინტერესო იქნება! გაიხსენი, გული გადმოგვიშალე!

**თამუნა**: ფონად მუსიკასაც შემოვუშვებთ!

**ეკა**: განსაკუთრებული არც არაფერი ყოფილა და რა მოვყვე?

— **თქვენს ქმრებს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

**თათია**: ამას წინათ ისე დათვრნენ, ფეხზე ძლივს წამოვაყენეთ. ამასაც ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**თამუნა**: ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობენ, მაგრამ არ მეგობრობენ, რადგან აბსოლუტურად სხვადასხვა ტიპები არიან. ადამიანს ვერც დააძალებ, ჩემი მეგობრის ქმართან იძმაკაცეო.

**თათია**: ჩვენი ქმრები ერთმანეთს კარგი გამარჯობით ხვდებიან.

— **სამზარეულოში „ჩემპიონი“ ვინ არის თქვენ შორის?**

**თათია**: თამუნა გადასარევ ვაშლის პეროგს აკეთებს. ერთხელ ჩაიზე და პეროგზე დამპატიჟა.

**ეკა**: ეგრე მე თამუნასთან პიცაზე ვარ ნამყოფი.

**თამუნა**: ეგ დღე კარგად მახსოვს. მაშინ თათია ჩემთან ვერ გამოვიდა და მარტო ეკა მყავდა. იმ დღეს ბევრნაირი პიცა გავაკეთე და, იცით, რატომ? მეორე დღეს დიეტას ვიწყებდი და საჭმელებთან გამოსამშვიდობებელი პიცა-ფართი გავმართე. მეორე დღეს დავიწყე დიეტა, მაგრამ მალევე დავარღვიე.

**თათია**: ეგეც ცხოვრებამ მოიტანა, თორემ შენ მაგის ქალი არ ხარ.

**ეკა**: თამუნა ფანტასტიკური მზარეულია, მაგრამ მისი გაკეთებული მხოლოდ პიცა მაქვს ნაჭამი.

**თათია**: არადა, ყველაფერი გამოსდის! ჩალაღაჯს გადასარევად ამზადებს.

**თამუნა**: ჩალაღაჯი არც ვიცი, რა არის!

**თათია**: როგორ არ იცი, უბრალოდ დღეს ხარ დაბნეული. ცხვრის დუმა მაწონში, ვარენიკები ერბოში, როგორ არ იცი?!

**თამუნა**: კარგი, რეებს ამბობ!

— **თათია, თქვენ რითი მოიწონებთ თავს?**

**თათია**: ყველაფერი გამომდის, ცომეულის და ნამცხვრების გარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, გული მაქვს კეთილი. მთავარი ხომ ცომეული არ არის?

**ეკა**: სამზარეულოში ფუსფუსი მე კი მეხერხება, მაგრამ ძალიან იშვიათად მიწევს. სალათების კეთება მიყვარს ძალიან. რაც მაქვს, ერთმანეთში ავურევ და უგემრიელესი გამომდის.

**თათია**: ისე აგირდაგირევს ყველაფერს, ვერ მიხვდები, რას ჭამ!

— **რომელი უფრო გურმანი ხართ?**

**თამუნა**: ეკას ჭამა დიდად არ უყვარს, წამოდი, მშია და ვჭამოთო, მისგან არ გამიგია. აი, მე და თათია კი ზედმეტად გურმანები ვართ. ეკა სამსახურში სასადილოში რომ შედის, იქაც კი კვერცხსა და სალათის ფურცლებს ჭამს. ნაყინი საშინლად უყვარს! მივმართავ ბიჭებს, ვისაც ეკა მოსწონს: ეკას გულისკენ გზა ნაყინზე გადის!

**თათია**: ბიჭებო და მამაკაცებო, გაერთიანდით, ხელები ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და ეკას ბევრი ნაყინი შესთავაზეთ, თუ გინდათ, რომ თუნდაც ნახევარი საათით დაგითმოთ დრო! ყველაზე მეტი შანსი კი ნაყინის დისტრიბუტორებს აქვთ!

**ეკა**: ორი კილო ნაყინი რომ დამიდონ, სულ შევჭამ.

— **ჯგუფის ბიჭებიდან ახლო მეგობრობა ვისთან გაქვთ?**

**ეკა**: მე აქ ძალიან ლაღად ვგრძნობ თავს. ბიჭებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მათთან ფრთებგაშლილი დავფრინავ. ბექა ონიანი ისე მიყვარს, თუ დრო მაქვს, მას უნდა მივადგე ხოლმე. ჩემთვის მისი სახლის კარი სულ ღიაა. დანარჩენებთანაც მიყვარს ასვლა, მაგრამ ბექასთან და გიორგი მარშანიასთან — ყველაზე მეტად.

**თამუნა**: ერთმანეთთან ურთიერთობა სამსახურში იმხელა დოზით გვაქვს, სახლში მიდგომა უკვე ძალიან ზედმეტია. ბიჭებთან სამივე გოგო ვმეგობრობთ და ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ.

**თათია**: ბიჭებთან ეკა ისეა, როგორც თევზი წყალში და ცაში მტრედი ან ბეღურა.

— **გუნდში ასეთი მეგობრული ურთიერთობა ნათესაობაში ჯერ არ გადაზრდილა?**

**თამუნა**: ჩემს შემთხვევაში — კი. ვასო (ფხაკაძე. ავტ.) ჩემი შვილის ნათლიაა, თან ძალიან ყურადღებიანია.

**თათია**: ამ ფაქტის მომსწრე ჩვენც ვართ.

— **ახლო მომავლის გეგმებზეც გვიამბეთ.**

**თათია**: ამ ზაფხულს შოპინგზე საზღვარგარეთ ვაპირებთ წასვლას, ოღონდ ჯერ გადაწყვეტილი არ გვაქვს, სად გავემგზავრებით. ეს ჩვენი პირველი შოპინგი იქნება სხვა ქვეყანაში.

— **საყიდლებზე ერთად ხშირად დადიხართ?**

**თათია**: როცა სამსახურისთვის გვჭირდება ტანსაცმელი, ერთად დავდივართ.

— **ერთად დაგისვენიათ?**

**თამუნა**: მე და თათია ბათუმსა და ქობულეთში ერთად ვიყავით, მერე კი თათია და ეკა წავიდნენ ბაკურიანში. მირეკავდნენ, ჩამოდიო, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**თათია**: ოჯახი ვერ დატოვა!

**ეკა**: ფანტასტიკური იყო! ბაკურიანში მე და თათია ძალიან მაგრად გავერთეთ. სულ რამდენიმე დღით ვიყავით ჩასული, მაგრამ ერთმანეთს დაუვიწყარი საღამოები ვაჩუქეთ.

— **საზღვარგარეთ შოპინგის გარდა, ამ ზაფხულს ვინ სად აპირებთ წასვლას?**

**ეკა**: საზღვარგარეთ დავისვენებ, ოღონდ ჯერ არ გადამიწყვეტია, სად წავალ.

**თათია**: მე გერმანიაში მივდივარ, მაგრამ გადაწყდა, რომ მარტო გავემგზავრები. „ვანოს შოუში“ ლუდის სმაში ორი მამაკაცი დავამარცხე და პრიზად გერმანიაში გამგზავრება მერგო. უნდა ჩავბარგდე და წავიდე.

**თამუნა**: მე კი ისიც არ ვიცი, ამ ზაფხულს დავისვენებ თუ არა.



✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

# სოზარ სუბარი სამივე შვილის დაბადებას დაესწრო

## თამთა ყუბანეიშვილი: „ქმარმა ცოტა ნაკლები საუბარი მასწავლა, მე კი — ცოტა მეტი ლაპარაკი"



„რა თქმა უნდა, მისი ცოლობა რთულიცაა. შეიძლება რაღაც მომენტში მეუღლე კი არა, სხვა ადამიანი დააყენოს წინ, ვისაც დახმარება სჭირდება, მაგრამ დიდი სიამაყით ვივსები, როცა ის სხვებს ეხმარება", — გვითხრა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დამხმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის მეორე ნახევარმა თამთა ყუბანეიშვილმა. ქალბატონი თამთა პროფესიით ჟურნალისტია. ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტში" მუშაობს. ქმარს სამი შვილი გაუჩინა. მინისტრის ოჯახში 9 წლის ნინი, 7 წლის ლუკა და 5 წლის მათე იზრდებიან. მამა ყველა შვილის დაბადებას დაესწრო. იმ წუთებში განცდილი ემოცია ქალბატონ თამთას არ ავიწყდება. მან „სარკესთან" თავისი ოჯახის ბედნიერი და რთული პერიოდები გაიხსენა.

— **თამთა, რაც მინისტრის ცოლი ხართ, თქვენთვის რა შეიცვალა?**

— სოზარის გვერდით ცხოვრება ძალიან საინტერესოა. ჩემთვის მნიშვნელოვანია სოზარ სუბარის პიროვნება, მისი სტატუსები კი, რაც მას პერიოდულად აქვს, ცხადია, ჩვენს ურთიერთობაში ნაკლებად მნიშვნელოვანია. ვიცით, რომ ყველაფერი დროებითია. მე ყოველთვის მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი ვიყავი და ვარ. ერთნაირი ღირებულებები გვაქვს და ამიტომაც შეიქმნა ჩვენი ოჯახი. სოზარისთვის და ჩემთვის მნიშვნელოვანია ადამიანი. მისი ყველა სტატუსიც ადამიანის გარშემო ტრიალებდა.

რა თქმა უნდა, მისი ცოლობა რთულიცაა. შეიძლება რაღაც მომენტში მეუღლე კი არა, სხვა ადამიანი დააყენოს წინ, ვისაც დახმარება სჭირდება, მაგრამ დიდი სიამაყით ვივსები, როცა ის სხვებს ეხმარება. ერთი სიტყვით, სოზარის ცოლობა რთულია, მაგრამ საამაყო.

— **თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელია. ეს არასდროს გამხდარა ინტერესთა სხვადასხვაობის მიზეზი?**

— 21 წლის ვიყავი, როცა ცოლად გავყევი, ის კი 37 წლის იყო. ყველა ამბობს, რომ შესაფერისი წყვილი ვართ. თუ არ შეგვეკითხნენ, ჩვენ შორის ასაკობრივ სხვაობას ვერც ატყობენ. ჩვენ ვართ ორი ადამიანი, რომლებიც ერთმანეთს ვავსებთ, გვიყვარს ერთმანეთი, გვაერთიანებს ბევრი რამ და ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის.

> **„სოზარი სამივე ბავშვის გაჩენას დაესწრო. მაშინდელი ემოცია, მისი ხელები ჩემს კისერსა და სახეზე ყოველთვის მემახსოვრება. ეს ბევრი რამის გამოხატულებაა — სიყვარულის, თანადგომის და ა.შ.".**

— **თქვენი ქმრის რა თვისება მოგწონთ ყველაზე მეტად?**

— საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სოზარი ძალიან გულწრფელია. უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, ამას სხვებისგანაც ვიგებ. მართლა ძალიან უშუალოა. არასდროს არის ზედმეტად მანერული და არ გამოირჩევა დემაგოგიური განცხადებებით. მისი ყველაზე პოზიტიური მხარე გულწრფელობა და სამართლიანობაა.

— **თქვენთან რომანტიკულობას არ გამოხატავს?**

— ცხადია, რომანტიკულია, უყვარს საჩუქრები, მაგრამ მათ ყოველთვის პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. რამდენჯერმე წავედით საზღვარგარეთ და აღმოჩნდა, რომ ჩემი დაბადების დღე ან ქორწინების თარიღი დაამთხვია წასვლას. საერთოდ, მგონია, რომ თარიღები არ ახსოვს, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ასე არ არის. შეყვარებულობის პერიოდში სიურპრიზი იყო ის, რომ იმ დღეს მნახავდა მოულოდნელად, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ დრო საერთოდ არ ჰქონდა და შეხვედრებზე იყო.

> **„რამდენჯერმე წავედით საზღვარგარეთ და აღმოჩნდა, რომ ჩემი დაბადების დღე ან ქორწინების თარიღი დაამთხვია წასვლას. შეყვარებულობის პერიოდში სიურპრიზი იყო ის, რომ იმ დღეს მნახავდა მოულოდნელად, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ დრო საერთოდ არ ჰქონდა და შეხვედრებზე იყო".**

— **თქვენს ოჯახში კამათი არის?**

— არასდროს გვიკამათია. როგორც გითხარით, ყოველთვის უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ამის ახსნა ძნელია, მაგრამ ასეა. წვრილმანი, ყოფითი თემები არასდროს არის ჩვენთვის კამათის თემა. ხმამაღალ ნათქვამად არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ ბევრად მაღლა დგას ჩვენი ურთიერთობა. უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ვსაუბრობთ და იქ ყოველთვის ვთანხმდებით. მაგალითად, ის, რომ ბავშვები თავისუფლად და დამოუკიდებლად უნდა გაიზარდონ, მაგრამ ამავდროულად წესრიგს მიეჩვიონ, საკამათო არაა, ეს ისედაც ვიცით.

— **როგორი მამაა სოზარი?**

— ძალიან უყვარს ბავშვებთან ურთიერთობა. თუ თავისუფალი დრო აქვს, ვიცი, რომ ჩვენთვის უნდა გამოყოს. შეიძლება ღამის 12 საათზე მოვიდეს დაღლილი და არც კი ვმსჯელობთ, ვინ უნდა დააძინოს ბავშვები, ან ვინ უნდა წაუკითხოს წიგნები, თავად უნდა მათთან ურთიერთობა. ბავშვებს იმდენად თავისუფლად ვზრდით, რომ სოზარის ოდნავ ხმამაღალი სიტყვაც კი უკვე მკაცრად ეჩვენებათ. ამ ბოლო დროს თემა დაწერეს, სადაც აღნიშნეს, მამა ცოტა მკაცრიაო. ის, რომ კომპიუტერთან ან ტელევიზორთან დიდხანს არ უნდა იყვნენ, სიმკაცრე ჰგონიათ.



■ სოზარი და თამთა

— **საინტერესოა, სახლში როგორია ბატონი მინისტრი, როცა გარეშე თვალი ვერ ხედავს, რა მოთხოვნები აქვს ცოლის მიმართ.**

— როცა სახლიდან გადის, მისთვის მთავარია, რაიმე პერანგი იყოს მზად. თუ ასე არ იქნება, ამაზეც არ ექნება პრობლემა. ცხადია, მისი გარდერობი ყოველთვის მოწესრიგებულია. ჩვენი ოჯახი ცნობილია იმით, რომ ძალიან მშვიდები ვართ. ბევრი რთული პერიოდი და სტრესული გარემო გავიარეთ, მაგრამ ვცდილობდით, ბავშვებს ეს არ ეგრძნოთ. სოზარი ბუნებით ისეთია, სახლში რომ მოდის, ვერ შეატყობ, დაღლილია თუ არა. სახე ყოველთვის გაცისკროვნებული აქვს. ეს მამაკაცის ძალიან კარგი თვისებაა, რომ შინ პრობლემებით არ დაბრუნდეს.

სოზარს თვითონ შეუძლია გაიმზადოს საჭმელი. ზედმეტად არ შეგაწუხებს, ბავშვებს წაიყვანს დასაძინებლად და ა.აშ. თუ მნიშვნელოვანი საქმე აქვს, ყველანაირად ვუწყობ ხელს, სამუშაო გარემო შეექმნას, თუმცა მას სახლში მუშაობა არ უყვარს. მაინც უწევს, გაეცნოს ინფორმაციებს.

— **ცოლ-ქმარი ხშირად საუბრობთ პოლიტიკაზე?**

— ვერ ვიტყვი, რომ არ ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე. ზოგადად დაინტერესებული ვარ იმით, რა ხდება ქვეყანაში. ვფიქრობ, რომ ყველაფერზე საკუთარი აზრი უნდა მქონდეს. თუ რამე გასაკრიტიკებელი იქნება, ყოველთვის მიმაქვს სოზარის ყურამდე და მისმენს. მოსწონს, როცა საზოგადოებრივად აქტიური მეუღლე ჰყავს გვერდით. ვერ ვიტყვი, რომ სახლში იმაზე ვსაუბრობთ, საჭმელი რა იქნება მეორე დღეს. ეს ყველაზე არასაინტერესო თემაა ჩვენთან.

— **მას საზოგადოებრივად აქტიური ცოლი უნდოდა თავიდანვე?**

— ჩვენ ისე ვერც დავუკავშირდებოდით ერთმანეთს. სტუდენტობიდანვე აქტიური ვიყავი. ამ აქტიურობამაც დამაკავშირა სოზართან. უყვარს, როცა გვერდით ძლიერი, დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანები ჰყავს.

სამივე ბავშვი მიყოლებით გავაჩინე და სტუდენტობის შემდეგ ცოტა პასიური პერიოდი მქონდა. ყოველი ბავშვის გაჩენის შემდეგ იწყებოდა სოზარის შემოტევა — უნდა დაიწყო მუშაობა, ამდენ ხანს სახლში ყოფნა არ შეიძლებაო. მერე ხუმრობდა, რამდენჯერაც სამსახური გიხსენე, იმდენჯერ დაორსულდიო. მესამე შვილი

→26

რომ გავაჩინე, თვეების იყო ბავშვი, რომ იმ ორგანიზაციაში დავიწყე მუშაობა, სადაც ახლა ვარ. ერთადერთი მიზეზი, რაც შეიძლება ჩვენს ოჯახში უთანხმოების მიზეზი გამხდარიყო, ჩემი სახლში დარჩენა და პასიურობა იქნებოდა. სოზარს არ უყვარს მასზე დამოკიდებული ადამიანები. ჩემი საჭესთან დაჯდომა თუ მუშაობა მისი სურვილი იყო. თვლის, რომ ქალს თავისუფლად შეუძლია მეუღლესაც მიხედოს, ბავშვებსაც და თან იმუშაოს. ეს ცოტა რთულია, რა თქმა უნდა. ჩემი დღის გრაფიკი ხშირად ასეთია — ბავშვები წავიყვანო, სამსახურში წავიდე, სოზარს გავყვე რაღაც მიღებაზე და ა.შ. დღის განმავლობაში ერთდროულად დედაც ვარ, საქმიანი ქალიც და მეუღლეც.

— **ოჯახში ვინ თმობს პირველი ურთიერთობებში?**

— ორი ზრდასრული ადამიანი ვსაუბრობთ, ვაყენებთ არგუმენტებს და რომელსაც მეტი ექნება, იმის აზრისკენ ვიხრებით. არ გვაქვს ის მომენტი, რომ ვინც თმობს, ის სუსტია და პირიქით. მაგალითად, საერთო აზრი გვაქვს, რომ ავეჯი არ უნდა იყოს ძალიან ძვირფასი, უნდა იყოს კომფორტული და ბავშვებს არ უნდა უძახო, ჩამოდი, არ გააფუჭოო.

— **მინისტრი თავისი ცოლის გარეგნულ იერს, ჩაცმულობას აკონტროლებს?**

— სოზარი მენდობა და იცის, რომ არ შემეშლება, სად რა ჩავიცვა. შეიძლება შემეშალოს კიდეც, არც ესაა გამორიცხული, გამოცდილ ადამიანებსაც კი მოსდით შეცდომები, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. სოზარს შეუძლია სამოსი იყიდოს ჩემთვის და ჩვენი გემოვნება ყოველთვის ემთხვევა.

— **თქვენს ურთიერთობაში ყოფილა მსუბუქი ეჭვიანობა?**

— არასდროს გვიეჭვიანია ერთმანეთზე. ცოტა ხნის წინ 10 წელი შეგვისრულდა ქორწინებიდან და ვკითხე, ერთხელ მაინც როგორ არ გიეჭვიანია-მეთქი. რა სისულელეა, ეს ჩვენს ურთიერთობაში გამორიცხულიაო და იქვე მოაყოლა, რომ მეეჭვიანა, ყველაფერი იქ დამთავრდებოდაო. არასდროს მკითხავს, სად ვარ და რატომ მივდივარ. მეც ასე ვიქცევი. დღის განმავლობაში მუდმივად ვეხმიანებით ერთმანეთს, მაგრამ არა — ამ კითხვებით.

— **სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები ხართ. სვანი ქმარი და იმერელი ცოლი ერთმანეთს რით აბალანსებთ?**

— იმერლები ენაწყლიანობით არიან ცნობილნი, სვანები კი — სიტყვაძვირობით. ამ ყველაფერს ვაბალანსებთ. მან ცოტა ნაკლები საუბარი მასწავლა, მე კი — ცოტა მეტი ლაპარაკი. ძალიან მიყვარს სოზარის ნათესავები. მგონი, ჩემი ნათესავები უკვე ეჭვიანობენ მათზე... (იცინის). მიყვარს მათი ტრადიციები. როცა მაქვს შესაძლებლობა, შანსს არ ვუშვებ ხელიდან, სვანეთში წავყვე.

**„სოზარს არ უყვარს მასზე დამოკიდებული ადამიანები. ჩემი საჭესთან დაჯდომა თუ მუშაობა მისი სურვილი იყო. თვლის, რომ ქალს თავისუფლად შეუძლია მეუღლესაც მიხედოს, ბავშვებსაც და თან იმუშაოს... დღის განმავლობაში ერთდროულად დედაც ვარ, საქმიანი ქალიც და მეუღლეც“.**

— **სვანური ტრადიციებიც ისწავლეთ?**

— სვანური ენა ვერ ვისწავლე, არც ბავშვებმა იციან. კუბდარს ვერ ვაკეთებ, ცუდი კუბდარის გამოცხობას ჯობია, საერთოდ არ გააკეთო. ვიცი, რამდენი საყვედური შეიძლება მივიღო ამის გამო და თავს ვიკავებ.

— **გურმანია სოზარ სუბარი?**

— მოსწონს მრავალფეროვანი საკვები, მაგრამ დიდად არ უყვარს ხორცი. ძალიან უყვარს მაწონი და ხშირად უგზავნიან ნათესავები.

— **ცოტა ხნის წინ თქვენმა ოჯახმა დიდი დანაკარგი განიცადა — დედა გარდაგეცვალათ. როგორც ვიცი, სიძე-სიდედრს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ...**

— ძალიან მიჭირს ამ თემაზე საუბარი. სოზარს და დედაჩემს, ნინო გოგმაჩაძეს, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დედას სულ ვეუბნებოდი, მგონი, სოზარი უფრო გიყვარს, ვიდრე მე და ჩემი ძმა-მეთქი. ძალიან კარგ კერძებს ამზადებდა. მოვიდოდა ჩვენთან, გააკეთებდა სადილს, გააფორმებდა ლამაზად, სოზარი კი, რადგან ყველაფერზე მაწონი უყვარს, ამ კერძს მაწონს მოასხამდა. დედას ეცინებოდა, რისთვის ვიწვალე ორი საათი, მაინც მაწონი მოასხაო...

— **ამ 10 წლის განმავლობაში ყველაზე მკვეთრად რა გახსოვთ თქვენი და სოზარის ურთიერთობიდან?**

— ამ 10 წლის განმავლობაში ბევრი კარგი წუთი იყო. სოზარი სამივე ბავშვის გაჩენას დაესწრო. მაშინდელი ემოცია, მისი ხელები ჩემს კისერსა და სახეზე, ყოველთვის მახსოვს. ეს ბევრი რამის გამოხატულებაა — სიყვარულის, თანადგომის და ა.შ.

— **ახლა როგორი პერიოდია ათქვენს ურთიერთობაში?**

— ჩვენ არანაირი სხვადასხვა ეტაპი არ გაგვივლია ურთიერთობებში. ისე ვართ ერთმანეთთან, როგორც თავიდან. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი სიყვარული ან განელდა, ან ბავშვმა ჩაანაცვლა. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

✓ **მანანა ნოდია**

# პოეტი ქალის რისკიანი ნაბიჯი

## ლია რუსიაშვილი: „ამ დღეს ცრემლების გარეშე ვერასოდეს გავიხსენებ“



შეხვედრა მკითხველებთან

*ის დაედევნა საკუთარ აჩრდილს,*
*რომ დაემალა სველი თვალები.*
*ჩუმად მიიღო მინის შენდობა*
*და გამგზავრებაც იყო მალული;*
*მოასწრო, სანამ გაფითრდებოდა —*
*მონანიება და სიყვარული...*

პოეტსა და მწერალ ქალს, შვიდი შვილის დედას, ლია რუსიაშვილს, წელს, 27 მაისს, 50 წელი შეუსრულდა. იუბილე, უფრო სწორად, შეხვედრა მეგობრებთან, კოლეგებთან, მკითხველებთან, 17 ივნისს გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იქვე შედგა პოეტის ახალი კრებულის „გზა სამეფო მიხაკით“ პრეზენტაცია. საღამო ემოციებით დატვირთული იყო როგორც პოეტი ქალისთვის, ასევე იქ მისული საზოგადოებისთვისაც. მოგვიანებით, როცა სასიამოვნო ღელვა ოდნავ ჩაცხრა, „სარკე“ ლია რუსიაშვილს შემოქმედებით და ცხოვრებისეულ გზაზე ესაუბრა.

— **ქალბატონო ლია, გილოცავთ დაბადების დღეს და ლამაზად ჩავლილ საღამოს. როგორ ემზადებოდით ამ დღისთვის?**

— გმადლობთ მოლოცვისთვის. 17 ივნისის საღამო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე რისკიანი ნაბიჯი იყო, რაც კი ცხოვრებაში გადამიდგამს. თავად განსაჯეთ, საღამო დაინიშნა ორშაბათ დღეს, 6 საათზე, ანუ მაშინ, როცა დღევანდელი უმძიმესი ყოფითი პრობლემებით დატვირთული ხალხი გვიანობამდე მუშაობს და დაღლილ-დაქანცულს აღარაფრის თავი აქვს. უნივერსიტეტშიც სწავლა უკვე შეწყვეტილია და, დაცვის წევრების გარდა, არავინაა. მოკლედ, ახლობლები პირდაპირ მეუბნებოდნენ, დარბაზში ხუთ კაცს თუ დაინახავ, მადლობელი უნდა იყოო. მაინც გავრისკე და საღამო ჩავატარე.

**„ბატონი ოთარი კაბინეტიდან განათებული სახით გამოდიოდა ხოლმე. ჩვენ სულიერი მამა-შვილი ვიყავით. ერთხელ ისიც კი შევჩივლე, ამ ქვეყანაში წერა აღარ მიღირს-მეთქი. მან კი საოცარი სიტყვები მითხრა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება: „ლირს, ლია, ლირს...ნაკადული აუცილებლად გაიკვალავს გზას და გაივაკებს კიდეც“.**

— **ამ დღეს თქვენ ემოციებით იყავით დატვირთული. დარბაზიდანაც იმავე იმპულსებს გრძნობდით?**

— ამის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ჯერ ერთი, რომ 50 წელი შემისრულდა, ანუ ნახევარი საუკუნე გავლიე და მეორეც ის, რომ ჩემი შემოქმედებით კიდევ ერთხელ წარვდექი ჩემი საყვარელი მკითხველის წინაშე. როდესაც პოეტმა ერეკლე საღლიანმა გამოსვლა დაასრულა და სცენაზე მიმიხმო, ხალხმრავალი დარბაზი დამხვდა. ამას ცრემლების გარეშე ვერასოდეს გავიხსენებ. ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა. მაყურებელი ცრემლებს რომ ვერ იკავებს, ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავს. საღამოზე ბევრი ჩემი მეგობარი გამოვიდა და გვერდით დამიდგა. გოგი ჩაჩავას ქორეოგრაფიულმა



Cyan Magenta Yellow Black

ანსამბლმა „ჩვენი შვილები“ მაყურებლის დიდი ოვაციები დაიმსახურა. ასევე ყვარლიდან დიდებული ქორეოგრაფი სოსო ფუტკარაძე და ცნობილი ლოტბარი ირაკლი მათიკაშვილი ჩამოვიდნენ თავიანთი ანსამბლებით. მინდა, ყველა იმ ადამიანს გადავუხადო დიდი მადლობა, ვინც ჩემს საღამოს დაესწრო და ვინც გვერდით დამიდგა. ასევე მადლობელი ვარ დარეჯან თვალთვაძის, რომლის ძალისხმევითაც მომეცა საშუალება, იუბილე ამგვარად გადამეხადა. განსაკუთრებული მადლობა თქვენს ჟურნალს.

**— ამჟამად რა ეტაპზეა თქვენი შემოქმედება, რაზე მუშაობთ?**

— „სალი კოლხელის“ მეხუთე წიგნზე ვმუშაობ. ჩაფიქრებული მაქვს, სულ 12 ტომი გავაკეთო. მეოთხე ტომი ჩემს მშობლიურ ყვარელს მივუძღვენი. მეხუთე ტომი კი აფხაზეთს და სოფელ კინდღს მიეძღვნება. ზაფხულობით იქ ვისვენებდი ხოლმე ბებიაჩემის ბიძაშვილთან (ბებია მეგრელი ქალი იყო, გვარად გადელია). ამ ულამაზეს სოფელში გატარებული დღეები უფლის დიდ საჩუქრად მიმაჩნია.

**— ამ ხნის განმავლობაში თქვენს შემოქმედებით გზაზე ვინ გედგათ გვერდით, ვის თანადგომას გრძნობდით ყველაზე მეტად?**

— პირველ რიგში, ჩემი მეუღლის, ზვიად ნოდიას თანადგომაა აღსანიშნავი. ის ჩემთვის სულიერი მოძღვრის ფუნქციას ითავსებს. მისი რჩევები განსაკუთრებით მეხმარება „სალი კოლხელზე“ მუშაობაში. ფხიზლად ადევნებს თვალს, რომ იმ ჩარჩოებს არ გავცდე, რასაც მართლმადიდებლურ-კანონიკურ სწავლებასთან შეჯერებული მწერლობა ჰქვია.

ჩემს შემოქმედებით საქმიანობაში აგრეთვე გავლენა იქონია დიდ მწერალთან, ოთარ ჩხეიძესთან მეგობრობამ. ეს ურთიერთობა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. როგორც კი თავს დავაღწევდი წუთისოფლის გაწამაწიას, მაშინვე მისკენ მივეშურებოდი. კარს მისი მეუღლე, ქალბატონი მარიამი მიღებდა. ბატონი ოთარი კაბინეტიდან განათებული სახით გამოდიოდა ხოლმე. ჩვენ სულიერი მამა-შვილი ვიყავით. ერთხელ ისიც კი შევჩივლე, ამ ქვეყანაში წერა აღარ მიღირს-მეთქი. მან კი საოცარი სიტყვები მითხრა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება: „ღირს, ლია, ღირს... მისმინე, ნამდვილი ნიჭი კლდეებში მოქცეულ ნაკადულს ჰგავს. მიჩხრიალებს ნაკადული, ხან ლოდებს შეასკდება, ხან კლდეს, მაგრამ განა ან ერთს, ან მეორეს ძალუძს მისი შეჩერება? არა! ნაკადული აუცილებლად გაიკვალავს გზას და გაივაკებს კიდეც“.

**— თქვენ როგორ იკვალავდით გზას პოეზიაში, როდის დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსები?**

— პატარაობიდან ვწერდი. თურმე 4 წლის ვიყავი, როდესაც პირველი ლექსი დავწერე. მაშინ არც წერა ვიცოდი და არც კითხვა, ამიტომ დედა იწერდა ჩემს ზეპირ ლექსებს. ერთხელ ასეთი რამ მითქვამს: „ნისლი მთების ფიქრია“. როდესაც გავიზარდე, აღმოვაჩინე, რომ ვაჟა-ფშაველასაც იგივე პოეტური სახე ჰქონია... ჩემი ლექსები ხელნაწერებით ვრცელდებოდა სტუდენტებში. შემდეგ კი ჩემმა მეგობარმა პაატა ნაცვლიშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩემს შემოქმედებას წარდგინება გაუკეთა. ასე რომ, პოეზიაში ჩემი გზის გამკვლევი პაატა იყო. ამის შემდეგ დიდი პაუზა მქონდა, თუ არ ჩავთვლით ერთ პატარა ბროშურასავით წიგნს, რომელიც 1990 წელს დიდი ბრძოლის შემდეგ დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“.

გავიდა დრო და 2002 წელს როსტომ ჩხეიძესთან პოემა მივიტანე, თან ვთხოვე, ინკოგნიტოდ დავრჩენილიყავი. ეს ადამიანი იმიტომ შევარჩიე, რომ ის ყოველთვის მგულშემატკივრობდა. მან ერთ-ერთ ტელეარხზე განაცხადა, რომ პოეზიიდან ჩემს

**„ჩემი მომავალი ქმარი 2 წელი ვაწვალე, უფრო ზუსტად, თვითონ მაწვალა. ყველგან, ყოველ დროს ვგრძნობდი მის სიახლოვეს... ის ჩემთვის სულიერი მოძღვრის ფუნქციას ითავსებს. მისი რჩევები განსაკუთრებით მეხმარება“.**

წასვლას არ ამართლებდა. შემდეგ ერთ-ერთ ჟურნალში ჩემ შესახებ წერილი დაბეჭდა, სადაც ლიტერატურათმცოდნე გურამ ლებანიძის სიტყვები შავი შრიფტით ჰქონდა აღნიშნული. როდესაც მე ლექსის წერა



■ ლია რუსიაშვილი შვილებთან ერთად

**„შვიდი შვილი უფლის დიდი წყალობა და საჩუქარია“.**

შევწყვიტე, ბატონმა გურამმა ასეთი რამ თქვა: „ჩვენ დიდი პოეტი გვყავს დაკარგული, სულ ცოტა, მარინა ცვეტაევას რანგის“.

რაც შეეხება ბატონ როსტომს, მას მივუტანე „ქვიშის საათი“ და ვუთხარი, რომ დაებეჭდა ფსევდონიმით „იქსი“. როდესაც გაზეთში „ჩვენი მწერლობა“ ჩემი პოემა დაბეჭდეს, აჟიოტაჟი ატყდა. ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ავტორი, მაგრამ როსტომი არაფრით ამხელდა ჩემს ვინაობას. ერთხელ ქუჩაში პაატა ნაცვლიშვილი შემხვდა და ეგრევე მომახალა, პირველივე სიტყვიდან ვიცანი შენი ხელწერა და ვიცი, „ქვიშის საათის“ ავტორი შენ ხარო. როდესაც ოთხ პოემას მოვუყარე თავი, პაატას დავუკავშირდი და მათი წიგნად გამოცემა გადავწყვიტეთ, სახელწოდებით „იქსი“. რაც ყველაზე სახალისოა, პაატამ ამ წიგნის წინასიტყვაობად ჩემი 20 წლის წინანდელი ბარათები გამოიყენა, რომლებსაც მას ვწერდი. როცა რედაქციაში მისულს იქ არ მხვდებოდა, ამ წერილებს ვუტოვებდი ხოლმე.

**— როგორ დაიბადა საბავშვო რომანის „სალი კოლხელის“ შექმნის იდეა? თქვენ პოეტი იყავით, ამ წიგნით კი თქვენს შემოქმედებაში სხვა ეტაპი დაიწყო.**

— „სალი კოლხელის“ დაწერა პოეტმა და ჟურნალისტმა მიხეილ ქურდიანმა გადამაწყვეტინა. მას პირველად სვეტიცხოვლის ეზოში შევხვდი. თავად შორიდან მიცნობდა, როგორც პოეტს. საუბარში უეცრად მკითხა, შვიდი შვილის დედა ხარ და ბავშვებისთვის რატომ არაფერს წერო. მითხრა, ისეთი რამ უნდა დაწერო, რაც პატარებს კარგ ადამიანებად გაზრდაში დაეხმარებაო. გარკვეული ხნის შემდეგ მიშა თბილისში შემხვდა და ისევ მკითხა, წერა დავიწყე თუ არა. ამ დროისთვის ჯერ კიდევ ვფიქრობდი ჩემს მომავალ წიგნებზე და ამ ფიქრში თანდათან გამოიკვეთა „სალი კოლხელის“ კონტურები.

მიშა ქურდიანი მხოლოდ სამი ტომის გამოსვლას მოესწრო. მესამე ტომის „მარადიული ებრაელი“ პრეზენტაციაზეც იყო, მაგრამ უკვე ავადმყოფობდა. სიტყვით გამოვიდა და ჩემს წიგნს ყველა ბავშვის სამაგიდო წიგნი უწოდა. რამდენიმე დღეში საავადმყოფოში აღმოჩნდა. მე და ჩემმა მეუღლემ ვინახულეთ. ძალიან შეცვლილი იყო, ლაპარაკიც უჭირდა. მითხრა, „სალი კოლხელზე“ მუშაობა გააგრძელე, ეს საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოო. დავპირდი, რომ ასეც მოვიქცეოდი და ჩემთან, მცხეთაში დავპატიჟე. სამწუხაროდ, სამი დღის მერე გარდაიცვალა. მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

**— გვიამბეთ, როგორ შექმენით ოჯახი, როგორ იპოვეთ ერთმანეთი თქვენ და ზვიად ნოდიამ?**

— ყველას უკვირს, როდესაც ვამბობ, რომ ჩემი მომავალი მეუღლე ქუჩაში გავიცანი. არადა გასაკვირი არაფერია. ფეხით სიარული დღემდე მიყვარს. ქუჩაში ხშირად მაჩერებდნენ. ზოგს ადვილად ვიცილებდი თავიდან, ზოგთან „დებატი“ მჭირდებოდა, სხვებთან ესაც არ ჭრიდა. ზვიადიც ასეთ შეუპოვართა რიცხვში აღმოჩნდა. 2 წელი ვაწვალე, უფრო ზუსტად, თვითონ მაწვალა. ყველგან, ყოველ დროს ვგრძნობდი მის სიახლოვეს და ვერ გამეგო, ვინ ჰყავდა აყვანილი ჯაშუშად. მერე ისე შეტრიალდა საქმე, რომ მოულოდნელად ცოლად გავყევი. საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა — ნიჭიერი, მოაზროვნე, თუმცა რთული ხასიათის მქონე. მასთან ურთიერთობა ადვილი არ არის. ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, ფოლკლორის განყოფილებაში და 50 წლის ასაკში მოულოდნელად გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ. წლების შემდეგ საცხოვრებლად მცხეთაში რომ გადმოვედით, მამა დავით ჯიშკარიანი შინ გვესტუმრა. ჩვენი ჯვრისწერის ფოტოზე, რომელიც სასტუმრო ოთახში გვიკიდია, მან საკუთარი თავი ამოიცნო, თურმე ჩვენი ჯვრისწერის რიტუალი მან აღასრულა. მე და ჩემმა მეუღლემ კი ვერ გავიხსენეთ. დღეს მამა დავითი ჩვენი მოძღვარია.

**— თქვენი სიცოცხლის 50-ე წელს ოჯახის ახალი წევრით, შვილიშვილით შეხვდით. ჯერ ისევ ახალგაზრდას მართლაც დიდი მონაგარი გყავთ.**

— უფროსი შვილი 25 წლის არის, ყველაზე პატარა კი — 16-ის. ჩემი უფროსი ვაჟი დაოჯახებულია და პატარა შვილიშვილიც მყავს. რძლის, ნათიას სახით ერთგული მეგობარი შევიძინე, რისთვისაც უფლის მადლობელი ვარ. ვთვლი, რომ საინტერესო ქართული ოჯახი მაქვს. შვიდი შვილი უფლის დიდი წყალობა და საჩუქარია. მართალია, ცხოვრების ნახევარი უკვე განვვლე, მაგრამ, ღვთისმშობლისა და უფლის შეწევნით, ჩემი ხალხისთვის ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებას ვაპირებ.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black



## „შეყვარებული პოკერში რომ აგებს, ჯავრს ჩემზე იყრის“

ბიჭმა, რომელიც თავდავიწყებით შემიყვარდა, ბევრი საფიქრალი გამიჩინა. ის ჩემზე ოთხი წლით უფროსია. თავიდან, როცა ურთიერთობას ვიწყებდით, მეგონა, რომ მასთან ბედნიერი ვიქნებოდი. ჩემი თანატოლებისგან განსხვავდებოდა, ცხოვრებაზე სხვანაირი შეხედულება ჰქონდა. მე ეს მხიბლავდა და ამიტომაც შემიყვარდა. ყველგან თავი მომქონდა, რომ უფროს ბიჭს ვუყვარდი. დაქალებსაც კი შურდათ ჩემი.

დიდი ხანი არ არის, რაც მივხვდი, რომ მისი გრძნობები არცთუ ისე მყარია. ძალიან დიდი ნაკლი აღმოაჩნდა — აზარტული თამაშებით არის გატაცებული. ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უამრავი ფული წააგო. უცნაურია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჭკუა ისწავლოს, უფრო მეტად ეფლობა ტალახში. წაგებულ ფულს რომ ავინაზღაურებ და მოვიგებ, პოკერის კლუბში ვერასოდეს მნახავო, მპირდება. მოგების ნაცვლად კი წაგებულს წაგებული ემატება. მერე გაბრაზებული ჩემზე იყრის ჯავრს, სულ რაღაცას მედავება.

ამას წინათ ანერვიულებულმა დამირეკა, უნდა განახოო. რამდენიმე დღე არ მყავდა ნანახი, ამიტომ მასთან შესახვედრად სიხარულით გავეშურე. ის კი თვალებჩაშავებული, გაფითრებული დამხვდა. მივხვდი, რომ მის თავს რაღაც ცუდი ხდებოდა. ვკითხე, რა გჭირს-მეთქი. მიპასუხა, რომ პოკერში დიდი თანხა წააგო და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა.

საყვედური ვერ ვუთხარი, რადგან ძალიან შემეცოდა. ისეთი გაუბედურებული სახე ჰქონდა, მე რაღა უნდა დამემატებინა? მისი დამშვიდება ვცადე. ვუთხარი, შეცდომის გამოსწორება კიდევ შეგიძლია, მაგ ვალებს როგორღაც გადაიხდი, ოღონდ პოკერის სათამაშოდ აღარ წახვიდე-მეთქი. პირობა მომცა. მერე მოფერება დამიწყო. მივხვდი, რომ ჩემგან კოცნაზე მეტს ითხოვდა, მე კი ამისთვის მზად არ ვიყავი. შევეწინააღმდეგე, შევეცადე, მეთქვა, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ ამან რომ არ გაჭრა, სახეში გავარტყი და გამოვიქეცი.

იმის ნაცვლად, რომ თავისი საქციელი მოენანიებინა, აქეთ წამეჩხუბა. მითხრა, რომ მას ვერ ვუგებდი. თურმე მისთვის უარი არაფერზე უნდა მეთქვა. მე კი არ მინდა, მისთვის დამამშვიდებელ აბებად ვიქცე. რა ჩემი ბრალია, თავის სისუსტეს თუ ვერ ელევა? რამდენჯერაც პოკერში წააგებს, ჩემზე უნდა იყაროს ჯავრი? მიყვარს, მაგრამ ამის უფლებას არ მივცემ!

ეს ყველაფერი მასაც ავუხსენი, მაგრამ ახლა სხვა მხრიდან მომიდგა. მეუბნება, შენ თუ არ დამეხმარები, ამ სენს ვერ დავამარცხებ და სამუდამოდ დავიღუპებიო, თუ გვერდით დამიდგები, აზარტულ თამაშებს ახლოს აღარ გავეკარებიო. მისი სიყვარულისთვის ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ჩემს გამოყენებას ცდილობს. ვაითუ, ჩემთან მხოლოდ სიმშვიდეს ეძებს და სულაც არ ფიქრობს, ეს სისუსტე დაძლიოს.

მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. თავი ვაიძულო და სამუდამოდ დავივიწყო თუ ვიბრძოლო იმისთვის, რომ ნორმალურ ადამიანად იქცეს? მასაც რომ ვერ დავეხმარო და საკუთარი თავიც გავაუბედურო, მერე სად წავიდე? მშობლებს რა პასუხი გავცე? თავში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა მიტრიალებს. „სარკის“ მკითხველების იმედი მაქვს, რომ სწორი გზის მოძებნაში დამეხმარებიან.

**თქვენი ერთგული მკითხველი, 17 წლის**

## „ინგლისურის მასწავლებელი შემიყვარდა“

ორი წელია, რაც ინგლისურში ვემზადები. წელს აბიტურიენტი ვარ. ჩემი მასწავლებელი კი მხოლოდ 6 წლითაა ჩემზე უფროსი. ის ძალიან ლამაზი გოგოა. ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან დავუახლოვდი, ვმეგობრობთ, თუმცა მის მიმართ მე სულ სხვა გრძნობა მაქვს — მიყვარს.

კვირაში სამი დღე ძალიან ბედნიერი ვარ, დანარჩენი ოთხი კი სულ მასზე ვფიქრობ. ვერ წარმოიდგენთ, რა მემართება, როცა შემთხვევით მეხება, თუნდაც ხელზე. მისი ხმა, თვალები... ყველაფერი მატყვევებს. ბავშვები ხვდებიან, რომ რაღაც მემართება. რამდენიმემ ამაზე ხუმრობაც სცადა, მაგრამ მალევე მოვაკეტვინე. არ მინდა, ჩვენზე იჭორაონ ან მის სახელს ჩირქი მოეცხოს.

ვოცნებობ, მის გვერდით ვიცხოვრო. წლები ცოტა რომ მომემატება, ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა საგრძნობი აღარც იქნება და ცოლად მოვიყვან. მთავარია, მანამდე არ გათხოვდეს. ვიცი, მოვახერხებ, რომ შევუყვარდე. იმდენი გავაკეთე, რომ ჩემს საუკეთესო მეგობრად ვაქციე, მერე კი იმასაც შევძლებ, ჩემი შეყვარებული გახდეს.

შემიძლია მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერთან ვიჯდე და მის ფოტოებს ვუყურო. მის გამო ყველას და ყველაფერს დავთმობ. როცა წარმოვიდგენ, რომ შეიძლება სხვისი ცოლი გახდეს და დავკარგო, ჭკუა მეკეტება, მთელ ღამეს თეთრად ვათენებ.

არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ზოგჯერ მგონია, რომ ჯობია, სიყვარულში გამოვუტყდე და ვთხოვო, რომ სხვაზე არასოდეს იფიქროს, მე დამელოდოს. ხანდახან კი მგონია, ჩემი გულახდილობით დავაფრთხობ და აღარ დამელაპარაკება. არ ვიცი, რა უკეთესია.

თუ ვინმეს რჩევის მოცემა შეუძლია, ნუ დაიზარებთ. „სარკის“ მომავალ ნომერს მოუთმენლად დაველოდები.

**მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru** **ანონიმურობა დაცულია**

## „კოტე თოლორდავას შვილების შემშურდა“

ჟურნალ „სარკეს“ ყოველთვის ვკითხულობ. ოთხშაბათობით ჩვენს ოჯახში ტაციობაა, რომელი დაასწრებს მის წაკითხვას. 25-ე ნომერში მსახიობ კოტე თოლორდავას და მისი უფროსი ბიჭის ინტერვიუ დაიბეჭდა. წერილში მათ მამაშვილობაზეა ლაპარაკი. მართალია, ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ, ერთმანეთი უყვართ, ერთიმეორეზე ზრუნავენ. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გული ბევრ რამეზე დამწყდა. ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ კოტე თოლორდავას შვილების შემშურდა.



მამა ჩვენთან არ ცხოვრობს. 8 წლის ბიჭი ვიყავი, რომ მიგვატოვა. უმცროსი და მყავს. დედა არაფერს გვაკლებს, პაპაც ყველანაირად გვეხმარება, მაგრამ ბედნიერი არ ვარ. მე და დედას ბევრი რამის გამო მოგვდის კამათი, რაღაცეებში ვერ მიგებს. მგონია, მამა ძმაკაცივით გამიგებდა, ჭკუას დამარიგებდა, მაგრამ მას ჩვენთან ურთიერთობა არ სურს.

14 წლის რომ გავხდი, დედას გამოვუცხადე, დაბადების დღე რესტორანში უნდა გადავიხადო და მამაჩემიც დავპატიჟო-მეთქი. დედას არ ესიამოვნა, მაგრამ უარი არ უთქვამს. მამას მეორე ოჯახი, ცოლი და ორი შვილი ჰყავს. რესტორანში შვილებთან ერთად დავპატიჟე. მინდოდა, ჩემი ძმები გამეცნო.

მამა უფროს ბიჭთან ერთად მოვიდა. მაგიდასთან ისე დაჯდა, თითქოს უცხო ადამიანი ყოფილიყო. წესიერად არც კი მადლეგრძელა. ამდენი წლის უნახავი შვილის ამბებით არ დაინტერესდა. სამაგიეროდ იმ ბიჭს, ანუ ჩემს ძმას, თვალებში შესციცინებდა. თავზე ხელს უსვამდა, კოცნიდა. თევზი გადაუღო თეფშზე და სათითაოდ გაურჩია, რომ ფხა არ შეჰყოლოდა. ცოტა ხანში ისევ უცხო ადამიანივით დამემშვიდობა და წავიდა.

ის დაბადების დღე ყველაზე ცუდად გამახსენდება ცხოვრებაში. ვთქვათ, დედაჩემს ვერ გაუგო, მაგრამ შვილებმა რა დავაშავეთ? ხომ შეუძლია, წელიწადში რამდენჯერმე მოგვიკითხოს მაინც. მისგან მატერიალური დახმარება არ გვჭირდება, მხოლოდ ყურადღებაზე ვოცნებობთ.

**თქვენი მკითხველი, 16 წლის**



Cyan Magenta Yellow Black

# „უბნელებმა კლასელი გამილახეს“

ჩემი უბნის ბიჭებით ყოველთვის ვამაყობდი. 17 წლის გოგოს მათი ყურადღება მახარებდა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. მათზე ძალიან ვარ გაბრაზებული.

უბნელებთან ძალიან ახლოს ვარ. ბავშვობიდან მათთან ერთად ვერთობოდი. ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, კარში დგომა არავის უნდოდა, ამიტომ მე მაყენებდნენ ხოლმე. სახლში ხშირად ავსულვარ ჩალურჯებული. ერთხელ ერთმა ვერ მოზომა, ბურთის ნაცვლად ფეხი ამომარტყა და ხელი მომტეხა. საშინელ დღეში ჩაცვივდნენ. ერთ-ერთის მამამ საავადმყოფოში წამიყვანა და თაბაშირი დამადეს.

სახლში ხელშეხვეული და ნამტირალევი რომ მივედი, ჩემები გადაირივნენ. იმის შემდეგ ეზოში ჩასვლა ამიკრძალეს. ბიჭებიც სხვანაირად მექცეოდნენ. პატივი დამდეს და მსაჯად განმაწესეს, კარში კი რიგრიგობით თვითონ დგებოდნენ. ეს პატარა ისტორია იმისთვის გავიხსენე, რომ წარმოგედგინათ, მათთან როგორი ურთიერთობა მაქვს. ძმასავით მიყვარს ყველა, მაგრამ ამ ბოლო დროს ნერვებს მიშლიან.

სკოლაში კლასელ ბიჭთან ჩხუბი მომივიდა. ის ძალიან სიმპათიური და ჭკვიანია. როგორც ჩვეულებრივ კლასელს, ისე არ ვუყურებ, მის მიმართ გარკვეული გრძნობა მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ მიყვარს, მაგრამ გულგრილიც



არ ვარ. იმ დღეს სრულიად უმნიშვნელო რამის გამო წავკამათდით. დამნაშავე მე ვიყავი, უხეშად ვუპასუხე, მან კი არ მომითმინა და... ძალიან ვინერვიულე და ცრემლები ვერ შევიკავე. სახლში რომ მოვდიოდი, უბნელი ბიჭები შემხვდნენ. მიხვდნენ, რომ ნამტირალევი ვიყავი და მკითხეს, რა მოგივიდაო. მათთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ თურმე ჩემს კლასელ ბიჭებთან მივიდნენ და ჰკითხეს, სკოლაში ვინ ატირაო. მათ კი უამბეს, რაც მოხდა. იმ ბიჭს სახლში მიაკითხეს, ეზოში გამოიყვანეს და სცემეს. ჩემზე უთხრეს, ახლოს არ გაეკაროო.

ეს ამბავი იმ დღესვე გავიგე და საშინელ დღეში ჩავვარდი. უბნელ ბიჭებს ეზოში ჩავეჭერი და ვუთხარი, რომ მათ ჩემს ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ. ავუხსენი, რომ საკუთარი თავის დაცვა მეც მშვენივრად შემეძლო. მათ კი მითხრეს, არ ვიცოდით, ასე თუ გიყვარდაო. მტკიცება დავიწყე, რომ არ მიყვარდა, მაგრამ არ დამიჯერეს.

იმ ბიჭის ძალიან მერიდება. გამარჯობასაც არ მეუბნება, მე კი მის მიმართ გრძნობა უფრო და უფრო მიღრმავდება. ახლა არდადეგები გვაქვს და ინტერნეტითაც ვერ დავუკავშირდები, რომ მისი ამბავი გავიგო, ეს კი უფრო მტანჯავს. არ ვიცი, როგორ შევირიგო. მის გარეშე ძალიან გამიჭირდება.

**თქვენი მკითხველი**

# „საყვარელმა ბიჭმა საქვეყნოდ შეურაცხყოფა მომაყენა“



ჩემი შეყვარებული ჩუმი ბიჭია, ყოველ შემთხვევაში, მასზე ასეთი წარმოდგენა მქონდა. ერთი წელია, რაც ერთად ვართ და არასოდეს გვიჩხუბია. მეგობრები მეუბნებოდნენ, ძალიან კარგი ადამიანია, მის გვერდით ყოველთვის მშვიდად იქნებიო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემ მიმართ აგრესიას გამოავლენდა.

ცოტა ხნის წინ ჩვენი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავით. ყველა ბიჭი სვამდა და ისიც შეზარხოშდა. ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ვერ წარმომედგინა, რომ სიმთვრალეში ცუდ რამეს ჩაიდენდა. თავიდან შედარებით კარგად იქცეოდა, მაგრამ მერე გადაირია. თამადას შარი მოსდო, ჩემი ძმაკაცი ირონიულად ადღეგრძელეო.

მისი დამშვიდება ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ბოლოს ვუყვირე, ახლავე აქედან წავიდეთ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, რა დაემართა. ყვირილი დამიწყო და საცემრად გამოიწია, ხმამაღალ ლაპარაკს როგორ მიბედავო. შუაში ჩაგვიდგნენ, რომ ჩემთან ახლოს არ მოსულიყო.

იმ დღიდან ყველაფერი დამთავრდა. ჩემი გულიდან გაქრა, აღარ არსებობს. მან მეორე დღესვე დამირეკა და პატიება მთხოვა. თურმე საქვეყნოდ რომ მომაყენა შეურაცხყოფა, მხოლოდ და მხოლოდ დასპირტული ღვინის ბრალი ყოფილა. თუ დალევა არ შეეძლო, ვინ დააძალა? თუ საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა, რატომ სვამდა? ვერასოდეს დავივიწყებ იმ შეურაცხყოფას, რაც მან ხალხის წინაშე მომაყენა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, ჩემი სიყვარული ერთ დღეში თუ გაქრებოდა, მაგრამ მან ეს შესანიშნავად მოახერხა.

ერთ-ერთმა მეგობარმა მითხრა, მამამისსაც პათოლოგიური სიმთვრალე აქვს, რომ დალევს, სახლში ყველაფერს ლეწავს, ალბათ მას დაემსგავსაო. ეს რომ მოვისმინე, ცოტათი კი შემეცოდა, მაგრამ თუ იცის, სიმთვრალეში რას აკეთებს, რაღატომ სვამს? მაშინ თავი შეიკავოს. იმ დღეს მისთვის არავის დაუძალებია, გინდა თუ არა, დალიეო. მისი უხეშობის მოთმენას არ ვაპირებ, არასოდეს შევურიგდები.

**„სარკის“ მკითხველი, 16 წლის**

გამოხმაურება

## „რამდენიმე კლასელი შატალოდან სკოლაში მიბრუნდა“

ჟურნალ „სარკის“ 25-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „კლასელმა შატალოზე წაგვიყვანა, თვითონ კი დასჯას გადაურჩა“. მეც მინდა, ანალოგიური ისტორია მოგიყვეთ.

მეექვსე კლასში რომ ვიყავით, რამდენიმე კლასელმა ბიჭმა გადაწყვიტა, შატალოზე წავსულიყავით. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი. როდესაც სკოლის ტერიტორიას გავცდით, შატალოს ორგანიზატორებმა მოიმიზეზეს, რომ რაღაც საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი და უნდა წასულიყვნენ. სინამდვილეში კი თურმე სკოლაში მიბრუნდნენ.

საღამოთი მასწავლებელმა ყველა ჩვენს მშობელს დაურეკა და სკოლაში დაიბარა. ბავშვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ის ბიჭები კი მოვიდნენ და ვითომ ხუმრობით გვითხრეს, რატომ წახვედითო. ძალიან ცუდად მოიქცნენ, მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნათ, ჩვენ კი საქმე გაგვიფუჭეს.

**მკითხველი**

## „დაქალი იმის გამო მეჩხუბა, რომ ლამაზი კაბა ვიყიდე“

ჟურნალ „სარკის“ 25-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მგონი, დაქალებს ჩემი ტან-ფეხი შეშურდათ“. სამწუხაროა, როცა უახლოეს მეგობარს შენი შურს. მეც ჩემს მეგობარს ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ჩემი კარგი არ უხაროდა, მაგრამ მეგონა, მეჩვენება-მეთქი. ზოგჯერ საუკეთესო დაქალობას მიწევდა, ამიტომაც ვფიქრობდი, რომ ერთგული იქნებოდა.

ერთ დღეს მეგობრის ძმის ქორწილში წავედით. იმ დღისთვის ძალიან ლამაზი კაბა ვიყიდე. მეგობარს რომ შევხვდი, სახე აერია. მითხრა, ასე თუ იპრანჭებოდი, რატომ არ მითხარიო. ძალიან გამიკვირდა. ვუპასუხე, ქორწილში რომ გამოპრანჭული მოვიდოდი, ამას თქმა რად უნდოდა-მეთქი. მან კი შური ვერ დამალა, მითხრა, ასეთი ლამაზი კაბა გაცვია და შენ გვერდით როგორ დავჯდეო. მართლაც, მთელი ქორწილის განმავლობაში ახლოს არ გამკარებია, სულ მიბღვერდა, ხმა არ გაუცია.

მივხვდი, რომ მასთან ურთიერთობის გაგრძელება არ ღირდა. ადამიანს რომ კაბა შეშურდება, სხვა რამეზე ხომ საერთოდ გადაირევა. მეორე დღეს ვუთხარი, ამის შემდეგ კარგი ნაცნობები ვიყოთ, შენთან მეგობრობას აღარ ვაპირებ-მეთქი და ასეც ვიქცევი. ჩემი აზრით, ჯობია, შურიან დაქალებს მოერიდო.

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ გაუხარდა გიორგი ვაშაძის ცოლს არჩევნებში ნაციონალების დამარცხება

## გიორგი: „ქეთი პოლიტიკით ვერ დავაინტერესე“



■ გიორგი და ქეთი

საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, ნაციონალ გიორგი ვაშაძის სიყვარულის ისტორია ულამაზეს ევროპულ ქალაქ ვენასთან არის დაკავშირებული. სწორედ იქ შეხვდა თავისი ცხოვრების ქალს — ქეთი სიჭინავას. ეს სამი წლის წინ მოხდა. ერთმანეთი სრულიად შემთხვევით გაიცნეს და სამშობლოს საზღვრებგარეთ მათი გრძნობები დაჩქარებულად განვითარდა. გიორგი ძალიან აქტიურობდა ქალის მოსახიბლად და მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. დღეს უკვე ორი შვილის მშობლები არიან, რომელთაგან უმცროსი გასული წლის 1 ოქტომბერს, არჩევნების დღეს დაიბადა.

თავისუფალ დროს, რაც გიორგი ვაშაძისთვის დიდი ფუფუნებაა, ცოლ-ქმარი ბავშვებთან და მეგობრებთან ერთად ატარებენ. სახლში პოლიტიკაზე საუბარს ერიდებიან, ურჩევნიათ, გაცილებით სასიამოვნო საქმით დაკავდნენ, მაგალითად, ქეთის მორიგი კულინარიული ექსპერიმენტი დააგემოვნონ და შეაფასონ.

**— ვენაში დაწყებული სიყვარულის ისტორიის დეტალები ალბათ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის, როგორ, რა სიტუაციაში გაიცანით ერთმანეთი.**

**გიორგი**: ავსტრიაში მივლინებით ვიყავი და ვენაში, რესტორანში გავიცანით ერთმანეთი. ქართულად ლაპარაკი გავიგონე გვერდითა მაგიდიდან. მერე გავისაუბრეთ. ქეთი იმ დროს ვენაში სწავლობდა.

**ქეთი**: სკოლა რომ დავასრულე, ვენაში წავედი და ოთხი წელი იქ ვსწავლობდი მენეჯმენტს და მარკეტინგს. შემდეგ საქართველოში დავბრუნდი და აქ ჩავაბარე მაგისტრატურაზე საერთაშორისო სამართლის განხრით. იმ დროს უკვე გიორგის შეყვარებული ვიყავი.

როგორც ხდება ხოლმე, საზღვარგარეთ ქართველები ერთმანეთს რომ გამოელაპარაკებიან, ისე დაიწყო ჩემი და გიორგის ურთიერთობა. შემდეგ „ფეისბუქზე“ მეგობრებში დავამატეთ ერთმანეთი.

**— თავიდანვე მოგეწონათ გიორგი?**

**ქეთი**: მე მაშინვე არ მომწონებია. გიორგი კი პირველივე ნახვით მოვხიბლე. მას ისე ვექცეოდი, როგორც უფროსს. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობაა. მე 20 წლის ვიყავი, გიორგი — 29 წლის. ვიცოდი, რომ ლექტორი იყო, ამიტომ თავიდან თქვენობით მივმართავდი.

**გიორგი**: მაშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი მართვის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

**— ასაკობრივი სხვაობის მომენტი როგორ გადალახეთ?**

**ქეთი**: გაცნობის შემდეგ.

**გიორგი**: არც არის ისეთი განსხვავება, რომ ამას დისკომფორტი შეექმნა. უბრალოდ ურთიერთობებში სულ დროის ნაკლებობა გვქონდა. ვერ ვახერხებდით, შეყვარებულებს დრო თავისუფლად გვეტარებინა.

**— ქალბატონო ქეთი, რომანტიკული შეყვარებული იყო გიორგი ვაშაძე?**

**ქეთი**: სხვათა შორის, კი. ვენაში ყოველ ჩამოსვლაზე მოჰქონდა ჩემთვის საჩუქრები — სამკაულები თუ სუნამოები. თავიდან ვერც ვხვდებოდი, რომ მოვწონდი და მეგონა, ზრდილობის ნიშნად მჩუქნიდა.

**გიორგი: „შვილებთან მკაცრი ვარ. მიშკა ხანდახან ამბობს, რომ არ ვუყვარვარ“.**

**გიორგი**: მახსოვს, ბრიუსელში ვენის გავლით მიწევდა წასვლა. საღამოს თბილისიდან ინტერნეტით ვკითხე, ახლა ყველაზე მეტად რა გენატრება-მეთქი. ფელამუში მინდაო...

**ქეთი**: და ორ საათში თბილისიდან ვენაში ფელამუშით ხელში გამომეცხადა.

**— ბატონო გიორგი, ეს როგორ მოახერხეთ?**

**გიორგი**: უცებ ვიშოვე ყურძნის წვენი, სახლში ფელამუში გავაკეთებინე და ვენაში წავიღე. ქეთის კარზე დილის 7 საათზე დავაკაკუნე. რომ იკითხეს, ვინ არისო, გერმანულად დავიწყე ლაპარაკი, რომ დაბნეულიყვნენ. ხმა მესმოდა შიგნიდან, ალბათ გაზის ინკასატორიაო.

**ქეთი**: ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

**გიორგი**: თბილისში რომ დაბრუნდა ქეთი, უფრო დავახლოვდით. ერთმანეთის ოჯახები გავიცანით.

**— ქორწილის დღე გაიხსენეთ.**

**ქეთი**: ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. თბილისში მეორედ რომ დავბრუნდი, ზაფხული იყო და უცებ გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა. გიორგი განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მხრივ. ტრადიციული, ქართული ქორწილი გვქონდა.

**გიორგი**: მე არ მინდოდა დიდი ქორწილის გადახდა, სტუდენტობის პერიოდში წვეულებების ორგანიზატორი ვიყავი. ქორწილი ქეთიმ მოაწყო თავიდან ბოლომდე.

**ქეთი**: თანამედროვე ქორწილი იყო. მხოლოდ ახალგაზრდები გვყავდა სტუმრად. დიჯეიც უკრავდა და ქართული სიმღერებიც გვქონდა.

**— როგორც ვიცი, თქვენი უმცროსი ბიჭი საპარლამენტო არჩევნების დღეს დაიბადა.**

**ქეთი: „გიორგი დღე საერთოდ არ არის ჩემთან ერთად, ამიტომ ღამე ვაიძულებ, ბავშვებს მიხედოს“.**

**გიორგი**: კი, დავითი 1 ოქტომბერს დაიბადა, არჩევნების დღეს. მე და ქეთი დილით სახლიდან ერთად გამოვედით, არჩევნებში ხმა მივეცით და წამოსვლისას მითხრა, ჩაჩავას კლინიკასთან დამტოვეო.

**ქეთი**: არ მინდოდა, ენერვიულა და მიზეზი არ ვუთხარი, თუ რატომ მივდიოდი კლინიკაში.

**გიორგი**: მიუხედავად იმისა, რომ ყოველ საათს ველოდებოდით ბავშვის დაბადებას, არც კი გამიაზრებია, რატომ მითხრა ქეთიმ ეს. მივიყვანე და საარჩევნო შტაბში დავბრუნდი. მერე დამირეკეს და მითხრეს, რომ შვილი შეგვეძინა.

**ქეთი**: ბოლო წუთამდე ვამბობდი, არ დაერეკათ გიორგისთვის, რომ არ ენერვიულა.

**— ქეთი, მეუღლის სიმშვიდეზე იზრუნეთ ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვან წუთებშიც კი. კიდევ რა კომპრომისებზე გიწევთ წასვლა, როგორც პოლიტიკოსის ცოლს?**

**ქეთი**: ამას კომპრომისები არ ჰქვია. რაც გავთხოვდი, გიორგი თითქმის არ არის ჩემთან, რადგან მალევე იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ახლაც ძალიან დატვირთული რეჟიმი აქვს.

**გიორგი**: არჩევნები რომ წავაგეთ, ქეთის გაუხარდა. იფიქრა, რომ უფრო მეტი დრო მექნებოდა. რეალურად კი სხვანაირად აღმოჩნდა.

**ქეთი**: არჩევნებამდე იმაზე ვნერვიულობდი, რომ სახლში ღამის ორ-სამ საათამდე ვერ მოდიოდა. ახლა საერთოდ აღარ არის სახლში, ქუთაისშია.

**გიორგი**: ქეთი სერიოზულად მიწყობს ხელს. ბავშვებს ის აქცევს ყურადღებას. პატარა დავითი ფაქტობრივად არც მიცნობს. მიშკაც ერთი პერიოდი ეკრანზე უფრო ხშირად მხედავდა, ვიდრე სახლში.

**ქეთი**: გიორგი დღე საერთოდ არ არის ჩემთან ერთად, ამიტომ ღამე ვაიძულებ, ბავშვებს მიხედოს.



■ მიშკა მშობლებთან ერთად

**გიორგი**: გაგვიმართლა, რომ წყნარი ბავშვები არიან და ღამით არ ტირიან.

**— ბატონო გიორგი, როცა შვილებთან ურთიერთობის ბედნიერება გაქვთ, ალბათ ძალიან ანებივრებთ მათ.**

**გიორგი**: მე გაცილებით მკაცრი ვარ ბავშვებთან, ვიდრე ქეთი, არ ვანებივრებ. მიშკა ხანდახან ამბობს, რომ არ ვუყვარვარ. არ მინდა, მათ ყველაფრის უფლება ჰქონდეთ. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ზედმეტად თავნებები არ გაიზარდონ. ქეთი ხშირად მსაყვედურობს სიმკაცრის გამო. ერთხელ სახლში ვთქვი, ბავშვი რომ თავნება არ გაიზარდოს, როცა იტირებს, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ-მეთქი. სადღაც წავიკითხე სტატია ამის შესახებ, მაგრამ შესასრულებლად რთული აღმოჩნდა. როცა



Cyan Magenta Yellow Black

ბავშვი ტირის, ძნელია არ შეგეცოდოს.

— **ქალბატონო ქეთი, როცა ქმარი ქუთაისიდან ჩამოდის, ოჯახში როგორ დახვედრას უწყობთ, რა კერძებით ანებივრებთ?**

**ქეთი**: ჩემი გაკეთებული მარწყვის ტორტი უყვარს. მერე მეუბნება, რომ აღარ გავაკეთო, რადგან მის წონაზე ცუდად აისახება.

**გიორგი**: ერთი პერიოდი ქეთი კულინარიის კურსებზე დადიოდა. ერთ მშვენიერ დღესაც სახლში მოსულს კარგად შემწვარი ხორცი დამხვდა სოკოს გარნირთან ერთად. მშვენიერი სადილი იყო.

— **ქეთი, კულინარიის კურსებზე სიარული რამ გადაგაწყვეტინათ?**

**ქეთი**: გიორგის ქართულზე მეტად ევროპული სამზარეულო უყვარს. შესაბამისად...

**გიორგი**: ქეთის ვერ დავეთანხმები. ქართული სამზარეულო ძალიან მიყვარს. მის ნაკლად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ მაღალკალორიულია და ასუქებს.

**ქეთი**: მე ვიცოდი მარტო ქართული კერძების მომზადება — ჩახოხბილის, ხაჭაპურის, ელარჯის და ა.შ. გიორგიმ მთხოვა, იქნებ კერძები სხვა ქვეყნების სამზარეულოდანაც მოამზადოო და ამიტომ შევედი კულინარიის კურსებზე.

— **ბატონო გიორგი, ცოლი თქვენს გარეგნულ იერზეც ზრუნავს?**

**გიორგი**: ქეთი მთლიანად ზრუნავს ჩემს იმიჯზე, პირადი იმიჯმეიკერია.

**ქეთი**: გიორგი ვერ იტანს მაღაზიებში სიარულს. სამოსს მე ვყიდულობ მისთვის. გიორგის იმიჯში განსხვავებაა ქორწილამდე და ქორწილის მერე. ადრე ერთი ფერის პერანგებით დადიოდა.

— **რა მთავარი თვისება გაერთიანებთ ცოლ-ქმარს და სად იყოფა თქვენი შეხედულებები?**

**გიორგი**: განსხვავება ის არის, რომ ქეთის პოლიტიკა არ აინტერესებს. საერთო თვისებებია მეგობრების სიყვარული და გურმანობა. ორივეს გვიყვარს სტუმრები და ურთიერთობა, მაგრამ მეგობრებს ეზარებათ ხოლმე ჩვენთან მოსვლა — მეხუთე სართულზე ვცხოვრობთ და ლიფტი არ გვაქვს. ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა ჩემზე, ალბათ სადღეგრძელოც არ აქვს ნათქვამიო. არ ვიცი, ჟურნალისტს რატომ დარჩა ასეთი შთაბეჭდილება. ვხუმრობდი, მათ რედაქციაში ყველა ქორწილის ჩანაწერი რომ გავაგზავნო, სადაც თამადა ვიყავი, მერე რას დაწერენ-მეთქი.

**გიორგი: „დავითი არჩევნების დღეს დაიბადა. მე და ქეთი დილით სახლიდან ერთად გამოვედით და არჩევნებში ხმა მივეცით. წამოსვლისას მითხრა, ჩაჩავას კლინიკასთან დამტოვეო... მერე დამირეკეს და მითხრეს, რომ შვილი შეგვეძინა".**

— **პოლიტიკა რა დოზითაა თქვენს სახლში?**

**გიორგი**: ნაკლებადაა. სახლში ამ თემისგან ვისვენებთ, თუმცა მიყვარს საინფორმაციო გამოშვებების თუ დებატების ყურება. ქეთი კი ამის გამო მეჩხუბება.

— **დღევანდელ რეალობაში პოლიტიკოსებს ძალიან დაძაბული და სტრესული ცხოვრება გაქვთ. ეს თქვენს ოჯახზე როგორ აისახება?**

**გიორგი**: ქეთი რთულ სიტუაციებში მაქსიმალურად ცდილობს ჩემს დახმარებას. შეიძლება გაღიზიანებული ვიყო რაღაცის გამო ან შინაგანად აფორიაქებული. ასეთ დროს მაქსიმალურად ზრუნავს, ყურადღება გადამატანინოს ბავშვებზე, სხვა საკითხზე და ა.შ. ეს ნამდვილად კარგი თვისებაა. მეც არ ვარ დეპრესიული ადამიანი. რა სირთულის წინაშეც უნდა ვიდგე, ყოველთვის ვამბობ, რომ გამოსავალი არსებობს. ყველაზე ცუდად მაშინ ვარ, თუ საქმეს არ ვაკეთებ. სტუდენტობიდან მოყოლებული დაკავებული ვარ.

— **სამი წელი უკვე გაიარეთ ერთად. ახლა როგორ დაახასიათებდით თქვენს ურთიერთობას?**

**გიორგი**: ხანდახან ქეთი მეუბნება, შეყვარებულები როცა ვიყავით, მეტ ყურადღებას მაქცევდიო. მეც მიზანი მაქვს უკვე, ოჯახს მეტი დრო დავუთმო. ბავშვების გამო ოჯახში პრიორიტეტები შეიცვალა.

— **არის თემა, რაზეც ვერ თანხმდებით?**

**გიორგი**: ხანდახან შეიძლება სადმე წასვლა დავგეგმოთ, მაგრამ შემდეგ საქმე გამოჩნდეს და მე ველარ წავიდე. ამის გამო გარკვეული უთანხმოებაა ხოლმე. ბინა, სადაც ახლა ვცხოვრობთ, ჩვენი გემოვნებით მოვაწყვეთ. მცირე ფართია და სასტუმრო ოთახში, სადაც ახლა ვსხედვართ, თქვენც ხედავთ, რამხელა მაგიდა დგას. ამასთან დაკავშირებით გვაქვს უთანხმოება, ეს მაგიდა დავიტოვოთ თუ არა. მე მისი გამოცვლის მომხრე ვარ.

— **დაბოლოს, რა არის თქვენი ოჯახის საფუძველი?**

**გიორგი**: რა თქმა უნდა, სიყვარული. მთავარი ეს არის. ქეთი ბევრს უძლებს ჩემ გამო, რადგან ხშირად სახლში არ ვარ, როცა მირეკავს, ვერ ვპასუხობ და ა.შ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ მთავარი სიყვარულია.

✓ **მანანა ნოდია**

# თემო მჟავიას რუსი ცოლი ქართულ ენას სწავლობს



## ნასტია: „ვიცი სიტყვა „მიყვარხარ", უბრალოდ ასო ყ-ს ვერ გამოვთქვამ"

იუმორისტი თემო მჟავია რამდენიმე თვეში მამა გახდება. გოგონა, რომელიც ცხოვრების თანამგზავრად აირჩია, ეროვნებით რუსი გახლავთ — 28 წლის ნასტია დივო. თავის დროზე თემომ ის საერთო მეგობრისგან გაიცნო. მერე კი, როცა სერიოზულ ავარიაში მოყვა, ნასტია მის სანახავად საქართველოში ჩამოვიდა და თემომ უკან აღარ გაუშვა. ასე შეიქმნა მათი ოჯახი და ახლა ქმარი ოცნებობს, გოგო გაუჩნდეთ, ცოლს კი ბიჭი უფრო უნდა.

**ნასტია**: მე და თემოს საერთო მეგობარი გვყავს, ირაკლი, რომელიც რაღაც პერიოდი მოსკოვში ცხოვრობდა. როცა თბილისში ჩამოვიდა, დაგვირეკა და მეგობრები საქართველოში დაგვპატიჟა.

**თემო**: მე და ირაკლი ნაქირავებ ბინაში ერთად ვცხოვრობდით. ერთხელაც მითხრა, მოსკოვიდან მეგობრები უნდა ჩამოვიყვანოო. მოკლედ, ასე გავიცანი ნასტია.

— **როგორ განვითარდა თქვენი ურთიერთობა?**

**თემო**: დაქორწინებამდე ერთმანეთს რამდენიმე თვე ვიცნობდით. ნასტია საქართველოში ორკვირიანი შვებულებით ჩამოვიდა, მაგრამ ორი კვირა ერთ თვედ გადაიქცა. აქ კლინიკაში წავედით, სამსახურისთვის ცნობა ავიღეთ, რომ ვითომ ფილტვების ანთება ჰქონდა და ცუდად იყო. ნასტია მოსკოვში მუშაობდა „იანდექსში", „გუგლის" მაგვარი რუსული საძიებო სისტემაა.

**თემო: „მშობლებს უხარიათ, რომ მე კარგად და ბედნიერად ვარ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ქართველი რძალი უნდოდათ. ელოდნენ, რომ ცოლად ქართველს მოვიყვანდი, ამიტომ ჩემი ეს ნაბიჯი გაუკვირდათ".**

მოკლედ, ნასტია აქ აგვისტოში იყო, შემდეგ ისევ რუსეთში წავიდა. გრძნობა მაშინვე გაჩნდა, მაგრამ ამას რომ მივხვდით ორივე, ნასტია აქ აღარ იყო. მერე პერიოდულად თვეში ერთხელ ჩამოდიოდა. მანამდე ინტერნეტის საშუალებით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, ძალიან ვწვალობდით. შემდეგ ავარიაში მოვყევი...

**ნასტია**: ამაზე საშინელი რეაქცია მქონდა. მაშინ მოსკოვში ვიყავი. ავარია ისეთ დროს დაემთხვა, როცა აქ ჩამოსვლის არანაირი შესაძლებლობა არ მქონდა. ძალიან დიდხანს მომიწია ლოდინი, როდის შევძლებდი ჩამოსვლას. თემოსთან ერთად მოტოციკლეტით ბევრჯერ მისეირნია და ვიცი, რომ ის შესანიშნავი, ყურადღებიანი მძღოლია.

**თემო**: ავარიის გამო 6-8 თვე ვიწექი. ნასტიამ მინახულა, მაგრამ არ მინდოდა, ჩამოსულიყო, ძალიან ცუდი სანახავი ვიყავი. ჩვენი შეხვედრა სერიალის კადრებს ჰგავდა. ნასტია ისევ რუსეთში წავიდა. ფიქრისთვის ბევრი დრო მქონდა. მომავალს ვგეგმავდი, თან მიხაროდა, რომ გადავრჩი და მყავდა გოგო, რომელსაც ძალიან ვუყვარდი და მიყვარდა. ბევრი ვიფიქრე

→32

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივითერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

**ქ-ნი ქეთევანი.**

☎ 577-29-37-41, 247-58-83



Cyan Magenta Yellow Black

თუ ცოტა, ნასტიას დავურეკე, კიდევ ერთხელ ჩამოდი-მეთქი. მაშინ ჯერ კიდევ კარგად ვერ დავდიოდი. ჩამოვიდა ისევე, როგორც ადრე, ერთი ზურგჩანთით. არსად აღარ გიშვებ-მეთქი, ვუთხარი.

**— ნასტია, რა რეაქცია გქონდათ, როცა თემომ გითხრათ, რომ აქ უნდა დარჩენილიყავით?**

**ნასტია**: თემოსთან უქმეებზე ჩამოვედი, პატარა ზურგჩანთაში რამდენიმე ხელი ტანსაცმელი მედო. წარმოგიდგენიათ ალბათ ჩემი რეაქცია. ამას გარდა, ძალიან რთული იყო ასე, ერთი ხელის მოსმით იქ ყველაფრის მიტოვება და ამ წინადადებაზე დათანხმება. იქ მე სამსახური მელოდებოდა. მოკლედ, თემოს წინადადება ჩემთვის მოულოდნელი და გასაკვირიც იყო. ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, რომ ჩემს თავს ეს ხდებოდა. არავის ეგონა, აქ თუ დავრჩებოდი, მათ შორის, არც მე, მაგრამ ეს მოხდა, რადგან ჩემთვის თემო იმაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დანარჩენი ყველაფერი.

**— თქვენი მშობლები როგორ შეხვდნენ გოგოს გათხოვებას ასე შორს?**

**ნასტია**: ჩემი მშობლები ბედნიერები არიან. მე ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი, გადაწყვეტილებებს მუდამ თავად ვიღებდი. როცა მათ დავურეკე და ვუთხარი, რომ თბილისში უნდა მეცხოვრა, რადგან შესანიშნავი ქმარი მყავდა, მითხრეს, ჩვენთვის მთავარია, შენ იყო ბედნიერიო. სამსახურს რაც შეეხება, იქ ყველა შოკში იყო, რადგან ეს სამუშაო ძალიან პრესტიჟულია. ისეთ კლიენტებთან და კომპანიებთან მიწევდა შეხვედრა, რომ შემეძლო, კარიერული წინსვლისთვის გამომეყენებინა. როცა ამ ყველაფერს ასე ერთი ხელის მოსმით ყრი, ბევრისთვის გასაკვირია. მათ ჩემი არ ესმოდათ, მაგრამ ნებისმიერის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა რაღაც არჩევანს აკეთებს. მე არჩევანი თემოზე გავაკეთე.

**— თემო, თქვენს მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ ქართველი რძალი არ ეყოლებოდათ?**

**თემო**: არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყველა ქართველის მენტალიტეტში თუ სისხლშია, რომ რატომღაც ქართველი უნდა მოიყვანო. არადა ღმერთს მარტო საქართველო არ შეუქმნია, ამიტომ ჩემი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ცოტა სხვანაირია. მშობლებს უხარიათ, რომ მე კარგად და ბედნიერად ვარ, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ქართველი რძალი უნდოდათ, ქართველებს ხომ ამის კოდი აქვთ ჩადებული და არც ჩემი მშობლები ყოფილან გამონაკლისები. ელოდნენ, რომ ცოლად ქართველს მოვიყვანდი, ამიტომ ჩემი ეს ნაბიჯი გაუკვირდათ. როცა ნასტია გაიცნეს, მიხვდნენ, რომ კარგი გოგოა და ერთად ბედნიერები ვართ. ამის შემდეგ ამ ყველაფერს ძალიან ჩვეულებრივად შეხვდნენ. დიდი სკანდალები არ ყოფილა, უბრალოდ მაშინ არ იცნობდნენ, ერთხელ ჰყავდათ ნანახი.

**— თავიდან როგორ გაჩნდა თქვენ შორის გრძნობა, რამ მიგიზიდათ ერთმანეთისკენ?**

**ნასტია**: თემო ძალიან მშვიდი, წყნარი, კეთილი ადამიანია და საინტერესო შინაგანი სამყარო აქვს. მასთან ერთად არასოდეს მოიწყენ. იმ ბიჭებს არ ჰგავს, ვისაც აქამდე ვიცნობდი. აი, ამ ყველაფერმა მომხიბლა.

**თემო**: ნასტიაც არც ერთ იმ გოგოს არ ჰგავს, ვისაც აქამდე ვიცნობდი.

**— მაგალითად, რითი განსხვავდება?**

**თემო**: უამრავი რამით. ძალიან ბევრი მქონდა ნაფიქრი იმაზე, ჩემ გვერდით ვის უნდა ეცხოვრა. ძალიან მინდოდა, რომ ის ადამიანი ქართველი არ ყოფილიყო. ვიცი, ქართველი გოგოები როგორები არიან და მაინტერესებდა, სხვა ეროვნების ცოლი როგორი იქნებოდა.

**— ნასტია, თქვენ თუ გიფიქრიათ ოდესმე, რომ ქართველს გაჰყვებოდით?**

**ნასტია**: არა, არასოდეს. საქართველოზე წარმოდგენაც არ მქონდა, არ ვიცოდი, რომ ასეთი მოწესრიგებული ქვეყანა არსებობდა და ისიც არ ვიცოდი, რომ ქართველებს საკუთარი ენა გააჩნდათ, ამიტომ შოკში ვიყავი. ახლა ნელ-ნელა ქართულ ენას ვსწავლობ და რაღაცეები მესმის კიდეც. სხვათა შორის, თემო როცა გავიცანი, რუსული საერთოდ არ იცოდა. ახლა შესანიშნავად ლაპარაკობს. მე უკვე 4 თვეა ქართულს ვსწავლობ. ვიცი სიტყვა „მიყვარხარ“, უბრალოდ ასო ყ-ს ვერ გამოვთქვამ, ასევე ვიცი „ჩემი ქმარი“, „ჩემი ბავშვი“, „ჩვენი შვილი“, „ოქრო გოგო“.

**თემო**: თავიდან არც გვიფიქრია, რომ დავქორწინდებოდით. ეს ადამიანი ჩემ მიმართ იდეალურად თბილი იყო. მისი ხელის ერთი შეხებაც კი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა. ნასტია ძალიან თბილია, პირველ რიგში, მასში ამან მომხიბლა. ქართველებს კარგად ვიცნობ, ამიტომ თამამად შემიძლია თქვა, რომ ის ქართველებს საერთოდ არ ჰგავს. სხვა ქვეყნებშიც ვყოფილვარ, მიმოგზაურია და არც



თემო და ნასტია

**თემო: „ძალიან ბევრი მქონდა ნაფიქრი იმაზე, ჩემ გვერდით ვის უნდა ეცხოვრა. ძალიან მინდოდა, რომ ის ადამიანი ქართველი არ ყოფილიყო. ვიცი, ქართველი გოგოები როგორები არიან და მაინტერესებდა, სხვა ეროვნების ცოლი როგორი იქნებოდა“.**

იმათ ჰგავს. კონკრეტულად ვერ გიხსნით, რატომ არ ჰგავს სხვებს, მაგრამ ჩემთვის ის ერთადერთია.

**— ნასტია, თემო როგორ გამოგიტყდათ სიყვარულში?**

**ნასტია**: ეს ძალიან პირადული იყო, ისეთი პირადული, რომ ძნელია მოყოლა. რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, მაგრამ მოულოდნელიც. ვგრძნობდი, რომ ის სიტყვები გულიდან მოდიოდა და ჭეშმარიტი იყო.

**— ნასტია, უცხო ქვეყანაში გათხოვება, თან იუმორისტზე, როგორ გადაწყვიტეთ, არ გაგიჭირდათ? ასე ენდობოდით თემოს?**

**ნასტია**: კი, თემოს ძალიან ვენდობი და ამ გადაწყვეტილების მიღების პრობლემა არ მქონია. ვხედავ, თემო როგორ ექცევა ადამიანებს. სხვების პრობლემებს სულ განიცდის, ეხმარება. შემიძლია ვთქვა, რომ მხოლოდ მას ვენდობი. ახლო ურთიერთობაც რომ არ გვქონოდა, ის ისეთი ადამიანია, მისი ნდობა მაინც შემეძლებოდა.

**— ქართული ყოფის თავისებურებებმა თავდაპირველად სტრესში ხომ არ ჩაგაგდოთ? მაინც განსხვავებული მენტალობა, კულტურაა.**

**ნასტია**: არანაირი სტრესი არ მქონია. აქ უფრო ანტისტრესული სიტუაციაა. საქართველოში მეგობრები არ მყავს, მაგრამ თემოს მეგობრებთან ვურთიერთობ და ისინი ძალიან მიყვარს. თბილისში ძალიან მშვიდი სიტუაციაა და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აქ დღე-ღამეში 24 კი არა, 32 საათია. რუსეთში ერთი ადგილიდან მეორეში რომ მოხვდე, ძალიან ბევრი დრო უნდა დაკარგო. აქ ყველაფერი ახლოსაა.

**თემო**: რამეზე რომ ვეტყვი, შორია-მეთქი, დამცინის. მაგალითად, ისეთ მანძილზე, სადაც მანქანით 15-20 წუთი გჭირდება მისასვლელად, ეს ფეხით მისეირნობს.

**— ნასტია, ქართული სამზარეულო თუ შეგიყვარდათ?**

**ნასტია**: ყველაფერი შესანიშნავია, განსაკუთრებით ხილი და ბოსტნეული მომწონს.

**ნასტია: „საქართველოზე წარმოდგენაც არ მქონდა, ისიც არ ვიცოდი, რომ ქართველებს საკუთარი ენა გააჩნდათ“.**

აქამდე ხორციან კერძებს ვჭამდი, მაგრამ ახლა ორსულად ვარ და მძიმე საჭმელებს ვერიდები. ძალიან მომწონს სულუგუნი, სალათები.

**— თემო, რა შეგრძნებაა, როცა მამა ხდებით?**

**თემო**: ასეთი შეგრძნება ჯერ არასოდეს მქონია. ძალიან ბედნიერი ვარ. ნასტია მესამე თვეშია, სქესი ჯერ არ ვიცით.

**— პირველი შვილი გოგო გინდათ თუ ბიჭი?**

**თემო**: როგორც უფალი ინებებს, მაგრამ მაინც, ძალიან მინდა, გოგო გვეყოლოს.

**ნასტია**: პრინცესაც გამიხარდება, მაგრამ პატარა მოტოციკლეტისტი თუ დაიბადება, ესეც ძალიან გამახარებს.

**— ნასტია, ქმრის ამპლუაში როგორ თვისებებს ამჟღავნებს თემო?**

**ნასტია**: შესანიშნავი, ალერსიანი ქმარია. ყურადღებიანი ყოველთვის იყო, ახლა კი სულ მეკითხება, რა მინდა. თუ სახლში არაა, მირეკავს. მოკლედ, ჩემზე განსაკუთრებულად ზრუნავს.

**თემო**: ნასტია გადასარევი მეუღლეა, ოქროს გოგოა.

**ნასტია**: ძალიან დიდი მადლობა, ჩემო ოქრო!

**— თემო, რუსეთში საცხოვრებლად წასვლას ხომ არ აპირებთ?**

**თემო**: ყველგან ცხოვრებაზე მიფიქრია. ღმერთმა ხომ მთელი სამყარო შექმნა და არ უთქვამს, შენ აქ იცხოვრე და შენ იქო. ეს დედამიწა ყველასია, ამიტომ ყველგან ცხოვრებაზე მიფიქრია. თუ იმის შანსი გვექნება, რომ სხვა ქვეყანაში, სხვა მიწაზე მოვსინჯოთ ცხოვრება, დიდი სიამოვნებით გამოვცდიდი ამ ყველაფერს.

**— ნასტია, თემო ყოველდღე მუშაობს. თქვენ კი სახლში მარტო ხართ. რითი ხართ დაკავებული ამ დროს?**

**ნასტია**: ყოველდღე ქართულს ვსწავლობ, ძალიან მაგარი მასწავლებელი მყავს. ამას გარდა, საქართველოში ხატვაც დავიწყე. აქამდე არასდროს დამიხატავს. ვსეირნობ, სახლის საქმეებს ვაკეთებ. ორსულად რომ ვარ, ვცდილობ, თავი არ დავიტვირთო.

**თემო**: ახლა ძირითადად ისვენებს. მე და ნასტია ცალკე ვცხოვრობთ. საქართველოში აღმოაჩინა, რომ ხატავს. ძალიან მომწონს მისი ნახატები.

**— ქორწილი გადაიხადეთ?**

**თემო**: არა, არც ქორწილი გვქონია და არც ხელი მოგვიწერია. სანამ პატარა დაიბადება, ამას აუცილებლად მოვაგვარებთ.

✓ ეკა ლემონჯავა





Cyan Magenta Yellow Black

# მარიამ როინიშვილი მამიდობისთვის ემზადება

მომღერალ მარიამ როინიშვილს და მსახიობ ანი იმნაძეს საერთო მამაკაცის სიყვარული აკავშირებთ, რომელიც ერთისთვის ძმაა, მეორისთვის — ქმარი. საუბარია კოკო როინიშვილზე. მარიამი და ანი, ორი წელია, რაც რძალ-მული არიან, თუმცა ნათესაობის აღმნიშვნელი ეს სახელები ძალიან ეხამუშებათ, ერთმანეთს მეგობრებად უფრო მიიჩნევენ. ახლა მათი ოჯახი დიდი სიხარულის მოლოდინშია. ანი და კოკო ოქტომბერში გოგონას მშობლები გახდებიან. მარიამი უკვე გამოცდილი დედაა, მისი გოგონა, ელენე, 3 წლის არის. ახლა ყველანი ანის გარშემო ტრიალებენ. პატარა ელენეც თავზე დაჰფოფინებს ბიცოლას და ბიძაშვილის დაბადებას მოუთმენლად ელის, დედამისი კი მამიდობის საპატიო მისიისთვის ემზადება.

— **მარიამ, ანი როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში, როცა ის და თქვენი ძმა შეყვარებულები გახდნენ თუ როცა დაქორწინდნენ?**

**მარიამ**: ანი რამდენიმე წლის წინ ვნახე. მაშინ ის და კოკო „პირველი არხის“ სერიალში ერთად თამაშობდნენ. პირადად კი ჩვენს აგარაკზე, საგურამოში გავიცანი. მასში ბევრ საერთოს ვპოულობ, ერთი თაობა ვართ, საერთო ენის გამონახვა არ გვიჭირს.

— **როცა გაიგეთ, რომ ანი თქვენი ძმის ცოლი ხდებოდა, დის ეგოისტურმა გრძნობებმა არ იჩინა თავი?**

**მარიამი**: ანის კოკოს ცხოვრებაში თავისი ადგილი აქვს, მე — ჩემი. ამიტომ ეგოიზმს არ ჰქონია ადგილი. კოკო თავის სიყვარულს თანაბრად გვინაწილებს, ჩემს ძმას ძალიან ბევრი ქალი ჰყავს გარშემო — ანი, დედა, ბებია, მე, ელენე და ახლა გოგონას მამა ხდება. მზრუნველობას და სითბოს არც ერთს გვაკლებს.

— **ანი, სანამ კოკოს ცოლი გახდებოდით, მარიამის შემოქმედებას თუ ადევნებდით თვალყურს?**

**მარიამი**: პასუხს მე დავასწრებ. ანი სანამ

**მარიამი: „პატარაობისას კოკოს ვემუქრებოდი, ნახე, შენს ცოლს საშინელ დღეში ჩავაგდებ-მეთქი... მე და ანი მთელი ცხოვრება ერთად უნდა ვიყოთ და არ მინდა, არასწორი ნაბიჯი გადავდგა, რომ მომავალში არასასიამოვნო მოსაგონარი არ ჰქონდეს ჩემზე".**

გამიცნობდა, უფრო კარგი წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე, ვიდრე ახლა აქვს... (იცინიან).

— **რატომ?**

**ანი**: მარიამ, არ იცი, რომ ჟურნალისტებთან ასეთი ფრაზები ხუმრობითაც არ უნდა თქვა? რასაკვირველია, მას, როგორც მომღერალს, ბავშვობიდან ვიცნობდი, მის სიმღერებს ვუსმენდი. არ შემიძლია ქება... (იცინიან).

**მარიამი**: მერე მინუსები ჩამოთვალე!

**ანი**: მის მიმართ ყოველთვის დადებითი განწყობა მქონდა. სანამ ახლოს გავიცნობდი, უფრო კონსერვატული ბუნების მეგონა, მაგრამ შევცდი. მთავარია, ერთმანეთთან ვმეგობრობთ, ვგულშემატკივრობთ. ორივე ხელოვანები ვართ, ვიცით, რას ნიშნავს წარმატება. ერთმანეთის წინგადადგმული



■ მარიამი და ანი

**ანი იმნაძე: „ჩვენმა პატარამ ჯერ კოკოს მოუკაკუნა მუცლიდან, შემდეგ — მარიამს“**

ნაბიჯები გვახარებს, ურთიერთობაში კი ესაა მთავარი. მარიამი ნიჭიერი გოგოა, მის კონცერტებზე სიხარულით მივდივარ.

— **მარიამ, როგორ შეხვდით ოჯახის ახალ წევრს?**

**მარიამი**: ოჯახის ყველა წევრი ანის ღირსეულად დავხვდით. პატარაობისას კოკოს ვემუქრებოდი, ნახე, შენს ცოლს საშინელ დღეში ჩავაგდებ-მეთქი. ანი, გაგდებ ცუდ დღეში?.. (იცინიან). მთელი ცხოვრება ერთად უნდა ვიყოთ და არ მინდა, არასწორი ნაბიჯი გადავდგა, რომ მომავალში ანის არასასიამოვნო მოსაგონარი არ ჰქონდეს ჩემზე.

— **ვფიქრობ, რომ ჩვენმა თაობამ რძალ-მულის სტერეოტიპი დაარღვია, აღარ არის მეტოქეობა, ჯიბრი, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ერთმანეთზე უარყოფითად აღარ საუბრობენ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

**ანი**: მარიამს მულად ვერ აღვიქვამ. რამდენჯერმე ვახსენე ეს სიტყვა და ისიც ხუმრობით. როცა ადამიანს აქვს სახელი — მარიამი და ის არის შენი ქმრის და, რა საჭიროა, მულად მოიხსენიო? მე და მარიამს არც ნაცნობობის დასაწყისში გვქონია პრობლემა და ახლა, მით უმეტეს, არ გვაქვს.

— **მარიამი არ ცდილობს, რომ აგამღეროთ?**

**ანი**: მეე?! ოპერას გულისხმობთ თუ ესტრადას?! (იცინიან). არა, რას ამბობთ! იმედია, მარიამს არასოდეს ექნება მცდელობა, ამამღეროს.

**მარიამი**: კოკო ამბობს, რომ ანის სმენა აქვს, უბრალოდ არ ცდილობს.

**ანი**: არ ვცდილობ კი არა, არ გამომდის! თუ მღერი, კარგად უნდა იმღერო! გამონაკლის შემთხვევებში, როცა ჩემი მეგობრები მღერიან, ავყვები და მათთან ერთად ვმხიარულობ ხოლმე. ჭოხონელიძეების რძალი რომ ხარ და მარიამ როინიშვილი შენი მეორე ნახევრის დაა, უხერხულია სიმღერაზე ფიქრი.

**მარიამი**: იმედია, პატარა რომ დაიბადება, მაშინ მაინც გავიგებთ ანის სიმღერას, შვილს ხომ უმღერებს იავნანას.

— **ანი, როგორია თქვენი ცხოვრება ახლა, რაც გაიგეთ, რომ დედა გახდებით?**

**ანი**: ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ორსულობის პირველი სამი თვე ბუნდოვნად მახსოვს, რადგან სულ მეძინა. მარიამს ეგონა, ბიჭს ვატარებდი მუცლით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გოგონას დედა ვხდები. სახელზე ჯერ ვერ ჩამოვყალიბდით. ახლა უკვე მეექვსე თვეში ვარ. მე და კოკო ოქტომბრის დასაწყისში მშობლები გავხდებით. როგორც კი სამი თვის ორსული გავხდი, მაშინვე გავაქტიურდი, სპექტაკლები ვითამაშე, რეპეტიციები მქონდა, გასტროლზეც ვიყავი. დიდი სიახლის და სიყვარულის მოლოდინი მაქვს, უბრალოდ ზუსტად არ ვიცი, დედობა რა შეგრძნებაა. ფაქტია, რომ ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება.

— **ახლა როგორი ორსული ხართ, მიზეზობთ?**

**ანი**: საჭმლის სუნი დიდად არასოდეს მსიამოვნებდა, ახლა ეს შეგრძნებები გამძაფრებული მაქვს. ექვსი თვეა, სამზარეულოში

**ანი: „დედისეული ვარ და როცა კოკოსთან დედამიშვილზე მილაპარაკია, კოკოს უთქვამს, ვერ გადმოგცემ, მარიამი ჩემს ცხოვრებაში ვინ არის. მათი ურთიერთობა შეუფასებელია".**

არ შევსულვარ. ჩვენ გვერდიგვერდ სადარბაზოში ვცხოვრობთ. თამრიკოსთან ჩამოვდივართ და აქ გეახლებით. სახლში მხოლოდ ვსაუზმობთ.

— **მარიამ, წარმოგიდგენიათ, როგორი მამიდა იქნებით?**

**მარიამი**: სანამ გავიგებდი, რომ ანი ორსულად იყო, უკვე ვფიქრობდი, კოკოს შვილი რამხელა სიხარულს შემოიტანდა ჩემს ცხოვრებაში. ჩემგან განსხვავებით, კოკო ულამაზესი, საოცრად საყვარელი ბავშვი იყო. შვილიც რომ მას დაემსგავსოს, ჩემი ბავშვობა ამომიტივტივდება. ვფიქრობ იმაზე, როგორი მამიდა ვიქნები. კოკოზე მთელი ცხოვრება მზე და

→34


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

მთვარე ამომდიოდა და ცოტათი მაინც წარმოგიდგენიათ, მის შვილს როგორ ველოდები? მინდა, ჩემს პატარა გოგონას კარგი მამიდობა გავუწიო.

**ანი**: ჩვენმა პატარამ ჯერ კოკოს მოუკაკუნა მუცლიდან, შემდეგ — მარიამს.

**— მარიამ, ალბათ, უკვე როგორც გამოცდილი დედა, რჩევებსაც აძლევთ ანის.**

**მარიამი**: ანი იმდენად ინფორმირებულია, რომ ჩემი რჩევები აბსოლუტურად ზედმეტად მიმაჩნია. 20 წლის ვიყავი, დედა რომ გავხდი. ასაკის მიუხედავად, დედობრივი ინსტინქტები ქალში თავისით იღვიძებს.

**— რძალ-მული ერთად დიდ დროს ატარებთ?**

**მარიამი**: ერთნაირი გემოვნება გვაქვს, რამდენჯერმე ერთად ვიშოპინგეთ კიდეც. ერთხელ ელენესთვის ვიყიდეთ სამოსი, ერთხელ — კოკოსთვის. პატარა გოგონასთვის, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, არაფერი გვიყიდია. ორსულობის მიწურულს ვაპირებთ მისთვის ყველაფრის შეძენას.

**ანი**: ვიცით, რა სტილის სამოსი მოგვწონს და ამ მხრივაც არის თანხვედრა. უცხოეთიდან ერთმანეთისთვის ყოველთვის ჩამოგვაქვს საჩუქრები, ისეთი სამოსი, რომელსაც ჩავიცვამთ და გამოვიყენებთ... კოკოს და მარიამს შესაშური დამოკიდებულება აქვთ, საერთო მეგობრები ჰყავთ და ამიტომ ხშირად ვერთობით ერთად.

**მარიამი: „კოკოზე მთელი ცხოვრება მზე და მთვარე ამომდიოდა და ცოტათი მაინც წარმოგიდგენიათ, მის შვილს როგორ ველოდები? მინდა, ჩემს პატარა გოგონას კარგი მამიდობა გავუწიო".**

**— როგორი დიასახლისები ხართ?**

**ანი**: მარიამი უგემრიელეს ნამცხვარ „ბრაუნს" აკეთებს. ფეხმძიმობის დროს ტკბილეული ძალიან მინდება და რამდენჯერმე მომიმზადა „ბრაუნი".

**— დედამთილი, თამრიკო ჭოხონელიძე, გემრიელ საჭმელებს გიცხობთ, მუდამ ტკბილეულით განებივრებთ...**

**ანი**: ამიტომაც მოვიმატე ასე. თამრიკოს რძლობა, ამ მხრივ, კომფორტია. განა არ შემიძლია კეთება, უბრალოდ ამ ეტაპზე, ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭმელებს ვერ მოვამზადებ.

**მარიამი**: მერე რა, რომ მოიმატე. ბავშვი რომ დაიბადება, ზედმეტი კილოგრამები თავისით გაქრება.

**ანი**: ყოველთვის მაინტერესებდა, როგორი ვიქნებოდი მსუქანი და, აი, ახლა ვარ მსუქანი. უცნაურად დიდი ლოყები მაქვს.

**მარიამი**: ორსულობამდე ანი ხშირად გვირეკავდა და დედას ეკითხებოდა, თამრიკო, ეს როგორ გავაკეთო ან ეს როგორ შევაზავოო. ისე მშურდა, ანის საჭმელების კეთების მოთხოვნილება და სურვილი რომ ჰქონდა, საკუთარ თავს ხშირად ვუსვამდი კითხვას, იგივე მე რატომ არ მინდება-მეთქი.

**ანი**: გურმანი ვარ და ალბათ ამიტომ.

**მარიამი**: მეც გურმანი ვარ, მაგრამ საჭმლის კეთების სურვილი არ მიჩნდება. იმედს არ ვკარგავ, რომ მომავალში რამეს ვისწავლი. სულ ვბრაზდებოდი გოგოებზე, რომლებიც საჯაროდ წერდნენ, კვერცხის შეწვაც არ ვიცითო. რასაკვირველია, თეორიულად ყველა საჭმლის კეთება ვიცი, მაგრამ პრაქტიკულად — არა. დედასთვის საჭმლის კეთება რიტუალია, რასაც მე ვერ დავიკვეხნი.

**— ოჯახში უთანხმოება არასოდეს მოგსვლიათ?**

**მარიამი**: არასოდეს, თუმცა ცხარე კამათი გვქონია, მაგალითად, პოლიტიკაზე.

**ანი**: პრინციპში, კონფლიქტი რომც გვქონოდა, მაინც არ გეტყოდით, ქალბატონო ჟურნალისტო!.. (იცინიან). იმედი მაქვს, ცხოვრებას ისე გავლევთ, კონფლიქტები არ გვექნება.

**მარიამი**: ჩემი მხრიდან სისულელე იქნება, ვთქვა, და შევიძინე-მეთქი, მაგრამ ანი ჩემთვის ის ადამიანია, ვის გვერდითაც თავს კარგად ვგრძნობ. ბედნიერი ვარ, რომ კოკოს მისნაირი ადამიანი ჰყავს გვერდით. თვალი რომ შეავლოთ, როგორი ურთიერთობა აქვთ, შეგშურდებათ. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი არიან.

**ანი: „ქოხონელიძეების რძალი რომ ხარ და მარიამ როინიშვილი შენი მეორე ნახევრის დაა, უხერხულია სიმღერაზე ფიქრი".**

**ანი**: დედისერთა ვარ და როცა კოკოსთან დედმამიშვილზე მილაპარაკია, კოკოს უთქვამს, ვერ გადმოგცემ, მარიამი ჩემს ცხოვრებაში ვინ არისო. მათი ურთიერთობა შეუფასებელია.

**მარიამი**: ანი საოცრად თბილი ადამიანია. გიჟდება ელენეზე და ჩემს შვილსაც მის მიმართ ზუსტად იგივე განცდა აქვს.

**ანი**: მე ვარ ელენეს ანიკო. ბავშვები ძალიან მიყვარს, ის საოცრად ელოდება ჩემი და კოკოს შვილის დაბადებას. არ მინდა, იეჭვიანოს, როცა ჩვენი გოგონა გაჩნდება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ მოხდეს.

✓ ლანა კიკნაძე



■ ელენე, მარიამი და ანი

# „ელდრაინმა" პირველი ალბომი ავღანეთში მყოფ ჯარისკაცებს მიუძღვნა



ჯგუფმა „ელდრაინმა" თავისი პირველი სიდი ალბომი, რომელიც დღის სინათლეს ძალიან მალე იხილავს, ავღანეთში აისაფ-ის მისიაში მონაწილე ქართველ და სხვა ეროვნების ჯარისკაცებს მიუძღვნა. ეს იდეა ჯგუფის წევრებს ეკუთვნით, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში სამშობლოს დასაცავად თავადაც იბრძოდნენ. ალბომზე მუშაობის პროცესს დაემთხვა სამწუხარო ფაქტი, როცა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები დაიღუპნენ. ჯგუფმა სიმღერა „ომი არ არის დასასრული" სწორედ მათ მიეძღვნა.

„ელდრაინი" ავღანეთში კონცერტსაც გეგმავს, სადაც ისინი ალბომს ჯარისკაცების წინაშე წარადგენენ.

— ჩვენი ჯგუფის წევრები თავად იბრძოდნენ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში. იქ დაგროვილი ემოციებიდან ერთ დღესაც იდეა გაჩნდა, რომ ჯარისკაცებისთვის სიმღერა მიგვეძღვნა. როცა რაღაცას აკეთებ, მიზანი უნდა ჰქონდეს, ვიღაცისთვის უნდა აკეთებდე. გაჩნდა იდეა, რომ რამდენიმე სიმღერა კი არა, მთლიანად ალბომი მიგვეძღვნა ჯარისკაცებისთვის. მასზე მუშაობას ვასრულებდით, როცა ქართველების ავღანეთში დაღუპვის სამწუხარო ფაქტი გავიგეთ. ჩვენი ემოციები გამძაფრდა მას შემდეგ, რაც იმ ჯარისკაცებს შევხვდით, რომლებიც იქ იბრძოდნენ.

ავღანეთში, ჯერ არ ვიცით, კონკრეტულად როდის წავალთ, რადგან ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. განსაკუთრებით იმ სამწუხარო ფაქტის შემდეგ უსაფრთხოების ზომები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. როგორც კი ყველაფერი მოგვარდება, წავალთ. სავარაუდოდ, ეს სექტემბერში იქნება, — გვითხრა ჯგუფ „ელდრაინის" სოლისტმა სოფო ტოროშელიძემ.

პროექტი სტუდია „ბრავო რექორდსთან" ერთად მომზადდა, რომლის ხელმძღვანელი, ზაზა შენგელია, დარწმუნებულია, რომ ეს ალბომი სხვა მუსიკოსებისთვისაც სტიმული გახდება, რათა ჯარისკაცების მიმართ მეტი თანადგომა გამოხატონ.

— ის, რაც მუსიკოსისგან მოდის, ბევრად უფრო სანდო, ნამდვილი, რეალური და განცდილია. ეს ნამდვილად ჩანს „ელდრაინის" მუსიკასა და ტექსტებში, რომელიც მათ შექმნეს. „ელდრაინი" რეგიონში ერთ-ერთი უძლიერესი როკჯგუფია. მათი გადაწყვეტილება ძალიან კარგი მაგალითია სხვა მუსიკოსებისთვის, რომ ჩვენი ახალგაზრდების მხარდასაჭერად იგივე მოიმოქმედონ. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ჯარისკაცებისთვის შეგვიძლია გავაკეთოთ, მხარდაჭერაა. ჩვენ, „ბრავო რექორდსი", ამ იდეის თავისმომწონებლები ვიყავით და მეტი არაფერი, — აღნიშნა ზაზა შენგელიამ.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

ახალი ამპლუა

# ეთერ კაკულიამ ახალდაბადებულ შვილიშვილს პალატაში უმღერა

## „სხვა ნეტარება მართლაც არ არსებობს!“



■ ბებია და შვილიშვილი

მხიარული, მუდამ მომღიმარი, გადამდებად კარგი ხასიათის მომღერალი, ეთერ კაკულია, ცოტა ხანია, რაც სრულიად ახალ ამპლუაშია — ბებია გახდა. მის ერთადერთ ვაჟს, 32 წლის ალექსანდრე ვაჩიბერიძეს და რძალს, ნინი მელაშვილს, გოგონა გაუჩნდათ. ამ ფაქტით ქალბატონი ეთერი უზომოდ გახარებულია, თუმცა თავის ასაკს ისევ მკაცრად ასაიდუმლოებს და არ ამხელს, რამდენი წლისას შეეძინა ნანატრი შვილიშვილი.

„სარკე“ ახალბედა ბებიას სახლში ეწვია, სადაც პატარა მარიამის მოსანახულებლად უამრავი სტუმარი იყო მისული და ქართული ტრადიციული სუფრაც გაშლილი დაგვხვდა. ბედნიერი ბებია ყველას სიმღერით ატკბობდა და თავის კარგ განწყობას უნაწილებდა.

— **ქალბატონო ეთერ, გილოცავთ პირველი შვილიშვილის შეძენას. როგორია ემოციები?**

— დიდი მადლობა! მსოფლიოში იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა შვილი იბადება, მაგრამ ამის მერე ყველაზე დიდი სიხარული შვილიშვილის დაბადება ყოფილა. როგორც იქნა, ეთერ კაკულიას შვილიშვილი შეეძინა!

— **არ გვეტყვით, რა ასაკში გახდით ბებია?**

— არა მგონია, რომ გითხრათ. მე ხომ მოკლე კაბები მიყვარს, ახლა კი გადავწყვიტე, ჩემი კაბის სიგრძე კიდევ უფრო დავამოკლო. ბებია წიწკვი უნდა იყოს. ადრე რომ წიწკვობდი, ახლა უკვე ეთერი ბებო ხარო, მეუბნებიან. მერე რა, მე ისევ ის ეთერი ვარ!

— **რა შეგრძნება დაგეუფლათ, როცა მარიამი პირველად დაინახეთ?**

— მარიამი 11 ივნისს დაიბადა. სხვათა შორის, 11 აგვისტოსაა ჩემი შვილი დაბადებული და ძალიან უნდოდა, რომ მარიამიც 11 რიცხვში დაბადებულიყო. მარიამ, ყოჩაღ! მამამისს ძალიან ჰგავს. თავიდან ვერც აღვიქვამდი, ბებია რომ გავხდი. ვერ გადმოგცემთ იმ შეგრძნებას, როცა პალატაში შევედი და ჩემი რძალი და პატარა, ციცქნა ბავშვი დავინახე. სხვათა შორის, მარიამმა ცოტა გამიღიმასავით და გავგიჟდი, ვუთხარი, მიცანი-მეთქი. იცით, რამდენი ვიმღერე? „და მე არ მინდა სხვა ნეტარება“ შევუსრულე. აბა, რა! სხვა ნეტარება არც არსებობს! ახლა მესმის ბებიების და ბაბუების, რომლებიც შვილიშვილებზე ჭკუას კარგავენ. ხომ ამბობენ, შვილზე ტკბილი შვილიშვილიაო, ეს მართალია თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ბავშვები მიყვარს, მათზე შეშლილი ვარ.

შვილიშვილს სხვანაირი სიხარული შემოაქვს სახლში. მას ისე ვეფერები, როგორც ნატვრის ხეს. სხვათა შორის, გოგო ძალიან მინდოდა. დიდი მადლობა უფალს, რომ შვილიშვილი გოგო მყავს. მე რომ ფეხმძიმედ ვიყავი, მაშინ ექოსკოპიები არ იყო და არც ვიცოდი, რა სქესის დაიბადებოდა. როცა გავაჩინე და მითხრეს, ბიჭიაო, ვთქვი, არა უშავს-მეთქი... ნინის საკეისრო კვეთა დასჭირდა. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო გინეკოლოგ ზაზა სინაურიძეს. ამ პიროვნების წინაშე თავს ვიხრი. სხვათა შორის, დედამისი, მანანა, ჩემი მეგობარია. დიდი მადლობა მას, რომ ასეთი შვილი გაზარდა.

— **სანამ პირველ შვილიშვილს ელოდებოდით, ნერვიულობდით?**

— ვგიჟდებოდი, სანამ დაიბადებოდა, უკვე შეშლილი ვიყავი. ნინის მუცელზე ხელს ვადებდი, მარიამი ფეხს როგორ ურტყამდა, ინძრეოდა, ვგრძნობდი და ეს სულ სხვანაირი შეგრძნება იყო. ღმერთმა ქნას, რომ 9 შვილიშვილი შემეძინოს, მე თანახმა ვარ! საერთოდ, ორსულ ქალებზეც ვგიჟდები. მინდა, მთელი თბილისის ქალები ორსულად დადიოდნენ. როცა ნინი ფეხმძიმედ იყო, ყავას მე ვუხარშავდი, ოღონდ ხსნადს, რადგან მეორენაირის მოხარშვა არ ვიცი.

— **თქვენი კულინარიული შესაძლებლობები ცნობილია და ალბათ ეს არც რძალს უკვირს.**

— ნუ, რა ვქნა, სამაგიეროდ მას ეხერხება ყველაფერი. ნინი ძალიან გემრიელად ამზადებს, რაც მთავარია, ქმარს მისი მომზადებული კერძები ძალიან მოსწონს. იცით, რა არის? მთელი ცხოვრება გასტროლზე დავდიოდი, სახლში დედაჩემი იყო და ასი ადამიანის საჭმელს მარტო აკეთებდა. მე სულ გასული ვიყავი და მითხარით, როდის უნდა მესწავლა? ახლა კიდევ რძალი მყავს და ის აკეთებს. განა, არ მინდა, რომ სადილები მოვამზადო, მაგრამ ძალიან ხელჩლუნგი ვარ და რა ვქნა?!

— **როგორი დედა იყავით და ახლა როგორი ბებია იქნებით, გრძნობთ რაიმე განსხვავებას?**

— არც კი ვიცი, სიმკაცრე რა არის. როცა დედა გავხდი, გასტროლებზე თვეობით მივდიოდი და ბავშვს დედაჩემი უვლიდა. ალექსანდრე ძირითადად დედაჩემმა გაზარდა, მაგრამ 5-6 წლიდან სულ თან დამყავდა. ძალიან ლამაზი, ხუჭუჭა თმა ჰქონდა. ახლა 32 წლისაა. ერთადერთი შვილი მყავს და ეს ჩემი დიდი დანაშაულია! სამი შვილი უნდა მყოლოდა! ეთერ, არ გრცხვენია?! შვილზე უკეთესი არაფერია. ვისაც შეუძლია, მრავალი შვილი უნდა გააჩინოს.

რომ გითხრათ, ისეთი ბებია ვიქნები, რომელიც შვილიშვილს საჭმელებს გაუკეთებს-მეთქი, ტყუილი იქნება. მშიშარა ვარ, მეშინია, რამე ზედმეტი არ გამომივიდეს. მე შვილიშვილს ბევრს მოვეფერები, ვუმღერებ. ბებიობის მთელი ჩემი ფუნქცია ეს არის. მოკლედ, მეტიჩარა ბებია ვარ!

— **რძალს ალბათ ბავშვისთვის პამპერსის გამოცვლაშიც მიეხმარებით.**

— ჩემი რძალი ისეთი ყოჩაღია, დახმარება არ სჭირდება. მე სტიმულს ვაძლევ — „ნინი, ყოჩაღ! დიდი მადლობა შენ!“. ჯერ შვილიშვილს ვერ მივეჩვიე, თანდათან ესეც გამომივა. იცით, ჩემი ოცნება რა არის? მარიამი 3 წლის რომ გახდება,

**„არც ვიცი, სიტყვა „დედამთილი“ რა არის. რძალი იგივე შვილია. ნინი ძალიან კარგი გოგოა, გაწონასწორებულია, ყველაფერს მიჯერებს“.**

სცენაზე ერთად გამოვიდეთ და დუეტში ვიმღეროთ. ძალიან მინდა, ჩემი შვილიშვილიც გავიდეს სცენაზე. ვგიჟდები, ისე მინდა, ეს დღე დადგეს და მარიამმა იმღეროს.

— **ბებია-შვილიშვილს ფოტოს რომ გიღებდით, გვითხარით, ბავშვი პირველად დავიკავე ხელშიო. აქამდე გეშინოდათ?**

— ჯერ ვერ მივეჩვიე, მეშინია. ჩემს მარიამს ამის შემდეგ ხელშიც დავიკავებ.

— **ბავშვს სახელი ვინ შეურჩია?**

— სახელი მე დავარქვი. მე ეთერი მქვია, ნინიკოს დედას — მზია. ეს სახელები არ გვინდოდა. ვთქვი, რომ მარიამს დავარქმევდი. შვილიც დამთანხმდა და რძალიც. ჩემი შვილისთვის მამობა უდიდესი ბედნიერებაა. იცით, სახლში როგორი ხალისია? პატარას სულ სხვა სიხარული შემოაქვს.

სხვათა შორის, მინდა, ბათუმში კონცერტი გავმართო, უდედმამო ბავშვებს მივუძღვნა და კომპიუტერები ვუყიდო.

— **რძალი რომ გყავდათ, მგონი, არავინ იცოდა. რატომ მალავდით?**

— არ ვმალავდი, ორი წელია, რაც რძალი მოვიყვანე. ნინი ფილოლოგი, ჟურნალისტია. ახლა არ მუშაობს, მაგრამ მერე დაიწყებს. ბევრმა იცოდა, რძალი რომ მყავდა. უბრალოდ მარიამის დაბადებას ველოდებოდით და შემდეგ გავახმაურეთ ეს ყველაფერი.

**„მე შვილიშვილს ბევრს მოვეფერები, ვუმღერებ. ბებიობის მთელი ჩემი ფუნქცია ეს არის“.**

— **როგორი დედამთილია ცნობილი მომღერალი ეთერ კაკულია?**

— კარგი ვარ. არც ვიცი, სიტყვა „დედამთილი“ რა არის. რძალი იგივე შვილია. ნინი ძალიან კარგი გოგოა, გაწონასწორებულია, ყველაფერს მიჯერებს. იცით, როგორი დედამთილი ვარ? აი, ასე ვეძახი ხოლმე: „ნინი, ყავას მომიდუღებ?“. როგორ არა, აბა, რას ვიზამო, მპასუხობს. მერე გავძახებ: „ნინი, კარტოფილს შეწვავ?“. როგორ არ შევწვავო, მეუბნება. აი, ასეთი დედამთილი ვარ. თანდათან ნინი მეტყვის, ეთერ, რას გაგვიკეთებო.

— **თქვენ როგორი რძალი იყავით?**

— მე და ჩემი ქმარი ცალკე ვცხოვრობდით. რომ გითხრათ, ჩემს დედამთილთან დიდი კონტაქტი მქონდა-მეთქი, სიმართლე არ იქნება. ბუნებით უნდა იყო კეთილშობილი, დადებითი ხასიათი გქონდეს. მშობლები მეუბნებოდნენ, რომ ქვეყანას დადებითი ხასიათით მოვევლინე. არც კი ვიცი, გაბრაზება რა არის. ყველგან ასეთი ვარ, სახლშიც და გარეთაც. მთელი თბილისი როგორსაც მიცნობს, ისეთი გახლავართ. ჩემი ცუდი ხასიათი სხვას რატომ უნდა მოვახვიო თავს? თუ ცუდ ხასიათზე ვარ, სახლიდან გავალ. გარეთ კი ცუდ ხასიათზე არ ვარ, ხალხი ძალიან მიყვარს, კონტაქტური ვარ და, მით უმეტეს, ქართველებთან ცუდ ხასიათზე არასდროს ვიქნები.ყოველთვის შემეძლო საზღვარგარეთ ან რუსეთში მეცხოვრა, მაგრამ ქართველის გარეშე ვერასოდეს გავძლებდი.

ჩემი ოცნება ისევ და ისევ ის არის, რომ 102 წელი ვიცხოვრო და ჯანმრთელად ვიყო ჩემს ოჯახთან ერთად. აქვე გეტყვით, რომ აფხაზეთზე არაჩვეულებრივი სიმღერა ჩავწერე, რომელიც მალე გაჟღერდება. ისეთია, ხალხი რომ იტირებს. კლიპის გადაღებაც მინდა და ისიც, რომ ეს სიმღერა სოხუმში შევასრულო!

✓ მაკა ლემონჯავა


ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# ნინო იოსელიანი: „სახის კანს ოქროს ძაფებით გადავიჭიმავ“

ნინო იოსელიანი 15 წლის იყო, როცა ამერიკაში სასწავლებლად წასული აერობიკით დაინტერესდა და ვარჯიში დაიწყო. პარიზში ცხოვრებამ კი თავის მოვლის განსაკუთრებული კულტურა ჩამოუყალიბა. ეს ყველაფერი საბოლოოდ პროფესიად აქცია და ახლა მოდის, მარკეტინგისა და პიარის სპეციალისტია, ამავე დროს თბილისის მოდის კვირეულის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლავთ. ის ოჯახთან ერთად ბარსელონაში ცხოვრობს. ამბობს, რომ იქ, ზღვისპირა ქალაქში, ქალები სხეულს განსაკუთრებით უვლიან. მათი ცხოვრების წესს ისიც აჰყვა, ვარჯიში, ცურვა, მასაჟები და სალონებში სიარული მისთვის ყოველდღიურობაა და ბიზნესმენ ქმარს, გიორგი ქისტაურსაც ურჩევს, ივარჯიშოს.

ნინომ „სარკის“ მკითხველებისთვისაც არ დაიშურა საინტერესო რჩევები თავის მოვლასთან დაკავშირებით.



— **ნინო, ერთი შეხედვითაც გეტყობათ, რომ თავის მოვლას, გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობთ.**

— თავის მოვლა ჩემთვის ნამდვილად სუსტი წერტილია. გარეგნობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერიმენტს ხშირად ვატარებ. დავდივარ სილამაზის ცენტრებში, სავარჯიშო დარბაზებში და ა.შ. როცა ამერიკაში სასწავლებლად წავედი, 15 წლის ვიყავი. იქიდან მოყოლებული, ჩემთვის ვარჯიში ძალიან მნიშვნელოვანია. შტატებში სწავლის პერიოდში გოგონების აერობიკის ჯგუფი ჩამოვაყალიბე. სკოლამ ავტობუსიც კი გამოგვიყო, რომ ერთად გვევლო. ერთი პერიოდი სინდი კროუფორდის ვარჯიშებს ვასრულებდი, რომელიც კასეტაზე იყო ჩაწერილი. შემდეგ, საფრანგეთში სწავლის პერიოდში, დიდ სპორტულ დარბაზებში დავდიოდი სავარჯიშოდ. ამ ყველაფერს მასაჟები და სპა-სალონებში სიარულიც მივამატე. სხეულის კანსაც უნდა მოვლა. საჭიროა მასაჟების, პილინგების, დამატენიანებლების გაკეთება.

**„ადრე რომ ტენდენცია იყო, ქალი ბუნებრივად უნდა ყოფილიყო ლამაზი, ეს დღეს გაუგებარია. არსებობენ ბუნებრივად ლამაზი ქალები, მაგრამ ამ სილამაზეს მოვლა და განვითარება სჭირდება“.**

სულ ვცდილობ, კოსმეტიკურ ბაზარზე პროდუქტის თუ ტექნოლოგიის სახით გამოსული ყველა სიახლე გამოვცადო. ეს ყველაფერი ჩემთვის ცხოვრების წესია. ჯანსალად ვიკვებები. ამერიკაში რთულია წონის შენარჩუნება. იქ ვისწავლე კალორიების თვლა. მერე ბარსელონაშიც აქტიურად დავდიოდი ქალთა ცენტრებში, კოსმეტიკურ დაწესებულებებში და ახლა ეს ყველაფერი უკვე ჩემთვის მარტო გატაცება აღარაა, ერთ-ერთი ცნობილი სილამაზის სალონის ქსელის ბრენდმენეჯერი ვარ. აქედან გამომდინარე, ეს ჩემი სამსახურიც გახდა.

— **რადგან ვარჯიშობთ, დიეტის დაცვა აღარ გჭირდებათ?**

— ჩემი ყოველდღიური საკვები მენიუ ამგვარია: საუზმეზე კვერცხი ან ყველი და ჩაი. ყოველთვის შავ პურს ვიღებ. შუადღის 12 საათისკენ თევზეულს ვჭამ ბოსტნეულთან ერთად. სადილში ბრინჯი, თაფლი და ზღვის პროდუქტები უნდა შედიოდეს. მიყვარს ხილი. ტკბილეულს არ ვიღებ, მაგრამ თუ სადმე ვარ, დესერტზე უარს არ ვამბობ.

**„არ მიყვარს იმის ჩაცმა, რაც ყველას აცვია. ახალგაზრდა დიზაინერების ნამუშევრებს ვეძებ, სტანდარტული სტილი არ მომწონს“.**

**„ახლა უფრო კარგად გამოვიყურები, ვიდრე ოცი წლის ასაკში“**

— **ორი შვილი ისე გააჩინეთ, წონის პრობლემა არ შეგქმნიათ?**

— მთელი ორსულობა ვცურავდი და ვვარჯიშობდი. შემდეგ კი ფორმაში ჩასადგომად სპეციალურ მასაჟებს და ვარჯიშებს ვიტარებდი. ადრე რომ ტენდენცია იყო, ქალი ბუნებრივად უნდა ყოფილიყო ლამაზი, ეს დღეს გაუგებარია. არსებობენ ბუნებრივად ლამაზი ქალები, მაგრამ ამ სილამაზეს მოვლა და განვითარება სჭირდება. მოუვლელი ლამაზი ქალი ასაკში ეშხს კარგავს. შედარებით ნაკლები გარეგნობის ქალი კი, რომელიც ვარჯიშობს და თავს უვლის, ასაკში ბევრად კარგად გამოიყურება.

— **დღეს უფრო მეტად მოგწონთ თავი, ვიდრე 20 წლის ასაკში?**

— კი, ჩემი თავი ახლა უფრო მომწონს. 30 წლის ზემოთ ქალი უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე 20 წლის. ეს იმიტომ, რომ მცირე ასაკში არ იცი, რა გიხდება, ძიების პროცესში ხარ და სტილს ხშირად იცვლი. ასეც უნდა იყოს. თუ ექსპერიმენტებს არ ჩაატარებ, თავს ვერ იპოვი და ვერ დაიხვეწები. მაგალითად, მე ერთი პერიოდი აბსოლუტურად თეთრი თმა მქონდა, ასევე მქონია წითელი თმა „კარე“ ვარცხნილობით, მქონია შავიც, მერე ისევ ქერა. საბოლოოდ მივხვდი, რომ წაბლისფერი თმა უფრო ლამაზია.

**„ერთი პერიოდი აბსოლუტურად თეთრი თმა მქონდა, ასევე მქონია წითელი თმა „კარე“ ვარცხნილობით, მქონია შავიც, მერე ისევ ქერა. საბოლოოდ მივხვდი, რომ წაბლისფერი თმა უფრო ლამაზია“.**

— **შტატები, საფრანგეთი, ესპანეთი და საქართველო — რა განსხვავებაა ამ ქვეყნებში მცხოვრები ქალების თავის მოვლის წესებში?**

— შტატებში იმდენად დიდი ხნის წინ ვიყავი, რომ შეიძლება ახლა შეიცვალა ტენდენცია. მაშინ ამერიკელი ქალები გარეგნობას ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ არა ისე, როგორც ევროპაში. ფრანგი ქალები თავს ნამდვილად უვლიან. თბილისში ქალების დიდი ნაწილი არ მუშაობს და ამიტომ ბევრი თავისუფალი დრო აქვთ თავის მოსავლელად, მაგრამ აქ რაღაც რომ შემოვა მოდაში, ამოჩემება იციან. მაგალითად, საქართველოში რუჯია მოდაში. ყველა სოლარიუმში დადის, ირუჯებიან და არ იციან, რომ ამ შემთხვევაში კვირაში ერთხელ კანზე პილინგი უნდა ჩაიტარონ, ანუ კანის მკვდარი უჯრედები მოიშორონ. ამას აქ არ აკეთებენ. ასევე რუჯის შემთხვევაში საჭიროა კანის დატენიანება, სპეციალური ნიღბები და ა.შ. ევროპაში ეს იციან.

მე მზის რუჯი მაქვს. ცოტა ხნის წინ ბარსელონიდან დავბრუნდი. ქალები ყველაზე მეტად ბარსელონაში უვლიან სხეულს, რადგან ზღვისპირა ქალაქია. წელიწადის 6 თვე შიშველი სხეული უჩანთ და ცდილობენ, ფორმაში იყვნენ. იქ ყველაზე ხშირად მიმართავენ პლასტიკურ ქირურგიას.

— **თავად თუ გაგიკეთებიათ პლასტიკური ოპერაცია?**

— არა, ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით არ მჭირდება. როცა ასაკი მომემატება, სახის კანს ოქროს ძაფებით გადავიჭიმავ. სხეულზე ოპერაცია არ დამჭირვებია, რადგან ბევრ მასაჟს ვიკეთებ და ვვარჯიშობ. პლასტიკური ქირურგიის შეცვლა ვარჯიშით შესაძლებელია, თუ რამე განსაკუთრებულ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე. ახლა მინდა, შუბლზე ბოტოქსი გავიკეთო.

— **სახის კანისთვის რა საშუალებებს იყენებთ?**

— სიახლე არსებობს კოსმეტიკურ ბაზარზე — ესპანური ბრენდი, რომელსაც ვიყენებ. ლიფტინგკრემს რომ წაისვამ, დამატებითი ბურთულა მოჰყვება, რომლითაც კანს ამუშავებ და ის იჭიმება. 3-4 დღე კანი კარგად გამოიყურება. ეს სიახლე ევროპაში აქტუალურია. დავდივარ კოსმეტოლოგიურ ცენტრებში, ვიკეთებ სხვადასხვა პროცედურას — სახის დატენიანებას, ლიფტინგს. ნორმალური ტიპის კანი მაქვს, არაპრობლემური. არის აპარატი, რომელიც სითბოს გამოყოფს და კანის რეგენერაციას უწყობს ხელს. ამასაც მივმართავ.

— **გრძელი თმის გამო სალონში სიარული ხშირად გიწევთ?**

— ძალიან მიყვარს გრძელი თმა და ადრე სამ დღეში ერთხელ სალონში ვიყავი. ერთხელ კი აღმოვაჩინე კერამიკული უთო, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით არ არის, ბარსელონაში ვიყიდე. იქ ოცწუთიანი ტრენინგი ჩამიტარეს, თუ როგორ უნდა გამოვიყენო. ისე კარგად ვისწავლე თმის დავარცხნა, რომ წელიწადნახევარია, თვითონ ვიკეთებ ვარცხნილობას. ახლაც ჩემი გაკეთებული ვარცხნილობით ვარ. თმას



Cyan Magenta Yellow Black

სალონში ვიღებავ.

— **ხშირი ვარცხნა ცხელი საშუალებებით თმას აზიანებს. როგორ იცავთ მის სიჯანსაღეს?**

— იტალიური ბრენდის შამპუნებს ვიყენებ, რომელიც არგანის ზეთს შეიცავს. ასევე ვარცხნილობის გაკეთებამდე სპეციალურ სპრეის ვისხამ თმაზე, რომელიც მას დაწვისა და დაზიანებისგან იცავს. თვეში ერთხელ თმას ცხელი მაკრატლით ვიჭრი.

— **მაკიაჟში რას მიიჩნევთ ცუდ ტონად?**

— ცუდი ტონია ტუჩზე მუქი კონტურის გამოყენება მაშინ, თუ ტუჩსაცხი იმავე ფერის არ არის. თვალებზე არასწორად გაკეთებული მაკიაჟი შეიძლება ცუდ ტონად იქცეს. რა თქმა უნდა, ცუდია, როცა ტონალური

> **„ლიფტინგკრემს რომ წაისვამ, დამატებითი ბურთულა მოჰყვება, რომლითაც კანს ამუშავებ და ის იჭიმება. 3-4 დღე კანი კარგად გამოიყურება. ეს სიახლე ევროპაში აქტუალურია“.**

მხოლოდ სახეზე უსვიათ და ყელი თეთრი რჩებათ.

— **რა ფერები გიყვართ და როგორია თქვენი სტილი?**

— ჩემი სტილი ინდივიდუალურია. არ მიყვარს იმის ჩაცმა, რაც ყველას აცვია. ახალგაზრდა დიზაინერების ნამუშევრებს ვეძებ, სტანდარტული სტილი არ მომწონს. მიყვარს ცისფერი, თეთრი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი და შავი. პრინციპში, ფერები მიყვარს და ვიხდენ კიდეც. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ შავ-თეთრში გამოწყობილი დადის.

— **ჩვენი ინტერვიუდან გამოდის, რომ თავის მოვლისთვის დიდი თანხაა საჭირო. ეს კი საქართველოში ბევრ ქალს არ შეუძლია.**

— შეგიძლია იმდენში ჩაეტიო, რამდენიც გაქვს და თავს მოუარო. სახელის გამო ბრენდები ძვირი ღირს, მაგრამ რა გამართლება აქვს, როცა არ ვარჯიშობენ? ხომ შეიძლება კუს ტბაზე ირბინონ, თუ სპორტული დარბაზის 500 ლარი არ აქვთ? ბოლოს და ბოლოს სახლში ივარჯიშონ. თუ თავის მოვლა გინდა, გამოსავალს პოულობ.

— **ტრადიციულად გკითხავთ, ვინ გიყურებთ სარკიდან?**

— ჩემს თავს ძლიერ ქალს ვუწოდებ. არ ვარ მორიდებული და გარკვეულ მომენტებში საკუთარ თავს მამაკაცურ თვისებებსაც ვამჩნევ. ასე თუ ისე, წარმატებული ქალი ვარ, მაგრამ მინდა, კიდევ მეტს მივაღწიო.

✓ **მანანა ნოდია**



# ბადრი ვადაჭკორია ქალ მძღოლებს ფოტოაპარატით დასდევს

## „ჩემს მანქანას ჭრილობები უხდება“




ფოტოხელოვან ბადრი ვადაჭკორიასთვის ავტომობილი ისეთივე დიდ საჭიროებას წარმოადგენს, როგორსაც მობილური ტელეფონი და ფოტოაპარატი. „ზაპოროჟეცით“ დაიწყო და უამრავი მანქანა გამოიცვალა. თბილისის ქუჩებში თითქმის ყოველ წელს ახალი ავტოთი ჩნდება. სიამოვნებს, როცა მის ავტომობილს თვალს აყოლებენ. უყვარს ისეთი მანქანის მართვა, როგორსაც თბილისში თითოოროლას თუ შენიშნავთ. „ჰიუნდაი გენეზისი“, რომელიც თბილისში სულ სამიოდე ცალი თუ იქნება, „სამარიაჟოდ“ ჰყავს, ქალაქგარეთ გასვლებისთვის კი „მონტერო სპორტი“ ემსახურება, თან ისე ერთგულად, რომ რომ მოფერებით „მონტერიკო სპორტიკო“ შეარქვა.

— **ბატონო ბადრი, რა დანიშნულება აქვს თქვენს ცხოვრებაში ავტომობილს?**

— მანქანა ჩემთვის, პირველ რიგში, კომფორტული გადაადგილების საშუალებაა. როგორც მობილური ტელეფონის გარეშე წარმოუდგენელია დღეს ცხოვრება, ავტომობილსაც იგივე დანიშნულება აქვს. ჩემი პირველი მანქანა „ზაპოროჟეცი“ იყო. მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ და ის მანქანა 1970 წელს მისცეს. იმის გამო, რომ სახლში „ზაპოროჟეცი“ მყავდა, უნივერსიტეტში სწავლა აღარ მინდოდა. მაშინ ის მანქანა „ბენტლის“ თუ არა, კარგი „მერსედესის“ დონე მაინც იყო.

— **მაშინ ძალიან იოლად იღებდნენ მართვის მოწმობას და არც თქვენ გაგიჭირდებოდათ.**

— გეთანხმებით. მართვის მოწმობა ლანჩხუთში ავიღე. მაშინვე დავჯექი ჩემს „ზაპოროჟეცზე“ და მას შემდეგ მოვდივარ და მოვდივარ. ღვთის წყალობით, სერიოზული ავარია არასდროს მომსვლია. ბოლო 10 წელიწადში დაახლოებით 9 მანქანა გამოვიცვალე. ყოველ წელს ახალს ვყიდულობ.

— **მალე გბეზრდებათ თუ მალე ფუჭდება თქვენი მანქანები?**

— ახალი უცებ იყიდება. „აუდის“ გარდა, თითქმის ყველა მარკის ავტომობილი მყავდა.

— **რომელიმეზე შეჩერდით თუ აგრძელებთ ძიებას?**

— ამჟამად „ჰიუნდაი გენეზისი“ მყავს. ეს უფრო სამარიაჟო მანქანაა. წარმოიდგინეთ, ამის წინ ერ კლასის „მერსედესი“ მყავდა, რომელიც ქალაქში ახლაც თითოოროლა თუ დადის, მაგრამ „ჰიუნდაის“ გემო რომ გავუგე, „მერსედესი“ დავთმე. ჩემი მანქანის მსგავსს ქალაქში სამს თუ შენიშნავთ. ცენტრიდან სულ ახალი გამოვიყვანე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს ჩემი დაბადების დღის

> **„თან მანქანას ვმართავდი და თან კინოკამერით ვიღებდი. უცებ ვიგრძენი, რომ კადრი ამოყირავდა. თურმე გზიდან გადავსულვარ და სრიალ-სრიალით თხრილში გადავიჩეხე“.**

საჩუქარია, 52.000 დოლარი ღირდა, მაგრამ ნაცნობობით 45.000-ად მომცეს, ცოტა მეგობრებიც წამეშველნენ. ძალიან კარგი პრემიუმპაკეტი აქვს. თუ გაფუჭდება, დროებით სხვა მანქანას მომცემენ. „მერსედესის“ ნაწილები ძალიან ძვირი ღირს, მის გასალებში 600 ლარი მაქვს გადახდილი. „ჰიუნდაი“ მასთან შედარებით იაფია. სამაგიეროდ, ქალაქში ყველა თვალს აყოლებს. თანაც ძალიან კომფორტულია. რაც კი მანქანები მყოლია, ასეთი რბილი სვლა არც ერთს ჰქონია. სპორტული რეჟიმი და 33 ცხენის ძალიანი, თან საკმაოდ ეკონომიური ძრავა აქვს.

— **სპორტულ რეჟიმს რამდენად ხშირად იყენებთ?**

— იშვიათად. სისწრაფეც მიყვარს, მაგრამ ზომიერება მირჩევნია. ამ მანქანაზე სიჩქარე 250-მდეც ამიწევია, ოღონდ ტრასაზე. ძირითადად 110 კმ/სთ სიჩქარით ვმოძრაობ. ჩემს მანქანას მრავალნაირი რეჟიმი აქვს, „პასადკა“ დაბლაც ჩადის და მაღლაც ამოდის. ცუდი გზის პაკეტიც აქვს.

— **ასეთ მანქანას ალბათ გულმოდგინედ უვლით.**

— გადაყოლილიც არ ვარ. სალონის საბარგულში მხოლოდ სველ და მშრალ ხელსაწმენდს თუ ნახავთ და სიდი დისკებს, რომლებიც ძირითადად საჩუქრებია. უკანა სავარძელზე კი ყოველთვის მიდევს თავის ჩანთაში ჩაბრძანებული ფოტოაპარატი.

— **ქალაქგარეთ, რთულ გზებზეც ამ მანქანით დადიხართ?**

— მეორე ავტომობილიც მყავს „მონტერო სპორტი“, რო-

→38

**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

**ექიმი ქალბატონი მზია**

☎ 514-246-446, 218-48-99



Cyan Magenta Yellow Black



■ ფიტარეთში მდინარე ხრამის გადალახვისას

მელმაც ჩემი სიყვარული დაიმსახურა და მოფერებით „მონტერიკო სპორტიკო“ დავარქვი. ამ სახელს მას შემდეგ ვეძახი, რაც მისი დახმარებით ფიტარეთი დავლაშქრე. მდინარე ხრამი და უზარმაზარი ტალახები უპრობლემოდ გადავლახე.

**— სარისკო იყო მდინარის გადალახვა?**

— ადიდებულმა მდინარემ შეიძლება წაგიღოს კიდეც. იყო შემთხვევა, როცა სამხიდიანი მანქანა ამობრუნდა მლოცველებთან ერთად, მაგრამ ყველა მსუბუქად დაშავდა. ფიტარეთში მდინარის გადალახვის პროცესში მეგობარს ფოტოებიც გადავაღებინე და შემდეგ სოციალურ ქსელში დავდე. მას მერე ჩემი მიბაძვა ბევრმა მოინდომა, მაგრამ ისე იწვალეს, გაგეცინებათ. წინ ტიტლიკანა ბიჭები მიუძღოდნენ და ძლივს გადავიდნენ მდინარის გაღმა. ეს ვიდეო ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზეც დამიდეს.

**„ერთმა გოგონამ მოძრაობის დროს მანქანით ისე გამისწრო, წესით, თვალის მოკვრაც ვერ უნდა მომესწრო, მაგრამ წამის მეასედებში ავიღე ფოტოაპარატი და მაინც ჩავუჩხაკუნე“.**

ფიტარეთში პირველად 2002 წელს „ნივით“ ვიყავი და იმდენად მოვიხიბლე, მომდევნო 10 წლის განმავლობაში იქ მოხვედრას სულ ვცდილობდი, მაგრამ რთულად მისასვლელი გზების გამო ვერ ვახერხებდი. ახლა კი ასეთი სირთულეების გადალახვაში ჩემი ჯიპი მეხმარება. ეს მანქანა შარშან 7.500 დოლარად შევიძინე და გაუვალ ბარდნარებშიც არ მენანება. ჩემს „ვაჟკაცს“ ეს ჭრილობებიც უხდება. ტალახებში კი მივლია, მაგრამ ფიტარეთში ყველაზე ექსტრემალური სიტუაციები გადავლახე, ამხელა წყალში მანქანით არასდროს გავსულვარ.

**— ფოტოების გადასაღებად ალბათ საქართველოს უამრავი კუთხე გაქვთ მოვლილი.**

— რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა ამოუწურავია. 12 ალბომის ავტორი ვარ და ყველა საქართველოზეა. სად აღარ ვარ ნამყოფი, მაგრამ არსებობს ადგილები, სადაც რამდენჯერმე უნდა წახვიდეთ. ბოლო პერიოდში ვაშლოვანიც დავლაშქრე. დილის 5 საათზე რომ დავჯექი მანქანაზე, ღამის 2 საათზე გადმოვედი. საჭესთან არასდროს ვიღლები.

**— ძირითადად ვისთან ერთად გიყვართ გადაღებებზე სიარული?**

— მეგობრებთან ერთად, მაგრამ ყველაზე კომფორტულად თავს მაინც მაშინ ვგრძნობ, როცა მარტო მივემგზავრები. ამ დროს არავის ვაწუხებ და არც ჩემს მოსაზრებებს ვახვევ სხვას თავზე. გადაღებებზე ჩემი ბიჭი, ირაკლიც დამყვება, ოღონდ არა — საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ.

**— მანქანით მოძრაობის დროს თუ გადაგიღიათ ფოტო?**

— „ზაპოროჟეცი“ რომ მყავდა, მაშინ ტელევიზიის კორესპონდენტი გახლდით. ლანჩხუთში თან მანქანას ვმართავდი და თან კინოკამერით ვიღებდი. უცებ ვიგრძენი, რომ კადრი ამოყირავდა. თურმე გზიდან გადავსულვარ და სრიალ-სრიალით თხრილში გადავიჩეხე, მაგრამ არ გადავყირავებულვარ.

მოძრაობის დროს ფოტოების გადაღება ახლაც მჩვევია. სარისკო კი არის, მაგრამ სანამ ფოტოს გადავიღებ, ყველაფერს ვაანალიზებ. ახლა თქვენ რომ გადამირბინოთ წინ, როგორ ფიქრობთ, არ გადაგიღებთ ფოტოს? მოძრაობას შევაჩერებ და მაინც გადაგიღებთ! ვფიქრობ, რომ ქალები უფრო საინტერესო გადასაღები არიან. ამას წინათ ერთმა გოგონამ მოძრაობის დროს მანქანით ისე გამისწრო, წესით, თვალის მოკვრაც ვერ უნდა მომესწრო, მაგრამ წამის მეასედებში ავიღე ფოტოაპარატი და მაინც ჩავუჩხაკუნე.

**— ამდენი ქალის ფოტოს ნახვაზე თქვენი ცოლი არ ეჭვიანობს?**

— არა, რატომ უნდა იეჭვიანოს?! უბრალოდ ზოგჯერ შეიძლება გემოვნება დამიწუნოს, ეს რამ მოგაწონაო, მითხრას.

**— მანქანით მოძრაობის დროს ფოტოს გადაღება წესის დარღვევად არ გეთვლებათ?**

— მოძრაობის დროს ფოტოს გადაღება წესების დარღვევაა, რადგან ყურადღება სხვა რაღაცაზე მაქვს გადატანილი. სხვათა შორის, კანონმორჩილი მძღოლი ვარ, ვცდილობ, წესები არ დავარღვიო.

**— ამაში არაფერი გიშლით ხელს?**

— როგორ არა, ძირითადად ქალი მძღოლები. მიდიან სწრაფმავალ ზოლში, თან ტელეფონზე ლაპარაკობენ და თან ვითომ მანქანას მართავენ. ამას წინათ მოულოდნელად „რავ 4“-მა გზა გადმომიჭრა, საჭესთან, რა თქმა უნდა, გოგო იჯდა და თან ორივე ხელით მესიჯს წერდა. მიხვდებით, რა რეაქციაც მექნებოდა, ძალიან „ტკბილად“ შევეხმიანე. ქალებს მოძრაობის წესები სულ თავის ლამაზ ფეხებზე ჰკიდიათ, თუმცა ზოგიერთი ქალი ავტომობილს კაცივით მართავს, მაგალითად, ასეთი ეკო ფანგანია.

**— ნასვამი ჯდებით საჭესთან?**

— ახლა — აღარ, მაგრამ ერთ ისტორიას სიამოვნებით მოგიყვებით: ჩემს დაქალთან ვიქეიფეთ, კარგად დავთვერი, მაგრამ გზას ვხედავდი და ჩემს „ჟიგულზე“ დავჯექი. გმირთა მოედანზე ავტოინსპექციას რეიდი ჰქონდა. „გაიშნიკები“ იდგნენ და ფულს აგროვებდნენ. გამაჩერეს. ისეთი მთვრალი ვიყავი, ფეხზე ვერ ვიდექი. მანქანიდან რომ გადმოვედი, წინა კარზე ჩამოვეკიდე. საბუთები ნახეს და მკითხეს, ბატონო ბადრი, ნასვამი ხართო. დავასლოკინე და ვუპასუხე, არა, ნასვამი კი არა, გაგლეჯილი მთვრალი ვარ და როდის წავიქცევი, არ ვიცი-მეთქი. მოკლედ, გავიცანით ერთმანეთი. ერთ-ერთი ინსპექტორი ჩემს მანქანაზე დაჯდა, გვერდით მომისვა, სახლში მიმიყვანა, კარზე მიმაყუდა და წავიდა. ორი კვირის შემდეგ ისევ გამაჩერეს, ბატონო ბადრი, რაღაც ძალიან მეცნობითო. მეც გავიჭიმე, ალბათ ტელევიზიიდან-მეთქი, ვუპასუხე. რა ტელევიზიიდან, თქვენ ის ბადრი ვადაჭკორია ხართ, ორი კვირის წინ სახლში რომ მიგიტანეთო.

საჭესთან ნასვამი ვინც დაჯდება, მკაცრი სასჯელი კი უნდა იყოს, მაგრამ ერთი კათხა ლუდის დალევა მძღოლისთვის ყველა ქვეყანაში მიღებულია. უბრალოდ სიმთვრალის დონის საზომი ჩვენთანაც უნდა არსებობდეს.

**— ახლა რა შემთხვევაში გაჩერებთ პატრული?**

— არ მახსოვს, უმიზეზოდ გავეჩერებინე. მე და პატრული ერთმანეთს ისე ვშორდებით, როგორც მეგობრები, ოღონდ ათლარიანი ჯარიმით. ჩვენი ქალაქი ისეა მოწყობილი, მანქანას ვერსად გააჩერებ. მირჩევნია, ასლარიანი ჯარიმა გადავიხადო, ვიდრე საქმე გავიფუჭო. ახლა ინტერვიუდან რომ გავალთ (ბატონ ბადრის რუსთაველის გამზირზე შევხვდით. ავტ.), იმედია, ავტომობილი ადგილზე დამხვდება. ალბათ პატრულები მცნობენ კიდეც, ასეთი სიმპათიური ბიჭი როგორ ვერ უნდა მიცნონ?!

**„ისეთი მთვრალი ვიყავი, ფეხზე ვერ ვიდექი. მანქანიდან რომ გადმოვედი, წინა კარზე ჩამოვეკიდე. საბუთები ნახეს და მკითხეს, ბატონო ბადრი, ნასვამი ხართო. დავასლოკინე და ვუპასუხე, არა, ნასვამი კი არა, გაგლეჯილი მთვრალი ვარ და როდის წავიქცევი, არ ვიცი-მეთქი“.**

**— თქვენი შვილები როგორი მძღოლები არიან?**

— ირინა, როგორც ყველა გოგო, „პანიკიორშაა“. როცა თვითონ ზის საჭესთან, ჰგონია, რომ გადასარევად ატარებს და თუ გვერდით მიზის, წიოკობს. ირაკლი კი ჩამოყალიბებული მძღოლია. ამ ბოლო დროს მოტოციკლზე ძალიან გადაერთო. „დუკატი“ — მოტოციკლების „ფერარი“ ჰყავს. სხვათა შორის, ეს მოტოციკლი რუსებმა კლიპშიც გადაიღეს. ცოტა ხნის წინ თავის ბაიკერ მეგობრებთან ერთად ბარსელონაში მოტორბოლაზეც იყო. ჩემს მეუღლეს კი ავტომობილი არ ჰყავს, ჩვენ ვემსახურებით.

**— თქვენ თუ მართავთ მოტოციკლს?**

— არა. ირაკლის ვეხვეწები, გაჩერებულ მოტოციკლზე მაინც დამსვი-მეთქი და თხოვნას არ მისრულებს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**





Cyan Magenta Yellow Black



BIOCODEX
"ძალიან დავიღალე"
"გამოფიტული ვარ"
"ძალა აღარ მაქვს"
"ყველა კუნთი მტკივა"
"ყველაფერი მავიწყდება"
სტიმოლი
ციტრულინის მალატი
ერთი პაკეტი (ფხვნილი ან ხსნარი) გახსენით 100 მლ წყალში ან წვენში, მიიღეთ საკვებთან ერთად 2-3-ჯერ დღეში.
სტიმოლი
შუშხუნა ფხვნილი
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

ვარსკვლავთსიახლენი

## მერაია ქერიმ 31 კილო დაიკლო



■ მერაია ქერი

რამდენიმე დღის წინ მომღერალი მერაია ქერი იტალიის კუნძულ კაპრიზე ჩაფრინდა ახალ კლიპში მონაწილეობისათვის. ტყუპების გაჩენის შემდეგ ქერიმ სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა დაგროვილ ზედმეტ კილოგრამებს. შედეგმაც არ დააყოვნა, მერაია შესანიშნავ ფორმაშია და ამის მოწმენი იტალიელი პაპარაცები გახდნენ, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ კლიპის გადაღებებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

იტალიურ პრესაში გამოჩნდა ფოტოები, რომლებზეც მომღერალი საკმაოდ თამამად პოზირებს საცურაო კოსტიუმში და დახვეწილ ქალურ ფორმებს აჩვენებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მერაია უკვე 43 წლისაა, ასეთი სხეული მართლაც შესაშურია.

2 წლის წინ მომღერალმა ტყუპები გააჩინა — მოროკანა და მონრო. იმისათვის, რომ დაორსულებულიყო, ჰორმონალურ პრეპარატებს იღებდა, რამაც თავისი კვალი დააჩნია და ორსულობის პერიოდში მერაია ძალიან გასუქდა. მშობიარობის შემდეგ ნელნელა 31 კილოგრამი დაიკლო და ახლა მართლაც მშვენიერ ფორმაშია.

— 31 კილო დავიკელი, მაგრამ ფოტოებს თუ შეხედავთ, გეგონებათ, რომ 50 კილო დავიკელი, — ღიმილით ამბობს მერაია ქერი, — ვუთანაგრძნობ ადამიანებს, რომლებსაც დიეტის დაცვა და წონის დაკლება მოუხდათ. მახსოვს, მაშინ ვფიქრობდი, რომ ნებისყოფა არ მეყოფოდა და ველარასოდეს დავიბრუნებდი ჩვეულ ფორმას.

## კლაუდია შიფერმა მოსკოველი მძღოლები გაახარა



■ კლაუდია შიფერი

მოსკოვში გამართულ ბრენდ „გესის“ შოურუმის პრეზენტაცია ცნობილმა მოდელმა კლაუდია შიფერმა გახსნა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ამ ფირმის სახეა. პრეზენტაციაზე კლაუდიამ ერთი საათით დაიგვიანა. ის ნაზი ღიმილით არამარტო ფოტოგრაფების წინ პოზირებდა, არამედ იმ მძღოლებსაც უცინოდა, რომელთაც მანქანების გაჩერება მოუხდათ, რადგან ქუჩა მთლიანად გადაკეტილი იყო. ისინი ცნობილ მოდელს პირდაღებულები უყურებდნენ.

კლაუდიას თავისუფალი ბლუზონი და ვიწრო შავი შარვალი ეცვა, რომელიც 42 წლის მოდელის მოხდენილ ფეხებს წარმოაჩენდა. ტელეწამყვანი ალექსანდრ ანატოლევიჩი იქამდეც კი მივიდა, რომ კლაუდიას მიუახლოვდა, გადაიღელა კოსტიუმი და ცნობილი ბრენდის პერანგზე წარწერის გაკეთება სთხოვა. როცა ცნობისმოყვარეებმა ჰკითხეს, რა შინაარსის იყო წარწერა, ანატოლევიჩმა ხუმრობით უპასუხა, ტელეფონის ნომერი, სასტუმროს ნომერი და მსგავსი ინფორმაციაო.

## მოსკოვის კინოფესტივალზე ბრედ პიტი დახეული პიჯაკით მივიდა



■ ბრედ პიტი

„ნუთუ ანჯელინა ჯოლის არ შეუძლია, ქმარს დახეული პიჯაკი დაუკეროს?“ — აღშფოთებულები ფიქრობდნენ პიტის ფანები, როცა ჰოლივუდის სექსსიმბოლო მოსკოვის 35-ე კინოფესტივალზე დახეული პიჯაკით გამოჩნდა. ბოლო დროს ბრედს ჩაცმის ახალი სტილი აქვს — მოუწესრიგებელი ბრწყინვალება.

მოსკოველი მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ ბრედის გამოჩენას წითელ ხალიჩაზე. და აი, გაჩერდა მანქანა, ბრედი სწრაფად გადმოხტა და პირდაპირ თაყვანისმცემლებისკენ გაეშურა — ავტოგრაფებს იძლეოდა, ხუმრობდა და სიამოვნებით იღებდა სურათებს დიდებთანაც და ბავშვებთანაც. წითელ ხალიჩაზე მან ნახევარი საათი დაჰყო და ჟურნალისტებთან ურთიერთობაც მოასწრო. ბრედის ასეთი აქტიურობის გამო ფესტივალის დაწყება ერთი საათით გადაიდო. კინოფესტივალის პრეზიდენტი ნიკიტა მიხალკოვიც კი მოთმინებით უცდიდა, სანამ ჰოლივუდის ვარსკვლავი წითელ ხალიჩაზე პოზირებდა.

ისინი, ვისაც გაუმართლა და ბრედისთვის ახლოდან თვალისშევლება მოახერხეს, გაკვირვებულები დარჩნენ მისი უბრალო, მაგრამ მოდური სამოსით — თავიდან ფეხებამდე შავები, ნახევრადგამჭვირვალე მაისური, ტყავის შარვალი და არაფორმალური პიჯაკი. სწორედ ამ უკანასკნელმა მიიქცია ყურადღება — იდაყვებზე რამდენიმე ადგილას გახეული იყო და ყველა მხრიდან ძაფები ჩანდა.

მოდის მესვეურები დარწმუნებული არიან, რომ ეს შემთხვევითობა არ იყო. პიჯაკი აშკარად რომელიმე ცნობილი დიზაინერის საკმაოდ ძვირადღირებული ნამუშევარი გახლდათ და ის არაჩვეულებრივად უსვამდა ხაზს ბრედ პიტის სტილს — გრძელ, ოდნავ გაწეწილ თმას და მოკლე წვერს.


ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge



## ლეონარდო დიკაპრიო ნიუ იორკის ქუჩებში ველოსიპედით დადის

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ლეონარდო დიკაპრიომ ახლახან კიდევ ერთხელ დაანახა ყველას, როგორ ზრუნავს გარემოს დაცვაზე. ის ნიუ იორკის ქუჩებში ყველაზე ეკოლოგიური ტრანსპორტით — ველოსიპედით გამოჩნდა. გვერდს ქალი უმშვენებდა, მაგრამ არა მისი მეგობარი ტოპმოდელი, არამედ ბავშვობის მეგობარი ემილი მეისი. ორივეს ისე ეჭირა თავი, თითქოს არ სურდათ, პაპარაცების ობიექტივში მოხვედრა. ემილი თვალებს ფართო შავი სათვალით მალავდა, ლეო კი თავისი საფირმო კეპით ცდილობდა სახის დაფარვას.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ლეომ განაცხადა, კინოსგან დავიღალე და ულიმიტო შვებულების აღებას ვაპირებო. ამის წყალობით, საყვარელი საქმის, გარემოს დაცვისათვისაც უფრო მეტი დრო ექნებოდა. ყველას დასანახად იყიდა თვალისმომჭრელი ელექტრომობილი და სახლი მზის ბატარეებით აღჭურვა.


■ ლეონარდო დიკაპრიო და ემილი მეისი


■ ჯონ ტრავოლტა ქალიშვილთან ერთად

## ჯონ ტრავოლტას 13 წლის ქალიშვილი წითელ ხალიჩაზე გამოჩნდა

ჯონ ტრავოლტა არამარტო წარმატებული ჰოლივუდელი მსახიობი და ბიზნესმენია, არამედ სამაგალითო მეოჯახეც. უკვე 20 წელია, ქორწინებაშია მსახიობ კელი პრესტონთან, რომელმაც მას 3 შვილი გაუჩინა — ორი ვაჟი და ქალიშვილი.

13 წლის ელა ბრიუ ახლახან მამასთან ერთად ელიტურ საზოგადოებაში გამოჩნდა. ბევრ მოზარდს ერიდება მშობლებთან ერთად გამოჩენა, მაგრამ თუ შენი მამა ჯონ ტრავოლტაა, რატომაც არა?! და ელაც თამამად პოზირებდა წითელ ხალიჩაზე მამის გვერდით. მამა-შვილი ერთად ნიუ იორკში ტრავოლტას ახალი ფილმის „მკვლელობების სეზონის“ პრემიერაზე მივიდნენ. 59 წლის მსახიობი მუქი ფერის კოსტიუმსა და ცისფერ პერანგში იყო გამოწყობილი. მისი 13 წლის ქალიშვილი კი შავ კაბასა და ასეთივე ფერის კარდიგანში იწონებდა თავს. ელა სიამოვნებით უღიმოდა ფოტოგრაფებს და ამაყად ეხვეოდა თავის ცნობილ მამას.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ
მიიღეთ
ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

მოდა

# რალფ ლორენი – მოგზაურობა ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში





რალფ ლორენს ყოველთვის უყვარს მოგზაური ქალი. ამჯერად, 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციისთვის, მან ის ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში ამოგზაურა. ღია ცისფერ ბლუზონებს დიზაინერი მკაცრი სტილის შავ შარვლებს უხამებდა, ბერეტითა და მრავალფეროვანი აქსესუარებით. ყოველი მომდევნო კოსტიუმი უფრო და უფრო რთული კონსტრუქციის იყო. კოლექციაში ტორეადორის თემასაც ამოიცნობდით და ფლამენკოს მოცეკვავესაც, მაგრამ ეს ყველაფერი თანამედროვეობასთან იდეალურად იყო შერწყმული. კოლექციის ფერები ცეცხლოვანი წითელი, ქათქათა თეთრი, იისფერი, ცისფერი, შავი და ოქროსფერი გახლდათ. ყველაფერი კი რალფ ლორენის სტილში გამოვიდა — რომანტიკული და ქალური.





▶ ფიზიოლოგიურად აწესრიგებს ძილს
▶ არეგულირებს დღე-ღამურ ბიორითმს
▶ არ იწვევს შეჩვევას და დამოკიდებულებას

UNIPHARM, INC
New York, USA

"UNIPHARM, INC"
წარმომადგენლობა საქართველოში
ქ. თბილისი, შროშის ქ. №1 ბინა 5
ტელ.: 291 09 50, 223 00 82
ფაქსი: 291 09 60

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
599 20 11 44; 595 38 08 80

დოზირება:

ძილისა და სიფხიზლის ციკლის დარღვევის დროს:
1/2 -1 ტაბლეტი დაძინებამდე 30-40 წუთით ადრე.

საათობრივი სარტყელის ცვლილების დროს:
ფრენამდე 1 დღით ადრე და შემდეგი 2-5 დღის განმავლობაში 1 ტაბლეტი დაძინებამდე 30-40 წუთით ადრე. მაქსიმალური სადღეღამისო დოზა არის დღეში 2 ტაბლეტი.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს

# რა შიში ჭამა ნიუ იორკში დავით მაზანაშვილმა



ამერიკული რიტმით ცხოვრება ნიუ იორკში, შოკისმომგვრელი მოგზაურობა გერმანიაში მომღერალ გოგი დოლიძესთან ერთად, დაუვიწყარი გასტროლი ისრაელში, დუბაის ცათამბჯენების ხიბლი... ეს იმ საზღვარგარეთული შთაბეჭდილებების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც არასოდეს დაავიწყდება პიანისტსა და კომპოზიტორს, დავით მაზანაშვილს. სხვათა შორის, ის მამაკაცების იმ მცირერიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც საზღვარგარეთ შოპინგი უყვართ. ძალიან გაუჭირდა გერმანიაში ყოფნის დროს კათოლიკურ ეკლესიაში კონცერტის ჩატარება. ამერიკაში კი ტაქსის მძღოლმა შუაღამისას მანქანიდან ჩამოაგდო... ამ და სხვა საინტერესო თავგადასავლებს, რაც მოგზაურობისას თავს გადახდა, მუსიკოსი „სარკესთან“ იხსენებს.

— **ბატონო დავით, საიდან დავიწყოთ თქვენი მოგზაურობების ათვლა?**

— მოგზაურობა ადრე უფრო ხშირად მიწევდა და გასტროლზე არაერთ ქვეყანაშიც ვყოფილვარ. 1998-დან 2006 წლამდე უფრო ინტენსიურად დავდიოდით, ახლა კი წელიწადში ერთხელ თუ წავალ სადმე.

ჩემი მოგზაურობა გერმანიით დაიწყო, სადაც ქართული კულტურის დღეები იმართებოდა. შემდეგ იყო ამერიკა, ოღონდ ამას უკვე გასტროლს ვერ დავარქმევ. იქ 6 თვე ვმუშაობდი. საქართველოში 2000 წელს დავბრუნდი.

— **ამერიკაში გატარებული 6 თვე ხუმრობა არ არის. რა შეგძინათ ამ პერიოდმა?**

— ძალიან საინტერესო იყო, რადგან იქ პიანისტად ვმუშაობდი. მაშინ ამაზე ოცნებაც არ შემეძლო, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ამერიკაში ჯაზ-კლუბებში დავუკრავდი. მიუზიკლების თეატრშიც კი ვმუშაობდი. ამერიკელი ცნობილი მუსიკოსებიდან ბევრი გავიცანი და დავუმეგობრდი კიდეც. მათ შორის რიჩარდ კლაიდერმანიც გახლავთ, რომელიც სრულიად შემთხვევით გავიცანი. ერთ-ერთ კლუბში ვმუშაობდი. სახეზე მას არ ვიცნობდი. თვითონ მოვიდა და გამომელაპარაკა. მერე მისმა პროდიუსერმა მითხრა, ვისთანაც მქონდა საქმე. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. საერთოდ ნიუ იორკი ამით არის საინტერესო, მართლაც მსოფლიოს დედაქალაქია, ყველა საუკეთესო შემოქმედი იქ იყრის თავს.

— **ეს თქვენი პირველი ჩასვლა იყო ამერიკაში?**

— დიახ. პირველი შთაბეჭდილება მართლა შოკისმომგვრელი იყო. ცხოვრების ტემპი რაღაც გიჟურია. მანჰეტენზე ვცხოვრობდი და ვერ მიხვდებოდით, დღე იყო თუ ღამე. იქ შუაღამითაც ისეთი ხალხმრავლობაა... თაიმ სქვერზე ღამითაც რომ გახვიდეთ, ვერ მიხვდებით, რომ ღამეა.

— **ასეთ რიტმზე გადაწყობა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არ გამჭირვებია. ამერიკა ალბათ ამიტომაც არის ემიგრანტების ქვეყანა, რომ ადაპტირება იოლია. იქ ვერ იგრძნობ, რომ უცხო ხარ და, ევროპისგან განსხვავებით, ამით არის მომხიბვლელი. ევროპაშიც მომიხდა ცხოვრება და იქ უფრო იგრძნობა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ხარ. ამერიკაში კი ამას ყურადღებას არავინ აქცევს. თუ შენს საქმეს მაღალ დონეზე აკეთებ და სადაც მუშაობ, იმ სამსახურს სჭირდები, აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, რა ფერის ხარ ან რა წარმომავლობის. სამუშაოდ ნიუ იორკი ძალიან კომფორტულია.

— **რატომ დაბრუნდით?**

— მაშინ უკვე ოჯახი მყავდა, თან კონტრაქტი 6 თვიანი იყო. ცოლ-შვილის წაყვანა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. იმ წლებში საქართველოდან სხვა ქვეყანაში ოჯახის გაყვანა რთული იყო. მათ წასაყვანად კი ჩამოვედი, მაგრამ არ გამატანეს, მერე აქაც კარგი წინადადებები წამოვიდა და შემოვრჩი.

— **გერმანიასთან რა მოგონებები გაკავშირებთ?**

— გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში მოვხვდი, მაშინ, როცა მისი დედაქალაქი ჯერ კიდევ ბონი იყო. ჩვენს ქვეყანაში ომი ახალი დამთავრებული იყო, არც შუქი გვქონდა და არც არაფერი. ამის ფონზე გერმანიაში ჩასვლა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. აქ რომ ყველაფერი დამშვიდდა, გერმანიაში პირველი ქართული კულტურის დღეები გაიმართა და იქ გოგი დოლიძესთან, ეკა მამალაძესთან და ანზორ ერქომაიშვილთან ერთად გახლდით. ეს გასტროლი ჯერ მხოლოდ იმით იყო დასამახსოვრებელი, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შემდეგ იქ ამოვისუნთქეთ, 10 დღე დავრჩით. ბონი მშვიდი, სუფთა და ფაქტობრივად საელჩოების ქალაქია.

**„ეკლესიაში ჯაზური მუსიკის დაკვრა მე არ შემეძლო. იქ კი თურმე ეკლესიებში საღამოების ჩატარება მიღებული ყოფილა. პროდიუსერმა გვითხრა, შეკვეთაა და ვალდებულები ხართ, დაუკრათო. ეკლესიაში კონცერტის ჩატარება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მეტად გამიჭირდა, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა. გვერდით საერთოდ არ ვიხედებოდით და ისე ვუკრავდით".**

— **გოგი დოლიძე როგორი თანამგზავრი იყო?**

— გოგი დოლიძე ჩემი უფროსი მეგობარი იყო და ყველას ძალიან გვპატრონობდა. ისეთი პიროვნება გახლდათ, მასთან ერთად ვინც უნდა წასულიყო, ყველამ იცოდა, რომ ის იყო მათი პატრონი. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად ძლიერი არასდროს ყოფილა, ყოველთვის ყველას პატივისცემას ახერხებდა. გერმანიაში ჩავედით თუ არა, გაიგო, რომ სიგარეტს ვეწეოდი, გაიქცა და მთლიანი ბლოკი მომიტანა. ისეთი კომუნიკაბელური იყო, მაშინვე ვიღაცეები გაიცნო. საიდან მოიყვანა ეს ხალხი ან მოკლე დროში ისე ახლოს როგორ გაიცნო, რომ ამ გერმანელებმა მთელი დელეგაცია რესტორანში დაგვპატიჟეს, დღემდე არ ვიცი. ყველანი გაოგნებულები ვიყავით, მაგრამ მაინც არ გამოგვიტყდა, როგორ მოახერხა ასეთი საღამოს მოწყობა.

— **გერმანიაში როგორი მსმენელი დაგხვდათ?**

— იქ ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. ფრანკფურტსა და სხვა პატარ-პატარა ქალაქში გვქონდა კონცერტები. საოცარი ის გახლავთ, რომ ერთ დღეს პროდიუსერმა გვითხრა, ხვალ კონცერტი ეკლესიაში გექნებათო. თავიდან ხუმრობა მეგონა, ბოლოს კი ვიფიქრე, რომ ეკლესიასთან რაიმე დარბაზი იქნებოდა და იქ დავუკრავდით, მაგრამ ასე არ მოხდა. კათოლიკურ ეკლესიაში შეგვიყვანეს, სადაც ერთ მხარეს სკამები იყო ჩამწკრივებული, მეორე მხარეს — ჩვენთვის განკუთვნილი ინსტრუმენტები. ასეთ გარემოში მეც და ჩემი მეგობრებიც პირველად აღმოვჩნდით. ვერც რეპეტიცია გავიარეთ და ვერც კონცერტზე დავუკარით წესიერად. ბოლოს პროდიუსერმა გვკითხა, რა გჭირთო. ეკლესიაში ჯაზური მუსიკის დაკვრა მე არ შემეძლო. იქ კი თურმე ეკლესიებში საღამოების ჩატარება მიღებული ყოფილა. პროდიუსერმა გვითხრა, შეკვეთაა და ვალდებულები ხართ, დაუკრათო. ეკლესიაში კონცერტის ჩატარება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მეტად გამიჭირდა, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა. გვერდით საერთოდ არ ვიხედებოდით და ისე ვუკრავდით. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ეკლესიაში კონცერტს ჩავატარებდი.

— **გერმანიაში მუზეუმები დაათვალიერეთ?**

— ბონში ბეთჰოვენის მოედანია და მისი მუზეუმიც იქვეა. ბეთჰოვენის ხელნაწერებიც კი ვნახეთ. სამწუხაროდ, ტექნიკა მაშინ ისე არ იყო განვითარებული, რომ მობილურით სურათები გადამეღო და სამახსოვროდ დამრჩენოდა.

— **ბოლოს სად იმოგზაურეთ?**

— ბოლოს 2012 წლის აგვისტოში ისრაელში გახლდით, სადაც მერაბ სეფაშვილის კონცერტი გავმართეთ. მე მუსიკალური ხელმძღვანელი ვიყავი. კონცერტი ჯერ თბილისში ჩავატარეთ, შემდეგ კი ისრაელიდან მოწვევა მივიღეთ. იერუსალიმის დათვალიერება ხომ ყველაფრად ღირს. იქ რომ ჩადიხარ, გრძნობ, რომ უძველეს ქვეყანაში ხარ. ისრაელი ფანტასტიკურია. ქართველებს ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს უცხო ქვეყანაში სულაც არ ვიყავით. იქ უამრავი ქართველი ცხოვრობს, თითქმის ყოველ მეორე მაღაზიაში ქართული ლაპარაკი გვესმოდა, ყველა ძალიან თბილად გვხვდებოდა. ისრაელზე ასეთი წარმოდგენა ნამდვილად არ მქონია. საოცრად სუფთა და აწყობილი ქვეყანა დამხვდა. კანონს ყველა ისე იცავდა, გაოცებულები დავრჩით. ქალაქში მანქანების მოძრაობა და ქუჩაზე ფეხით გადასვლა ძალიან მოწესრიგებული იყო.

შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი დაგვახვედრეს და კარგი საღა-

→44



Cyan Magenta Yellow Black

მოც გამოვიდა. ქალაქ აშდოთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი საქართველოდან წასული ებრაელია. ქუჩაში ქართული ლაპარაკი იმდენად ჭარბობს, რომ თამამად შეიძლება ითქვას, აშდოთი ქართველების ქალაქია.



**— ამ ქალაქმა ვიზუალურადაც მოგხიბლათ?**

— რა თქმა უნდა. ძალიან ლამაზი ზღვისპირა ქალაქია. მერაბ სეფაშვილი მაგარი თანამგზავრია. მასთან ერთად მოგზაურობა საოცრად კომფორტული და სახალისოა. ყოველი საღამო ბანკეტებით იწყებოდა და ნომერში ღამეების თენებით სრულდებოდა.

მერაბს ცურვა ძალიან უყვარს. ისრაელი აგვისტოში ხომ წარმოგიდგენიათ? ზღვაში წყალი დუღდა! როცა მომღერალს კონცერტი აქვს, წინა დღეს მზეზე ყოფნა და გარუჯვა ხმისთვის არ არის კარგი. მერაბს კი ერთი სული ჰქონდა, ზღვაში ებანავა. კონცერტი კი მაინცდამაინც საქართველოში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე იყო დაგეგმილი. ჩაიცვამდა საცურაო კოსტიუმს, გვეტყოდა, მოვდივარო, მერე გახედავდა ცას და გადაიფიქრებდა, მთელი კვირა დაიტანჯა. კონცერტი რომ დავასრულეთ, გვიან ღამით გავიდა და მაშინ იბანავა. ფაქტობრივად მთელი კვირა სასტუმროში გაატარა.

**— ოჯახთან ერთად გიმოგზაურიათ?**

— მე და ჩემს ცოლს, ეთერ გაბრიჩიძეს, სამი შვილი გვყავს. ანი 14 წლისაა, მარიამი — 10-ის, ნიკოლოზი — 9-ის. ცოტა არ იყოს, ბავშვებთან ერთად მოგზაურობა რთულია. მათთან ერთად ერთხელ ვიყავი სამოგზაუროდ თურქეთში. ვხუმრობდით კიდეც, საზღვარს 10 კილომეტრი გადავცდით და საპასპორტო რეჟიმი მაინც გავიარეთ. ჩაითვალა, რომ საზღვარგარეთ ვიყავით. შვილებთან ერთად მივდივართ იმ შეგრძნებით, რომ უნდა დავისვენოთ, მაგრამ დაღლილები ვბრუნდებით. წარმოუდგენელია, სამ ბავშვთან ერთად სადმე დაისვენო, მით უმეტეს, ზღვაზე. ის დღეები ფაქტობრივად ბავშვებთან ერთად წყალში გავატარე.

**— როცა მარტო ცოლ-ქმარი მიდიხართ, ალბათ მაშინ კი კარგ დროს ატარებთ.**

— ცოლთან ერთად საზღვარგარეთ მხოლოდ ერთხელ ვიყავი. ისრაელში მერაბის კონცერტზე ერთად წავედით. ეს მოგზაურობა ორივესთვის დიდი სიამოვნება იყო. მაღაზიებშიც ბევრი ვიარეთ. ვფიქრობ, საზღვარგარეთ ყველაზე კარგი გასართობი მაინც ეს საქმეა.

**— ანუ შოპინგი გიყვართ?**

— რა თქმა უნდა. შოპინგი არამხოლოდ საზღვარგარეთ, აქაც ძალიან მიყვარს. ალბათ მართლა რაღაც თერაპიაა. როცა რაღაცას ყიდულობ, ძალიან ამშვიდებს ნერვებს, მით უმეტეს, უცხოეთში. საერთოდ, სადაც ჩავდივარ, ჩემოდანს დავდებ თუ არა, მაშინვე მაღაზიებში გავდივარ. იმ დღესვე თუ ვიპოვე მუსიკალური მაღაზია, ხომ მთლად უკეთესი. ჩვენთან არ არის ისეთი მუსიკალური მაღაზიები, სადაც ყველაფერს ნახავთ. საზღვარგარეთ კი მუსიკალური ლიტერატურა უხვადაა.

**— ყველაზე მეტად სად მოგეწონათ?**

— დუბაიში. 2007 წელს „იამაჰა ჯაზ ფესტივალზე“ დუბაიშიც გახლდით და ძალიან მოვიხიბლე. მართლა თავისუფალი ზონაა, ყველაფერი იყიდება და სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფიცაა, თან საოცარი არჩევანია. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ შოპინგისთვის ყველაზე კომფორტული და ხელმისაწვდომი დუბაია. ტანსაცმლის ყიდვა ჩემთვის, ცოლისთვის და ბავშვებისთვისაც ძალიან მიყვარს. სიმართლე გითხრათ, ჩემი მეუღლის გემოვნებაში არასოდეს შევმცდარვარ. მეგობრებისთვის იმდენი საჩუქარი და სუვენირი ჩამომაქვს, ამისთვის დამატებითი ჩემოდანი მჭირდება ხოლმე.

**— გარდა მაღაზიებისა, დუბაიმ კიდევ რითი მოგხიბლათ?**

— დუბაიში ორჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ერთ წელიწადში იქ იმდენი რამე შენდება, მეორედ

**„შვილებთან ერთად მივდივართ იმ შეგრძნებით, რომ უნდა დავისვენოთ, მაგრამ დაღლილები ვბრუნდებით. წარმოუდგენელია, სამ ბავშვთან ერთად სადმე დაისვენო, მით უმეტეს, ზღვაზე".**

რომ ჩახვიდეთ, ვერ იცნობთ. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენი დუბაიშია. ოკეანეში აშენებული სასტუმრო რად ღირს! დავათვალიერე და ვერ გავიგე, 5 თუ 9 ვარსკვლავიანია, ყველაფერი მოოქროვილია. საოცარი სიმდიდრეა. როგორც კი ჩადიხართ, დუბაის აუცილებლად იგრძნობთ. იქ ფეხით კაციშვილი არ დადის. ხალხი მანქანით ან ტაქსით მოძრაობს. ფეხით გავლა მოვინდომე და სიცხისგან ისე შევწუხდი, ტაქსი გავაჩერე. ყველა დაწესებულებას ქვედა პარკინგი აქვს, საიდანაც გარეთ გაუსვლელად ლიფტით ადიან.

**— უცხო ქალაქებში დამოუკიდებლად გზას ადვილად იგნებთ?**

— არ მქონდა კარგი ორიენტაციის უნარი, მაგრამ ამდენი გასვლით განმივითარდა. დავბინავდები თუ არა, მაშინვე იმ სასტუმროს სავიზიტო ბარათს ვიღებ, სადაც მისამართიცაა მითითებული, ეს უკვე ჩვევად ჩამომიყალიბდა.

**— ამ ჩვევის ჩამოყალიბება რამე არასასიამოვნო ფაქტს ხომ არ უკავშირდება?**

— დიახ. ნიუ იორკში რომ ჩავედი, სასტუმროში დამაბინავეს და დამემშვიდობნენ. იმ საღამოსვე მოვინდომე კონცერტზე წასვლა. ტაქსის მძღოლს კლუბის სახელი კი ვუთხარი, მაგრამ სასტუმროდან სავიზიტო ბარათის წაღება დამავიწყდა. უკან გამობრუნებისას ტაქსის მძღოლმა მისამართი მკითხა. ინგლისური კი ვიცი, მაგრამ ქუჩის სახელს ვერ ვიხსენებდი. ბრუკლინში ვცხოვრობდი. როგორც იქნა, მახლობელი მეტროს სახელი გავიხსენე და იმ ქუჩას მთელი ღამის განმავლობაში წრეებს ვურტყამდით. ბოლოს ტაქსის მძღოლმა მანქანიდან ჩამომაგდო. სასტუმროს გამთენიისას მივაგენი. ისეთი შიში ვჭამე, სულ ოფლში ვცურავდი. ბოლოს მივხვდი, რომ თუ ისწავლი, ნიუ იორკში ყველაფრის მიგნება იოლია. ქუჩებს მხოლოდ ნუმერაცია და ავენიუები აქვს, რომლებიც სულ ერთმანეთს კვეთენ. ჩემდა გასაკვირად, იქაურობა ერთ თვეში ავითვისე.

**— ყველაზე ლამაზი ქალები სად ნახეთ?**

— საქართველოში ძალიან ლამაზი ერი ცხოვრობს. ისიც კი ვიფიქრე, ამერიკაში ვინც ლამაზი ჰყავთ, ალბათ ყველას ფილმში იღებენ-მეთქი. იტალიაშიც ნახავთ ლამაზ ქალებს, საფრანგეთშიც, გერმანიაშიც, მაგრამ მასობრივად ლამაზი ქალები ჩვენთან რომ არიან, სხვაგან ვერსად შეხვდებით.

**— საზღვარგარეთ გასართობად სად დადიხართ?**

— თუ დრო მაქვს, მეგობრებთან ერთად კლუბში აუცილებლად მივდივარ. ჩვენთან საკლუბო ცხოვრება ისე არ გვაქვს განვითარებული. საზღვარგარეთ კი კლუბში თუ შეხვალთ, მიხვდებით, რა ქვეყანაში ხართ. კლუბებსა და რესტორნებში იმ ქვეყნის კულტურა ჩანს.

**— გამორჩეულად რომელი ქვეყნის სამზარეულო გიყვართ?**

— დუბაიში ინდურ რესტორანში წავედით და შოკში ჩავვარდით. მუსიკოსები იმდენს ვმოგზაურობთ, გურმანებიც ვხდებით. ინდოეთი სანელებლებით გამოირჩევა. მწვანე ფერის შემწვარი ქათამი პირველად გავსინჯე. საღებავით შეღებილი მეგონა, მაგრამ უგემრიელესი იყო. ისრაელში ხორცის შეწვა ხომ საოცრად იციან. ისინი ხორცს, პირველ რიგში, სისხლისგან და ზედმეტი ძარღვებისგან ასუფთავებენ. ვფიქრობ, ებრაელები ის ერია, ვინც ყველაზე სწორად იკვებება. ფრანგები უფრო დიეტურად იკვებებიან. კვების მხრივ ყველაზე მაღალი დონე საფრანგეთშია, რასაც ამერიკაზე ვერ ვიტყვი. იქ ტყემალს ვერ ნახავთ, არ იციან, რა არის. იქაური ქართველები გავიცანი და ისინიც რაღაც ქლიავის ჯიშისგან ამზადებდნენ ტყემალს. ამერიკული სამზარეულოთი დიდად მოხიბლული არ ვარ. ნიუ იორკში კი დააგემოვნებ სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს, მაგრამ ალბათ მაინც „მაკდონალდსის“ კულტურაა, რაც ძალიან საზიანოა ჯანმრთელობისთვის და არც შევდივარ. ევროპული და აზიური სამზარეულოს მომხრე უფრო ვარ.

**— თვითმფრინავში თავს კომფორტულად გრძნობთ?**

— თვითმფრინავის კატასტროფულად არ მეშინია, მაგრამ აფრენა-დაჯდომას მაინც ვერ შევეჩვიე. ჩემი ცოლი ბავშვობის მერე თვითმფრინავში არ მჯდარა. ისრაელში რომ წავედით, თვითმფრინავი ნახევარი საათი თელ ავივში ვერ ჯდებოდა, წრეებს ვურტყამდით. ყველა ავნერვიულდით, ჩემი მეუღლე კი ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ძლიერი ქარი ქროდა. ბოლოს მკითხა, რა ხდება, საერთოდ ასე იცის თვითმფრინავმა დაჯდომის დროსო. მეც დავეთანხმე, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, აეროპორტს 10-12 წრე უნდა დაარტყასმეთქი, მაგრამ უფრო მეტი წრე რომ დაარტყა, უკვე შეეშინდა და ანერვიულდა. ფრენისას მარტო ყოფნა მაგიჟებს, ამ დროს რა უნდა გააკეთო? სიმართლე გითხრათ, თვითმფრინავში არც დალევა მიყვარს.

**— უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?**

— სამწუხაროდ, ამ ზაფხულს ალბათ აქ გავატარებ, რადგან პროექტ „ახალი ხმის“ მუსიკალური ხელმძღვანელი ვარ და ეს საქმე საკმაოდ შრომატევადია.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# სარდინია — კუნძული გამოცანა



■ სარდინია

მ თიანი კუნძული სარდინია იტალიის ავტონომიური რეგიონია. მის დასავლეთით გადაჭიმულია ბალეარის ზღვა, აღმოსავლეთით კი ტირენიის ზღვა. კუნძულის სანაპიროები უმეტესად მაღალი და კლდოვანია. სარდინიაზე 5 მდინარე მიედინება, რომელთა შორის უდიდესია ტრისო, ასევე შექმნილია 54 ხელოვნური ტბა. სარდინიის სანაპირო ზოლი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მოდური და შესაბამისად, ძვირი საკურორტო ზონაა.

## კლიმატი

კუნძულისათვის ხმელთაშუა ზღვის კლიმატია დამახასიათებელი. წელიწადის განმავლობაში 300 დღე მზიანია. ზაფხულში ტემპერატურა 30 გრადუსია. ივლის-აგვისტოში ზღვის წყლის ტემპერატურა 24-25 გრადუსამდე ადის.

ნალექის ძირითადი რაოდენობა შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მოდის. საშუალო წლიური ტემპერატურა სარდინიაზე 11-17 გრადუსია.



■ კალიარი

## ენა

რა თქმა უნდა, სარდინიის ოფიციალური ენა იტალიურია, მაგრამ ადგილობრივები სარდინიულადაც ლაპარაკობენ, რომელიც ძალიან ჰგავს ლათინურს. კუნძულზე ინგლისური ენის შემდეგ ყველაზე პოპულარული გერმანული და ფრანგულია. ასე რომ, ფეშენებელურ კუნძულზე ენობრივი ბარიერის პრობლემა ნამდვილად არ შეგექმნებათ.

## ფული

2002 წლიდან ევრო იტალიის ოფიციალური ვალუტაა. მანამდე მიმოქცევაში იტალიური ლირა იყო. გაითვალისწინეთ, რომ კუნძულზე წლის ნებისმიერ სეზონზე საშინელი სიძვირეა.

## გადაადგილება

აეროპორტები მდებარეობს ქალაქებში: კალიარი, ოლბია და ალგიერო. აეროპორტებიდან ქალაქების ცენტრამდე ტაქსით მგზავრობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რადგან საწყისი ფასი 80 ევროს შეადგენს. კუნძულზე მოხვედრა შესაძლებელია ბორნის საშუალებითაც.

სარდინიის ქალაქებს შორის გადაადგილებას ავტობუსით, მანქანით ან სულაც ბორნით შეძლებთ. თუ კუნძულზე ერთ კვირაზე მეტხანს აპირებთ დარჩენას, მაშინ გირჩევთ, „რომა პასის“ ბარათები შეიძინოთ, რომლის ღირებულება 24 ევროა. „რომა პასით“ მუზეუმებშიც უფასოდ შეძლებთ შესვლას, საზოგადოებრივ ტრანსპორტში კი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებთ. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ბილეთი წინასწარ უნდა შეიძინოთ და მათი ფასი თითქმის ერთნაირია. მინიავტობუსები ყოველთვის გადატვირთულია... 

მანქანისა და ველოსიპედების დასაქირავებლად განკუთვნილი სააგენტოები ყოველ ნაბიჯზეა. მანქანის დაქირავებას არ გირჩევთ, რადგან ქალაქში საგზაო ნიშნების სიმცირეა და ამიტომ გზებზე ყოველთვის ქაოსია. ველოსიპედისტებისათვის სპეციალური გზებია გამოყოფილი. ერთი დღით ველოსიპედის დაქირავება 40-50 ევრო ღირს.

## სამზარეულო

სარდინიული სამზარეულო მრავალფეროვანი სალათებითა და ზღვის პროდუქტების ფართო ასორტიმენტით გამოირჩევა. ადგილობრივი კერძების დაგემოვნება შესაძლებელია როგორც ელიტურ რესტორნებში, ასევე მყუდრო კაფეებში.

ღვინო და ყველი ნაციონალური სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. კუნძულზე მართლაც გემრიელ და განსხვავებულ კერძებს ამზადებენ. პიცა „რისოტო“, „არანჩინი“, „პოლენტა“ და სხვა საფირმო კერძები დაუვიწყარ გემოს დაგიტოვებთ.

ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია სპაგეტი ა ლა კარბონარა, რომელიც კვერცხითა და ყველით მზადდება.

იტალიური ღვინო მთელ მსოფლიოშია პოპულარული. ადგილობრივები ყოველ კერძთან შესაფერის ღვინოს მიირთმევენ. ღვინო „დე ლა კასა“ შეუდარებელია, რადგან ნებისმიერი სახის კერძთან შეგიძლიათ დალიოთ.

კუნძულზე ლუდის ბარებიც მრავლადაა, მაგრამ იტალიურ ლუდს ნაკლები მომხმარებელი ჰყავს. ნებისმიერ კაფესა თუ რესტორანში, პირველ რიგში, ყავა „ნორმალეს“ ან „ესპრესოს“ მოგართმევენ, რადგან ფიქრობენ, რომ ამ ორი სახეობის ყავის მომზადება განსხვავებულად და გემრიელად იციან.

## ღირსშესანიშნაობები

სარდინია მარგალიტია იტალიის კურორტებს შორის, რომელმაც თავისი პირველსახე შეინარჩუნა — ულამაზესი ყურეები, გამოქვაბულები, საოცარი სილამაზის ბუნება და გრანიტის კლდეები. ეს არის კუნძული — გამოცანა, რომლის ამოცნობას მეცნიერებიც ცდილობენ და მოგზაურებიც.

ფეშენებელური სასტუმროების წყალობით, სარდინია ბოლო 50 წლის განმავლობაში უამრავ დამსვენებელს იზიდავს. კუნძულის სამხრეთ ნაწილი ცნობილია ოქროსფერქვიშიანი პლაჟებით, პალმებითა და ფიჭვის ტყეებით, ზღვის გამჭვირვალე და კამკამა წყლით. ყვინთვის მოყვარულთათვის სანაპიროსთან ახლოს არის 4 ჩაძირული ხომალდი და წყალქვეშა რიფები. მდიდრული სასტუმროებით განსაკუთრებით ცნობილია კოსტა სმერალდას სანაპირო.

სარდინიის ქალაქებში უამრავი უძველესი საგანძურია — ციხესიმაგრეები, კოშკები, აკლდამები, სასახლეები, გოთიკური ტაძრები. სარდინიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ღირსშესანიშნაობა ნურაგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ნებისმიერ ტურისტზე. ეს არის ქვის კოშკი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია.

სარდინიის ცენტრს წარმოადგენს ქალაქი კალიარი, რომელიც კუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს. ეს არის უძველესი ქალაქი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა თავისი ვიწრო, ძველებური ქუჩებითა და დამცავი ნაგებობებით. ამავე დროს, ეს არის დიდი, თანამედროვე საპორტო ქალაქი.

სარდინიის ყველაზე ცნობილი კურორტია ლეგენდარული ფორტ ვილაჯი, რომელიც კალიარიდან 40 წთ-ის სავალზეა. სარდინია მსოფლიოს წამყვან კურორტადაა აღიარებული. 2 წლის წინ კი ამ ტიტულს დაემატა „საუკეთესო მწვანე კურორტიც“.

## უსაფრთხოების წესები

სამოგზაუროდ სარდინია საკმაოდ დაცული და უსაფრთხო კუნძულია. საშიშროებას მხოლოდ ჯიბის ქურდები ქმნიან. გირჩევთ, ნებისმიერი რამის შეძენისას გამყიდველს ფასზე წინასწარ შეუთანხმდეთ. ადგილობრივები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. თუ



■ ფორტ ვილაჯი

ზრდილობიანი და კეთილი იქნებით, მაშინ კუნძულზე პრობლემები არ შეგექმნებათ.

სარდინიაზე ზაფხულში ცხელა, ამიტომ მზის დამცავი საშუალებების წაღება არ დაგავიწყდეთ.

## უბის წიგნაკი

ქვეყანა — იტალია;
კუნძული — სარდინია;
ადმინისტრაციული ცენტრი — კალიარი;
ფართობი — 24,09 კვ.კმ;
მოსახლეობა — 1.675.411;
ვალუტა — ევრო;
ენა — იტალიური.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ამიკო ჩოხარაძემ შვილებს სიმღერა დაუწერა

## „ეკრანზე ხმაურით უნდა დავბრუნდე“



შოუმენ ამიკო ჩოხარაძის ცხოვრებაში სიახლეებია. ორი თვის წინ მეორე შვილის, გოგონას მამა გახდა. კარგად აქვს გააზრებული, რამხელა პასუხისმგებლობაა ორი შვილის მამობა. სამსახურის გამო ცოლ-შვილს საკმარის დროს ვერ უთმობს, მაგრამ ამ დანაკლისს შინ მისული მაინც ავსებს, შვილებს სიყვარულით და მოფერებით ანებივრებს. მათ სიმღერაც კი მიუძღვნა. როგორი დაღლილიც უნდა იყოს, იმის თავი მაინც აქვს, საბას ეთამაშოს, ემილის მოუაროს და ცოლი, ანა ონიანი, დაასვენოს. როგორც ამიკო ამბობს, ანასთან მისი ურთიერთობა გაცნობიდან დღემდე იდეალურია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თავის დროზე სწორი არჩევანი გააკეთა. ამიკოს პირად ცხოვრებაში უფრო მეტი სიახლე აქვს, ვიდრე კარიერაში. ჯერჯერობით შემოქმედებითი პაუზა აქვს, მაგრამ ეკრანზე ხმაურიანი დაბრუნებისთვის ემზადება. ამის შესახებ თავის ინტერვიუში საუბრობს.

**— ამიკო, როდის გამოჩნდებით ბერას ტელევიზიად ცნობილ „ჯიდიესის“ ეკრანზე, მაყურებელი როდის გიხილავთ?**

— ბევრ ახალ პროექტს ვამზადებთ. საპილოტე გადაცემებს ვწერთ და ვნახოთ, რა გამოვა. განსხვავებული ფორმატის პროექტებს ვგეგმავთ, ზოგი ჩვენი მოფიქრებულია, ასევე ვაპირებთ ახალგაზრდული, პოპულარული ამერიკული შოუს ანალოგის გაკეთებას.

**— ერთხელ მითხარით, მინდა, ისეთ ადგილას ვმუშაობდე, სადაც ჩემი იდეების რეალიზებას მოვახდენო. „ჯიდიესზე“ ამის საშუალება გაქვთ?**

— ჩვენ რომ გაცილებით დიდ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ისეთი მდიდარი ქვეყანა ვერ ვართ, როგორიც ამერიკაა, სადაც პავილიონებად ქალაქები აქვთ. თუმცა, შეიძლება ითქვას, ცოტა ხანში იმავე პროდუქტს დავდებთ, რაც ამერიკაშია და უფრო ნაკლები თანხაც დაიხარჯება. მთავარი მონდომებაა.

**— რას ფიქრობთ, როგორ იმკვიდრებს თავს ახალი ტელევიზია ქართულ მედიასივრცეში, მართლდება თქვენი მოლოდინები?**

— როცა ბერასთან გადავედით (ამიკოსთან ერთად „რუსთავი 2“-დან ბერა ივანიშვილის სტუდიაში წავიდნენ თემო მჟავია და ფაქო, იგივე ლევან გოგორელიანი. ავტ.), ეს ტელევიზია იდეაშიც არ ყოფილა. მაშინ ამერიკული დონის სერიალის გადაღებას ვაპირებდით.

**— რატომ ვერ მოხერხდა გადაღება?**

— ვიღებდით და დაახლოებით ისეთი დონის გამოვიდოდა, როგორიც არის „გაქცევა“, ოღონდ კომედიური ჟანრის. ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ ამას 1-2 წელში ვერ გააკეთებ. გადაღებები მალე განახლდება. თავის დროზე სერიალზე მუშაობა თემო მჟავიას გამო შეჩერდა. ავარიაში მოყვა და მძიმედ დაშავდა. ჩემი ვარაუდით, შეიძლება რამდენიმე თვეში ეს ყველაფერი გავაკეთოთ.

**„სატელევიზიო ცხოვრებაში ახლა გარდატეხის ასაკი მაქვს. ნიჭს ვინახავ იმისთვის, რომ რამდენიმე თვეში უფრო მაგარი რაღაცეები გავაკეთო".**

**— ფიქრობთ, რომ კონკურენციას გაუწევთ წამყვან ტელეკომპანიებს?**

— უკვე ვუწევთ. ჩვენი იდეაა, რომ არხი პოზიტიური იყოს, არ იქნება საინფორმაციო მხარე. შეიძლება ვიღაც ცნობილ მომღერალზე ნიუსი გაკეთდეს, ესაა და ეს. სულ პოზიტივი და სიცილი იქნება. ვიღაცეები გვაკრიტიკებენ კიდეც, მაგრამ ვთვლი, რომ კრიტიკაც კარგია, რადგან ე.ი. ის კრიტიკოსიც უყურებს ჩვენს არხს.

**— შენიშვნებს ითვალისწინებთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ საიტებზე ვზივარ და კომენტარებს ვკითხულობ. საქართველო პატარა ქვეყანაა და ადვილად ვხვდები, ვინ არის ჩვენით კმაყოფილი და ვინ — არა.

**— რა სახის კრიტიკა გესმით თქვენი მისამართით?**

— როცა ეთერში „ნოკაუტი“ გავიდა, ხალხისგან წამოვიდა კრიტიკა, რომ ბავშვები ვერ ხუმრობდნენ. ვთვლი, რომ ამ ადამიანებს გზა არ უნდა დავუკეტოთ. ვინც მსურველი იყო, ყველა მოვიდა კასტინგზე. ყველა მაგარი ვერ იქნებოდა, ამ გადაცემამ გვაჩვენა, რომ ამ ბავშვებს მეტის კეთებაც შეუძლიათ და შეიძლება კიდევ გავიდეს ეთერში. მოკლედ, ჩვენ კმაყოფილები ვართ, მგონი, ხალხიც არ დავტოვეთ უკმაყოფილო. ისინი თუ ჯერ კიდევ მოლოდინში არიან, ჩვენ მზადებაში ვართ.



■ საბა

**„მინდა, მეტი ბავშვი მყავდეს, 6 შვილს მაინც გავუმკლავდები, რა პრობლემაა!".**

**— თავად კიდევ გამოჩნდებით ეკრანზე თუ მხოლოდ შიდა სამზარეულოში იქნებით ჩართული?**

— სერიალში მთავარი როლი მექნება და, რა თქმა უნდა, შიდა სამზარეულოშიც აქტიურად ვიქნები ჩართული. მართალია, ხელმძღვანელი ვარ, მაგრამ ამავდროულად გახლავართ დეკორატორიც, პროდიუსერიც, სცენარისტიც.

**— თვლით, რომ ახლა თქვენს ცხოვრებაში წარმატებული ეტაპია?**

— როდესაც მომღერალს გარდატეხის ასაკი აქვს, ცოტა ხანს უნდა გაჩერდეს, რომ ხმა არ დაიზიანოს. სატელევიზიო ცხოვრებაში ახლა გარდატეხის ასაკი მაქვს. ნიჭს ვინახავ იმისთვის, რომ რამდენიმე თვეში უფრო მაგარი რაღაცეები გავაკეთო. ეკრანზე საკმაოდ ხმაურით დავბრუნდები. ის ამიკო დაბრუნდება, რომელიც ხალხს უყვარს.

**— ცოტა ხნის წინ მეორე შვილის, გოგონას მამა გახდით. კონკრეტულად როდის გეყოლათ?**

— ჩემი გოგო 16 აპრილს დაიბადა და ემილი დავარქვით.

**— საქართველოში არცთუ გავრცელებული სახელია. ვინ შეურჩია?**

— მე და ჩემმა მეუღლემ. ემილი ისეთი სახელია, არც ერთ ქვეყანაში არავის ეუცხოება. თან ძალიან რბილი, ლამაზია და გოგოს უხდება.

**— რას იტყვით, როგორია ორი შვილის მამობა? არ ყოფილა მარტივი?**

— გეთანხმებით, მართლაც არ არის მარტივი. ქალების მესმის, როცა ამბობენ, შვილების გაზრდაში დედები თამაშობენ მთავარ როლსო, მაგრამ მამებიც არანაკლებ იხარჯებიან. ყველაფერს ცოლისთვის და შვილებისთვის ვაკეთებ. ჩემი გოგო სხვანაირად მაგიჟებს. მეგობრები მეუბნებიან, ცოტა რომ წამოიზრდება, შენ მერე ნახე, თითზე დაგიხვევსო.

ბავშვები ძალიან მიყვარს, მით უმეტეს, ჩემს შვილებზე ჭკუა მეკეტება. მინდა, მეტი ბავშვი მყავ-



■ ემილი

დეს, 6 შვილს მაინც გავუმკლავდები, რა პრობლემაა! ჩემმა ცოლმა იკითხოს, თორემ მე რა, დილიდან საღამომდე სამსახურში ვარ, საღამოს დაღლილი მივდივარ, ბავშვებს ცოტა ხანს ვეთამაშები და ვიძინებთ.



Cyan Magenta Yellow Black

შვილებს სიმღერა დავუწერე, რომელსაც ინტერნეტში გამოვაქვეყნებ. შევეცდები, მამაჩემზე უკეთესი მამა ვიყო და ჩემი მეუღლე დედაჩემზე უკეთესი დედა იყოს. იმას არ ვამბობ, რომ ცუდი მშობლები მყავს, პირიქით, გადასარევი ადამიანები არიან, მაგრამ მე უფრო მაგარი უნდა ვიყო.

— **შვილებთან მხოლოდ თამაშით შემოიფარგლებით თუ ანას მათ მოვლაშიც ეხმარებით?**

— მეუღლე დილიდან საღამომდე ბავშვებთანაა და, როცა მე მივდივარ, შეიძლება დაიძინოს. მე კი ამ დროს ერთი ბავშვი ხელში მიჭირავს და მეორეს ვეთამაშები. შემიძლია საჭმელი გავუკეთო, ვაჭამო, გავრეცხო... მე და ანა მარტონი ვართ და ორი ბავშვი რთული მოსავლელია.

— **ანა მარტო უვლის ორ პატარა ბავშვს?**

— კი, მაგრამ ახლა ჩემი სიდედრი გვეხმარება. სიდედრს ფორმალურად ვუწოდებ, თორემ ის ჩემი დაქალი, მეგობარია. ცოტა განსხვავებული სიძესიდედრობა გვაქვს, ქართული რეალობიდან გამომდინარე. ცოლისდასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ისინი გვეხმარებიან ბავშვების აღზრდაში და მადლობელი ვარ, რადგან მათ გარეშე შეიძლებოდა ბევრი რაღაც ვერ გამეკეთებინა. ასე ოჯახურად, გემრიელად მივექანები წინ. ამ ეტაპზე ოჯახში გაცილებით მეტი წინსვლა და სიახლე მაქვს, ვიდრე კარიერაში, მაგრამ არც ამ მხარეს დავაკლებ რამეს.

— **საბა რა თვისებებს ავლენს, ვის ჰგავს?**

— 2 წლის და 4 თვის არის და ორივეს გვგავს. მე და ჩემი მეუღლეც ვგავართ ერთმანეთს — ხასიათით, თვალებით. საბას ზოგი უფრო მე მამსგავსებს, ზოგი — ანას. მე თუ მკითხავთ, ანას უფრო ჰგავს, მაგრამ ჩემი ცოლი პირიქით ამბობს. ემილიც ორივეს გვგავს.

— **ბევრ მამაკაცს უჭირს ბავშვთან ურთიერთობა, მით უმეტეს, მისი მოვლა. თქვენ ადვილად აითვისეთ ეს საპატიო საქმე?**

— ჩემი და ჩემზე 17 წლით უმცროსია, ამიტომ კარგად ვიცოდი ბავშვებთან ურთიერთობა. პრაქტიკა წინასწარ მქონდა გავლილი. შემიძლია პამპერსის გამოცვლაც. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ძალიან მაგარი მამა ვარ. ვცდილობ, ჩემი სიყვარული მათ მაქსიმალურად გადავცე. სამსახურის გამო შეიძლება საკმარის დროს ვერ ვუთმობ, მაგრამ სახლში რომ მივდივარ, აუცილებლად უნდა ჩავეხუტო. საბას თუ იმ დროს სძინავს, იღვიძებს და ჩემს საწოლში გადმოწვება ხოლმე. ველოდები, გოგოც როდის წამოგვეწევა. საერთოდ, გოგონები უფრო სწრაფად იზრდებიან, ფეხსაც მალე იდგამენ და ლაპარაკსაც სწრაფად იწყებენ.

**„მე სწრაფად, მაგრამ ზუსტად მივიღე გადაწყვეტილება. ჩემს ცხოვრებაში ერთი ქალი იყო და ეს არის ჩემი მეუღლე".**

ის რომ წამოიზრდება, ცოტა უნდა შევისვენო, გავიაზრო, თუ როგორ მაგიჟებს ჩემი ორი ბავშვი და მომდევნო შვილებზე მერე ვიფიქრებ.

— **თქვენსა და თქვენს ცოლს, ანას შორის ორმა ბავშვმა ურთიერთობის დეფიციტი ხომ არ შექმნა?**

— მე და ჩემს მეუღლეს გადასარევი ურთიერთობა გვაქვს, მეუბნება, დაისვენეო. ჩემზე ცოტა ნაწყენია, მეუბნება, სამსახურს უფრო მეტ დროს უთმობ, ვიდრე ჩვენო, მაგრამ ეს ყველა ცოლის პრობლემაა. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრება ასეა მოწყობილი. დილიდან საღამომდე სამსახურში ხარ, საღამოს სახლში მიდიხარ, რომ დაისვენო და დილით ისევ სამუშაოზე გარბიხარ.

— **ახლა უკვე შეგიძლიათ მითხრათ, თქვენს ცხოვრებაში ქორწინების პირველ წელს სირთულეები თუ ახლდა.**

— შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ჩემი და ანას ურთიერთობა გაცნობიდან დღემდე იდეალურია. ზოგიერთ წყვილთან შედარებით მე ძალიან კარგად ვარ.

— **რას უმადლით ამას?**

— ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში კი, ადამიანობას. თუ გინდა, ის ქალი შენი ცოლი იყოს, საკუთარ გადაწყვეტილებაში დარწმუნებული უნდა იყო. გაცნობიერებული უნდა გქონდეს, მთელი ცხოვრება დილით თვალს რომ გაახელ, იმ ადამიანის დანახვა მოგიწევს. მე სწრაფად, მაგრამ ზუსტად მივიღე გადაწყვეტილება. ჩემს ცხოვრებაში ერთი ქალი იყო და ეს არის ჩემი მეუღლე, ახლა კი ჩვენი გოგო შემოგვემატა. მოკლედ, ქალების გარემოცვაში ვარ, სახლში ფუფუნება მაქვს, ერთი საჭმელს გამიკეთებს, მეორე — დაალაგებს. ჩემს სიმღერაშიც მაქვს ასეთი ტექსტი, რომ ყველა სუპერგმირი ვარ, ყველაფერი ვარ, ოღონდ ჩემმა ბავშვებმა იგრძნონ თავი კომფორტულად. მათთან ერთად მეც კარგად ვერთობი. საბასავით მეც 2 წლის და 4 თვის ვხდები, ემილისთან კი 2 თვის ვარ. ყველანაირად ვცდილობ, მათ ჭკუამდე დავიდე.

— **ანას არ უნდა, რომ სამსახური მასაც ჰქონდეს?**

— ეს ნორმალური მომენტია. ყველა ქალი წუწუნებს ქმართან, შენ რომ მუშაობ, მეც უნდა მქონდეს სამსახური, დავიღალე სახლში ბავშვებთანო. ჩემს მეუღლეს ჟურნალისტიკა აქვს დამთავრებული და შემიძლია ტელევიზიაში დავაკავო, მაგრამ მინდა, მტკიცედ ვიყო დარწმუნებული, რომ რა საქმესაც ვანდობ, კარგად გააკეთებს, რათა მერე ვიამაყო, რა ცოლი მყავს, ყველაფერს რა კარგად აკეთებს-მეთქი. ანა თუ ჩემთან ერთად დაიწყებს მუშაობას, მასზე მე ვიქნები პასუხისმგებელი.

✓ **ქეთი დინოშვილი**

## ეს იცოდით?

- პირველი ნაწარმოები, რომელიც საბეჭდ მანქანაზე დაიბეჭდა, „ტომ სოიერის თავგადასავალი" იყო.
- პირველი ნაბეჭდი ბიბლია გერმანიის ქალაქ მაინცში გამოიცა.
- პირველად მოთხრობა კონკიას შესახებ ჩინურ წიგნში გამოჩნდა, რომელიც დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 850 წელს დაიწერა.
- პირველი სავარცხელი ნაპოვნია სკანდინავიაში. სავარაუდოდ, ის ძვ.წ.აღ-ის 800 წელს გააკეთეს.
- ნოტების უძველესი ჩანაწერი ნაპოვნია მესოპოტამიაში. ის დაახლოებით 3800 წლისაა.
- უძველესი ლექსიკონი ჩინელებს ეკუთვნით. ის ძვ.წ.აღ-ის 1109 წელს შეიქმნა.
- მიუხედავად იმისა, რომ დენთი ჩინელების გამოგონებაა, ცეცხლსასროლი იარაღი მათ პირველებს არ შეუქმნიათ.

- მსოფლიოში 7,5 მილიარდი ცალი ბიბლიაა დაბეჭდილი.
- რომის პირველ პაპად პეტრე მოციქული მიიჩნევა. ახლანდელი პაპი რიგით 266-ეა.

- დედამიწაზე 54 ზღვაა.
- მზის სისტემის პლანეტების თანამგზავრებს ბერძნული ღმერთების სახელები ჰქვიათ. მხოლოდ ურანის თანამგზავრებს დაარქვეს შექსპირის პიესების გმირების სახელები.

- ამერიკის პრეზიდენტ ფრანკლინის სურვილი იყო, ინდაური ამერიკის ეროვნულ ფრინველად გამოცხადებულიყო.
- ინგლისის პრემიერი ჩერჩილი იტალიას ევროპის დაუცველ მუცელს ეძახდა.
- ამერიკის სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ბრძოლაში 20 წუთის განმავლობაში 7.000 ამერიკელი დაიღუპა.
- ამერიკის სამოქალაქო ომის პირველ ბრძოლაში მსხვერპლი არ ყოფილა.
- ამერიკულ ათდოლარიან კუპიურაზე გამოსახული ალექსანდერ ჰემილტონი ვიცეპრეზიდენტმა, აარონ ბურმა დუელში მოკლა.

- გალილეო გალილეი სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაბრმავდა.
- რენუარმა 60 წლის განმავლობაში 6 ათასამდე ტილო შექმნა.
- აგატა კრისტი ინგლისში ყველაზე გაყიდვადი მწერალია. მისი 78 დეტექტივის 2 მილიარდი ასლია გაყიდული.

- კოალას სუსტი გული აქვს და ხშირად კვდება ინფარქტით.
- ძაღლი პირველი ცხოველი იყო, რომელიც ადამიანმა მოიშინაურა.
- კატებს კნავილი მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობისთვის სჭირდებათ. თანამოძმეებს ისინი სხვაგვარად ეკონტაქტებიან.
- რაც უფრო ცუდ პირობებში იზრდება და ხარობს ყავა, მით უფრო გემრიელია მისი ნაყოფი.

- ერთი შეხედვით, უსარგებლო ნახევარკუნძულ სინაის დაპყრობას, რომელიც ძირითადად უდაბნოა, 50-ზე მეტი ერი ცდილობდა ბოლო 5 000 წლის განმავლობაში.
- სინგაპური ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მხოლოდ ერთი რკინიგზის სადგური აქვს.
- ნაურუ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოფიციალური დედაქალაქი არ აქვს.



Cyan Magenta Yellow Black



# მზისგან დამცავი დიეტა

მზის მავნე გავლენის შიშის გარეშე სუფთა ჰაერზე დასვენებით რომ დატკბეთ, ზაფხულის რაციონში სასარგებლო ცვლილებები შეიტანეთ.

კრემების გარდა, არსებობს სხვა საშუალებები, რომლებიც ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენის განეიტრალებას ეხმარება.

ცნობილია, რომ მზის სხივებზე ნაოჭების გაჩენის პროცესი ჩქარდება. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი საშიშროება, რომელიც მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ გვდარაჯობს — ზაფხულში ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების აღმოცენების რისკი იზრდება, ამიტომ აუცილებელია რაციონში ჩართოთ ანტიმჟანგავების შემცველი სპეციალური პროდუქტები. რომელია ეს ფარული დამცველები?

### წითელი

პომიდორი, პომიდვრის პასტა, წითელი ბულგარული წიწაკა, სტაფილო, გარგარი და ატამი, ვარდისფერი გრეიპფრუტი, საზამთრო და ნესვი. ყველა ეს პროდუქტი შეიცავს ლიკოპინს, რომელიც ონკოდაავადებების პროფილაქტიკას ეხმარება. მიჩნეულია, რომ ზაფხულში ყოველდღიურ მენიუში უნდა იყოს რამდენიმე სუფრის კოვზი პომიდვრის პასტა, სოუსი, აგრეთვე პიურე. დადგენილია, რომ მათი გამოყენებიდან 12 საათის განმავლობაში ულტრაიისფერის მიმართ კანის მგრძნობელობა ერთი მესამედით მცირდება.

გახსოვდეთ, ლიკოპინი უკეთესად შეითვისება ცხიმთან ერთად, ამიტომ პლაჟის შემდეგ მცენარეული ზეთით ან არაჟნით შეზავებული ბულგარული წიწაკის, პომიდვრისა და სტაფილოს სალათა მიირთვით. ხოლო ნარინჯისფერ-წითელი ხილი წახემსებისთვის გამოდგება.

### მწვანე

საქმე ისაა, რომ მწვანე ფერის პროდუქტი მდიდარია ფოლიუმის მჟავით (ვიტამინი $B_9$). ის გულზე, სისხლძარღვებზე, ნერვულ სისტემაზე, ცილების გადამუშავებაზე დადებითად მოქმედებს და ჩვენი კანის ჯანმრთელობას უზრუნველყოფს. კანი მზის სხივებისგან რომ დაიცვათ, ყოველდღიურად ჭამეთ ფოთლოვანი ბოსტნეულის კერძები: ისპანახი, სატაცური, ნიახური, მჟაუნა, ოხრახუში, ფოთლოვანი სალათა.

### და სხვები

კაკაო კანს ატენიანებს, გლუვსა და მზის მიმართ ნაკლებად მგრძნობიარეს ხდის. საკმარისია, ყოველდღიურად 30 გრამი შავი შოკოლადი ჭამოთ.

ზღვის კომბოსტოს სალათა (50 გრამი დღეში) მზისგან დამცავი კრემების შესანიშნავი დანამატია.

თევზის ქონი ომეგა 3-ის ცნობილი წყაროა, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. არ დაგავიწყდეთ თევზის კერძები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ თევზის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ორაგული, კალმახი, სარდინი, თინუსი.

ყურძნის შემადგენლობაში წარმოდგენილია ძლიერი ანტიმჟანგავები — ფლავონოიდები. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებლები კანის სიგლუვესა და ტონუსზე, მას მზის დამწვრობისა და ანთებითი პროცესებისგან იცავენ. უპირატესობა მიანიჭეთ მუქი ფერის ყურძენს. კანიანად და წიპწებიანად ჭამეთ — დაბერების შესანიშნავი შემაფერხებელია.

### დიეტა სახისთვის

მთელი კვირის განმავლობაში აღნიშნული დიეტა სახეს არამხოლოდ ულტრაიისფერისგან იცავს, ასევე აუმჯობესებს კანის მდგომარეობას, მას სიმკვრივეს ანიჭებს. ამავდროულად არ იშიმშილებთ.

### კვირის მენიუს ნიმუში

#### ორშაბათი

**საუზმე**: 2 თოხლო კვერცხი, ხრამუნა პური, რძიანი ჩირი.

**სადილი**: ბოსტნეულის ბორშჩი, მოხარშული ინდაურის ხორცი, გახეხილი სტაფილო ლიმონის წვენით.

**ვახშამი**: მოხარშული ბრინჯი ქათმის გულმკერდთან ერთად, 1 ჭიქა პომიდვრის წვენი.

#### სამშაბათი

**საუზმე**: ხრამუნა პური ხაჭოთი და დაჭრილი პომიდვრით, ფორთოხლის წვენი.

**სადილი**: ქათმის ბულიონი კვერცხით, წიწიბურას ფაფა მოხარშულ ღვიძლთან ერთად, ერთი ვარდისფერი გრეიპფრუტი.

**ვახშამი**: ლაბასხმული თევზი, მწვანე ბოსტნეულის სალათა, 1 ჭიქა ბროწეულის წვენი.

#### ოთხშაბათი

**საუზმე**: ომლეტი პომიდვრით, ვაშლი, მწვანე ჩაი ლიმონით.

**სადილი**: ბოსტნეულის წვნიანი, ბრინჯი ზღვის პროდუქტებთან ერთად, 1 ჭიქა პომიდვრის წვენი.

**ვახშამი**: ხრამუნა პური ყველით, ხილის სალათა.

#### ხუთშაბათი

**საუზმე**: მიუსლი თაფლით და ნიგვზით, ხრამუნა პური ყველით, ყავა.

**სადილი**: მჟაუნას ბორშჩი, მოხარშული ქათმის გულმკერდი ბოსტნეულით, 2 გარგარი ან ატამი.

**ვახშამი**: ბოსტნეულის რაგუ, მწვანე ჩაი ლიმონით ან პიტნით.

#### პარასკევი, შაბათი და კვირა

წინა დღეების ნებისმიერი მენიუ შეარჩიეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

# პატარა ეშმაკობები მსუქნებისთვის





მიმზიდველად რომ გამოიყურებოდეთ, აუცილებელი არ არის იდეალური პროპორციები. საკმარისია, სწორად ჩაცმა იცოდეთ.

ქალებისთვის, რომლებსაც ბუნებამ ფუმფულა ფორმები უბოძა, რეკომენდებული არ არის ფიგურის მეტისმეტად შემოჭიმვა. თუ თქვენი პრობლემური ადგილი ფართო წელი ან მსხვილი ბარძაყებია, ამ ადგილებში შემოჭერილ ტანსაცმელს მოერიდეთ. მსხვილი ნახატებიანი ან ხასხასა ჰორიზონტალურხაზებიანი სამოსის ტარება არ ღირს. ერთფერი ან წვრილად მოჩითული ქსოვილი შეარჩიეთ.

მსხვილი ბარძაყების დაფარვაში დაგეხმარებათ ტრაპეციული ქვედატანები და მუქი ფერის სწორი შარვლები.

როგორც ცნობილია, სრულ ქალებში დეკოლტეს ზონა ყველაზე მეტ კომპლიმენტს იმსახურებს. ამიტომ V ფორმის ჭრილი თქვენს სასარგებლოდ მუშაობს, აქცენტს მკერდზე აკეთებს და ყელს ვიზუალურად აგრძელებს.

ასევე რეკომენდებულია ტუნიკისა და გრძელი ბლუზონის ტარება. სიმსუქნეს ნიღბავს ასიმეტრიული სამოსი, კაბა მაღალი წელით.

ყველა ეს პატარა ეშმაკობა დაგეხმარებათ, უფრო თავდაჯერებული და მიმზიდველი ქალი გახდეთ, რომელიც თანამედროვე სტანდარტების ძიებაში თავის ინდივიდუალობას არ კარგავს.



Cyan Magenta Yellow Black

# კარგი მანერები სიცოცხლის პირველივე წლიდან



მშობელმა შვილს სიცოცხლის პირველივე წელიწადს უნდა ასწავლოს ბევრი მნიშვნელოვანი რამ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, კარგი მანერებისა და ქცევების ჩამოყალიბებასაც სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი.

ყველა დედა ერთხელ მაინც ხდება ისეთი არასასიამოვნო სცენის მოწმე, როგორიცაა, მაგალითად, მაღაზიაში ბავშვის მიერ მოწყობილი ისტერიკა, რომ სათამაშო უყიდონ. ამ სიტუაციაში დედიკოების ნაწილი შვილის დამშვიდებას ცდილობს, ნაწილი კი პრობლემის გადაჭრას დაშინებით არჩევს.

თუ უფრო ღრმად და სერიოზულად ჩავუფიქრდებით ყველაფერს, მივხვდებით, რომ ბავშვის აღზრდა, მისთვის კარგი მანერების სწავლება საკმაოდ რთულია და რაც უფრო ადრე გაიაზრებს ამას მშობელი, მით უკეთესია მისთვისაც და პატარასთვისაც.

სპეციალისტები რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას გვაწვდიან.

შვილთან რომ ყოველდღიურად არ მოგვიხდეს წესების, კარგი ქცევებისა და მანერების შესახებ ლაპარაკი, შეგვიძლია ეს ყველაფერი მას მოკლედ, ლამაზად, დიდი ასოებით ჩამოვუწეროთ და კედელზე ჩამოვუკიდოთ. ასეთი „აბრა“ ისეთ ადგილზე უნდა დავუკიდოთ, რომ პატარა იძულებული გახდეს, თავისდაუნებურად ხშირად შეავლოს თვალი.

შვილის სწორად აღზრდისა და კარგი მანერების ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო ვარიანტია პირადი მაგალითი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვები იმას აკეთებენ, რასაც ოჯახში ხედავენ, ამიტომ მშობლები უნდა ვეცადოთ, ათმაგად ყურადღებით ვიყოთ და საკუთარი საუბრის მანერასა და ტონს დავუკვირდეთ.

გარდა ამისა, კარგია, თუ შვილს მაგალითად მოვუყვანთ მისი საყვარელი ზღაპრის ან მულტფილმის გმირის ქცევებს, ვთხოვთ, მას მიბაძოს და მისთვის გასაგებ ენაზე დავუსაბუთებთ, რატომ არის ასეთი საქციელი კარგი და მისაღები. როგორც წესი, პატარებთან ასეთი მიდგომა ამართლებს.

სტუმრად წასვლის, კინოში, თეატრსა თუ მუზეუმში წაყვანის წინ აუცილებელია, შვილს დეტალურად ავუხსნათ, როგორც უნდა მოიქცეს კონკრეტულ გარემოში, რა უნდა გააკეთოს და რისი გაკეთება არ შეიძლება. ბავშვმა პატარა ასაკიდანვე უნდა გააცნობიეროს, რისი გაკეთების უფლება აქვს სტუმრად ყოფნის დროს, რისი — მუზეუმსა და კინოში. ერთი შეხედვით, თითქოს ეს ბანალურია, მაგრამ პატარებისთვის ამ ყველაფრის ხშირად შეხსენება აუცილებელია.

ცალკე თემაა ბავშვთან ერთად საყიდლებზე წასვლა. საბავშვო მაღაზიები ის გარემოა, სადაც პატარები ყველაზე მეტად ავლენენ ჭირვეულობას, ცუდ მანერებს. ამიტომ სახლიდან გასვლამდე კარგად უნდა ავუხსნათ, კონკრეტულად რის საყიდლად ვაპირებთ წასვლას. მაგალითად, რომ დღევანდელი შოპინგი მხოლოდ და მხოლოდ საკვები პროდუქტების შეძენით შემოიფარგლება. თუ ბავშვს აქტიურად ჩავრთავთ პროდუქტების ყიდვისა და შერჩევის პროცესში, ის დაინტერესდება და ნაკლებად ჭირვეული იქნება.

### ოჯახური საიდუმლოებები

ხშირად ჩვენი შვილები ოჯახში მიმდინარე მოვლენებს, საიდუმლოებებს სრულიად უცხო გარემოში (საბავშვო ბაღი, სკოლა) განიხილავენ. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ავუხსნათ, რომ დაუშვებელია ასეთი ინფორმაციის სახლიდან გარეთ გატანა, რომ ასეთი საკითხები მხოლოდ ოჯახში უნდა განვიხილოთ და არა — საჯაროდ. დროთა განმავლობაში ბავშვი ამაზე აუცილებლად დაფიქრდება და მიხვდება, რომ არც თავის დედიკოს უნდა აწყენინოს და არც ოჯახის სხვა წევრები ჩააგდოს უხერხულ მდგომარეობაში.

### მშობლების ასლი

ბავშვის აღზრდის საუკეთესო მეთოდი მშობლების მაგალითია. არ უნდა დავივიწყოთ ზრდილობიანი ლაპარაკი, მადლობის თქმა ან ბოდიშის მოხდა შვილთან მაშინ, როცა ეს საჭიროა. ასეთ შემთხვევაში პატარა ადამიანისთვის კარგი ჩვევების, კულტურისა და მანერების ჩამოყალიბების პროცესი ბუნებრივი იქნება და, რაც მთავარია, სწორი. ნელ-ნელა ეს უნარ-ჩვევები მას ხასიათში გაუჯდება და მთელი ცხოვრება გაჰყვება.

## სიცხემ რომ არ გაგვთანგოს

მზის დარტყმა, საკვებისმიერი ინტოქსიკაცია, მომატებული არტერიული წნევა... ყველაზე ხშირი პრობლემებია, რომლებიც ზაფხულის ცხელ პერიოდში იჩენს თავს. როგორ მოვაგვაროთ ეს უსიამოვნო პრობლემები და რა მოვიმოქმედოთ, რომ ზაფხულის სიცხემ არ გაგვთანგოს?

იმ უსიამოვნებებიდან, რომელთა მსხვერპლიც ადამიანი სიცხის პერიოდში ხდება, ყველაზე ხშირი მზის დარტყმაა. ის თავს იჩენს თავის ძლიერი გადახურების შედეგად. ხელს უწყობს უჰაერობა, უქარო ამინდი, პლაჟზე ზედმეტი ჭამა და ალკოჰოლის ჭარბად მიღება.

მზის დარტყმის დამახასიათებელი ნიშნებია სახის სიწითლე, ჰაერის უკმარისობა, გონების დაკარგვა. მზის დარტყმის ძირითადი მაპროვოცირებული არის სიცხე და მის შედეგად გართულებული პროცესები — ოფლის გამოყოფა, გარემოს მაღალი ტემპერატურა, გადაღლა, მზეზე დიდხანს ყოფნა.

თუ ატყობთ, რომ სუსტად ხართ, თავი გტკივათ, გიჭირთ სუნთქვა, ძილი მოგეძალათ, სასწრაფოდ ზომები მიიღეთ.

პირველი დახმარებისთვის მთავარია, მზეს მოსცილდეთ და ჩრდილს შეაფაროთ თავი. თმა ცივი წყლით დაისველეთ, ეცადეთ, დიდი რაოდენობით სითხე დალიოთ. თავზე და ფეხებზე ცივი კომპრესები დაიდეთ და ყოველი შემთხვევისთვის სასწრაფო გამოიძახეთ.

### როგორ დავიცვათ თავი

სიცხეში დიდი რაოდენობით სითხე უნდა დალიოთ, ალკოჰოლზე კი დროებით უარი თქვათ, რადგან ორგანიზმში ოფლის გამოყოფას აფერხებს და გადახურების რისკს ზრდის.

მნიშვნელოვანია სიცხეში სამოსის სწორად შერჩევაც. ტანსაცმელი უნდა იყოს ნატურალური მასალის და ფართო. თეთრი ფერი მნიშვნელოვნად ამცირებს სხეულის გადახურების ალბათობას. მოერიდეთ თავზე პირდაპირი მზის სხივების დაცემას. თუ ზღვაზე ხართ, დილის 11-დან საღამოს 6 საათამდე ნუ გაირუჯებით.

### დაიცავით თავი ინფექციებისგან

ზაფხულში ხელსაყრელი პირობებია საკვებსა და წყალში არასასურველი, მავნე მიკრობების გასამრავლებლად. თუ მკაცრად არ იქნა დაცული ჰიგიენური ნორმები, ორგანიზმის საკვებისმიერი მოწამვლის, განსაკუთრებით ნაწლავური ინფექციების განვითარების ალბათობა მაღალია.

თუ საკვებით მოიწამლეთ, პირველი დახმარება კუჭის ამორეცხვა და ნახშირის მიღებაა. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე, განსაკუთრებით ეფექტურია რეჰიდრონის ხსნარის დალევა.

თუ 2 დღის განმავლობაში მდგომარეობა არ გამოსწორდა და თავს უკეთ არ გრძნობთ, არ დაგიამდათ ტკივილები მუცლის არეში, პირღებინება, დაიარეა, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

### წნევის მომატება

ჰიპერტონიკებს სიცხეში არტერიული წნევა კიდევ უფრო ემატებათ და შესაძლოა ჰიპერტონიული კრიზიც განვითარდეს, რომელსაც ხშირად ახლავს თავის ტკივილი, მხედველობის გაუარესება, სუნთქვის გაძნელება, გულის წასვლის შეგრძნება, ხელ-ფეხის კანკალი, სახის სიწითლე და სხვა.

### როგორ მოიქცეთ

პანიკას ნუ მიეცემით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. თუ გულის არეში ტკივილს გრძნობთ, დალიეთ ვალერიანის აბები.

სიცხეში ჰიპერტონიკებმა მუდმივად უნდა აკონტროლონ წნევის მაჩვენებელი. სასურველია შუადღის საათებში გარეთ სიარულისგან თავშეკავება, ასევე ძლიერი ფიზიკური დატვირთვა. შეზღუდეთ ცხიმიანი, მარილიანი, ცხარე კერძები, მოერიდეთ ალკოჰოლს და სიგარეტს, მინიმუმამდე დაიყვანეთ ყავისა და ჩაის მოხმარება.

ერთი შეხედვით ეს მარტივი რეკომენდაციები გახლავთ, მაგრამ მათი გათვალისწინებით სერიოზული პრობლემებისგან დაიცავთ თავს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black



# დათო მარსაგიშვილი: „გოგომ, რომელსაც სერიოზულად შევხედავ, გენდერულ თანასწორობაზე ლაპარაკი არ უნდა დამიწყოს!“

ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, 22 წლის დათო მარსაგიშვილი, შეყვარებული არასოდეს ყოფილა. ამბობს, რომ მთელი მისი ყურადღება სპორტული კარიერისკენ არის მიმართული და მშვენიერი სქესისთვის მხოლოდ „სეზონურად“ აქვს დრო, როცა საქმისგან ისვენებს. მოხევეა, ყაზბეგში დაიბადა და გაიზარდა. 14 წლის იყო, როცა იქიდან წამოვიდა და, მისი თქმით, მშობლიურ კუთხეს მენტალურადაც დაშორდა, თუმცა ბუნებით — არა. ყაზბეგის ბუნებასავით გოროზი, მკაცრია, ყოველ შემთხვევაში, ქალებზე საუბრისას ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. გენდერული ბალანსი და მსგავსი თემები მისთვის მიუღებელია. ახალგაზრდა სპორტსმენის აზრით, ქალი მამაკაცს უნდა დაემორჩილოს.

**— დათო, ქალთა სქესისგან ყურადღებით განებივრებული ხართ?**

— გოგონებში უფრო მეტად პოპულარული მაშინ გავხდი, როცა წარმატებას მივაღწიე. თუმცა არ ვფიქრობ, რომ ჭიდაობა იმ დონის პოპულარობას მომიტანს, რასაც სპორტის სხვა სახეობა შეძლებდა. ჭიდაობა საზოგადოებაში დიდად ცნობილი არ არის, მით უმეტეს, გოგოებში. ახალგაზრდა ქალი ვერ დაჯდება და ჭიდაობას ვერ უყურებს. თუ ეკრანსა და ჟურნალ-გაზეთებში დიდი დოზით გამოჩნდები, ცნობადი სახე გახდები. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ბოლო პერიოდში, რაც წარმატებებს მივაღწიე, „ფეისბუქზე“ მეგობრობის მეტი თხოვნა მივიღე.

**— როგორ გამოხატავენ გოგონები თქვენ მიმართ სიმპათიას?**

— სიმართლე გითხრათ, არაფერს მწერენ, უბრალოდ მეგობრებში მიმატებენ. მე ვარჩევ, შევხედავ გოგოს და, თუ ღირს, წერილს გავუგზავნი.

**— რის მიხედვით არჩევთ?**

— სურათებს რომ ვათვალიერებ, უკვე ვხვდები, ის გოგო საინტერესოა თუ არა.

**— ფოტოებიდან ასე იოლია ქალის გამოცნობა?**

— ბანალური ფოტოები თუ უდევს, იმას ყურადღებას არც მივაქცევ. ჯერ ვიზუალს და ჩაცმას ვაკვირდები. ჩაცმულობითაც უბრალო უნდა იყოს და რაღაცას არ უნდა იგონებდეს. უაზრო აქსესუარებით გადატვირთულ ქალს ჯინსებში, მაისურსა და კედებში გამოწყობილი მირჩევნია. მეც ასე ვიცვამ. გოგოს რაღაც დამაინტრიგებელი უნდა ჰქონდეს, რომ ჩემში ინტერესი გააჩინოს.

**— ინტრიგა რამ შეიძლება გამოიწვიოს?**

— შეიძლება თვალის ჭრილი ჰქონდეს ისეთი განსხვავებული, რომ დიდი ყურადღება მივაქციო, თუმცა გოგოს მხოლოდ თვალების მიხედვით არ ვარჩევ, ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, თავში რა უყრია, ამას კი ძალიან მალე ვხვდები.

**— როგორ იგებთ, რაიმე შეთოლი გაქვთ შემუშავებული?**

— დიდ ყურადღებას ვაქცევ, გოგოს რაზე შეიძლება გაეცინოს ან მასში აღფრთოვანება რამ შეიძლება გამოიწვიოს. იუმორის შეგრძნება აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რადგან მე თვითონ ჭარბად მაქვს.

**— საცოლედ როგორი გოგონა მოგეწონებოდათ?**

— ძალიან უბრალო, კეთილშობილი უნდა იყოს და სულ იცინოდეს, მაგრამ გოგო, რომელიც საცოლედ მომეწონება, იოლად მოსაპოვებელი არ უნდა იყოს, საკუთარი აზრი უნდა ჰქონდეს. არც ძალიან უნდა იბღინძებოდეს და „ტიპობდეს“. ქართველი გოგოები უფრო მოთამაშეები არიან. საზღვარგარეთ ხშირად დავდივართ. იქ გოგოებს თამამად შემიძლია დაველაპარაკო, გავეხუმრო. იგივენაირ საქციელს აქ ცუდად იგებენ. ჩვენთან ქუჩაში რომ ქალს გამოელაპარაკო, ცუდად შემოგხედავს და შეიძლება ნერვებიც მოგიშალოს.

ქალი ხანდახან ჩემნაირი ცანცარა და არასერიოზულიც უნდა იყოს. ვარსკვლავებს რომ წყვეტენ, არც ისეთებზე მაქვს გართულება. სიმაღლით მეტრი და 87 სანტიმეტრი ვარ, კალათბურთელებს თუ არ ჩავთვლით, ჩვეულებრივ ხალხში მაღალ ადამიანად ვითვლები. ჩემი სიმაღლის არ უნდა იყოს, თუმცა ცოლად მეტრი და 62 სანტიმეტრის სიმაღლის გოგო რომ მოვიყვანო, ნურავინ მიწყენს, მაგრამ არ გამოვა, დიდი შეუსაბამობა იქნება. ასეთი სიმაღლის ქალი შეიძლება მომეწონოს, მაგრამ ჩემთვის მაინც რაღაც დაბრკოლება იქნება იმ შემთხვევაში, თუ მასთან ცხოვრებას გადავწყვეტ.

> **„უდიპლომო სასიძო ვარ, 12 კლასი დავამთავრე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ბიჭისთვის სწავლა-განათლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ქალისთვის... ჩემი კლასელები ეროვნულ გამოცდებს რომ აბარებდნენ, მე მაშინ ევროპის ჩემპიონატზე ვჭიდაობდი".**

**— ალბათ ბევრისთვის ხართ სასურველი სასიძო და საპატარძლოებსაც არჩევენ თქვენთვის, გაცნობენ...**

— გააჩნია, რა კრიტერიუმებით ფასდება დღეს სასიძო. ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, მთელი დღე დარბაზში ვგდივარ და ვვარჯიშობ. ვიღაცისთვის მისაღები ვარ, ვიღაცისთვის — არა. ზოგ გოგოს ნარკომანი ბიჭები „ევასება“, ზოგს კი წიგნებზე გადართული, კაბინეტიანი სამსახურით. მე კი უდიპლომო სასიძო ვარ, 12 კლასი დავამთავრე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ბიჭისთვის სწავლა-განათლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ქალისთვის.

ან რა დროს უნდა ვისწავლო? ფიზიკურად არ მაქვს დრო. ჩემი კლასელები ეროვნულ გამოცდებს რომ აბარებდნენ, მე მაშინ ევროპის ჩემპიონატზე ვჭიდაობდი და ამ დროს მინდოდა მე გამოცდები?! შეიძლება ნასწავლი არ ვარ, მაგრამ გამუდმებით ვკითხულობ და რაღაცას ვეცნობი. „ფეისბუქიც“ ბევრ რამეში მეხმარება. სპორტულ შეკრებებზე ყოფნის პერიოდში ყველა სფეროდან ცოტ-ცოტა საინტერესოს ვიგებ. შეიძლება დიდად განათლებული ვერასდროს გავხდე, მაგრამ როცა საზოგადოებაში რაღაც თემაზე საუბარი ჩამოვარდება, მინდა, ჩემი აზრი მქონდეს. ვფიქრობ, რომ დადებითი პიროვნება ვარ და ურთიერთობაში ჩემს განათლებას ყურადღებას არავინ მიაქცევს. უსწავლელობა ბიჭს კიდევ ეპატიება, მაგრამ გაუნათლებელი გოგო ძალიან ცოდოა.

> **„შეიძლება თვალის ჭრილი ჰქონდეს ისეთი განსხვავებული, რომ დიდი ყურადღება მივაქციო, თუმცა გოგოს მხოლოდ თვალების მიხედვით არ ვარჩევ, ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, თავში რა უყრია, ამას კი ძალიან მალე ვხვდები".**

**— მშვენიერ სქესთან ჯენტლმენურად იქცევით, კომპლიმენტებს ეუბნებით?**

— თითქმის არ ვეუბნები. არ ვარ ის ტიპი, რომ გოგო სასიყვარულო ან საალერსო სიტყვებით შევამკო. მათგან უფრო ხშირად ვიღებ კომპლიმენტს.

**— გეტყობათ, შეყვარებული არ გყავთ.**

— თუ დამიჯერებთ, შეყვარებული არც არასდროს ვყოფილვარ. ვაპირებ. ერთი გოგო მომწონს, მაგრამ ეს არ გახლავთ ისეთი ურთიერთობა, რომ მისი აფიშირება მოვახდინო. შეიძლება შემიყვარდეს კიდეც, რა ვიცი...

**— თქვენი აზრით, რა არის სიყვარული?**

— შეჩვევა და მეტი არაფერი. ადამიანთან ერთად დროის გაყვანა რომ გსიამოვნებს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს და აქედან მოდის სიყვარულიც.

**— ადვილად შეიძლება მოგხიბლოთ ქალმა?**

— ალბათ — კი, მაგრამ ერთი ნახვით შეყვარების წამალი, იცით, რა არის? მეორედ ნახეთ და კარგად დააკვირდით! იმდენად მხიარული და ცანცარა ბიჭი ვარ, გოგოსთან ურთიერთობაში ძალიან ადვილად შევდივარ. ვხვდები, რომ ჩამოყალიბებული კაცი ჯერ არ ვარ. თუმცა ვერც იმას გეტყვით, რომ ეს ასაკის ბრალია. არ ვიცი, როდის შევიცვლები, ალბათ 100 წლის როცა გავხდები. გოგო თუ მომეწონება, ჩემი ცანცარით შემიძლია მოვხიბლო. ბავშვობაშიც ასეთი ვიყავი.

ისე, ვის მიმართაც სიმპათიები მქონია, საპასუხო რეაქციები მისგანაც წამოსულა. მექალთანე არასდროს ვყოფილვარ. თითქმის ნახევარი წელიწადი შეკრებებზე ვარ. შეიძლება ორი კვირა ვიღაცას ვხვდებოდე და მერე ორი თვე ვეღარ ვნახო. როცა გოგო მართლა დამაინტერესებს, მერე ოჯახის შექმნაზეც დავფიქრდები.

**— ესე იგი სიყვარულისთვის დრო არ გაქვთ?**

— მხოლოდ ზაფხულში. როცა ვიცი, რომ ერთი თვე მაქვს დრო, ამ პერიოდში ქალებსა და გართობაში რაღაც დოზით გადავეშვები ხოლმე. თან ამ სიტუაციამ მაგარი მიჩვევა იცის, მით უმეტეს, თუ თანხაც გაქვს. დროსტარება არასდროს გამოილევა, მთავარია, ფული არ გამითავდეს და მერე იმ სიტუაციაში არ ჩავრჩე. ამის შემდეგ რეჟიმში ჩადგომა და ჭიდაობის დაწყება ცოტა მიჭირს კიდეც. სპორტსმენი ქალებსა და გართობას დიდი დოზით არ უნდა გადაჰყვეს, ეს მისთვის დამღუპველი იქნება. საკუთარ თავს ამაში სულ კონტროლს ვუწევ, თორემ „გაბაბნიკებას“ არაფერი უნდა — მანქანა მყავს, სახლი მაქვს და ფინანსური პრობლემები არ მაწუხებს.

**— ამით ოჯახმა უზრუნველგყოთ თუ საკუთარი დანაზოგით შეიძინეთ?**

— რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯებით. თბილისში უკვე მეორე ბინა ვიყიდე. სოფლელი ბიჭი ვარ. ყაზბეგში დავიბადე და გავიზარდე, მოხევე, მთის კაცი ვარ. ბავშვი სოფელში რომ გაიზრდება, ამაზე მაგარი არაფერია. მთაში დიდი თავისუფლებაა. აქ კი შვილს კორპუსიდან ეზოში ვერ ჩაუშვებ. 14 წლის ვიყავი, თბილისში რომ წამოვედი და სერიოზული წარმატებებიც მოვიპოვე. ჩემი მშობლები იქ დარჩნენ. სამივე ძმა ერთად წამოვედით. გიორგი 24 წლის არის, ერეკლე — 26 წლის.

რადგან სოფელში გავიზარდე, არ ვფიქრობ, რომ პროვინციული აზროვნება მაქვს. სოფელში ჩამორჩენილი ვიყავი და არც არაფერზე მქონდა



Cyan Magenta Yellow Black

პრეტენზია. ნურავინ მიწყენს და, იქ ვერ განვითარდები, რადგან მაინც სხვა ცხოვრებაა. როცა იქ ვიყავი, ინტერნეტიც არ იყო. ასეთ პირობებში, გინდა თუ არა, მაინც ჩლუნგდები. იქიდან თავის დროზე წამოვედი, ფაქტობრივად გადარჩენილი ვარ.

**— მშობლები რა რჩევებს გაძლევენ გოგონებთან მიმართებაში?**

— მშობლები ჩემს პირადში არ ერევიან. ჩვენ სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. წლებია ერთად აღარ ვართ და სხვადასხვა შეხედულებები ჩამოგვიყალიბდა. მე ვერც წარმომიდგენია, ახლა მშობლები მაკონტროლებდნენ.

**— ზოგის აზრით, ქართველი ქალები ზედმეტად მატერიალისტები არიან. თქვენ რას ფიქრობთ?**

— დღეს ისეთი ცხოვრებაა, დიდ ყურადღებას აქცევენ, ავტობუსით მიაკითხავ თუ მანქანით. ყველას ურჩევნია, რომ ბიჭი ფინანსურად ძლიერი იყოს. აბა, გაჭირვებული ვის რად უნდიხარ?!

**— ღარიბი ოჯახის შვილი მოგწონებიათ?**

— სულ ასეთებთან არ მაქვს ურთიერთობა?! ჩემნაირ გლეხ ხალხთან უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

**— გოგოსა და ბიჭის ურთიერთობაში რა არის მთავარი?**

— გოგოს მეტი მოთმინების უნარი უნდა გააჩნდეს და თავისი ადგილი იცოდეს. გოგოს ელემენტარულ რაღაცაზე არ ვუბრაზდები და, სიმართლე გითხრათ, არც პატიება დამჭირვებია. ჩემთან გოგოს არც მიუქარავს.

**— თუ შეცდომას დაუშვებს, როგორ მოიქცევით?**

— ვერ წარმომიდგენია, გოგომ ჩემთან მიმართებაში უპატიებელი რამ ჩაიდინოს. დააშავებს და შეიძლება გავლახო, ვეჩხუბო კიდეც.

**— ქალზე ხელის აწევა მართებულად მიგაჩნიათ?**

— კაცი არ მეგულება, ვისაც ეს არ შეუძლია. ქალზეც უნდა ასწიო ხელი და კაცზეც. როცა ქალი დამნაშავეა და თან ტლიკინებს, უნდა შემოარტყა, აბა, რა უნდა ქნა?!

**— ქალისთვის ხელი გაგირტყამთ?**

— არა, მაგრამ თუ მიქარავს, წარმომიდგენია, როგორ ვცემ. გოგომ, რომელსაც სერიოზულად შევხედავ, გენდერულ თანასწორობაზე ლაპარაკი არ უნდა დამიწყოს. ჯერ კაცია და მერე ქალი! მამაკაცის აზრის პატივისცემა უნდა იცოდეს და თავის თავზე ზედმეტი არაფერი უნდა აიღოს. ვფიქრობ, რომ ნორმალური ქალისთვის ეს მისაღებიც უნდა იყოს.

**— ასეთი სიმკაცრე მოიდან მოგყვებათ?**

— ეგ რა შუაშია?! უბრალოდ ასეთი ხასიათი მაქვს. მამაჩემი კი მართლა მკაცრია.

**— გოგოს გამო გიჩხუბიათ?**

— არა, ხელი არ ამიწევია, მაგრამ შელაპარაკება კი მომსვლია. ვერ ვიტან კლუბურ ცხოვრებას, ასეთი რამ კი ძირითადად იქ ხდება. სერიოზული ჩხუბი არასდროს მომსვლია.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# ოლიმპიურ ჩემპიონს დოპინგსკანდალი ემუქრება



■ ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 200 მეტრზე გარბენსა და ასევე ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ესტაფეტაში, იამაიკელი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი დოპინგის გამოყენებაშია ეჭვმიტანილი. იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კემპბელ-ბრაუნისთვის 2013 წლის მაისში აღებულმა დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. ცნობილ მორბენალს დიურეტის კვალი აღმოუჩინეს, რომელიც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალული პრეპარატების სიაშია შეტანილი.

იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, კემპბელ-ბრაუნის მიმართ დაწყებულია გამოძიება, ოღონდ მათ არ დაუკონკრეტებიათ, როდის დაიწყება სპორტსმენის საქმის განხილვა.

გამოძიების დასრულებამდე მძლეოსანმა თავადვე განაცხადა უარი ყველა სახის შეჯიბრში მონაწილეობაზე, მათ შორის — მსოფლიოს ჩემპიონატშიც, რომელიც მოსკოვში ჩატარდება. კემპბელ-ბრაუნი დოპინგის მოხმარებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს საკუთარი უმწიკვლო რეპუტაციის დასაცავად.

სპორტსმენის ახლობლების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ერთ-ერთმა საინფორმაციო საშუალებამ განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატი იმ საცხის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც კემპბელ-ბრაუნი ფეხის ტრავმის მკურნალობის დროს იყენებდა და ეს ფაქტი დოპინგკონტროლის გავლის წინ საგანგებო ფორმაში მიუთითა კიდეც.

31 წლის კემპბელ-ბრაუნი იამაიკის ყველაზე ტიტულოვანი მძლეოსანია. 2004 წლის ოლიმპიადაზე მან ოქროს მედალი მოიგო 200 მეტრზე გარბენსა და ესტაფეტაში 4X100 მეტრზე, ხოლო 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ გახდა ოქროს მედლის მფლობელი 200 მეტრზე გარბენში.

# რიბერისა და ბენზემას სასამართლო გადაიდო

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების, ფრანკ რიბერისა და ქარიმ ბენზემას სასამართლო პროცესი, რომელიც არასრულწლოვან მეძავთან მათ ურთიერთობას ეხება, მომავალი წლის იანვრამდე გადაიდო.

პარიზის სასამართლოში ახლახან გამართულ მოსმენებზე რიბერის ადვოკატმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მამაკაცს არასრულწლოვანი მეძავის მომსახურებით სარგებლობას უკრძალავს, მეტისმეტად არაორაზროვან ფორმულირებას შეიცავს. მოსამართლე დაეთანხმა ადვოკატის მოთხოვნას, საქმე ზემდგომ ინსტანციას გადასცემოდა და ამიტომ სასამართლო პროცესი 2014 წლის იანვრამდე გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ ფრანკ რიბერისა და ქარიმ ბენზემას ბრალად ედებათ არასრულწლოვან მეძავ ზახია დეხართან სქესობრივი ურთიერთობა, რომელიც პოლიციამ სპეციალურად მოწყობილი რეიდის დროს დააკავა. გოგონამ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელს მოემსახურა, მათ შორის იყვნენ რიბერი, ბენზემა და საფრანგეთის ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე სიდნი გოვუ. გოვუს წინააღმდეგ საქმე იმის გამო არ აღიძრა, რომ დეხარის მაშინ შეხვდა, როდესაც ის უკვე სრულწლოვანი იყო, ანუ 18 წლის შესრულდა.

ფრანკ რიბერიმ აღიარა, რომ ქალის მომსახურებით სარგებლობდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ზახია არასრულწლოვანი იყო. თავად დეხარმაც დაადასტურა, რომ მას ფეხბურთელისთვის თავისი ასაკის თაობაზე არაფერი უცნობებია. ქარიმ ბენზემამ კი განაცხადა, არასრულწლოვან მეძავთან ურთიერთობა არ მქონიაო.

გამოძიების მონაცემებით, დეხარმა მეძავობა 15 წლის ასაკიდან დაიწყო, მაგრამ თავის კლიენტებს ეუბნებოდა, რომ სრულწლოვანი იყო.

საფრანგეთის კანონმდებლობით, მეძავობა ლეგალიზებულია, არასრულწლოვანთა მეძავობა კი, ისევე როგორც სუტენიორობა, კანონით დასჯადი ქმედებაა.

# ბოსნიელმა მეკარემ თავში ტყვიით ითამაშა

ბოსნიის ქალაქ სარაევოს გარეუბანში გამართული მოყვარულთა საფეხბურთო ტურნირის მატჩის დროს ერთ-ერთი გუნდის მეკარეს თავში ტყვია მოხვდა.

51 წლის მეკარე დუშკო კრტალიცამ მომხდარი ვერ შენიშნა და ჩვეულებრივ განაგრძო თამაში.



მატჩის მიმდინარეობისას მას თავის ტკივილი დაეწყო, მაგრამ ჩათვალა, რომ ეს კარის ძელთან შეჯახების შედეგი იყო და თამაში გააგრძელა. მან მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა საკუთარ კარში.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კრტალიცამ ექიმებს მიმართა, რადგან თავის ტკივილი გაუძლიერდა და აღარც მარცხენა ხელი ემორჩილებოდა. მეკარე სასწრაფოდ გადაიყვანეს სარაევოს საავადმყოფოში, სადაც რენტგენული გამოკვლევით თავში ტყვია აღმოუჩინეს. ტყვიის ამოსაღებად კი ოპერაცია გახდა აუცილებელი.

გავრცელებული ინფორმაციით, მეკარეს თავში ტყვია მაშინ მოხვდა, როცა მეზობელ სოფელში, სადაც ერთდროულად სამი ქორწილი იყო, სტუმრებმა ჰაერში სროლა ატეხეს. ადგილობრივმა პოლიციამ უკვე დააკავა მამაკაცი, რომლის ნასროლი ტყვიაც შემთხვევით მოხვდა ბოსნიელ მეკარეს.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



Cyan Magenta Yellow Black

# ბავშვობის შიშებს დაემშვიდობეთ



ბავშვობაში ყველას რაღაცის გვეშინოდა — სიბნელის, ჭექა-ქუხილის, კუდიანი დედაბრების, საფრთხობელების. ამ შიშების უმეტესობა მოზრდილობის ასაკში გადის, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვობისდროინდელ შიშებს წლობით ატარებენ და იტანჯებიან.

ბავშვობაში აღმოცენებული შიშებისა და ფობიების ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ფობიები ადამიანის ცნობიერისა და ქვეცნობიერის უფრო ღრმა ფენებს მოიცავს, მაშასადამე, სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ ბავშვობის შიშებზე ვისაუბრებთ და მათი დაძლევის რამდენიმე სავარჯიშოს გაგაცნობთ.

### როლების შეცვლა

კარგია, თუ თქვენს შვილს ან პატარა ახლობელს სწორედ ის აშინებს, რაც თქვენ. პატარასთან მუშაობის პრინციპი ისეთივეა, როგორც ცნობილ ხუმრობაში: „ვუხსნიდი, ვუხსნიდი და უცებ თავად გავიგე“. სხვის შიშთან არგუმენტებით ბრძოლაში შეუმჩნევლად ამარცხებთ საკუთარს. თუ ნამდვილი „ასისტენტი“ არ გყავთ, ეცადეთ, რაც შეიძლება რეალურად წარმოიდგინოთ, მოცემულ თემაზე ვინმეს როგორ ესაუბრებით.

### სამტრედე

თქვენი შიში მტრედებით სავსე სამტრედეა, ხოლო თითოეული მტრედი ის არის, რაც თქვენს შიშს კვებავს. ფურცელზე თქვენი შიშის მიზეზები და გარემოებები ჩამოწერეთ. რაც მეტ მიზეზს გამოავლენთ, მით უკეთესი. როდესაც ყველაფერს დაწერთ, „მტრედების გამოშვება“ დაიწყეთ. ქაღალდის თვითმფრინავები გააკეთეთ და ფანჯრიდან გაუშვით. გაფრენილ თვითმფრინავს თვალი გააყოლეთ და თავს უთხარით, რომ შიში განადგურდა, გაქრა. სავარჯიშოს რამდენჯერმე შესრულება მოგიწევთ, მაგრამ შედეგი ამად ღირს.

### პირისპირ

სანამ სავარჯიშოს შეუდგებით, დარწმუნდით, რომ ფობიით არ იტანჯებით, სხვაგვარად ამ სავარჯიშოს შესრულება საშიშია.

თქვენი შიში ბრძოლაში გამოიწვიეთ. მაგალითად, თავი აიძულეთ, ლიფტში შეხვიდეთ და მეათე სართულზე ახვიდეთ (და არა ფეხით, როგორც ამას აქამდე აკეთებდით). ამგვარად შიშს სძლევთ, მიუხედავად იმისა, რომ ლიფტიდან შეიძლება ნახევრად გონწასული გამოხვიდეთ. საკუთარ შიშთან ასეთი პირისპირ შეხვედრები რაც შეიძლება ხშირად მოაწყვეთ.

### მრუდე სარკე

გაიხსენეთ სიცილის ოთახი, სადაც უცნაური სარკე თქვენს გამოსახულებას სასაცილოდ ამახინჯებს. თქვენი შიში მრუდე სარკეში წარმოიდგინეთ. თქვენი ამოცანაა, ის რაც შეიძლება სასაცილოდ გარდაქმნათ. ან კიდევ შეგიძლიათ სიტუაცია წარმოსახვით შეცვალოთ. მაგალითად, წარმოიდგინეთ, „საშინელით“ შეშინებული როგორ გარბიხართ, ამ დროს ფეხი დაგისხლტათ და დიდი სავაჭრო ცენტრის შუა ადგილას გაიშხლართეთ ასობით ადამიანის თვალწინ. მთავარია, დაიმახსოვროთ, რომ თქვენი შიში სასაცილოა, როდესაც გვერდიდან უცქერით.

### რჩევა

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება. ხმამაღლა ან გულში წარმოთქვით, როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

შიში ბავშვობაში დარჩა. ჩემს მოზრდილობის ასაკში მას ადგილი არ აქვს.

ოდესღაც ამის მეშინოდა, ახლა — არა.

საოცარია, როგორ შეიძლება ადამიანს ამის ეშინოდეს?

ჩემს შიშს ტრაგედიად არ აღვიქვამ. უბრალოდ, ნაკლია, რომელსაც წარმატებით დავძლევ.

# როგორ მოვექცეთ თავხედს

თავხედობა, აგრესია, უხეშობა ყოველთვის გულს გვტკენს და დიდხანს განვიცდით. როგორ დავიცვათ თავი?

პირველ რიგში, მოდით, გავარკვიოთ, ადამიანი რატომ უხეშობს. აგრესია, თავხედობა, უხეშობა თვითდამკვიდრების თავისებური მეთოდია. სანამ ნერვები მოგეშლებათ და გაღიზიანდებით, წამით თავი „თავდამსხმელის“ ადგილზე წარმოიდგინეთ. რატომ იქცევა ასე?

სინამდვილეში უხეშობის ჭეშმარიტი მიზეზები თქვენთან კავშირში არ არის. ადამიანები, რომლებიც აგრესიულად იქცევიან, ძალიან უბედურები არიან და შესაძლებლობის მიხედვით ყველას ასე ეპყრობიან. უხეშობა მათი შინაგანი განცდების მხოლოდ გარეგანი გამოვლენაა, გარე სამყაროსგან ერთგვარი თავდაცვაა. ასეთებს უამრავი „ხიწვი“ აქვთ და თავდასხმის გარდა სხვა გამოსავალი ვერ იპოვეს. ანუ პრობლემა მათშია და არა თქვენში. თქვენი მძაფრი განცდებით მათ ცხოვრებაში ვერაფერს შეცვლით. ისინი სიბრალულს იმსახურებენ და არა თქვენს ღრმა განცდებს. როგორც კი ამ ფაქტს გააცნობიერებთ, მათთან კონტაქტი უფრო გაგიადვილდებათ.

ასე რომ, არ ღირს მსგავსი თავდასხმების გულთან ახლოს მიტანა. ყოველთვის შეგიძლიათ უხეშობაზე თქვენი რეაქცია აირჩიოთ.

ბევრად კარგი იქნება, სხვისი ნეგატივი კი არ „აკრიფოთ“ (რის მიღწევასაც თავხედი ცდილობს), არამედ პასუხად თანაგრძნობის ღიმილი გაუგზავნოთ და რაიმე სასიამოვნოთი დაკავდეთ. მაგალითად, ახლობელ ადამიანს მობილურზე დაურეკეთ და რაღაცისთვის მადლობა გადაუხადეთ.

როდესაც ასე მოქცევას დაიწყებთ, ნუ გაოცდებით, თუ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ შენიშნავთ, რომ თქვენს ცხოვრებაში თავხედების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. იმ ადამიანებმა კი, რომლებთანაც შეხვედრა გარდაუვალია, მაგალითად, უცერემონიო კოლეგებმა, უცებ თქვენ მიმართ დამოკიდებულება შეცვალეს: კეთილმოსურნეები გახდნენ ან ყურადღებას აღარ გაქცევენ. ისინი თვითდამკვიდრებისთვის ახალ ობიექტს იპოვიან.

# ისწავლეთ „არას“ თქმა

იმის შიშით, რომ კოლეგებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ, ყველას თხოვნას უყოყმანოდ ასრულებთ. საბოლოო ჯამში კი ძალიან იღლებით. ამბობენ, რომ ეს კარგი თვისებაა. და მაინც, საინტერესოა, მეტისმეტი ალტრუისტული ქცევა სამართლიანია?

ყველაზე დიდი ფასეულობა, რასაც ადამიანი ფლობს, ეს არის დრო. ის სიცოცხლისთვის, ცხოვრებისთვის ეძლევა. სწორედ ამიტომ, მოვალეობის გრძნობის გამო, საკუთარი დროის სხვისთვის ჩუქება გამართლებული არ არის. ისწავლეთ „არას“ თქმა.




1. თხოვნის მომენტში სწორედ დროის ფასი გაიხსენეთ. ის ოქროა, ყველაფერია, რაც გნებავთ და წარმოიდგინეთ, მთხოვნელი როგორ გცანცლავთ მას. გსურთ გაცემა?

2. უარის თქმა წვრილმანი თხოვნიდან დაიწყეთ. უბრალოდ, მტკიცედ, ხმამაღლა, გარკვევით და მშვიდი ხმით წარმოთქვით სიტყვა „არა“. რეაქციის ნუ შეგეშინდებათ. უკეთესია წარმოიდგინოთ, გაუჩუქებელ საკუთარ დროს როგორ გაანაწილებთ (არომატულ აბაზანაში ჩაწვებით, დაიძინებთ და ა.შ.)

გახსოვდეთ, ვალდებული არ ხართ, თავი იმართლოთ და უარის მიზეზები ახსნათ. შეგიძლიათ პირადი თხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულოთ, თუ ეს მოგესურვებათ. ადამიანს მადლობა გადაუხადეთ ნდობისთვის, გაუღიმეთ.

თუ უარს მშვიდად და ღიმილით იტყვით, უმეტეს შემთხვევებში ურთიერთობა არ გაუარესდება. შეიძლება დროთა განმავლობაში ცალმხრივ სარგებელზე დაფუძნებული კავშირები გაწყდეს, მაგრამ განა ამაზე სინანული ღირს?

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ დავიცვათ თავი ოფლისგან

როგორც ცნობილია, ოფლდენა ორგანიზმში მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: სხეულის მუდმივ ტემპერატურას იცავს და გადახურების საშუალებას არ აძლევს. გარდა ამისა, ოფლთან ერთად ორგანიზმი შლაკებისგან თავისუფლდება.

თავისთავად ოფლს სუნი არ აქვს. მისი მიზეზი მრავალრიცხოვანი ბაქტერიების ცხოველქმედობის პროდუქტებია. ყოველდღიური შხაპი და ჰიგიენის საშუალებები დაუპატიჟებელი სტუმრების განადგურებას ეხმარება.

ზაფხულში ოფლისგან დამცავი საშუალებების გარეშე იოლად ვერ გახვალთ. რომელი შევარჩიოთ?



### დეზოდორანტი

ოფლის სუნს აქრობს, მაგრამ ოფლდენის პროცესის თავიდან აცილება არ შეუძლია. ჩვეულებრივ, დეზოდორანტები შეიცავენ ანტიბაქტერიულ დანამატებს (ტრიკლოზანს ან ფარნეზოლს), სხვადასხვა არომატულ ნივთიერებებს, რომლებიც არამხოლოდ სუნს ნიღბავენ, ასევე სისუფთავე-სიგრილის შეგრძნებას იწვევენ.

ხშირად დეზოდორანტების შემადგენლობაში შედის ნატურალური კომპონენტები, როგორიცაა გვირილის, პიტნის, ორკბილას, ალოეს, კალენდულას, თეთრი ჩაის ექსტრაქტები. ისინი კანს მშვენივრალდ ატენიანებენ.

### ანტიპერსპირანტი

საოფლე ჯირკვლების მოქმედებას ბლოკავს და ამგვარად ოფლდენას ამცირებს. ჩვეულებრივ, ამ საშუალების შემადგენლობაში შედის თუთიისა და ალუმინის მარილები, რომლებიც კანს ამკვრივებენ. შედეგად, საოფლე ჯირკვლების სადინარები ჩერდება და ოფლდენა თითქმის სანახევროდ მცირდება. ანტიპერსპირანტებს ნეიტრალური სუნი აქვთ ან საერთოდ უსუნოა.

### სპრეი, ბურთულა, ფანქარი

სპრეი უფრო ეფექტურია ოფლიანობის დროს. სიცხეში სიგრილის შეგრძნებას იძლევა. ნაკლები რაოდენობით აგრესიულ ნივთიერებებს შეიცავს, ამიტომ მგრძნობიარე კანს კარგად მიესადაგება.

ბურთულა კომპაქტური და მოსახერხებელი ფორმაა. გელისმაგვარი ტექსტურა კანისთვის სასიამოვნოა. ცხელ ამინდშიც კი სამოსზე თეთრ ლაქებს არ ტოვებს, მაგრამ მშრალი, მგრძნობიარე კანისთვის ყოველთვის არ გამოდგება.

ფანქრის ფორმა ყველაზე მოსახერხებელია: არ იღვრება და ჩანთაში მცირე ადგილს იჭერს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნას მაგარი ნაწილაკები, რომლებიც თეთრ კვალს ტოვებენ. სამაგიეროდ კანის გაღიზიანება გამორიცხულია.

### მნიშვნელოვანი წესები

1. თუ დღის განმავლობაში ანტიპერსპირანტს ან დეზოდორანტს რამდენჯერმე იყენებთ, გამწმენდი ხელსახოცის დახმარებით წინანდელი საშუალება აუცილებლად მოიცილეთ.

2. არ გამოიყენოთ არტიპერსპირანტი სპორტდარბაზში წვრთნის წინ, აბანოში და ყველგან, სადაც ძლიერ გაოფლიანდებით.

3. კანის გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით ეპილაციის შემდეგ ოფლისგან დამცავი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია.

4. მომატებული ოფლდენის დროს ცხარე კერძები, მაგარი ყავა და ჩაი შეზღუდეთ. რეკომენდებულია ნატურალური ქსოვილის სამოსის ტარება.

# ანტისტრესული რეჰანი

რეჰანს ხშირად განწყობის, სალი გონებისა და კარგი მეხსიერების სანელებელს უწოდებენ. ყოველდღიურ მენიუში ეს სანელებელი პომიდორთან, კვერცხთან, თევზთან და ყველთან გამოიყენეთ. სოუსებში დაუმატეთ. რეჰანზე დაყენებული ძმარი ან მცენარეული ზეთი ნებისმიერი სალათისთვის შესანიშნავი საკაზმია.



ეს ბალახი მწვანე ან იასამნისფერი ფოთლებით რაციონში განსაკუთრებით უნდა ჩართონ ადამიანებმა, რომლებსაც თირკმლებთან პრობლემა აქვთ. ასევე კარგია ხველისა და რევმატიზმის დროს. ხოლო გაციებისას რეჰანის ჩაი (1 ჩაის კოვზი 1 ფინჯან ცხელ წყალზე) ტემპერატურას დაბლა სწევს, სურდოსა და ხველას აქრობს, მშვიდ ძილს ეხმარება.

# მბრწყინავი თვალების საიდუმლო

ჯერ კიდევ ჩვენმა ბებიებმა იცოდნენ, რომ ოხრახუში თვალების ირგვლივ ნაოჭებისგან იცავს. მათგან ბევრი და გენიალური რჩევა გადმოგვეცა. ნაადრევი ნაოჭებისგან თავი რომ დაიცვათ და თვალებს ბრწყინვა შეჰმატოთ, ხელთ ოხრახუში უნდა გქონდეთ.



მოამზადეთ ნიღაბი სახისთვის. 2 სუფრის კოვზ ოხრახუშის წვენს ერთი კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი არაჟანი და 4-5 წვეთი ნემისწვერას ეთერზეთი დაუმატეთ. ნიღაბი სუფთა ყელსა და სახეზე წაისვით — ათეთრებს, ტონს ათანაბრებს.

ოხრახუში დანაყეთ, მარლაში გაახვიეთ და ქუთუთოებზე დაიდეთ. ზემოდან სველი ხელსახოცი დაიფარეთ. 15-20 წუთი გაიჩერეთ. ნიღაბი დღეგამოშვებით გაიკეთეთ.

წლის ნებისმიერ სეზონზე ყოველთვის გქონდეთ ოხრახუშის ფოთლების გაყინული ნახარში. კოსმეტიკური ყინული კანს შესანიშნავად ატონიზირებს.

# ჩილი თავის ტკივილს აყუჩებს



ახლა წიწაკა ჩილის გამოყენება შეუძლიათ არამხოლოდ ცხარეს მოყვარულებს, ასევე ფარმაცევტებსაც. კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრებმა დაადგინეს, რომ წიწაკა ჩილი თავის ტკივილის თავიდან აცილებას ეხმარება. მათ გამოავლინეს, რომ შაკიკის შეტევის დროს თავის ტვინში დაახლოებით ისეთივე რეაქციები ხდება, როგორც წიწაკის კანში შეზელის დროს. ამ მსგავსების საფუძველზე ფარმაცევტებმა შაკიკის საწინააღმდეგო პრეპარატი დაამზადეს.

სხვათა შორის, თავის ტკივილის გაყუჩებას ეხმარება ბულგარული წიწაკაც. ის ასევე სასიკეთოდ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და ყველაზე მთავარი — ინსულტისა და სარძევე ჯირკვლების კიბოს აღმოცენების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## 91 წლის კაცმა ძალოსნობაში რეკორდი მოხსნა



არიზონას შტატის დედაქალაქ ფინიქსში ჩატარებულ სამჭიდის ნაციონალურ ჩემპიონატზე 91 წლის ამერიკელმა საი პერლისმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ძველ რეკორდს 23,5 კილოგრამით გადააჭარბა. საი პერლისმა ნაციონალურ ჩემპიონატზე 90 წლის ზემოთ ასაკობრივ კატეგორიაში 85 კილოგრამი ასწია და 2005 წლის რეკორდი გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ საიმ ძალოსნობა 60 წლის ასაკში დაიწყო.

## მე-15 სართულიდან გადავარდნილი კაცი გადარჩა

ახალ ზელანდიაში მცხოვრები 20 წლის ბრიტანელი ტომ სტილუელი საცხოვრებელი სახლის მე-15 სართულიდან გადავარდა და სასწაულებრივად გადარჩა. ყველაფერი ასე მოხდა: ტომი წვეულებიდან თავის ბინაში დაბრუნდა, რომელიც მე-15 სართულზე მდებარეობს. მან ფანჯარა გამოაღო, ამ დროს კი ალკოჰოლმა თავისი ქნა, წონასწორობა დაკარგა და გადავარდა.

ახალგაზრდა მისი სახლის წინ მდებარე ორსართულიანი ნაგებობის სახურავზე დაეცა და რამდენიმე ძვალი მოიტეხა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. უფრო მეტიც, მომხდარის მიუხედავად, ტომი ხუმრობასაც კი ცდილობდა. ექიმების განცხადებით, მსგავსი სიმაღლიდან ჩავარდნის შემდეგ გადარჩენა ფაქტობრივად გამორიცხულია. ასე რომ, ტომი მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული.

## 12 წლის ბიჭი მამა გახდა

ახალ ზელანდიაში 12 წლის სკოლის მოსწავლე მამა გახდა. მისი პარტნიორი კი, არც მეტი და არც ნაკლები, 36 წლის ქალია, რომელიც, როგორც გაირკვა, არასრულწლოვნის მეგობრის დედა იყო.



ახალი ზელანდიის კანონმდებლობით, ქალის დაპატიმრება არ შეიძლება. სკოლის დირექტორმა ქალისა და მოსწავლის კავშირის შესახებ იცოდა. მისი თქმით, ბიჭს ამ ურთიერთობის შეწყვეტა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო.

არასრულწლოვნის თქმით, ერთხელ მისმა მეგობარმა გაკვეთილების გაცდენა შესთავაზა. მათ მთელი დღე მეგობრის დედასთან ერთად გაატარეს, რომელმაც ბიჭებს ლუდის დალევა შესთავაზა და მათი ურთიერთობაც ასე დაიწყო.

## შავი საზამთრო 3.160 დოლარად გაიყიდა

შავი საზამთრო, რომელიც მხოლოდ კუნძულ ჰოკაიდოზე ხარობს, ამერიკაში ჩატარებულ აუქციონზე 3.160 (300.000 იენი) დოლარად გაიყიდა. ამ უცნაურ ბაღჩეულს კანზე არც ზოლები აქვს და არც — ლაქები. ასეთი საზამთროების საშუალო წონა 5-7 კილოგრამს შეადგენს.

შავი საზამთრო ერთ-ერთი სუპერმარკეტის ქსელის მფლობელმა შეიძინა, რომელიც მის მაღაზიაში გამოფენას და გაყიდვას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირად შავი საზამთრო აუქციონზე 2008 წელს გაიყიდა. მისი ფასი 650 ათასი იენით განისაზღვრა. ცნობილია, რომ წელს ამერიკაში 60.000-მდე შავი საზამთრო გაიყიდება და 1 კგ-ის ფასი 50 დოლარის ფარგლებში იქნება.



## საღეჭი რეზინი კბილის პასტისა და ჯაგრისის მაგივრად




ამერიკის კენტუკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს საღეჭი რეზინის სახეობა, რომელიც კბილის პასტასა და ჯაგრისს შეცვლის. უნიკალური გამოგონების შემადგენლობაში ისეთი ნივთიერებები შედის, რომლებიც პირის ღრუში არსებულ მავნე ბაქტერიების დონეს არეგულირებს. უკვე გადაწყდა ამ საღეჭი რეზინის მსოფლიო მასშტაბით წარმოება.

კბილების გასაწმენდად საკმარისია საღეჭი რეზინის დღეში 20 წუთის განმავლობაში დაღეჭვა.

## მოტყუებული ქმარი — 19 წელი ქალის ნაცვლად კაცის გვერდით

ბელგიელმა კაცმა, სახელად იანმა, ინდონეზიელ მონიაკაზე 1993 წელს იქორწინა. გოგონა იანის სახლში მუშაობდა. იანი მის გამო ცოლს გაეყარა და მონიაკაზე კანონიერად დაქორწინდა. ბედნიერ და მოსიყვარულე ქმარს ცოლის სქესში ეჭვიც არასოდეს შეპარვია. წყვილმა გადაწყვიტა, შვილები არ გაეჩინათ, რადგან იანს პირველი ცოლისგან უკვე ჰყავდა ორი შვილი.

19 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მონიაკა ძალიან შეიცვალა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ახალი სამსახური იშოვა. მალე იანმა კომპიუტერში ცოლის მიერ გაგზავნილი სასიყვარულო შეტყობინებებიც აღმოაჩინა. საბოლოოდ მონიაკა გამოუტყდა, რომ იგი დაბადებიდან ბიჭი იყო, შემდეგ კი ოპერაცია გაიკეთა და სქესი შეიცვალა.

მოტყუებული ქმარი ახლა სტრესშია და ფსიქიატრები და ადვოკატები უწევენ დახმარებას.



Cyan Magenta Yellow Black

## ძროხების სილამაზის კონკურსი

13 ივნისს გერმანიის ქალაქ ოლდენბურგში ძროხების სილამაზის კონკურსის, „მის გერმანიის“ ფინალი ჩატარდა. ფინალისტები 250 ძროხიდან შეირჩნენ, რომლებიც ჟიურიმ რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შეაფასა — ალნაგობა, ძლიერი ფეხები, დაჭიმული კანი და, რაც მთავარია, საზოგადოების წინაშე თავის დაჭერა.



შოუს გამარჯვებული შავ-თეთრი შეფერილობის ძროხა გახდა, სახელად ლოხ ნესტიგერლი. მას პრიზის სახით წლის განმავლობაში საუკეთესოდ მოვლა ერგო.

## კაცი სახლში 14 ალბინოს ლომს მალავდა



ბანგკოკში ცხოველების მაღაზიის მფლობელი 14 ალბინოსი ლომის სახლში ყოლისთვის დააკავეს. როგორც გაირკვა, დამნაშავემ თეთრი ლომები აფრიკის დაცული ნაკრძალებიდან ჩამოიყვანა.

ჩამორთმეული ალბინოსი ლომები დროებით ბანგკოკის ზოოპარკში მოათავსეს. ისინი გალიაში ტაილანდელი სამართალდამცველების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. ახლა გამოძიება მიმდინარეობს, როგორ მოხვდნენ ცხოველები ბანგკოკში.



## ორსახიანი კნუტი



ამერიკაში, ორეგონის შტატის ქალაქ ამიტში ორსახიანი კატა დაიბადა. პატარა ფისოს ერთ თავზე ორი ცხვირი და ორი პირი აქვს. მისი პატრონის, სტეფანი დაკის თქმით, ეგონა, მისი შვილები ცდებოდნენ, როცა უთხრეს, რომ მათ კატას ორსახიანი კნუტი შეეძინა.

კატა შესამოწმებლად უახლოეს ვეტკლინიკაში გადაიყვანეს. იქ კი აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. ასეთ კატებს იანუს კატებს ეძახიან. იანუსი რომაული მითოლოგიის ორსახოვანი ღმერთი გახლდათ.

გასულ წელს ორსახიანი კატა ფლორიდაშიც დაიბადა.

## მფრინავი ველოსიპედი

ჩეხეთში გამომგონებლებმა მფრინავი ველოსიპედი შექმნეს. ახალი გამოგონება გარეგნულად მთის ველოსიპედს ჰგავს. ის პირველად პრაღის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში წარადგინეს.



ველოსიპედი დისტანციურად იმართება და ჰაერში 5 წუთი ტრიალებს. ნიმუშით პირველად მანქანემა იფრინა. ველოსიპედი 5 კილოგრამს იწონის და უახლოეს მომავალში გამომგონებლები მისი ბატარეის გაძლიერებას გეგმავენ.





Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალებისთვის

# ეკლიანი ვარდი ხართ თუ მორიდებული გვირილა?



**1. როგორი ამინდი გიყვართ?**

ა) ცისფერი ცა, კაშკაშა მზე — ალბათ აფრიკაში უნდა დავბადებულიყავი.

ბ) წვიმიანი, მიყვარს წვიმაში სეირნობა და ღამე ცაზე ჭექა-ქუხილის ნათება.

გ) თბილი ქარი, ღრუბლები ცაზე...

დ) ფაფუკ თოვლზე და ფიფქების ლიცლიცზე ლამაზი არაფერია.

**2. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ქალის გარდერობში?**

ა) მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

ბ) ძვირფასი თეთრეული და ორიგინალური სამკაულები.

გ) ჯინსები, რომლებიც სხეულზე იდეალურად ზის.

დ) კოქტეილის შავი კაბა და ათობით ფერადი სხვა სამოსი.

**3. რას აკეთებთ გზაში, როცა სამსახურიდან სახლში ბრუნდებით?**

ა) მუსიკას ვუსმენ და ვბრაზობ, რომ ისევ საცობში მოვხვდი.

ბ) ვცდილობ, გადავსებულ მეტროს ვაგონში ზეზეურად ძილს მივეჩვიო.

გ) მორიგ წიგნს ვკითხულობ.

დ) გონებაში სიას ვადგენ, რა უნდა ვიყიდო მაღაზიაში.

**4. როცა საჩუქრად ყვავილებს ყიდულობთ, რომელს არჩევთ?**

ა) მზა თაიგულს ლამაზი შესაფუთით.

ბ) რაიმე ორიგინალურს — ორქიდეებს.

გ) რაიმე პრაქტიკულს.

დ) უამრავ ვარდს.

**5. როგორ შვებულებაზე ოცნებობთ?**

ა) მინდა, ბრაზილიაში კარნავალზე მოვხვდე.

ბ) ჰავაის კუნძულებზე კრუიზზე ან ვიქტორიას ჩანჩქერზე.

გ) დავათვალიერო ძველი რომი და მოვინახულო პარიზი.

დ) საფარი მოვიწყო ან ავტოსტოპით ვიმოგზაურო.

**6. რა არის თქვენი ბინის მთავარი ღირსშესანიშნაობა?**

ა) ფანჯრის რაფაზე „ზამთრის ბაღი“ და თევზებიანი აკვარიუმი.

ბ) აბაზანის ოთახი რემონტის შემდეგ და ახალი გაზქურა სამზარეულოში.

გ) ძველებური სკივრი.

დ) ჩემი სამოსი, რომელიც სამ გარდერობშიც კი არ ეტევა.

**7. როგორც წესი, სარვამარტოდ რა კერძი გაქვთ ხოლმე სუფრაზე?**

ა) შემწვარი ღორის ხორცი.

ბ) იაპონური რესტორნიდან სუში მომაქვს.

გ) რაიმე მსუბუქი, დიეტაზე ვარ.

დ) ტორტი და შამპანური.

**8. როგორ იწყება თქვენი დილა?**

ა) სირბილში შეჯიბრით ავტობუსთან და სამსახურში დაგვიანებით.

ბ) ფინჯანი ყავა, კრუასანები და ტოქ შოუ ტელევიზორში.

გ) ერთი საათი ვარცხნილობის მოსაწესრიგებლად, მაკიაჟი და მტანჯველი არჩევანი, რა ჩავიცვა.

დ) იოგას რამდენიმე პოზა და ახალგამოწურული წვენი.

**9. რითი ხართ დაკავებული დასვენების დღეებში?**

ა) მეგობრებს ვხვდები, კინოში მივდივარ.

ბ) სახლში გენერალურ დასუფთავებას ვაწყობ.

გ) პაემანზე მივდივარ და კიდევ, მაღაზიებში გავლა უნდა მოვასწრო.

დ) ფიტნესკლუბში მივდივარ.

**10. როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები...**

ა) მშობლებს ვეთათბირები.

ბ) ჰოროსკოპს ვკითხულობ ან კამათელს ვაგორებ.

გ) რაც პირველად მომივა თავში, იმას ვაკეთებ, რაც იქნება, იქნება.

დ) ზარი მეგობართან.

**11. როგორ მანიკიურს იკეთებთ?**

ა) პასტელური ფერისას.

ბ) ფრანგულ ვარიაციებს ვიყენებ.

გ) კაშკაშა ფერებს ვირჩევ.

დ) წითელ პრიალა ლაქს ვისვამ.

დაითვალეთ, თქვენს პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს და შედეგები წაიკითხეთ.

**შედეგები:**

**„ა“ ვარიანტი** — თქვენ მორიდებული, ნაზი, ლამაზმანი გვირილა ხართ. ხშირად გიწევთ მეორეხარისხოვანი როლის თამაში. რომანტიკული, მომხიბვლელი, კეთილი, გულუბრყვილო ხართ, ოცნებობთ თეთრლიმუზინიან ლამაზ პრინცზე, ბუხრის წინ გატარებულ საღამოებზე ოჯახის წევრებთან ერთად. გჯერათ ჰოროსკოპების, რადგან საკუთარ ძალებში არ ხართ დარწმუნებული. საკმარისია, პატარა წინააღმდეგობას ან უპასუხო სიყვარულს წააწყდეთ, რომ მაშინვე ფარ-ხმალს დაყრით.

**„ბ“ ვარიანტი** —დედოფალი შროშანი. მეფეების ამ საყვარელმა ყვავილმა ადგილი სამეფო ჰერალდიკაში დაიმკვიდრა. მომხიბვლელი და დახვეწილი არსებაა, ცხოვრებას თავაწეული მიუყვება, ღრმად სწამს, რომ მისი დარი არავინაა. შროშანი მოდის მიმდევარია, გიჟდება ძვირფას საჩუქრებზე, ბავშვობიდან ყველაფერ საუკეთესოსაა მიჩვეული. საკუთარი ღირსების გრძნობა ზომაზე მეტად აქვს განვითარებული. ნათქვამია, ყველაფერი ზომიერადაა კარგიო, შროშანს კი თვითკრიტიკულობა ნამდვილად აკლია.

**„გ“ ვარიანტი** —კეკლუცი მიხაკი ბრძანდებით. ანათებთ და ბრწყინავთ, როცა მამაკაცის გულებს იპყრობთ. თქვენი ძლიერი და სწორხაზოვანი ხასიათი ბევრს არ მოსწონს. მიხაკი ღრუბლებში არ დაფრინავს, ის მყარად დგას მიწაზე და მიზნისკენ ჯიქურ მიიწევს. ოპტიმისტია, უყვარს მხიარულება, მაგრამ არასოდეს უშვებს შანსს ხელიდან, ნებისმიერი ურთიერთობიდან სარგებელი ნახოს. კეთილი და გულისხმიერია, თუ საქმე მის ინტერესებს ეხება. ამ დროს საოცრად ეხერხება ადამიანებით მანიპულირება. ხშირად ნანობს კიდეც თავის ნაბიჯებს, მაგრამ მეორე წუთს იმავეს გამეორება შეუძლია, თუ მას ასე სჭირდება.

**„დ“ ვარიანტი** — ამაყი ვარდი ბრძანდებით, ყვავილების დედოფალი. მიჩვეული ხართ ყურადღების ცენტრში ყოფნას, გიყვართ საკუთარი თავი, ამიტომ ამაყი და მიუწვდომელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. მაგრამ გულწრფელად გაეხსნებით მას, ვინც თქვენს ეკლებთან მოახლოებას და შეხებას გაბედავს. ვარდი ამბიციურია, იცის საკუთარი თავის ფასი, ხშირად აღწევს წარმატებას და კარიერისტის რეპუტაციით სარგებლობს. ამის გამო კი ბევრი შურის თვალით უყურებს. შეუძლია საკუთარი თავის გატანა, თუ დასჭირდა, არც ეკლების გამოჩენას მოერიდება. უფრო ხშირად კი სიმშვიდეში ყოფნას ამჯობინებს. უყვარს კომფორტი და ოჯახური მყუდროება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

## სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | 2 | | | 3 |
| 6 | | | 3 | | | | 9 | |
| | | 4 | | 1 | 5 | 7 | | 8 |
| | 2 | | | | | | 6 | |
| | | 9 | | | 4 | 1 | | |
| | 8 | 3 | 7 | | | 5 | | |
| 5 | | | | 9 | | 2 | | |
| | 7 | | | | | | | 4 |
| | | 1 | | 6 | | | 8 | |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 7 | | | | 2 |
| | 5 | | | 9 | | | 3 | |
| | 8 | | 5 | | | 6 | | |
| 3 | | | 8 | | | 5 | 9 | |
| 7 | | | | | | 1 | | |
| 6 | | | 1 | | 4 | 2 | | |
| | | 4 | | | | 7 | | |
| | | 9 | | 1 | | | | |
| | | 2 | | 3 | 5 | | | 8 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შეავსეთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორი ფერის თმა მოგიხდებოდათ?



**1. გაცნობის დროს რას აქცევთ ყურადღებას?**

ა) ჩაცმულობას, რამდენად მოდურად აცვია.

ბ) საუბრის მანერას, ხმის ტემბრს, ჟესტიკულაციას.

გ) ინტელექტს და იუმორის გრძნობას.

**2. მეგობარს კაფეში უნდა შეხვდეთ, რას ჩაიცვამთ?**

ა) საუკეთესო შემთხვევაა ჩემი ახალი სამოსის დემონსტრირებისათვის.

ბ) ეს ხომ პაემანი არ არის, რომ გამოვიპრანჭო, საყვარელ ჯინსებს ჩავიცვამ.

გ) ჩაცმულობაზე სათანადოდ ვიზრუნებ, რა იცი, რა ხდება და ვინ შეგხვდება შემთხვევით.



**3. თქვენს გარდერობში რა ფერის სამოსი დომინირებს?**

ა) ყავისფერი, ნაცრისფერი, დამჯდარი ფერები.

ბ) შავ-თეთრი გამა.

გ) ლურჯი, წითელი, კაშკაშა ფერები.

**4. როგორია თქვენი საყვარელი ფეხსაცმელი?**

ა) აუცილებლად მაღალქუსლიანი.

ბ) ფერადი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ან პატარა პლატფორმები.

გ) წვრილწვერიანი და ლამაზი თასმებიანი ფეხსაცმელი.

**5. ქმარი, ეს არის...**

ა) ჩემი შვილის მამა და შემოსავლის დამატებითი წყარო.

ბ) ის, ვინც რატომღაც ჩემს სახლში ტახტზე ზის და ტელევიზორს უყურებს.

გ) ბედის საჩუქარი ჩემი მეორე ნახევარი, ჩემი ერთგული თანამგზავრი.



**6. კინოში მიდიხართ, როგორ ფილმს შეარჩევდით?**

ა) კომედიას ან მელოდრამას.

ბ) დეტექტივს, სათავგადასავლოს.

გ) საბრძოლო ჟანრს ან საშინელებათა ფილმს.

**7. სად წახვიდოდით შვებულების გასატარებლად?**

ა) იქ, სადაც ცისფერი ზღვა და ბევრი პალმაა.

ბ) ევროპაში — ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და შოპინგი ერთად!

გ) საფარის მოვაწყობდი.

**8. როგორ იწყება თქვენთვის გამოსასვლელი დღის დილა?**

ა) სპა პროცედურებით.

ბ) წინა საღამოს გამიზნულად გამორთული მაღვიძარათი.

გ) ფინჯანი ყავით და საყვარელი ჟურნალის კითხვით.

**9. ბავშვობაში ვინ გსურდათ გამდარიყავით?**

ა) მსახიობი, მომღერალი, მოდელი.

ბ) მასწავლებელი, მხატვარი ან მოგზაური.

გ) ცნობილი მეცნიერი, პოლიტიკოსი ან ექიმი.

**10. ახალი სამოსის მოსინჯვისას მიხვდით, როცა ცოტა გასუქდით...**

ა) ეს კატასტროფაა, ხვალვე დიეტაზე დავჯდები.

ბ) რაღაც გაუგებრობაა, სახლში რომ მივალ, აუცილებლად ავიწონები.

გ) უბრალოდ, ეს ფასონი არ მიხდება და ცოტა მასუქებს.

დაითვალეთ, რომელი ვარიანტი ჭარბობს თქვენს პასუხებში და შესაბამისი განმარტებები წაიკითხეთ.

**შედეგები:**

**„ა" ვარიანტი — ქერა**

თეთრი, ფაფუკი არსების შთაბეჭდილებას ტოვებთ და ამით ოსტატურად სარგებლობთ, რადგან იცით, რომ ძლიერი სქესის არც ერთი წარმომადგენელი თქვენნაირ მომხიბვლელ არსებას დახმარებაზე უარს არ ეტყვის. კეკლუცი და არაპროგნოზირებადი, მხიარული და ურთიერთობების მოყვარული, გულის სიღრმეში ნაზდვილი რომანტიკოსი ბრძანდებით. ოცნებობთ თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცზე, გიყვართ ურთიერთობების გაიდეალება და საშინლად განიცდით თქვენ მიმართ გამოთქმულ სულ პატარა შენიშვნას ან კრიტიკას.

**„ბ" ვარიანტი — ღილი**

ვნებიანი ნატურა გაქვთ და მიჩვეული ხართ, იცხოვროთ აქ და ახლა. შეგიძლიათ თავგადასავლებში თავიდან ფეხებამდე გადაეშვათ და საკუთარ ინტუიციას უფრო უჯერებთ, ვიდრე საღ აზრს და ახლობლების რჩევებს. თქვენთვის დამახასიათებელია თავბრუდამხვევი რომანები, ალმასვლა და ვარდნა, ჩინურის კურსებზე სიარული ან კილიმანჯაროს მთაზე ვულკანზე ასვლა. კინოვარსკვლავებივით ტელეკამერების სამიზნე ხართ. შეგიძლიათ სისულელეც კი ჩაიდინოთ, ოღონდ თქვენს ცხოვრებას არავინ უწოდოს მოსაწყენი და რუტინული.

**„გ" ვარიანტი — შავგვრემანი**

ქალი-ვამპირი, ქედმაღალი და მიუწვდომელი ან საბედისწერო ლამაზმანი. საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებული ხართ, გიყვართ საკამათო სიტუაციებში მონაწილეობა და საკუთარი აზრის დაფიქსირება. გეხერხებათ მოწინააღმდეგის განიარაღება იუმორით ან სარკასტული გამონათქვამებით. არაერთი მამაკაცის გული გაგიპიათ. ხშირად იცვლით იმიჯს განწყობისა და მიზნის მიხედვით. მიჩვეული ხართ ნებისმიერ ფასად მიზნის მიღწევას და თანაც სხვათა დახმარების გარეშე, საკუთარი ძალებით.

# კონფლიქტური ხართ?



**1. როგორ მოიქცევით, თუ თქვენი მეუღლე კოლეგებმა ბანკეტზე არ მიიპატიჟეს?**

ა) მკაცრად ვეტყვი, რომ ასეთი დამცირება არ უნდა აიტანოს და ყველას საკადრისი პასუხი გასცეს — 2

ბ) ვეცდები, დავამშვიდო და ავუხსნა, რომ ეს ტრაგედია არ არის — 1

გ) ბანკეტის სანაცვლოდ სხვაგან წავიყვან გასართობად — 0

**2. როგორ მოიქცევით, თუ თანამშრომლების კონფლიქტის შემსწრე გახდით?**

ა) მათ საქმეში არ ჩავერევი, თავად გაარკვიონ ყველაფერი — 1

ბ) შევეცდები, ვიხუმრო და სიტუაცია განვმუხტო — 0

გ) იმ კოლეგის მხარეს დავიჭერ, რომლის მხარესაც სიმართლეა — 2

**3. ტრანსპორტში ვიღაც უბილეთო მგზავრი დააჯარიმეს. მას კი ჯარიმის გადასახდელი თანხა არა აქვს, როგორ მოიქცევით?**

ა) ეს ჩემი საქმე არაა — 1

ბ) შევეცდები, კონტროლიორი დავარწმუნო, რომ უბილეთოს მიმართ გულისხმიერება გამოიჩინოს — 2

გ) ჯარიმის თანხას მე გადავუხდი — 0

**4. შვილი სკოლიდან ნაჩხუბარი დაბრუნდა, როგორ მოიქცევით?**

ა) ვეტყვი, რომ ამგვარი რამ ბავშვობაში მეც გადამხდენია — 0

ბ) იმ ბავშვის მშობლებს დავურეკავ, ვისთანაც ჩემმა შვილმა იჩხუბა და მკაცრად გავაფრთხილებ, რომ მათმა შვილმა ასეთი რამ მეორედ არ გაბედოს — 2

გ) შვილს „ხურდის" დაბრუნებას ვასწავლი — 1

**5. რას მოიმოქმედებთ, თუ მაღაზიაში მყიდველისა და გამყიდველის ჩხუბს შეესწრებით?**

ა) იმის მხარეს დავიჭერ, რომელიც მართალი მგონია — 2

ბ) ორივეს ვთხოვ, ჩხუბი შეწყვიტონ — 0

გ) სხვა მაღაზიაში წავალ — 1

**შედეგები.**

**0-4 ქულა** — მშვიდობის მტრედი ბრძანდებით და კონფლიქტურ სიტუაციებს ვერ იტანთ.

**5-8 ქულა** — ჩხუბი არ გიყვართ, მაგრამ არც პასიური დამკვირვებლის როლი გხიბლავთ. როგორც წესი, ყოველთვის მომრიგებლად გამოდიხართ.

**9-10 ქულა** — თქვენი ჩარევისას კონფლიქტი ყოველთვის მძაფრდება, რადგან საოცრად კონფლიქტური ადამიანი ხართ. კარგი იქნება, თუ ასეთი სიტუაციებისგან თავს შორს დაიჭერთ და არ ჩაერევით.



Cyan Magenta Yellow Black

# დიაბეტი — ცბიერი დაავადება



ორგანიზმი სისხლში შაქრის ზომიერ მომატებას ისე ეჩვევა, შეიძლება ვერც კი იგრძნოთ. მაგრამ თუ ზომებს არ მიიღებთ, ერთი-ორი წლის შემდეგ შეუქცევადი პროცესები დაიწყება.

ცბიერობის მიხედვით შაქრიან დიაბეტს პირველი ადგილი უკავია. ადამიანი ნებისმიერ ასაკში შეიძლება დაავადდეს, ამასთანავე, ამის შესახებ შეიძლება დიდი ხანი ეჭვიც არ ჰქონდეს.

ენდოკრინული სისტემის ეს დაავადება დაკავშირებულია სისხლში გლუკოზის მომატებასთან, რომელიც ინსულინის დეფიციტის გამო ვითარდება. შედეგად, ნახშირწყლების შეთვისება ირღვევა. შეუთვისებელი შაქარი სისხლში ხვდება, შემდეგ შარდში ჩნდება, რომლითაც გარეთ გამოდის.

## მიზეზები

დიაბეტის კონკრეტული მიზეზები კარგად ცნობილია.

1. პირველ რიგში, ეს არის მემკვიდრეობა. გენეტიკური ტვირთის ზეგავლენას ყოველი ახალი თაობა სულ უფრო ძლიერ განიცდის.

2. მეორე ფაქტორი ხანდაზმულობაა. დიაბეტიანების რიგის გაზრდის შანსი წლებთან ერთად იმატებს.

3. კიდევ ერთი მიზეზი ჰიპოდინამიაა. ფიზიკური დატვირთვის არარსებობა და სტრესები ნეგატიურ შედეგებს იწვევს.

4. დაბოლოს, რაფინირებული, კალორიული საკვები არაბუნებრივად მძიმე გახდა, რაც ნივთიერებათა ცვლას არღვევს.

## სიმპტომები და ფორმები

ინსულინი ჰორმონია, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვალში გამომუშავდება. საკვებთან ერთად მიღებული გლუკოზა ენერგიის ძირითად წყაროდ ითვლება. სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილების უჯრედების „გამოკვება“ მხოლოდ ინსულინის არსებობისას შეიძლება, ამიტომ, თუ ის არასაკმარისია, უჯრედები „შიმშილობენ“.

ყველაზე ხშირად პირველი და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი გვხვდება.

როგორც წესი, პირველი ტიპის დიაბეტით ბავშვები და მოზარდები იტანჯებიან. დაავადების დასაწყისის კლასიკური ნიშნებია: წყურვილი, პირში სიმშრალე, ხშირი და უხვი შარდვა, კანის ქავილი, გახდომა. პირველი ტიპის დიაბეტის დროს მთელი ცხოვრება საჭიროა ინსულინის მიღება.

მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი ნებისმიერ ასაკში ვითარდება. დაავადება თანდათან მიმდინარეობს, ხშირად ჭარბი წონის ფონზე. ამ დროს ინსულინი შეიძლება იმაზე მეტი გამომუშავდეს, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანში, მაგრამ ეს ისეთ რიტმში არ ხდება, როგორც საჭიროა. ინსულინის „მუშაობას“ ორგანიზმში ცხიმის ზედმეტი რაოდენობა არღვევს. თავს მოუსმინეთ და დროულად მოახდინეთ რეაგირება ისეთ სიმპტომებზე, როგორიცაა: უსაფუძვლო წყურვილი, მომატებული შარდვა, მხედველობის გაუარესება, ხელებში კანკალი, ფეხებში წვა და ჩხვლეტა.

ფეხმძიმე ქალთა დაახლოებით 20%-ში სისხლში მყარი შაქრის მომატება აღინიშნება. ამ დროს ქალის ორგანიზმში დიაბეტოგენური ჰორმონები და ფერმენტები უფრო ინტენსიურად გამომუშავდება. ასეთ დიაბეტს ექიმები „ორსულთა დიაბეტს“ უწოდებენ. მშობიარობის შემდეგ ქალების ნახევარზე მეტი ნორმას უბრუნდება, მაგრამ ზოგიერთს ამ დაავადებასთან შერიგება მთელი ცხოვრება უწევს.

## ეს ცხოვრების წესია

ყველა ტიპის დიაბეტით დაავადებულთათვის რეკომენდაციები პრაქტიკულად ერთნაირია. არ შეიძლება მხოლოდ რომელიმე სასწაულმოქმედი წამლის იმედზე ყოფნა. დაავადებას უნდა ებრძოლოთ კომპლექსურად, რომელიც მოიცავს მედიკამენტოზურ მკურნალობას, დიეტას, ფიზიკურ დატვირთვას.

გართულების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი წესრიგის დაცვით, დამატებით საჭიროა ვიტამინებისა და მიკროელემენტების მიღება.

განსაკუთრებით დაუშვებელია თუთიისა და ქრომის დეფიციტი. თუთია სისხლში გლუკოზის დონის შემცირებას ეხმარება და ასევე დაბერების პროცესებს ანელებს. იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის თუთია სასიცოცხლოდ აუცილებელია. ქრომი ინსულინის მიმართ მგრძნობელობას აუმჯობესებს და ქოლესტერინის შემცირებას ხელს უწყობს. სპეციალურ ვიტამინურ-მინერალურ კომპლექსს ექიმი ნიშნავს.

წავიდა ის დრო, როდესაც დიაბექტიანების კვება მხოლოდ წიწიბურით და შვრიით შემოიფარგლებოდა. დღეს მათთვის ფრუქტოზაზე, სორბიტსა და ქსილიტზე დამზადებული სხვადასხვა ტკბილეული არსებობს. მათი რაციონში ჩართვა შეიძლება ისე, რომ საკვების ერთ მიღებაზე ორგანიზმში ბევრი ნახშირწყალი არ მოხვდეს. დიაბეტის დროს ნახშირწყლების შეზღუდვა მკაცრი აუცილებლობაა და არა ექიმების ახირება. დიაბეტი განაჩენი არ არის, ის ცხოვრების სხვაგვარი წესია და მასთან „დამეგობრებაა“ საჭირო.

## რჩევა

თაფლის ბალახი — ასე უწოდებენ სტევიას ხალხში. ეს მცენარე მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლის პროცესს აწესრიგებენ. ის შაქარზე 300-400-ჯერ უფრო ტკბილია, უკუჩვენება არ აქვს და დიაბეტიანებისთვის რეკომენდებულია.

ამ ბალახის მთელი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ნივთიერება სტევიოზიდის სინთეზირება შეუძლია. ის შაქრის მაღალხარისხოვანი და დაბალკალორიული შემცვლელია. გარდა ამისა, თაფლის ბალახი კუჭქვეშა ჯირკვლის მოქმედებას ააქტიურებს და ინსულინის სეკრეციას ასტიმულირებს, რაც დიაბეტიანებს შესაძლებლობას აძლევს, მიღებული წამლის დოზა შეამცირონ.

მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამ მცენარის რეგულარული გამოყენებისას, ორგანიზმში გლუკოზისა და ქოლესტერინის დონე ქვეითდება, სისხლის შემადგენლობა, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციები უმჯობესდება.

შეგიძლიათ ამ მცენარისგან გემრიელი ჩაი მოამზადოთ: 1 სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და ნახევარი საათი დადგით. სამკურნალო მიზნით ასეთი ჩაი დღეში მხოლოდ 2 ჭიქა დალიეთ, ხოლო პროფილაქტიკისთვის — 1 ჭიქა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

# როგორ გავისუფთაოთ სუნთქვა

პირიდან ცუდ სუნს წარმატებით რომ შეებრძოლოთ, პირველ რიგში, საჭიროა მისი მიზეზის დადგენა. პროვოკატორები სხვადასხვაა: კბილებისა და ღრძილების, ყელისა და სასუნთქი გზების დაავადებები, პირის სიმშრალე, გასტრიტი, ღვიძლის დაავადება.

გთავაზობთ სუნთქვის გასუფთავების ხალხურ საშუალებებს.

## გასტრიტის დროს

3-4 ლიმონის ცედრა გახეხეთ, 2 სუფრის კოვზი თაფლი და 0,5 ჭიქა პიტნის ნაყენი (1 ჩაის კოვზ პიტნას 1 ჭიქა მდუღარე დაასხით) დაუმატეთ. ნარევი ერთი დღე-ღამე თბილ ადგილას დადგით, შემდეგ მაცივარში შეინახეთ. 1 ჩაის კოვზი დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ მიიღეთ. ის კუჭ-ნაწლავის მუშაობას აწესრიგებს, პირში სუფთა სუნს დიდხანს უზრუნველყოფს.

## ენაზე ნადები

ენა და ლოყები შიგნიდან გულმოდგინეთ დაიმუშავეთ. კბილებისა და ენის გაწმენდის შემდეგ გამოიყენეთ ელექსირი, რომელიც პირის ღრუს დეზინფექციას უკეთებს და ბაქტერიების გამრავლებას აფერხებს. 1 ჩაის კოვზ პიტნას და 2 ჩაის კოვზ ანისის თესლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 20 წუთი დადგით, შემდეგ გაწურეთ. დილა-საღამოს ნარევი პირში კარგად გამოივლეთ (რამდენიმე წუთი გაიჩერეთ).

## პაროდონტოზი

მარილის მასაჟი გაიკეთეთ. 1 ჩაის კოვზი სუფრის მარილი და ამდენივე თაფლი აურიეთ. კბილების გასუფთავების შემდეგ ეს ნარევი საჩვენებელი თითით, წრიული მოძრაობით, ძალდაუტანებლად ღრძილებსა და კბილებზე წაისვით. მასაჟი დილით 2-3 წუთი გაიკეთეთ, ხოლო ყოველი ჭამის შემდეგ პირში მარილიანი წყალი გამოივლეთ.

1 ჭიქა თბილ წყალში 1 ჩაის კოვზი მარილი, 2 წვეთი იოდი და დანის წვერით სოდა დაუმატეთ. ნარევი კარგად შეანჯღრიეთ და პირში გამოივლეთ.

**პ.ს.** სუნთქვის გასასუფთავებლად ერთი წუთი დაღეჭეთ ყავის მარცვლები, შავი ჩაი, ოხრახუში, პიტნა, ლიმონის ქერქი, მიხაკი, კარდამონი, კოჭა.



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— სტომატიტი მაქვს და რას მირჩევთ?**

— სტომატიტი პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებაა. იგი სხვადასხვა სახისაა და შესაბამისად, მისი გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვაა. თუმცა გამწვავების დროს, ყველა შემთხვევაში, იმუნური სისტემა არის დაქვეითებული. პირის ღრუში დაავადებული, შეწითლებული უბანი იოდინოლით დაიმუშავეთ დღეში რამდენჯერმე. ურიგო არ იქნებოდა ალერგოლოგის კონსულტაციაც. ხშირი და გართულებული სტომატიტის მიმართ ზერელე დამოკიდებულება არ შეიძლება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მისი გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაა და ერთ-ერთი შეიძლება ინფექციაც იყოს.

**— როდის უნდა ჩატარდეს ორსულობის ტესტი?**

— ტესტის ჩატარება შეგიძლიათ მენსტრუალური ციკლის გადაცდენის მეორე დღესვე, სასურველია იყოს დილის შარდი, თუმცა არსებობს ძალიან მგრძნობიარე ტესტი, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ ციკლის გადაცდენამდე 2-3 დღით ადრე და დღის ნებისმიერ მომენტში.

**— როცა ქალი ფრიგიდულია, როგორ უნდა მოიქცეს. არსებობს გამოსავალი?**

— მიმართეთ სექსოლოგს.

**— სისხლში მაქვს ეოზინოფილები მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

**— ციკლის დროს მტკივა მუცელი ძლიერად. საშიში ხომ არ არის?**

— ციკლის დროს ტკივილი ბუნებრივია, მთავარია რა სახის ტკივილია. ძლიერი ტკივილის დროს აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. გადაიღეთ ექოსკოპია, თუ დაფიქსირდა ფუნქციური ცვლილება, გინეკოლოგს მიმართეთ.

**— თმა მცვივა ძალიან, მირჩიეს თიხის ნიღაბი. როგორ გავაკეთო?**

— თიხას ნიღბის მოსამზადებლად პასტის ან ფხვნილის სახით ნებისმიერ აფთიაქში წააწყდებით. თბილ წყალში გახსნილ თიხას არაჟნის კონსისტენცია უნდა ჰქონდეს. მიღებული მასა წაისვით ნამიან თმაზე და გაიჩერეთ 15 წუთი.

ბუნებრივია, თუ თავის დაბანისას თმის დიდი რაოდენობა ჩამოვა. თიხის ნიღაბი მხოლოდ თმის მკვდარ ღერებს აშორებს, რომლებიც დარჩენილია ძირებში. ამ ნიღბის გამოყენება კვირაში 2-3 ჯერ შეიძლება.

**— მიჩნდება ნახეთქები ქუსლებზე, რაც მტკივნეულია. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული?**

— ქუსლებზე ნახეთქების გაჩენას ძირითადად ავიტამინოზი იწვევს. შეიძინეთ A ვიტამინის ან ზეითუნის ზეთის შემცველი კრემები და ქუსლების დარბილების შემდეგ შეიზილეთ.

**— მწვავე ტკივილი მაქვს სახსარში. ვის მივმართო ან რა მივიღო?**

— სახსრების ტკივილი და გართულების შედეგად ფორმის დაკარგვა ართრიტით არის გამოწვეული. დროულად მიმართეთ თერაპევტს. სწორი მკურნალობით გართულებას თავიდან აიცილებთ.

**— ვარ 4 თვის ორსული, მუდმივად მაქვს ტონუსი. ვსვამ წამალს, მაგრამ ვგრძნობ, არ მშველის. რა გავაკეთო?**

— აუცილებლად დაუკავშირდით თქვენს ექიმს, შეიძლება საჭიროა უფრო ძლიერი მედიკამენტის დანიშვნა, რადგან ტონუსი არ არის ბუნებრივი მოვლენა. ორსულობის ადრეულ სტადიაზე ჰიპერტონუსმა შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიწვიოს. ტონუსი ორსულობის არც ერთ ვადაზე არ არის სასურველი და საჭიროა მეან-გინეკოლოგის მეთვალყურეობა.

**— პირის ღრუში მაქვს წყლულები. რას მირჩევთ?**

— პირის ღრუში გამოივლეთ სუსტი შაბიანი წყალი. ერთ ჩაის ჭიქა ონკანის წყალში ჩააგდეთ შაბის პატარა ნატეხი, გააჩერეთ ერთი ღამე და დილით პირის ღრუში გამოივლეთ.

**— ვარ სამი თვის ორსული. ტოქსიკოზი ისევ მაქვს, საჭმელს ვერ ვჭამ. აუცილებელია ვიტამინების მიღება?**

— ორსულისათვის განკუთვნილი სპეციალური ვიტამინები ფეხმძიმობის დადგომისთანავე ინიშნება, რათა ნაყოფის სრულყოფილი განვითარებისათვის საჭირო ვიტამინები და მინერალები საჭირო რაოდენობით იყოს დედის ორგანიზმში. თვითნებურად არც ერთი ვიტამინი არ მიიღოთ. აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე, რომ ორგანიზმის გაუწყლოება არ დაგემართოთ. უმჯობესია, სითხე გაზიანი არ იყოს.

**— ფეხის ფრჩხილები ძალიან გამისქელდა. ცერა თითზე ფრჩხილი თავისით წამძვრა ორჯერ. სახლის პირობებში როგორ ვიმკურნალო?**

— სავარაუდოდ ფრჩხილების სოკოვანი დაავადება გჭირთ და სახლის პირობებში მისი მკურნალობა ვერ მოხერხდება. სოკოვანი დაავადება ზუსტი ანტიმიკოზური ხანგრძლივი მკურნალობით განიკურნება.

**— ვარ 27 წლის, ოდნავი გადაღლისას მტკივა ქვემო კიდურები. დიდხანს ფეხზე დგომა არ შემიძლია. ვის მივმართო?**

— აუცილებლად მიმართეთ ანგიოლოგს, სისხლძარღვების სპეციალისტს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაგიტარებთ შესაბამის ანალიზებს.

## ვიტამინებს სწორად ვიღებთ

უმჯობესია, ყველა ვიტამინი საკვებთან ერთად მიიღოთ. უკეთესად შეითვისება და კუჭის ლორწოვანს არ გააღიზიანებს. მხედველობაში იქონიეთ, რომ ცხიმში ხსნადი ვიტამინების შეთვისება დამოკიდებულია საჭმელში ცხიმის არსებობაზე, ამიტომ ვიტამინიE-ს ან ბეტა-კაროტინის სრულად შეთვისებისთვის რაციონში უნდა იყოს ცხიმები, მაგალითად, ნაღების კარაქი ბუტერბროდზე ან არაჟანი სალათში.

ჯობია, ვიტამინები საუზმეზე მიიღოთ, მაგრამ თუ ასეთ პრეპარატს რამდენიმეს სვამთ, მაშინ ულუფებად გაანაწილეთ. მაგალითად, დილით ერთი ვიტამინი ჩაყლაპეთ, სადილზე — მეორე, ხოლო მესამე სალამოსთვის დაიტოვეთ.

ვიტამინები ოთახის ტემპერატურის წყლით დალიეთ. მათი უწყლოდ ჩაყლაპვა არ შეიძლება. სითხის არასაკმარისი რაოდენობის გამო საჭირო ნივთიერებები სრულად არ შეითვისება.

ვიტამინები ცარიელ კუჭზე არ მიიღოთ. ამან შეიძლება პირღებინება, კუჭის წვა და სხვა უსიამოვნებები გამოიწვიოს.

## მთავარია, არ დაამლაშოთ!



მარილი თავისთავად მავნე არ არის, პირიქით, ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედობისთვის აუცილებელია. საკითხავი ისაა, ყოველდღიურად რამდენი და როგორი გამოვიყენოთ. უნდა იცოდეთ, მარილის დღიური ნორმაა 1 ჩაის კოვზი (2300 მგ). უმჯობესია ზღვის მარილი. ეს ნატურალური პროდუქტი ქიმიური დანამატების გარეშე (ზოგჯერ მეტი ფხვიერობისთვის უმატებენ) სრულად შეითვისება, ქსოვილებსა და შინაგან ორგანოებში არ ილექება.

როგორ მოიქცნენ ისინი, ვინც ყველა კერძში ზედმეტი მარილის დამატებას მიეჩვია? დიეტოლოგები მათ ბუნებრივ შემცვლელებს სთავაზობენ. ეს შეიძლება იყოს სანელებლები (კურკუმა, როზმარინი, ქინძი, კვლიავი), სოიას სოუსი, ნიორი, გამხმარი მწვანილი, ხმელი სუნელი. არჩევანი თქვენზეა.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**




Cyan Magenta Yellow Black

1. საგნის კონტური; 2. ... პიტი; 3. წნევისა და მექანიკური ძაბვის ერთეული; 4. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 5. მისამართი; 6. ჭადრაკის ფიგურა; 7. მაჰმადიანთა ღმერთი; 8. ქართული ჟურნალი; 9. სპორტული იარაღი; 10. ბერძნული ანბანის ასო; 11. მდინარე საფრანგეთში; 12. უდაბნოს მშრალი, ცხელი ქარი; 13. ლიტერატურის სახეობა; 14. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში; 15. ეთერზეთოვანი ბალახი; 16. ფარაონის ვირთაგვა; 17. ელექტროდენის წინაღობის ერთეული; 18. გერმანელი ასტრონომი; 19. თხის ჯოგი; 20. შავი კონტინენტი; 21. ჭეშმარიტად; 22. ჯუჯა კამეჩი; 23. იუპიტერის თანამგზავრი; 24. ავსტრალიური სირაქლემა; 25. ძველფრანგული ხურდა ფული; 26. ქიმიური ელემენტი; 27. გომბეშოს სახეობა; 28. ვაჭრობა საქონლის გაცვლით; 29. ბიბლიური ავაზაკი; 30. ხელოვნური ენა; 31. ... აბაშიძე; 32. მუსიკოს შემსრულებელთა სამეული; 33. ველური ვარდი; 34. „... მიუნჰაუზენის თავგადასავალი“; 35. ... პაიჭაძე; 36. ქალთა ქართული ცეკვა; 37. ფირნიში; 38. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები; 39. დიდი თევზსაჭერი ბადე; 40. საიდუმლო რელიგიურ-ფილოსოფიური ორგანიზაციის წევრი; 41. სამოთხის სიმბოლო ისლამში; 42. ვაზის ჯიში; 43. მაყურებელთა ადგილი თეატრში; 44. ... ნავრატილოვა; 45. სანელებელი; 46. მუზეუმი მადრიდში; 47. ზევსის გამზრდელი თხა; 48. მდინარე ციმბირში; 49. კედლის ერთგვარი მხატვრობა; 50. საშუალო ინდურ ენათა საერთო სახელწოდება; 51. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 52. ... ნემსაძე, მომღერალი; 53. გასანათებელი მოწყობილობა; 54. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 55. პატარა რესტორანი; 56. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა; 57. კერძო მეურნე; 58. მრავალსიმიანი საკრავი; 59. სისხლძარღვის კედლის შინაგანი გარსი; 60. პატარა, უზრდელ ბიჭზე იტყვიან; 61. ძვირფასი ქვა; 62. „ოტელოს“ პერსონაჟი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. სიამი; 2. მედიე; 3. ალამი; 4. იდენი; 5. მესა; 6. მისის; 7. გნომი; 8. ბემოლი; 9. ორგანდი; 10. ანტურაჟი; 11. კანკლესი; 12. „ბრავო“; 13. ვოლტფასი; 14. პარანგონი; 15. ტანკა; 16. „ალკმენე“; 17. არისა; 18. ორლი; 19. პა; 20. პაპირუსი; 21. არაბესკი; 22. აურა; 23. მარკა; 24. ლანგეტი; 25. ირი; 26. მერია; 27. პატრი; 28. ალაჰი; 29. კრივი; 30. კიი; 31. პაპაია; 32. ნიკორა; 33. შარჟი; 34. აბგა; 35. სისე; 36. პლატო; 37. ბასილა; 38. კრო; 39. ია; 40. აგა; 41. ალი; 42. ის; 43. აკინაკი; 44. გნუ; 45. იარ; 46. ემილ; 47. კვოტა; 48. ანკლავი; 49. კანტორი; 50. მელანჟი; 51. აკრი; 52. ნიყვი; 53. ოყლაყი; 54. ყინვა; 55. პასივი; 56. მაისი; 57. სარი; 58. მაყრული; 59. მემ; 60. აგამია; 61. ემი; 62. „იმედი“. **სურათებზე:** ჯენიფერ ლავ ჰიუტი; უილიამ ლევი; სებასტიან რული; არიადნე არტილესი.

**კოდი: ლუნეტი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი

1. ხეთების ქალღმერთი
2. მოუხარშავი, შეუწვავი
3. სარწყავი არხი
4. ტყვე ქალი ძველად
5. ზურგჩანთა
6. ქამანდი
7. სამიანი ნარდში
8. ბატონო ინგლისურად
9. მთლიანი სამყარო
10. გზატკეცილი
11. ფინეთის სახელმწიფო მოღვაწე
12. დათვის სადგომი
13. ბატონო ესპანურად
14. მწვანილი
15. ... გარიყული
16. სცილა და ...
17. დიუმას მუშკეტერი
18. მდინარის თევზი
19. პარაგვაის ჩაი
20. გამოქვაბული კლდეში
21. წყლისპირა მცენარე
22. პირველი მამაკაცი
23. ნაბიჯი ბალეტში
24. ქალბატონო ფრანგულად









## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. მარინა; 2. რუ; 3. ნო; 4. ინა; 5. ამინ; 6. რა; 7. არხარი; 8. კივერი; 9. კრემი; 10. ქალაქი; 11. ადამ; 12. იან; 13. არაგვი; 14. ალენ; 15. საბელი; 16. ალ; 17. მყვარი; 18. სიო; 19. მადა; 20. ვენახი; 21. არმია; 22. ელი; 23. იო; 24. სე; 25. პელიკანი.**სურათებზე:**მარწყვი; ალუბალი; გარგარი, ბალი.



Cyan Magenta Yellow Black



# შორს ქერტლი!

თეთრი ფიფქი მხრებზე და საყელოზე უამური შესახედავია. მისგან გათავისუფლებას ვერ ასწრებთ, რომ უკვე ახალი ჩნდება. როგორ მოიქცეთ?

ქერტლის საწინააღმდეგო უამრავი კოსმეტიკური საშუალება არსებობს, მაგრამ მისგან გათავისუფლებას ყველაზე უბრალო და დროში შემოწმებული ხალხური რეცეპტები ეხმარება.

### მშრალი თუ ცხიმიანი?

არსებობს მშრალი და ცხიმიანი ტიპი. ყველაზე ხშირად ცხიმიანი გვხვდება. ის გამოწვეულია ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებული მუშაობით. ჩვეულებრივ, ხშირი, სქელი თმა ძალიან მალე ჭუჭყიანდება, ერთმანეთს ეკვრის.

მშრალი ქერტლის დროს პირიქით, ცხიმის გამოყოფა დაქვეითებულია. მშრალი თეთრი ქერცლი თავის კანს მთლიანად ფარავს. მისი მიზეზი არის მიკროსკოპული სოკო, რომელიც ეპიდერმისის უჯრედების სწრაფ ზრდასა და აქერცვლას იწვევს. პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ ერთ თვეს გრძელდება, ერთ კვირამდე ჩქარდება. კანისგან მოცილებული ქერცლი გარქოვანებას ვერ ასწრებს და რბილი რჩება. მშრალი ქერტლის დროს ხშირად აღინიშნება ქავილი და თავის კანის გაღიზიანება.

ცხიმიანი ქერტლის პრობლემა აუცილებლად კომპლექსურად უნდა გადაიჭრას — ერთდროულად საჭიროა ცხიმის გამოყოფის დაქვეითება, მკვდარი ქერცლისგან კანის გასუფთავება, თავის კანის დატენიანება და დარბილება, თავზე ბინადარი მიკროორგანიზმებისგან გათავისუფლება. ქერტლის საწინააღმდეგო საშუალებებში შედის ლანოლინი და სხვა ინგრედიენტები, რომლებიც თავის კანის დარბილებასა და დატენიანებას ეხმარებიან, ასევე მენთოლი და ქაფური (კანს ამშვიდებენ).

### ხალხური რეცეპტები

*ცხიმიანი ქერტლის დროს*

ჭინჭრის 100 გრამ ქორფა ფოთლებს 1 ლიტრი მდუღარე დაასხით, 2 ლიმონის წვენი დაუმატეთ. თავი დღეგამოშვებით დაიბანეთ და დაბანის შემდეგ ეს ნაყენი გადაივლეთ.

თმაზე მთელ სიგრძეზე მაწონი, კეფირი ან რძის შრატი წაისვით. ამავდროულად თავის კანში შეიზილეთ. ნიღაბი ნახევარი საათი დაიტოვეთ. თავზე გადაივლეთ თბილი წყალი მდოგვით. ის მშვენივრად აცლის ცხიმს (1 ლიტრ წყალზე 1 სუფრის კოვზი მდოგვი). შემდეგ ისევ თბილი წყალი გადაივლეთ (წყალში წინასწარ დაუმატეთ ვაშლის ძმარი ან ლიმონის წვენი).

კვერცხის გულს 1/3 ლიმონის წვენი, 3-4 წვეთი ევკალიპტის ეთერზეთი დაუმატეთ და თავზე დაიდეთ. ნახევარი საათის შემდეგ ჩამოიბანეთ. გამოიყენეთ კვირაში 1-2-ჯერ.

თავის დაბანის წინ თმა ზღვის მარილით გაისუფთავეთ.

*მშრალი ქერტლი*

2 კვერცხის გული, ბირკავას და აბუსალათინის 5-5 წვეთი, ნახევარი ლიმონის წვენი აურიეთ. ნარევი თავის კანში შეიზილეთ. 10 წუთის შემდეგ თმა შამპუნის გარეშე ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

კვირაში 2-ჯერ, თავის დაბანამდე 1 საათით ადრე, თმაზე ბირკავას ზეთი წაისვით. ამის შემდეგ თმა შამპუნით დაიბანეთ.

1 სუფრის კოვზი ხახვის წვენი, 1 სუფრის კოვზი აბუსალათინის ზეთი და 1 სუფრის კოვზი კალენდულას ნაყენი შეურიეთ. დაბანამდე 1 საათით ადრე თავის კანში შეიზილეთ.

1 სუფრის კოვზ გამხმარ, დაქუცმაცებულ ოროვანდის ძირებს (ან 2 სუფრის კოვზ ქორფას) 1 ჭიქა ნებისმიერი მცენარეული, რაფინირებული ზეთი დაასხით. 2 კვირა სიბნელეში დადგით. გაწურეთ და თავის კანში კვირაში 2-3-ჯერ შეიზილეთ.

## მკურნალი გვირილა



გვირილას განსაკუთრებული სილამაზე აქვს. პლანეტაზე მუდმივი სიცოცხლის წყაროს, მზეს მოგვაგონებს. გვირილის დაახლოებით 350 სახეობა არსებობს. აქედან სამკურნალოდ მხოლოდ სააფთიაქო გვირილა გამოიყენება. მას ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი თვისებები გააჩნია. ძველ რომში გვირილის ნაყენს სახის კანის გასათეთრებლად და თმის მოსავლელად იყენებდნენ.

მეცნიერებმა გვირილაში აღმოაჩინეს ეთერზეთები, ორგანული მჟავები, ფლავონოიდები, გლიკოზიდები, ცილოვანი და დუბილური ნივთიერებები. გვირილის ყვავილები ხშირად შედის ბევრი ჩაის და წამლების ნაკრებში.

### ყვავილების კოსმეტიკა

**ცხიმიანი კანისთვის**: 2 სუფრის კოვზ გვირილას და ლიმონის რამდენიმე ქერქს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. როდესაც გაცივდება, 2 სუფრის კოვზი არაყი ან ძმარი დაუმატეთ. ამ ხსნარით პრობლემური ადგილები გაიწმინდეთ. ხსნარი მაცივარში შეინახეთ არაუმეტეს ერთი კვირა.

**მშრალი კანისთვის**: 2 სუფრის კოვზ გვირილის ყვავილებს 200 მლ მდუღარე დაასხით, 2 საათი დადგით და გაწურეთ. 1 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი და 1 ჩაის კოვზი გვირილის ნაყენი აურიეთ, სახის კანზე 20 წუთი დაიდეთ. ნიღბის ნარჩენები ხელსახოცით მოიცილეთ.

### ხალხური მედიცინა

*მენტეორიზმისა და ნაწლავების ანთების დროს*

4 სუფრის კოვზი გვირილის ყვავილები მომინანქრებულ ჭურჭელში მოათავსეთ, 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, თავსახური დაახურეთ და წყლის აბაზანაზე 30 წუთი გააცხელეთ. გააგრილეთ, გაწურეთ, ნედლეული გამოწურეთ და მდუღარე წყალი დაუმატეთ საწყის მოცულობამდე. დღეში 1/2 ჭიქა მიიღეთ 2-3-ჯერ ჭამის შემდეგ. ნახარში მაცივარში შეინახეთ არაუმეტეს ერთი დღე-ღამე.

*ხველის საწინააღმდეგო და ამოსახველებელი*

1 სუფრის კოვზი გამხმარი ყვავილები თერმოსში მოათავსეთ, 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და 1 საათი დადგით. ყოველ საათში 1 სუფრის კოვზი თბილი საშუალება მიიღეთ.

**შენიშვნა**: გვირილის პრეპარატები სიფრთხილით უნდა მიიღონ ფეხმძიმე ქალებმა. მცენარის ეთერზეთების ჭარბმა დოზამ შეიძლება საერთო სისუსტე და თავის ტკივილი გამოიწვიოს.

## აღმოსავლური დღეგრძელობის საიდუმლო

ჯანმრთელობისთვის სულაც არ არის აუცილებელი, მთაში წახვიდეთ ან განდეგილის ცხოვრების წესით იცხოვროთ, ყველა ყოფით სიხარულზე უარი თქვათ. საკმარისია აღმოსავლური დღეგრძელობის მარტივ საიდუმლოს დაეუფლოთ და განუხრელად შეასრულოთ.



**პირველი წესი**: ყოველი ჭამის შემდეგ 100 ნაბიჯი გაიარეთ. ეს საჭმლის მონელებას აუმჯობესებს და ზოგადად ამხნევებს.

**მეორე წესი**: ადრე დაწექით და ადრე ადექით. თავს ბევრად უკეთესად იგრძნობთ, ვიდრე შუაღამით დაწოლისას.

დაიწყეთ რაღაცის ცოტ-ცოტა შეცვლით. უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი უზარმაზარი ძალა აქვთ და თქვენს ძვირფას სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**პატრული მარტოხელა ზინას დაადგა ბინაზე:**

**— ქალბატონო, თქვენ მეზობლები გიჩივიან!**

**— რატომ?**

**— წუხელ მამაკაცი ჰყავდაო.**

**— ეჰ, მეც ეგრე მეგონა, მაგრამ ხუთ წუთში ხვრინვა ამოუშვა.**

— შვილო, — ეუბნება დედა ქალიშვილს, — შენს ქმარს ხომ არ სწყინს, აქ ხშირად რომ მოვდივარ?

— როგორ არ სწყინს, დედა, მაგრამ, სამაგიეროდ, შენი წასვლა ისე უხარია, ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავს.

❖ ❖ ❖

— შარშან აფრიკაში რომ ვიყავი, ოთხი ნიანგი დავახრჩვე ხელით და ლომიც ზედ მივაყოლე, ყოველი შემთხვევისთვის.

— იცი რა, ეგ ტყუილები სხვას მოუყევი!

— შენ რას მირჩევ, მაინც ვინ დამიჯერებს?

❖ ❖ ❖

ოსი საათს ყიდულობს.

— ეს საათი დღეში ერთხელ უნდა დაქოქო, — ეუბნება გამყიდველი.

— წამამდე თუ წამის სემდეგ?

❖ ❖ ❖

— რა გქვია? — ეკითხებიან სვანს.

— რატი.

— მერე ამსიმაღლე კაცს რომ ასეთი მოკლე სახელი გქვია, არ გრცხვენია?

— რატის შემოკლებით მეძახიან, თორემ პასპორტში დეგენერატი მიწერია, რომ იცოდე, — ეწყინა სვანს.

❖ ❖ ❖

— გუშინ ასი ლარი მომპარეს მეტროში.

— პოლიციაში იყავი?

— ვიყავი, მაგრამ მითხრეს, ჩვენ არ მოგვიპარავსო.

❖ ❖ ❖

მერსედესის წინ წითელი შუქნიშანი აინთო, მაგრამ მძღოლმა არ გააჩერა და გვერდიდან უშველებელ კამაზს დაეძგერა.

— რას ფიქრობდი, წითელზე რომ გარბოდი? — ეკითხება პატრული მერსედესის მძღოლს.



**— ქალბატონო, რატომ უჩივით მეზობელს?**

**— რატომ, ბატონო მოსამართლევ და, მსუქანი იდიოტი მიწოდა. აბა, როგორ მოვიქცე?**

**— დიეტა, ქალბატონო, დიეტა!**



**— წამო, ქალო, სპალნაში!**

**— დამანებე თავი, მთვრალი ხარ, არ გამოვა. ხვალ ვქნათ!**

**— დამიჯერე მე შენ, ხვალ უფრო არ გამოვა ფხიზელზე.**

— ვიფიქრე, გავასწრებმეთქი.

— შენ რაღას ფიქრობდი? — ახლა კამაზის მძღოლს მიუტრიალდა პატრული.

— ჩემს ფეხებს გამასწრებს-მეთქი!

❖ ❖ ❖

— ოფიციანტ!

— პაჯან!

— რომელი საათია?

— 40 ლარი და 70 თეთრი!

❖ ❖ ❖

— ეგ ბიჭი მაგარი სპორტსმენია სიგრძეზე ხტომაში.

— რამდენზე ხტება?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ რომ გადახტება, უკან ტაქსით მოდის ხოლმე.

❖ ❖ ❖

— რა სიმღერებს იგონებენ ეს ახალგაზრდები... სულ ერთი და იგივე სიტყვებია: „თოვს და გვიხარია“, „წვიმს და გვიხარია“, „ქარი ქრის და გვიხარია“...

— რა ენაღვლებათ, ჩემო კარგო, გაზის ფულს იხდიან თუ დენის?!

❖ ❖ ❖

გეპეის სასადილოს მენიუ: „სუპი უძვლოდ — 40 თეთრი; სუპი ძვლით — 60 თეთრი“.

მიდის სტუდენტი და დახლზე 60 თეთრს დებს. მებუფეტე წვნიან თეფშს აძლევს.

— კი მაგრამ, ამაში რომ ძვალი არ არის? — აპროტესტებს სტუდენტი.

— ცოტა მოითმინეთ, ახალგაზრდავ, დაკავებულია!

❖ ❖ ❖

ექიმი ავადმყოფს სინჯავს:

— ოო, მივხვდი, რაც გჭირთ! თქვენს ორგანიზმში ახალი სიცოცხლე ფუთფუთებს.

— თქვენ მთვრალი ხომ არ ხართ, ექიმო? რა ახალი სიცოცხლე, მე ხომ მამაკაცი ვარ!

— ჭიებზე გეუბნები, შე კაცო!

❖ ❖ ❖

— თქვენი სარეცხი მანქანა შესაკეთებელია, ქალბატონო. სახელოსნოში წავიღებთ და გავარემონტებთ, — ეუბნება ხელოსანი დიასახლისს.

— კი მაგრამ, მე რა მეშველება?

— თქვენ აღარაფერი, დეიდა, რაღა დროს თქვენი რემონტია!

❖ ❖ ❖

გურული ჯოჯოხეთში მოხვდა და ადუღებულ კუპრში ჩააგდეს.

— ტიტუუ, რა კაია აქანე, რა კაია! — უხარია გურულს.

— რა არის კარგი? — გაუკვირდათ ეშმაკებს.

— ანეტა არაა აქანე, ჩემი ცოლი. ტიტუ, რა კაია!



**— რას კითხულობ? — ეკითხება სტუდენტი ამხანაგს.**

**— კვანტურ მექანიკას.**

**— წიგნი რომ უკულმა გიჭირავს, რას გაიგებ ეგრე?**

**— წაღმა რომ დავიჭირო, ხო გადავაბრუნებ, აი!**

❖ ❖ ❖

ცოლი: რომ მოვკვდე, როგორ მოიქცევი?

ქმარი: პოლიციას ჩავბარდები. მე მგონი, სასჯელს შემიმსუბუქებენ.



**— რა გატირებს, ბაბუა? — ეკითხება ახალგაზრდა ბიჭი ქუჩაში მოქვითინე მოხუცს.**

**— გუშინ 25 წლის ლამაზი გოგო შევირთე ცოლად...**

**— მით უმეტეს, რატომ ტირი?**

**— სახლს ვეღარ ვაგნებ!**

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები



Cyan Magenta Yellow Black

**კლოდ იზნერი**



# მკვლელობა ეიფელის კოშკზე

**დასაწყისი №24-25**

სენ-პერის ქუჩაზე, შარიტეს საავადმყოფოს წინ, ფიაკრი გაჩერდა. იქიდან საშუალო ასაკის, ცილინდრიანი მამაკაცი გადმოვიდა, ცოტა მანძილი გაიარა და „ელზევირის“ წინ შედგა. წიგნების მაღაზიის ვიტრინა სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებებს ეკავა. რა აღარ იყო აქ — მოპასანი, ჰიუის მონსი, პოლ ბურჟე თუ ჟიულ ვერნი, რომლის ბოლო ქმნილება „არდადეგების ორი წელი“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოეფინათ.

უცნობმა გაიღიმა, წაწვეტებულ წვერზე ხელი მოისვა და შესასვლელ კარს უბიძგა. ზანზალაკის ხმაზე მაგიდასთან მჯდარმა კენძი მორმა თავი ასწია და თითქოს გაოცებით შესძახა:

— მუსიე ფრანს!

იმავ წამს უკანა სათავსოდან ნაცრისფერებში გამოწყობილი ტიპი შემოვიდა და სტუმარს ისიც გაკვირვებით შეაცქერდა.

ცილინდრიანი მამაკაცი მწვანე მაუდგადაფარებულ ოთხკუთხა მაგიდასთან მივიდა და მომღიმარი სახით იკითხა:

— სკამები სად გაგექცნენ?

— ჟოზეფ! — მიმართა კენძიმ თანამშრომელს, — უკანა ოთახში გადით და მუსიე ფრანსს სკამი შემოუტანეთ!

— ახლავე! — იყო პასუხი.

როცა ორი მამაკაცი მაგიდასთან მოხერხებულად მოკალათდა და კენძიმ სახელოვანი სტუმრისთვის მშვენიერი გამოცემები გადმოალაგა, ჟოზეფ პინიო, იგივე ჟოჟო, მაღაზიის სიღრმეში მდგარ სკამთან მივიდა, ჩამოჯდა და რაღაც წიგნის კითხვას შეუდგა.

მემწვანილე დედისა და ბუკინისტი მამის ერთადერთ პირმშოს ჟოზეფს დედა მკაცრად ზრდიდა და ერთი წამითაც არ იცილებდა თავიდან. ასე რომ, 15 წლის ბიჭი მხოლოდ ვაშლებითა და რომანებით იკვებებოდა. ოთხი წლის წინ მადამ ეფროსინე პინიომ „ელზევირში“ მსხლები და ლეღვი მიიტანა, მუსიე ლეგრასთან საუბრისას კი, ვითომ სხვათა შორის, ახსენა, ჩემი ბიჭი წიგნებს არ შორდება და რაღაცეებში ერკვევაო. ამ ვიზიტს შედეგი მოჰყვა — მალე ჟოზეფი სამსახურში მიიღეს.

ეს გარეგნულად სუსტი ყმაწვილი ნამდვილი განძი აღმოჩნდა — მან არათუ სხვადასხვა მწერლების რომანების შინაარსი და მოქმედი პირები იცოდა, არამედ გამოცემების წლები, გამომცემლობები, ტირაჟები და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ამ სფეროს ეხებოდა.

ჟოჟო ამჯერად მოპასანს კითხულობდა, მაგრამ ყურადღება სტუმრისკენ მიეპყრო და ერთი სული ჰქონდა, მისულიყო და მისი რომანებით გამოწვეული აღტაცება გამოეხატა. მოპასანს გული ვერ დაუდო, წიგნი გვერდზე გადადო და გაზეთ „ქუხილის“ ნომერს მისწვდა. პირველივე გვერდი მაშინვე თვალში ეცა:

„დრამა კოშკში

გამოცანა ამოუცნობი რჩება

გუშინ ჩვენი გაზეთის რედაქციაში ანონიმური წერილი შემოვიდა, რომელიც ეიფელის კოშკში მომხდარ ტრაგედიას ეხებოდა ანუ მადამ ეჟენი პატინის უეცარ გარდაცვალებას. წერილი ასე მთავრდებოდა: „ყურები დაცქვიტეთ ყველამ! აი, რა მინდა გითხრათ: არცთუ იშვიათად მდაბიომ იმაზე მეტი იცის, ვიდრე თქვენ ფიქრობთ“.

ჟოზეფმა სტვენას მიაყოლა:

— მუსიე ლეგრის ეს მოეწონება!

ამ დროს მაღაზიაში ფაშფაშა ქალი შემოვიდა და ლორნეტმომარჯვებული ჟოჟოს მიადგა:

— თქვენ... აქ მუშაობთ? ჩემი ქერქეტა დისწულისათვის რამე მინდოდა მეყიდა. ჟორჟ ონეს სად მალავთ?

— არსად, ქალბატონო გრაფინია... — ჟოზეფი ფეხზე წამოდგა, — რაც შეეხება ონეს, არა მგონია, სწორი არჩევანი იყოს. მის რომანებში ხომ უამრავი შეცდომაა.

— მართლა? აბა, თქვენ რას მირჩევთ?

— თუნდაც... „სილვესტრ ბონარის დანაშაულს“, — ჟოჟოს ისევ იმ ოთხკუთხა მაგიდისკენ გაექცა თვალი.

— დანაშაული არ გამაგონოთ! გაზეთებში ხომ სხვას არც არაფერს წერენ! მართლა, გაიგეთ, ეიფელის კოშკში გუშინ რა მომხდარა?

— სწორედ ახლახან...

ჟოზეფმა სათქმელი ვეღარ დაამთავრა: ფანჯრის მიღმა ჟღალთმიან ქალიშვილს მოჰკრა თვალი, რომელიც მაღაზიაში შემოსვლას აპირებდა და შემოვიდა კიდეც მას შემდეგ, რაც ცილინდრიანმა სტუმარმა თავაზიანად დაუთმო გზა. სტუმარი გავიდა თუ არა, ლორნეტიანი გრაფინია მაშინვე იქვე მდგარ კენძის ეცა:

— მითხარით, ის კაცი, ახლახან რომ გავიდა, ისაა?.. ო, გვარი დამავიწყდა!

— მუსიე ანატოლ ფრანსი საკუთარი პერსონით, — მიუგო მორმა, — თქვენ რა გნებავთ?

— მუსიე ვიქტორ ლეგრის ნახვა.

— სამწუხაროდ, ახლა არ არის. რა გაინტერესებთ? იქნებ მე...

— გოიას ოფორტები უნდა ეჩვენებინა, მგონი, „კაპრიჩოს“ ჰქვია.

— მე მოგიძებნით! — შესძახა ჟოჟომ.

— ჟოზეფ! — მიუბრუნდა გამყიდველს მორი, — რაც არა გვაქვს, როგორ მოძებნით?

— კარგით, კარგით. სხვა დროს შემოვივლი, — გრაფინია კარისკენ გაემართა და მალე თვალს მიეფარა.

კენძი ისევ მაგიდას დაუბრუნდა, ჟოჟო კი ტაშას შეაცქერდა ხარბი მზერით:

— მადმუაზელ, თქვენ რას ინებებთ?

— შეიძლება „მოგზაურობა აფრიკის სიღრმეში“ დავათვალიერო?

— ამ კარადას მხოლოდ მუდმივი კლიენტებისთვის ვაღებთ... — წამოწითლდა ჟოზეფი და ჯიბიდან გასაღები ამოიღო, — მაგრამ თქვენ ისეთი კარგი ხართ...

ეს მშვენიერი სქესისადმი მიძღვნილი მისი პირველი კომპლიმენტი იყო. კარადის კარი ხელის კანკალით გამოაღო და წიგნი მრგვალ მაგიდაზე დადო.

— ჟოზეფ! — მოისმა მაღაზის სიღრმიდან, — შეკვეთების ნუსხა სად არის?

— ახლავე, ბატონო! მაპატიეთ, მადმუაზელ, ცოტა ხნით დაგტოვებთ.

როცა ჟოჟო დაბრუნდა, ტაშა ხერსონი წიგნის ფურცვლას განაგრძობდა.

— ბრაზილია? — შეეკითხა ყმაწვილს თავაუღებლად.

— ზოგჯერ. თქვენ როგორ მოგწონთ წიგნი?

— შესანიშნავი გამოცემაა. გმადლობთ, რომ დამათვალიერებინეთ.

— არა, რას ამბობთ...

— ჟოზეფ! — მოისმა ისევ უფრო ხმამაღლა, — მაღლა ავდივარ. მოდით, მომეხმარეთ!

კენძის ბინა ორი ოთახისა და ტუალეტისგან შედგებოდა მეორე სართულის მარჯვენა მხარეს, მარცხენა მხარე კი ვიქტორ ლეგრის საკუთრება იყო. იაპონელის ბინა ხალვათად იყო მოწყობილი, მხოლოდ აუცილებელ დგამს შეიცავდა და რამდენიმე ნივთს, იმასაც იაპონურს.

კენძის ბრაზი ახრჩობდა. კოშკიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც კი დაემშვიდობა ვიქტორს, ეს უკანასკნელი ისევ შეხვდა ამ ქალს! უფრო მეტიც: ისე შეეხმატკბილა, რომ მაღაზიაშიც კი მიიპატიჟა. მას კი თავხედობა ეყო და გამოცხადდა.

კენძიმ აბაზანა მიიღო, აბრეშუმის კიმონოში გამოეწყო და საქმეს შეუდგა:

კარადიდან ლონდონ-დაუერის მატარებლების ცნობარი გადმოიღო და წითელი ფანქრით საღამოს განრიგი მონიშნა. მერე საგანგებოდ გადანახული „კაპრიჩოს“ მოძებნა და უტამაროს ორ ესტამპთან ერთად საწოლთან მდგარ შავი ხის იაპონურ ჩემოდანში მოათავსა. ამას რომ მორჩა, ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს დააცქერდა. მასზე ახალგაზრდა ქალი და, ასე, 12 წლის ბიჭი იყო გამოსახული. „დაფნე და ვიქტორი“, — ეწერა ქვეშ.

სიკვდილამდე დაფნემ სთხოვა, ბიჭს მიმიხედეთო და ამას ასრულებდა კიდეც. ვიქტორის საყვარლებში მისი ღირსი არავინ იყო, ბოლო კი, ოდეტა დე ვალუა, მათგან ყველაზე ცუდი აღმოჩნდა.

„კენძი კმაყოფილი დარჩება“, — ფიქრობდა ვიქტორ ლეგრი, თან ნაცნობ ბუკინისტებს ესალმებოდა, მხარზე კი მძიმე ჩანთა შემოედო, იშვიათი წიგნებით სავსე, რომელთა შორისაც უიშვიათესს ცეზარის „ჩანაწერები“ წარმოადგენდა ნაპოლეონის წინასიტყვაობით.

მაღაზიაში შესულს გამყიდველი შემოეგება:



Cyan Magenta Yellow Black

— მუსიე ვიქტორ, კარგი ნადავლია?
— არა უშავს. აი, გაზეთი წაიკითხე.
ჟოჟო „ეკლერის“ კითხვას შეუდგა. ამ დროს ლავანდით აქოთებული კენძიც გამოჩნდა. როგორც კი გაზეთს ისიც გაეცნო, ვიქტორი ალაპარაკდა:
— ხედავთ? გუშინ, როცა კოშკში ვიყავით, ვიღაცა ქალი მომკვდარა. თუ ანონიმურ გზავნილს დავუჯერებთ, ეს შეიძლება მკვლელობა იყოს!
მისი ნათქვამი იაპონელს თითქოს არც გაუგონია, ისე ჩაძვრა ჩანთაში და წიგნების გადარჩევას შეუდგა. მერე მშვიდად თქვა:
— სიკვდილი მთასავით დიდიცაა და ბეწვივით პატარაც.
— მე მკვლელობაზე ველაპარაკები, ის კი იაპონურ ანდაზებს აფრქვევს!
— ანდაზები ხალხური სიბრძნის გამოძახილია, — შეეპასუხა კენძი, — მათგან ჭკუა უნდა ისწავლოთ, ჟურნალისტების ლაყბობა კი ყურებშუა გაატაროთ. მშვენიერი ნავაჭრია. რა დაგიჯდათ?

უფროსები, ჩვეულებისამებრ, გამყიდველმა და მსახურმა ჟოჟომ გააღვიძა:
— მუსიე ლეგრი, მუსიე მორი! გეყოთ ძილი! უკვე რვაა!
ვიქტორი საწოლიდან გამოძვრა, აბრეშუმის ხალათი მოიცვა და ფანჯარასთან მივიდა:
— ისევ მზიანი ამინდია! სადამდე შეიძლება?
— პირველად მესმის, კარგი ამინდი რომ ადამიანს არ მოსწონდეს, — ჩაილაპარაკა უკვე სამზარეულოში მყოფმა კენძიმ.
ვიქტორი, რაკი ფეხები სტკიოდა, შელასლასდა მეგობართან:
— ყველაფერი, რასაც დიდი დოზიც ვიტანთ, მოსაბეზრებელია.
— მაშინ ყველაზე მეტად ჩემი თანაარსებობა უნდა მოგბეზრებოდათ, — შენიშნა იაპონელმა.
— კენძი, ყველაფერს ასე სიტყვასიტყვით რატომ იგებთ? თქვენ ხომ არ მიგულისხმიხართ?
— ბრძენი, ვიდრე რამეს იტყვის, შვიდჯერ დაფიქრდება.
— ისევ ანდაზები!
მათ ერთად ისაუზმეს, მერე ჟერმენას მიერ გუშინ მომზადებული ყავა დააყოლეს და დაბლა დაეშვნენ (ჟერმენა დაქირავებული ქალი იყო, რომელიც პერიოდულად მოდიოდა, მათ ბინებს ალაგებდა და საჭმელს ამზადებდა).
ჟოზეფი დილის გაზეთს კითხულობდა.
— დრო იპოვა, რა! — ჩაიბუზღუნა იაპონელმა.
— ეს წერილი მთელ ყვითელ პრესას მიუღია! — შესძახა ჟოჟომ, — ხუმრობა საქმეა?
— ვისზე ლაპარაკობთ?
— იმ ქალზე, კოშკში რომ მოკლეს. პატინო ყოფილა გვარად!
— ჟოზეფ, თქვენ მე გაზეთების საკითხავად კი არა, საქმისთვის მჭირდებით.
— გისმენთ, მუსიე!
— ვოლტერის სამოცდაათი ტომისთვის ადგილი უნდა მომიძებნოთ.
— თქვენი სურვილი ჩემთვის კანონია!
მთელ ამ დიალოგს ვიქტორი უხმოდ ისმენდა. კენძიმ ჟოჟოს ნახსენებ გაზეთს დახედა:
— „პასპარტუ“ ყოფილა... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და გაზეთი შავი გროსბუხის ქვეშ შედო.
ამ დროს კარი გაიღო და მაღაზიაში პირში სიგარაგაჩრილმა მარიუს ბონემ და ანტონენ კლიუზელმა შემოაბიჯეს.
— ბატონებო, — მიეჭრა მათ იაპონელი, — ვწუხვარ, მაგრამ ჩვენთან... — და სიგარაზე მიანიშნა.
შემოსულებმა მოწევა შეწყვიტეს, სიგარები საფერფლეში ჩაჭყლიტეს და მოიბოდიშეს, მარიუსმა კი ვიქტორს მიმართა:
— მუსიე, თქვენი დახმარება გვჭირდება. ანტონენმა კონგოზე სტატიის დაწერა გადაწყვიტა, ამიტომ ვიფიქრეთ, იქნებ თქვენს მაღაზიაში გამოიძებნოს რამე ამ ქვეყნის შესახებ.
— კი, კი, — თავი დააქნია ვიქტორმა, — კონგოს შესახებ მართლა მაქვს ერთი წიგნი.
— ვერ ვხვდები, კონგო რაღამ გაგახსენათ, — ჩაიბუზღუნა კენძიმ, — თუ „პასპარტუ“ ტურიზმის გზამკვლევად იქცა?
— „პასპარტუ“ ახსენეთ? — მოვარდა ჟოზეფი, — იქ ხომ არ მუშაობთ?
— რედაქტორი ვარ მისი, — მიუგო მარიუს ბონემ.
— მაშინ, ალბათ... პატინოს საქმეზე გეცოდინებათ რამე.



მარიუსმა მოზეიმე მზერა ესროლა ანტონენს, მერე კი მსახურს მიუბრუნდა:
— გაინტერესებთ?
— მკვლელობები ჩემი სტიქიაა!
— ახალგაზრდავ, აქ მხოლოდ ერთი მკვლელობა იგულისხმება.
— მერე რა? ერთიც მაინტერესებს და ბევრიც.
— ჟოზეფ, ვოლტერის კიდევ 15 ტომი თქვენ გელით, — შეახსენა კენძიმ.
მარიუსმა ვიქტორს მხარზე ხელი მოხვია და მოგზაურობების განყოფილებისკენ წაიყვანა. ანტონენიც მათ მიჰყვა.
— აი, ეს აფრიკის ქვეგანყოფილებაა და შეგიძლიათ დაათვალიეროთ, ოღონდ მერე წიგნები თავის ადგილზე დააწყვეთ. კენძის არ უყვარს, როცა კარადაში ქაოსია.
— აუცილებლად, — მარიუსი კლიუზელს მიუბრუნდა, — ანტონენ, გაიგონე? შენ აქ გტოვებთ, მე კი ჩვენს საერთო მეგობარს უნდა ველაპარაკო.
ვიქტორი და მარიუსი უკან გამობრუნდნენ.
— როგორ გამახარებდი, „პასპარტუსთვის“ სარეკლამო ჩანართს თუ გააკეთებდი, — თქვა მარიუსმა, — ჩვენთან ფასები ზომიერია და კლიენტების მოზიდვა გაზეთს ფეხზე დააყენებს.
— კარგი, კარგი. ტექსტს გაგიკეთებ. რამდენ სტრიქონზე გინდა?
— რაც შეიძლება მოკლე უნდა იყოს. მაქსიმალური ლაკონიზმი აზრის სიცხადესთან ერთად საერთო მოწონებით სარგებლობს.
— ანუ პირველი გვერდის ახალი ამბების მანერით.
— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა „პასპარტუს“ რედაქტორი, — რა უნდა რიგით ადამიანს? სულისშემძვრელი სენსაციები, მეცნიერებას მიმსგავსებული ვულგარიზაცია, რომელიც იმის ილუზიას უქმნის, თითქოს თავადაც სწავლულია, გრძელი რომანები, ნომრიდან ნომერზე გადაჭიმული, აბსენტის მიღების დროს ოცნებებს რომ აღძრავს, არაფრისმთქმელი რეკლამები და სხვა ამგვარი სისულელეები. ერთმა ჩემმა კოლეგამ შესანიშნავი აფორიზმი მოიფიქრა: „მოდით, გავბედოთ, ბრიყვები ვიყოთ!“.
— ჟურნალისტების უმეტესობას ამგვარი მოწოდება არც სჭირდება, — ჩაილაპარაკა კენძიმ, — ისინი დაბადებიდანვე შტერები არიან.
მარიუსმა გადაიხარხარა:
— გეთანხმებით, ოღონდ ნაწილობრივ.
ამ დროს მასთან აღელვებული ანტონენი მივიდა და ნაჯღაბნი ფურცელი გაუწოდა.
— ეს რა არის? — მარიუსმა ფურცელს თვალი ჩააყოლა და მოიღუშა, — ეშმაკიც ვერ გაარჩევს! აი, მაგალითად, ეს: ოპოეა თუ ოჰოე?
— მდინარე ოჰოოე, ორი ო-თი.
— დარწმუნებული ხარ? იქნებ ოჰოუეა და არა ოჰოოე?
— მგონი, კი.
— წავალ, შევამოწმებ.
მარიუსი წავიდა თუ არა, ჟოზეფი ანტონენს მივარდა:
— მუსიე, ის წერილი, ანონიმური, თქვენ თავად ნახეთ?
— რასაკვირველია.
— როგორი ნაწერი იყო?
— რას გულისხმობთ?
— გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებისგან ხომ არ იყო შედგენილი?
— სწორედ ასე იყო. თქვენ ეს საიდან იცით?
— რომანებიდან, მუსიე, რომლებსაც მუსიე ლეგრი მათხოვებს ხოლმე. ისინი ბევრია: ედგარ ალან პოს „მოპარული წერილი“, ემილ გაქორიოს „დოსიე №113“, პიერ ზაკკონის „უცნობი ბელვილიდან“ და ა.შ. მაგრამ მე ყველაზე მეტად ენ კეტრინ გრინის „ლივენვორტის საქმე“ მომწონს. ეს ქალი, მგონი, მეორე აგატა კრისტია! ისე კი, ჩემი აზრით...
— ჰო, ოჰოუეა, — გააწყვეტინა მარიუსმა და ანტონენს ფურცელი დაუბრუნა.
— მაშინ წავალ და კარადას ჩავკეტავ! — ნაწყენი ხმით თქვა ჟოჟომ და იქ მყოფებს გაეცალა.
— ვიქტორ, ჩვენ მივდივართ, — თქვა მარიუს ბონემ, — ტექსტის მოტანა არ დაგავიწყდეს.
— იქნებ ამ საქმეში შენი თანამშრომელი მადმუაზელ ტაშა ხერსონი დამხმარებოდა? — ვიქტორმა ულვაშის ბოლოები გადაიგრიხა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი
www.facebook.com/Tinatinbonney

# ეიფორია

## მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-25

### პატივისცემა

წითელი ლაქი, წითელი პომადა, შავი, გამჭვირვალე პერანგი, გაშლილი დახვეული თმა, „ჩულქები“ და მაღალი ქუსლები — ამ ყველაფრით ვზივარ სანდროს საწოლზე. იცის, რომ დღეს უნდა შევხვდეთ, მაგრამ როდის, არ შევთანხმებულვართ. მთავარია, გასაღები მაქვს და, რომ მოვა, სიურპრიზს გავუკეთებ. იმისთანა გეგმები მაქვს, ინტერნეტში ამოვიკითხე, როგორ გავაკეთო ყველაფერი სწორად. ამის მერე არავინ აღარ მოუნდება ჩემს სანდრიკოს. ერთი საათია ასე ვზივარ. უკრავს „Rihanna - Skin“. აქ დავხვდე? უფრო ეფექტური იქნება, შემოსვლისთანავე თუ დამინახავს. გავდივარ მისაღებ ოთახში. ტახტის საზურგეზე დავჯდები და ფეხებს ტახტზე დავაყრდნობ. მესმის გასაღების ჩხაკუნი. ვიღებ პოზას. იღება კარი და შემოდის სანდრო. ვიღიმი და ვნებიანი სახით ვუყურებ. ჩემდა საუბედუროდ, უკან მოჰყვება ოთხი მამაკაცი, ჰალსტუხებში და პიჯაკებში. სახეზე ღიმილი მაშრება. მამაკაცები მწკრივდებიან და გაოგნებულები მიყურებენ. უეჭველი იაფფასიან „პუტანკას“ ვგავარ.

— მობრძანდით, ბატონებო. ასეთ ვითარებაში მიყვარს მე საქმის კეთება, — ამბობს სანდრო და უცებ მე მამჩნევს.

ძალიან უხერხული სიტუაციაა. ალბათ ფიქრობენ, რომ მათთვის ვარ მოპატიჟებული, რათა ჯგუფური სექსით დავკავდეთ. სანდროს საქმეთა მმართველიც აქ არის. ჯერ ბესოსთან რომ აყირავა სანდრომ მაგიდები, ეგ ემახსოვრება და ახლა მე „ჩულქებში“. სანდრო ფხიზლდება, მიახლოვდება, ვნებიანად მკოცნის და მეხმარება ტახტიდან ჩამოძრომაში.

— გაიცანით, ჩემი საცოლე. ასეთი ქალი ასეთ ფორმაში რომ გხვდება სახლში, როგორ არ უნდა მოიყვანო ცოლად?

მამაკაცებს ეცინებათ და სათითაოდ მართმევენ ხელს. მადლობა, სანდრო, მადლობა!

— მიდი, საყვარელო, საძინებელში, საქმეებს მოვრჩები და გავაგრძელოთ ჩანაფიქრი, — თვალს მიკრავს სანდრო.

მამაკაცები კმაყოფილად ხარხარებენ. გავდივარ საძინებელში, ფეხზე ვიხდი და ვწვები საწოლზე. მეძინება.

სანდროს ჩემს თეძოზე შეხება მაღვიძებს. მეღიმება. რა რბილი და ლამაზი ხელები აქვს სანდროს. „ჩულქებს“ მხდის და იატაკზე აგდებს.

— სანდრო, ბოდიში რა, — საწოლზე ვჯდები.

— რისთვის მიხდი ბოდიშს? იმისთვის, რომ ახლა ყველას ჩემი შურს? მთელი მოლაპარაკების პროცესი შენზე მეკითხებოდნენ, ქორწილშიც კი დავპატიჟე ყველა.

დედა, როგორ მსიამოვნებს ეს სიტყვები. ჩემი სანდრო ყველას სჯობია!

— რა გქონდა გეგმაში, ასე რომ გამოეწყვე?

— დღეს ყველაფერი მხოლოდ შენთვისაა, — ვამბობ და საწოლიდან ვდგები.

სანდრო ვარდისფერ პერანგს იხდის. მისი ტორსი დროებით მადებილებს, მაგრამ თავი ხელში ამყავს. ვრთავ „Siopis - Really Love you“.

— რას მიპირებთ, ქალბატონო მარანძანა? — მიღიმის სანდრო.

— ნახავთ, უფრო სწორად, იგრძნობთ, ბატონო მარანძანა, — თვალს ვუკრავ.

— უკვე დაინტრიგებული ვარ!

— ჩუმად, — საწოლზე ვაგდებ სანდროს...

დაქანცული ვაგდივარ. შიშველი სანდრო ზურგზე წევს და ჭერში იყურება.

— რამდენი ქალი მყოლია და მე თუ კიდე ვინმე გამაოცებდა, ნაღდად არ ველოდი, — ამბობს და განაგრძობს ჭერში ცქერას.

— გმადლობთ, გენაცვალე, — ვამბობ კმაყოფილი.

— საიდან მოგივიდა ეგ იდეები?

— დიდი ხანია მინდა შენთან მიმართებაში ამ ფანტაზიის განხორციელება და ძლივს მივაგენი ინტერნეტში, როგორ უნდა გამეკეთებინა. მიხარია, თუ მოგეწონა.

— მომეწონა? მომეწონა მსუბუქად ნათქვამია. კიდევ როდის იქნება?

— ამომასუნთქე, კაცო და მერე კიდევ გპირდები, უფრო მაგარსაც.

— ძალიან მაგარი იყო.

— კიდევ მაქვს ერთი იდეა. შემდეგისთვის მოვიტოვე ეგ.

— მაშინ ახლა მე მაცადე, — სანდრო ჩემკენ ტრიალდება და თავის ძლიერ მკლავებში მიმწყვდევს.

— მოკლედ, პატივისცემების დღეა, — ვამბობ სიცილით.

— მოიცა, მოიცა! — თვალებს ჭუტავს, — ოდესმე გაკლებ მე შენ პატივისცემას?

— არა, ეგ არ მიგულისხმია, — ყურებამდე ღიმილი მაქვს.

— აუ, მოემზადე, ლენა, მე შენ ახლა გაჩვენებ პატივისცემას, — ცალყბად ეცინება სანდროს.

— ნუ მაშინებ ერთი, თუ რამე გინდა, ვინ გაკავებს? — მავნებლობის ხასიათზე ვარ.

— დაგერხა! — სიცილით ამბობს სანდრო.

■

სანდრო ვასაუზმე. ძალიან გემრიელი ბლითები გამოვაცხვე და არაჟნით ვაჭამე. აღფრთოვანებული იყო. მერე ვაკოცე მის ულამაზეს „ნოსიკზე“ და წამოვედი სამსახურში.

ვზივარ გაბადრული. სამუშაო ბევრი მაქვს, მაგრამ არ მეზარება. ისე უკიდეგანოდ ბედნიერი ვარ, რომ მეშინია, რამემ არ ჩააქაქოს. ჩემს ცხოვრებაში სულ ასეა, მაგრამ შეიძლება, მუდამ რომ კარგად ვიყო, მომწყინებოდა. სანდრო ალბათ ახლა შეხვედრაზე ზის და იმედია, ჩემზე ფიქრობს. გუშინდელის მერე, წესით, მეტი ვერაფერზე უნდა ფიქრობდეს. ფიქრებში გართული ვერ ვამჩნევ, როგორ შემოდის დოდო და წინ მიჯდება.

— გძინავს? — მეკითხება შეწუხებული.

— არა, სარეკლამო იდეებზე ვფიქრობდი, — ვიტყუები „ნაგლად“.

— ამბავი უნდა მოგიყვე.

— რა ხდება?

— გინეკოლოგი მეგობარი მყავს და დამირეკა ახლა.

— მერე?

— ასაკოვანი ქალი იყო მოსულიო და სკამზე უკულმა დაწვაო, — იცინის დოდო.

— რაო? — ვიგუდები სიცილით.

— ხო, გოგო, ძლივს ავაყენეთო.

— აჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა! — ფეხებს ვაბაკუნებ.

— ძალიან მომინდა, გამეზიარებინა.

— კაი ქენი. რა ვიცინე!

— წარმოიდგინე ჩემი მეგობრის სახე, რომ შევიდა და ეს ქალი დაინახა აპლაკული.

— ვაიმე, ნულა მაცინებ! — ვიგუდები.

— საოცარი სანახაობა იქნებოდა. ის ანეკდოტი იცი, ქალი რომ გინეკოლოგთან მივა?

— ნუ, ეგ იმ ამბავშია, კინო გაქვს ნანახი, კაცი რომ მანქანიდან გადმოდის?

— რა? — ვერ ხვდება დოდო.

— არაფერი. მოყევი ანეკდოტი.

— მოკლედ, ქალი მივიდა გინეკოლოგთან და დაწვა სავარძელზე. ხოდა მოუვლელი ქალია ცოტა და გინეკოლოგი აღშფოთდება და გავარდება გარეთ მისი ქმრის მოსაყვანად. შემოათრევს კართან ატუზულ კაცს და ეკითხება: „აგი რა არის?“. „აგი ფუჩია“, — პასუხობს გაოცებული კაცი. „მერე რათაა ასეთი მოუვლელი?“ — „არ ვიცი, ბატონო, ჩემი ცოლი გარეთ მელოდება“.

გიჟებივით ვიცინით დუეტში.

— რამე ახალი პრეზენტაცია არ გავაკეთოთ? ახალი საქონელი ჩამოდის, — ძლივს მშვიდდება დოდო.

— გავაკეთოთ.

— ჩემი ქობულეთელი მეგობარი მათთან მთავაზობს დიდი ამბის მოწყობას.

— კი, ზღვაზე დაგლიჯავს.

— შენ ქორწილს ვინ აკეთებს?

— გოგოები, ალბათ.

— არ გინდა, ჩვენებს გავაკეთებინოთ?

— იცი, რა, დოდო, ვერ ვფიქრობ ჯერ მაგაზე.

— ხოდა მერე იქნები გადარბენაზე.

— სულ მასე არ ვარ?!

— წამო ისე ერთ წამს, კატალოგებზე შეგახედებ.

გავდივართ მისაღებში და გვანცუშასთან ვათვალიერებთ კატალოგებს. უცებ იღება კარი და შემორბის გაფითრებული ბიძა კაცი.

— ქრისტიანები არა ხართ? — ყვირის გამწარებული.

აუ, მორიგი იელოველი. ახლა ატყდება ერთი ამბავი, სანამ ამას აქედან გატენიან.



Cyan Magenta Yellow Black

— ვართ, — მშვიდად პასუხობს დოდო.
— ტუალეტში შემიშვით რა! — გვთხოვს საწყლად.
— მობრძანდით, ბატონო, — გვანცუშა მიაცილებს საპირფარეშოში.
— რავარი გასაჭირი ქონდა, — სიცილით მეუბნება დოდო.
— შოკი მაქვს!
ვბრუნდები ჩემს სამუშაო ადგილას. ვხსნი ელფოსტას და პირი მიშრება.

From: Andrew Devinnes

Subject: უნდა მომეწერა.

„არ ვიცი, რითი დავიწყო ეს წერილი. ალბათ იმით, რომ სიგიჟემდე მომენატრე. ვიცი, მე ახლა ოჯახი მყავს და შენმა კაცმაც მიმახვედრა, რომ გაგერიდო. გუშინ დამესიზმრე და შემდგომ მთელი ღამე არ მეძინა. სულ ვფიქრობდი, რა იქნებოდა, მაშინ მალიბუში რომ პირდაპირ მეთქვა, რაც ვიგრძენი. ვერ ვპატიობ ჩემს თავს, რომ ნეკასთან დავიწყე ურთიერთობა. უბრალოდ მეგონა, რომ შენ ჩემით არ იყავი დაინტერესებული. არც ის ვიცი, ამ წერილს რისი იმედით გწერ. ალბათ ქვეცნობიერად მაინც მაქვს იმედი, რომ ეს ბოლო არ არის. როდესაც სამსახურიდან სახლში ვბრუნდები, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რა იქნებოდა, შენ მელოდებოდე აქ. მენატრება შენი სურნელი, შენი ღიმილი, შენი შეხება, შენი ხმა. ძალიან ცუდად ვარ. მაპატიე, თუ ამ წერილით გაგალიზიანე. თავი ვერ შევიკავე. მაპატიე“.

ისე ვნერვიულდები, რომ სკამიდან ვხტები. მუსიკას ვრთავ და ვიწყებ წინ და უკან სიარულს. „Nelly Furtado - Waiting for the night“ ჩხავის და მე დავდივარ გიჟივით. არ ვარ კარგად. არ იყო ახლა ამის დრო, ენდი! ფანჯარასთან მივდივარ და ვაღებ. ჰაერი მჭირდება. ხალხი ფუსფუსებს ქუჩაში და მე გული მაქვს ყელში გაჩხერილი. რა ვქნა? ვუპასუხო? სანდრომ რომ გაიგოს? მაგრამ როგორ დავტოვო უპასუხოდ? ღმერთო, რა ვქნა? მინდა, რომ ვუპასუხო. მინდა! სანდრო ხომ მეგობრობს ნატალიასთან, მეც განა რამეს დავაშავებ. უნდა ვუპასუხო! არა! არა! მინდა! მაინც არა! ტვინში ყველაფერი ამერია. მოვკვდები ახლა. ვუბრუნდები მაგიდას, თავს ვრგავ ხელებში და ფიქრს მივყავარ.

ვუყურებ საათს. შვიდი დაწყებულა. ვთიშავ კომპიუტერს და ცეცხლმოკიდებული გავრბივარ ოფისიდან. გზიდან ვურეკავ სანდროს.

— გისმენთ.
— მე ვარ, რას მისმენ? — აგრესიული ვარ.
— რა გეტაკა?
— არაფერი. სად ხარ?
— საქმეზე. მოგვიანებით ნატალიას ავუვლი და ავალ ჩემთან. დარჩები?
— არა! შეგიძლია თვითონ დარჩე ნატალიასთან! — თვითონ არ ვიცი, რატომ ვუკიდებ ყურმილს.

რას ვაკეთებ? რა მჭირს ახლა? ჩემი ტონით შეშინებული ტაქსისტი რადიოს რთავს. „Lana Del Rey - Blue Jeans“ უფრო მგრუზავს.

ვიბანავე. გოგოებს ვერ მოვუყევი ვერაფერი. ნანუკას თავი სტკივა და მითიშული კითხულობს წიგნს. ირკა ნამცხვარს აცხობს. მე კი ზოსის ვეფერები და ტელევიზორს ვუყურებ.

ვერ ვიძინებ. არა, ვიცოდი, რომ ვერ დავიძინებდი. უნდა დამელია რამე. ჩუმად ვდგები საწოლიდან და ვუცუცქდები კომპიუტერს. ვებიდან ვხსნი იმეილს. მე მიყვარს სანდრო! უბრალოდ ტკივილამდე მინდა, რომ ენდის ვუპასუხო. უბრალოდ ორ სიტყვას მივწერ და დავიძინებ.

To: Andrew Devinnes

„ენდი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. მე მინდა, რომ შენ იყო ბედნიერი“.

ვაგზავნი. ღრმად ვისუნთქავ. ახლა დავწვები. სანდროს წინაშე კი ვგრძნობ თავს დამნაშავედ, მაგრამ რა ვქნა. მეილი წკარუნობს.

From: Andrew Devinnes

„არ გძინავს?“

ვაიმე, რა ვქნა? რა ვქნა?

To: Andrew Devinnes

„არა“.

From: Andrew Devinnes

„15 წუთში დაბლა ჩამოდი. დაგელაპარაკო მინდა“.

ვაიმე! ვიწყებ წრიალს. მთვარეულივით ვიცვამ, ვივარცხნი თმას, ვიკეთებ ნიშნობის ბეჭედს (გეგონება, ეგ მიშველის) და ჩავდივარ დაბლა. ენდის მანქანა სადარბაზოსთან დგას. ვაღებ კარს და ვჯდები. სპორტულებში გამოწყობილი ენდი საჭესთან ზის.

— ენდი, მოდი, აქვე ვისაუბროთ.
— ბევრ დროს არ წაგართმევ, — მეუბნება შეწუხებული.
— გისმენ, — ვეუბნები და თვალს ვაპარებ მისკენ.
— ან ახლა, ან არასდროს.
— რა?
— ვიცი არასწორია ჩემი საქციელი, მაგრამ არ შემიძლია ეს არ გავაკეთო.
— იქნებ არ ღირს.
— ჩემთვის ღირს.
— ნუ დაბრუნდები იქ, საიდანაც ძლივს გამოვაღწიეთ!
— მე არ გამომიღწევია, მე ისევ იქ ვარ.
— გეყოფა, გთხოვ!
— მითხარი, საერთოდ აღარაფერს გრძნობ ჩემ მიმართ?
— ენდი, ნუ ართულებ.

ჩემს სახეს თავისკენ აბრუნებს და თვალებში მიყურებს.

— ერთი სიტყვა მინდა შენი, ლენა! მხოლოდ ერთი სიტყვა!
— და რა მერე?
— ახლავე გადაგაფრენ ამერიკაში.
— ენდი, გვიანია. ერთი სიტყვისთვისაც და ასი სიტყვისთვისაც.

ნიშნობის ბეჭედს ვანახებ. ისედაც გაფითრებული სახე მიტკალივით თეთრი უხდება. ვაღებ მანქანის კარს და გადავდივარ. გიჟივით ძრავს ადგილიდან. ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მშორდება.

— მნიშვნელოვან საქმეზე ბრძანდებოდით? — მესმის სანდროს ხმა.

ვკრთები და მისკენ ვტრიალდები.

— არსად არ ვყოფილვარ.
— ნუთუ?
— გეფიცები, ადგილიდანაც არ დავძრულვართ.
— შენ ლოგინიდანაც არ უნდა დაძრულიყავი!
— ენდიმ მომწერა და წამით ვნახე. ეს უბრალოდ გამომშვიდობება იყო.
— როდემდე, ლენა? როდემდე უნდა მიკეთო ეს?
— სანდრო, შენს თავს ვფიცავარ... — ვცდილობ, ჩავეხუტო.

სანდრო ხელს მკრავს.

— არ გინდა.
— სანდრო...
— ტელეფონზე ამიშალე ნერვები მიზნობრივად.
— არა!
— კი ვიეჭვე, რომ იმ გამოსირებულის გამო იყო ეს, მაგრამ არ მინდოდა, დამეჯერებინა.
— შენ თავს ვფიცავარ!..
— ნუ იფიცებ ჩემ თავს! არც საღამოს დამირეკე.
— გეფიცები, უბრალოდ ვილაპარაკეთ.
— იცი, ლენა, შენ საკმაოდ გააკეთე და რატომ იყო ეს ლაპარაკი აუცილებელი? საკუთარ თავს არწმუნებ, რომ მასთან აღარ გინდა?



— ვაიმე, არა!
— ვიჯექი დღეს სასტუმროს ნომერში ნატალიასთან, ვწრუპავდი ვისკის და ვტკბებოდი მისი სილამაზით. ის ახლა ისეთ მდგომარეობაშია, დამნებდებოდა და ჩვენ ორივემ ვიცოდით ეს.

ცრემლები ჩამომდის.

— ის ჩემ წინ იყო, ისეთი ხელმისაწვდომი და რეალური და მე ავდექი და წამოვედი. შენ კიდე ერთ მოწერილზე წამოფრინდი ლოგინიდან.
— სანდრო, გეხვეწები... — ისტერიკა მაქვს.
— მე მართლაც არ ვიცი, ვინ ხარ შენ ამ ყველაფრის მერე. არც ის ვიცი, როგორ უნდა გენდო, მაგრამ ყველაზე მწარე ის არის, რომ ამ წამს არ ვიცი, მინდა თუ არა, რომ კიდევ გნახო, — მეუბნება ზიზღით.

ვდგავარ და ვტირი. თავსაც ვერ ვიმართლებ. ის კი მიყურებს ცარიელი თვალებით. ვდგავართ ასე რამდენიმე წუთი. სანდრო ტრიალდება და მიდის. ვერ ვიძვრი ადგილიდან. ტკივილი გაუსაძლისია. მე ხომ არ მინდოდა! მე ხომ მიყვარს სანდრო! სიგიჟემდე მიყვარს!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

# სამმაგი სიურპრიზი

ლელა ცუცქირიძე

დილიდან ცუდ ხასიათზე იყო რუსა. იმდენად ცუდზე, რომ გადაწყვიტა, სახლიდან ფეხი არ გაედგა.

— გამოდი აქეთ, რას აკეთებ, დედი, — სთხოვა დედამ. ის სამ შვილს შორის დადიოდა, ვის როდის სჭირდებოდა ყველაზე მეტად, იმის მიხედვით.

„კიდევ კარგი, ახლა აქ არაა, — გაიფიქრა რუსამ და, ცოტა არ იყოს, შერცხვა, — დედაზე რომ ამას ვიფიქრებ, ესე იგი, არა არის ჩემი საქმე კარგად“.

— რუს, წავიდეთ კინოში, რა, — ცოტა ხანში პატარა დისშვილმა დაურეკა.

— დღეს არ აპირებ კლუბში წამოსვლას? ქეთის კონცერტია, — მერე უკვე კატომააწრიალა.

არავის ნახვა უნდოდა, სულ არავის ნახვა, არც საკუთარი თავის — უძილობისგან გაფერმკრთალებულ სახეზე დილას სიურპრიზი დახვდა: სამი წითელი წერტილი ისე ამოუვიდა ერთ ღამეში, როგორც ნაწვიმარზე ამოდის ხოლმე შხამა სოკო.

— რაღა დროს ჩემი აკნე და აყვავებაა! — გაბრაზებული დაერია წერტილებს და გაქრობის ნაცვლად ახლა უფორმო ლაქებად გადაიქცია.

მერე თავი აიძულა, ლურჯი კაბა გარეცხა და ცისფერი შერჩა ხელთ. არადა ახალი კაბა იყო, ორიოდე კვირის წინ იყიდა ერთ-ერთ ცნობილ სავაჭრო ცენტრში.

— არ უნდა მეყიდა, არა! ჭკუა ვერ ვისწავლე, — გაბრაზებულმა ჩააგდო კაბა გალურჯებულ წყალში და გალურჯებულ ხელებზე დაიხედა.

ყველაფერი იმ კონსულტანტის ბრალი იყო, რომელმაც ისე აქო ვითომ ცნობილი ბრენდის კაბა, რომ თავბრუ არამარტო რუსას, არამედ თავადაც დაიხვია და ლამის იატაკზე გაიშალა შიფონის შარფივით — თხელი გოგონა იყო, კაფანდარა, გამჭვირვალე.

— ვაიმე, ცუდად ხართ? — ხელი შეაშველა რუსამ და კონსულტანტი სკამზე გადაკიდა.

— ცუდად გავხდები თქვენისთანების ხელში, აბა, რა იქნება, — მარაო დაინიავა კონსულტანტმა.

— მე რა შუაში ვარ? — სახტად დარჩა რუსა.

— შუაში კი არა, თავში ხართ, ქალბატონო, თუ ყიდვა გინდათ, იყიდეთ, თუ არა, რას მალაპარაკებთ ამდენს?

— მე გალაპარაკებთ?! — შეტევისთვის მოემზადა რუსაც, მშვენივრად ეხერხებოდა, სხვათა შორის.

— ვაიმე, თქვენი თავი არ მაქვს! გინდათ? იყიდეთ. არ გინდათ? მიბრძანდით, სხვაგან არ ნახოთ კიდევ ასეთი კაბა, რა, — მოუთმენლად უთხრა გოგონამ.

„თხელი და სიფრიფანა ეძახე და, თუ ვაცადე, ვეშაპივით გადამყლაპავს“, — გაიფიქრა რუსამ და ის იყო, დემონსტრაციულად აპირებდა ჯერ ჩხუბს, მერე მაღაზიის დატოვებას, რომ რაღაცამ გააჩუმა და არ გაუშვა — კაბა იყო. ეკიდა, ფრიალებდა, ლურჯი ვიტრაჟივით ანათებდა შიგნიდან...

როგორ გადაახალისებდა მის გარდერობს, როგორ მოუხდებოდა! ზუსტად ისეთი იყო, საღამოს კლუბში რომ ჩაიცვამდა სიამოვნებით. ბევრი აღარ უფიქრია, ჩხუბი და აღშფოთება სხვა დროისთვის, სხვა კონსულტანტებისთვის გადადო. „არ შემხვდებიან ასეთები თუ რა“, — დაიმშვიდა გული, კაბა სასწრაფოდ იყიდა და სასწრაფოდვე თავჩაღუნულმა დატოვა მაღაზია. სულაც არ სურდა, კონსულტანტის გამარჯვებული სახისთვის ეყურებინა.

პრინციპში, ყველაფერი კონსულტანტის კი არა, კაბის ბრალი იყო. აი, ამ კაბის, ხელით რომ ამორეცხა, ნაზად, ფრთხილად და იმან კი ფერი — ლურჯი, კამკამა ლურჯი, ჯინივით გამოუშვა. ვინ შეაბრუნებს ჯინს უკან, რომელი ალადინი და ჯადოქარი რუსაა? ერთი ჩვეულებრივი გოგოა, ჰა, ჰა, ქალი, ხანდახან ადგილსაც კი უთმობენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. არა, მაინც რატომ უთმობენ? რა ისეთი ასაკი აქვს? კაბა წყალშივე მიატოვა, პირსახოცზე ლურჯი ნათითურები დატოვა, სარკეს გვერდი თვალდახუჭულმა აუარა პროტესტის ნიშნად და დივანზე გულაღმა გაიშოტა:

— ასე ვიქნები მთელი დღე, ხვალაც ასე ვიქნები, ზეგაც ასე ვიქნები, მაზეგაც... არავინ მჭირდება, არავის ნახვა მინდა! ყველამ თავი დამანებოს, ამ კაბამაც, ამ უაზრო აყვავებამაც!

— შოკოლადი! — გაახსენდა უცებ და კიდევ ერთხელ გაბრაზდა. წინა საღამოს ისე შემოეჭამა ერთი დიდი კოლოფი შოკოლადი, რომ ვერც გაიგო.

„მსუნაგო, მსუნაგო, ღორმუცელა! გუშინ საღამოსვე დაგავიწყდა დილას დაწყებული დიეტა!“ — საკუთარი თავის შერცხვა და თვალები უფრო მაგრად დახუჭა.

სინამდვილეში, კარგად ხვდებოდა, რომ ცუდ ხასიათზე არც წერტილების გამო იყო, არც უხარისხო ლუჯი კაბის, არც შოკოლადის და არც დარღვეული დიეტის.

დიეტა კი არა, ახალთახალი სიყვარული ძველი, გაცრეცილი სვიტერივით თვალსა და ხელშუა შემოერღვა, სულ რაღაც ერთ დღეში, ერთ საათში, ერთ წამში... ცოტა ხნის წინ რა ბედნიერი იყო! ყოველ შემთხვევაში, სიხარულით სავსე. ისე წკრიალებდა, როგორც ვერცხლის სურა.

— წკრიინ-წკრიინ, — თქვა თვალდახუჭულმა, ჰაერში უხილავ ვერცხლის სურას მიუკაკუნა თითებით, — წკრიინ-წკრიინ...

თვალებზე ცრემლი მოადგა.

„პატარა ბავშვივით ვიქცევი. თინეიჯერივით, მაგრამ თავს რომ ვერ ვერევი?“ —გაიფიქრა და თითქოს ძველ, ბავშვობის დიაფილმს უყურებდა, ყველა კადრი თვალწინ დაუდგა: აი, თავად და პაატა. რუსას ლურჯი კაბა აცვია, სწორედ ის, ახლა წყალში რომ გდია. ცეკვავენ და პაატა მისკენაა გადახრილი. რუსას ახლაც ესმის მისი სიტყვები:

— რა ლამაზი ხარ, თუ იცი... როგორ მომწონხარ, ასეთი ფაქიზი, ასეთი კამკამა, ასეთი კრიალა... და რამდენ ხანს გეძებდი, თუ იცი...

ღამის კლუბში იყვნენ. პაატას მეგობრები უკრავდნენ.

რუსამ მაშინ ხმა ვერ ამოიღო. ან რა უნდა ეთქვა, პაატას სუნთქვისგან საყურე და გული ერთნაირად უკრთოდა...

ის ღამე იყო სწორედ, პირველად რომ დარჩნენ მარტონი პაატას სახლში. მარტო რუსა და პაატა და არავინ სხვა, არავინ სხვა...

რა ცოტა ხნით გაგრძელდა ეს ბედნიერებით სავსე დღეები და ღამეები... რუსამ თვალებზე ხელი აიფარა.

„რატომ ვარ ასეთი უნებისყოფო, რატომ? რატომ არის, რომ ჯერ გრძნობა მირბის წინ თავპირისმტვრევით და უკან გონება მისდევს ჩანჩალით? პირიქით რომ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა? ვყოფილიყავი ბრძენივით თავშეკავებული, რა მოხდებოდა. კარგი, ბრძენივით თუ არა, სულ, სულ ოდნავ მაინც... ან რამ გამაგიჟა, რამ შემაყვარა ასე, ერთი ნახვით? ჩვეულებრივი ბიჭია, არაფრით გამორჩეული! საზიზღარი! საძაგელი! იდიოტი! მოღალატე!

ისიამოვნა, მერე მოიწყინა და კარგად იყავი, ხელი დამიქნია... არა, ხელი არ დაუქნევია, მე დავუქნიე, მაგაში მაინც დავასწარი, თუმცა რა, არც იცის, რომ დავასწარი... ასე ჯობია, მიჭირს, მაგრამ ასე ჯობია... ან ვინ არის ბოლოს და ბოლოს, რომ მისი გულისთვის სისულელეებზე ვბრაზდები და ცოფებს ვყრი, ყველას განურჩევლად ვუცხადებ პროტესტს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც არაფერი დაუშავებია ჩემთვის? გამოვიკეტე სახლში მზეთუნახავივით, გავიშოტე და ხელში ჯვარი და თავთან სანთლებილა მაკლია, მეტი არაფერი. ბარემ მიწასაც წავიყრი ჩემი სურვილით!“...

რუსამ თვალები გაახილა. ჭერს მიაშტერდა.

„არა, მაინც რა დავაშავე ასეთი?! რას ვჭამ საკუთარ თავს ცოცხლად?! იყო და მორჩა. დიდი ამბავი. მთავარია, არ ვიფიქრო, არ ვიფიქრო მაგ იდიოტ კაცზე!“

ბევრს ეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, პირიქით, ზუსტად ის, გუშინდელი კადრი დაუდგა თვალწინ, რომლის გახსენებაც ყველაზე ნაკლებად უნდოდა.

ახლობლისგან მოდიოდა და შემთხვევით პაატა დაინახა, უდარდელად იცინოდა, მერე თავისი მანქანიდან გადმოსულ გოგოს ხელი გადახვია, ზუსტად ისე, როგორც რუსას ხვევდა ხელს და იქვე, სახლის სადარბაზოში შეიყვანა. რუსა დიდხანს იდგა გაოგნებული, ერთ წერტილზე თვალმიშტერებული.

გამოდის, რომ ეს ვაჟბატონი ერთ ხელს რუსას ხვევს და მეორეს — სხვა ქალს... გამოდის, ახლა ამ ქალბატონთან რომ ინებივრებს, საღამოს რუსას დაელოდება სახლში და ახლა მასთან გააგრძელებს ნებივრობას...

რუსას იმ წუთას ძალიან მოუნდა, მისულიყო პაატას მანქანასთან, დაემტვრია, ჩაელეწა და ისე გატრიალებულიყო უკან. ქვაც კი მოძებნა და ხელში ჩაბღუჯა, მაგრამ, კიდევ კარგი, ამ ერთხელ მაინც გაუსწრო წინ ცივმა გონებამ ცხელ ემოციებს. ქვა იქვე დააგდო და უხმოდ გამოტრიალდა.

მთელი ღამე უაზროდ იჯდა ტელევიზორთან, წარმოდგენა არ ჰქონდა, რას უყურებდა, იჯდა და შოკოლადს ჭამდა ისტერიკულად. არც პაატას ზარებისთვის



Cyan Magenta Yellow Black

უპასუხია. რა უნდა ეთქვა, რა უნდა მოესმინა...

მობილურმა დარეკა.

— რუს, რას აკეთებ? — ეკა იყო, რუსას კურსელი და მეგობარი.

— განტვირთვის დღე მაქვს.

— უი, დაიწყე უკვე დიეტა? — ჰკითხა ეკამ.

— არა, ეგ რა შუაშია, — რუსას აღარ უთქვამს, რომ დიეტა გუშინ დილას დაიწყო და გუშინ საღამოსვე შემოერღვა, — ადამიანებისგან განტვირთვის დღე მაქვს.

— ეგ როგორ? — ვერ მიუხვდა ეკა.

— დღეს არავის ვნახულობ, არავისთვის მცალია, მარტო მინდა ყოფნა, საკუთარ თავთან, — ჩამოუთვალა რუსამ.

— რა მარტოობა აგიტყდა, რა დროს მარტოობაა, ზურიკო ჩამოვიდა. ახლა გამოგივლის და ჩემთან ამოგიყვანს. გელოდებით, იცოდე, ჩვენებიც მოვლენ.

— კაი რა, მართლა? — რუსა გახარებული წამოხტა, მერე უცებ აყვავებული სახე გაახსენდა, ისიც, რომ არავის ნახვა უნდოდა, — არა, ეკ, არ მინდა, სხვა დროს იყოს. არ ვარ ახლა დიდი ქეიფის და დროსტარების ხასიათზე.

— რა გჭირს, გოგო?! — აკივლდა ეკა, — არ მომიყვანო, იცოდე, მანდ. ახლავე, ამ წუთასვე, ადექი და წამოდი! — ეკამ მობილური გათიშა.

„რატომაც არა? — უცებ შეეცვალა ხასიათი რუსას, — დიახაც, წავალ! მთელი ღამე ხომ ვინერვიულე? მთელი დღეც ხომ ვინერვიულე? და ვისი გულისთვის? ის სხვასთან მღალატობს და მე ამის გამო მეგობარი, რომელიც ამდენი წელია, წასულია და ახლა ძლივს ჩამოვიდა, არ უნდა ვნახო?!“

რუსას თბილად გაეღიმა.

ერთი პერიოდი ზურიკოს მოსწონდა კიდეც, გამორჩევით დაჰყვებოდა კუდში, გამორჩეულ ყურადღებას აქცევდა, თქმით კი არაფერს ეუბნებოდა.

— მე მგონი, ზურიკოს მოსწონხარ, — უთხრა ერთხელ ეკამ.

— კარგი ერთი, რა მოვწონვარ, ასე შენც მოსწონხარ. მეგობარია და ეგაა, სხვა არაფერი, — ვითომ ვერ მიხვდა რუსა.

— ვერ ხარ შენ, — დიაგნოზი დაუსვა ეკამ, — მაგას თუ ვერ ამჩნევ, მე როგორ მიყურებს და შენ როგორ გიყურებს, ჰი-ჰიი, კარგად გქონია საქმე.

— მაინც როგორ მიყურებს? — გამომცდელად ჰკითხა რუსამ.

ეკამ მომენტალურად ისე შეიცვალა სახის გამომეტყველება, რუსას სიცილი აუტყდა.

— სიცილს ის გირჩევნია, შენც ისე შეხედო, როგორც თავად ზურიკო გიყურებს, — ჭკუა დაარიგა ეკამ, — ხომ იცი, რომ ძალიან ერთგული და კარგი ბიჭია.

— კარგად იცი, ზურიკო როგორ მიყვარს, მაგრამ სხვა თვალით ვერასდროს შევხედავ, — უთხრა რუსამ.

...ჰოდა, იჯდეს ახლა და პაატას იხსენებდეს, იმ ადამიანს, ვინც ასე მოულოდნელად შეუყვარდა და ვინც ნამდვილად არ აღმოჩნდა მისი სიყვარულის ღირსი. ნეტავ, ზურიკოს ისევ მოეწონება? რუსა ფლირტის ხასიათზე დადგა. ნამდვილად არ იქნებოდა ცუდი, ნამდვილად, რა პაატა? ვინ არის პაატა? არავინ, ცარიელი ადგილი, არაფრის ღირსი. პრინციპში, რუსამ ბევრი რამ არც იცის მის შესახებ. ისე, რომ დაფიქრდეს, არც არაფერი იცის — რით სუნთქავს, რას წარმოადგენს. მხოლოდ მწირი ინფორმაცია საგაზეთო მასალასავით და მორჩა.



რუსამ სახეზე ტონალური გადაისვა, სწრაფად მოწესრიგდა და ხალისიანად ჩაირბინა კიბე.

— რუსა, როგორ ხარ? — ზურიკო უკვე მოსულიყო, როგორც კი სადარბაზოდან გამოსული რუსა დაინახა, მანქანას მოშორდა და გაშლილი ხელებით გაღიმებული წამოვიდა მისკენ.

— ზურიკო, — გახარებული რუსა ზურიკოს ჩაეხუტა.

— არ შეცვლილხარ, ხომ იცი? — უთხრა ზურიკომ, შეათვალიერა, მერე უზარმაზარი ხელები მოხვია, გულზე მიიკრა, — ვაჰ, რა მაგრად მომენატრეთ, რა! წავიდეთ? ეკასთან ავდივართ წყნეთში, სხვებიც მოვლენ, დიდი ქეიფი უნდა ავწიოთ. აუ, მაგრად მომენატრეთ რა, — გაუმეორა, ხელგადახვეულმა მიიყვანა მანქანასთან და კარი გამოუღო, — მიდი, ჩახტი.

რუსა ჩაჯდა და მოულოდნელობისგან გაშეშდა. მანქანაში პაატა იჯდა და უღიმოდა.

— ნახე, რა სიუპრიზი გაგიკეთე? — ჩაჯდომისთანავე სიცილით ჰკითხა ზურიკომ და მანქანა დაძრა, — ისე, მეც კარგი სიურპრიზი დამახვედრეთ, რა.

— ჩემთვისაც სიურპრიზია, — გაეცინა პაატას.

— რა ხდება? — რუსამ ვერაფერი გაიგო.

— მოკლედ, მე და პაატა ძველი მეგობრები ვართ, სამი წელი გერმანიაში ერთად ვცხოვრობდით, — ახსნა დაიწყო ზურიკომ, — ვიფიქრე, გავუვლი, წამოვიყვან... გაიცნობენ ერთმანეთს ჩემი მეგობრები... თქვენ კიდევ უჩემოდაც მშვენივრად მოგიგვარებიათ ეგ საკითხი. აქ რომ მოვდიოდით, გზაში გაირკვა, რომ თურმე გიცნობს.

რუსამ პაატას გადახედა, იმ წუთას არაფერი უთქვამს. ეს მერე, გვიან, როცა წყნეთში გარეთ, ვერანდაზე ისხდნენ და პაატა გამუდმებით ცდილობდა იმის გარკვევას, რატომ ექცეოდა რუსა ცივად, უთხრა ის, რაც წინა დღეს დაინახა.

— აუჰ! — ღრმად ამოისუნთქა პაატამ და სიცილი აუტყდა, — აქამდე ვერ მითხარი? რა თავს იკლავდი ეჭვებით? ეგ ქალი, როგორც შენ უწოდებ, ჩემი მეგობარია, მანჩო, ბავშვობის, ბაღის, სკოლის და რა ვიცი, მოკლედ... ზურიკოსი არ იყოს, ეგეც წლებია არ მინახავს, ახლახან ჩამოვიდა ამერიკიდან, ჰოდა, ჩვენს საერთო მეგობართან ავედით ერთად.

— და მეგობარს ეხუტებოდი ასე? — დაეჭვებით შეხედა რუსამ.

— მოიცა, — გაეცინა პაატას, — შენი და ზურიკოს ჩახუტების მერე რომ ეგ გაგიკვირდება... აი, წარმოიდგინე, ზურიკო არ მცნობოდა და შორიდან დამენახეთ, როგორც შენ დაგვინახე მე და მანჩო, რა უნდა მეფიქრა?

— ზურიკო ჩემი მეგობარია, — გააპროტესტა რუსამ.

— ჰოდა, ეგაა. მანჩოც ზუსტად ეგეთი მეგობარია ჩემთვის, სხვა არაფერი, ხვალ გაგაცნობ და მიხვდები, — გაეცინა პაატას, — ისე, რა უცნაური სიურპრიზი გამოვიდა, არა? ზურიკოსთვის ჩვენი ნაცნობობა, ჩემთვის — თქვენი, შენთვის — ჩვენი... სამმაგია, რა, — მერე რუსას სახე ყურთან მიუტანა, — მომენატრე, ხომ იცი?

შეიძლება ატყუებდა, შეიძლება ასე სულაც არ იყო ან იყო კიდეც, რუსა ახლა ამაზე ვერ ფიქრობდა, ვერც ხმას იღებდა — პაატას სუნთქვისგან ერთნაირად უკრთოდა გული და პეპლის ფორმის ვერცხლისფერი საყურე.

● ყოველ წუთს მსოფლიოში 27.529.124 ლიტრი ლუდი ისმება.

● მსოფლიოს მოსახლეობის 2/3 ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იყენებს სკამს. აზიის მოსახლეობა ე.წ. თურქულად ჯდომას (ფეხმორთხმული) ანიჭებს უპირატესობას, აფრიკელები კი ჩაცუცქვას ამჯობინებენ.

## ეს იცოდით?

● დედების დღე ანა ჯერვისმა შემოიღო, რომელიც თავად არასოდეს ყოფილა დედა. როდესაც მას დედა გარდაეცვალა, გადაწყვიტა, პატივი მიეგო ყველა დედისთვის და ეს დღე დააწესა.

● 1952 წლამდე ინგლისში ადამიანები ხშირად გადაადგილდებოდნენ ფოსტით, ამანათის მსგავსად. რა თქმა უნდა, მგზავრობა სივიწროვეში უწევდათ, მაგრამ ძალიან იაფად.

● გრამატიკა, ბოტანიკა, ლინგვისტიკა, მათემატიკა, ზოოლოგია, გეოგრაფია, მინერალოგია — ეს იმ საგნების ჩამონათვალია, რომლებიც 4 000 წლის წინ შუმერების დაწყებით სკოლაში ისწავლებოდა.

● იტალიაში მოქმედებს უძველესი კანონი, რომლის მიხედვითაც, ვულკანის ამოფრქვევის დროს არ შეიძლება გადმოსული ლავის ნაკადის მიმართულების ხელოვნურად შეცვლა. მან ბუნებრივად უნდა იდინოს, რათა მეზობელ დასახლებულ პუნქტებს არ ჰქონდეთ პრეტენზიები.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 29 ივნისი 17 საათი.

2017

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 31 წლის, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, შემიძლია მასაჟის კეთება. 599020285. ბასარიონ

2. გავიცნობ ფინანსურად უზრუნველყოფილ, სექსუალურ 50 წლამდე ქალს. ვარ 30 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში. 551530789. ოლეგი

3. გავიცნობ განათხოვარ ან გათხოვილ 20-35 წლამდე ქალს თბილისიდან ან რუსთავიდან. ვარ 27 წლის, დასაქმებული, მანქანიანი ბიჭი. 555163585

4. ვარ 30 წლის სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ ლამაზ და კარგ თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 551536749. თემო

5. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის სერიოზულ გოგოს რუსთავიდან. ვარ რუსთაველი, სერიოზული, კარგი ხასიათის ბიჭი. 557938121

6. ვარ უცოლო, გავიცნობ კარგ ქალს. 558320457

7. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ქუთაისელ ქალს. ვარ დასაქმებული, 28 წლის ბიჭი. 599243423

8. გავიცნობ საშუალო ასაკის ქალს სამეგობროდ. 555131654. გოგი

9. სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს. ვარ 43 წლის მამაკაცი. 551181205. რობერტი

10. გავიცნობ 25-35 წლამდე ქალს ფარული ურთიერთობისთვის. 557564597. გიო

11. ვარ 30 წლის, გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 558554795

12. ვარ ქვრივი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ რუსთაველ ან თბილისელ ქალს. 551004803

13. ვარ 45 წლის პატიოსანი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 55 წლამდე თბილისელ, შეძლებულ ქალს. 551922592. იაკობი

14. ვარ კახეთიდან, სასიამოვნო გარეგნობის. შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო გოგოს. 55740. გიორგი

15. ვარ 45 წლის, სიმპათიური მამაკაცი, განქორწინებული. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ ქალს. 593413851. ჯონი

16. გავიცნობ სუსტი აღნაგობის ქალს შეხვედრებისთვის. ვარ სიმპათიური ბიჭი, კარგი სამსახურით, შემეხმიანოს თბილისელი. 555368927

17. გავიცნობ თბილისელ, 25-30 წლამდე სიმპათიურ ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 32 წლის. 5983653

18. ვარ 26 წლის, თბილისელი ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. 555005224

19. გავიცნობ 45 წლამდე ლამაზ ქალს ლამაზი ურთიერთობისთვის, სასურველია ჰქონდეს ბინა და ფინანსურად ჩემზე არ იყოს დამოკიდებული. ვარ 37 წლის. 557546182. გიორგი

20. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს. 551530789

21. გავიცნობ 35-45 წლამდე, კარგ და ლამაზ ქალს შეხვედრებისთვის, შეხედულებებს მნიშვნელობას არ ვაძლევ. 558654559

22. ვარ 37 წლის თბილისელი, განქორწინებული, სერიოზული მამაკაცი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. 557589090

23. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის ქალს ფარული შეხვედრებისთვის. 557258502. ზურა

24. ვარ 38 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის, ლამაზი და ტკბილი ურთიერთობისთვის. მყავს მანქანა. 577334456. ნიკა

25. ვარ 44 წლის სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს სანდო და ერთგული მეგობარი. 593638594

26. შეხვედრებისთვის გავიცნობ 55 წლამდე ასაკის ქალს. 558327612

27. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ლამაზ, გამხდარ ქალს. ვარ 36 წლის სიმპათიური მამაკაცი. 593724994

28. ვარ 30 წლის, სიმპათიური, თბილისელი ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ, მიმზიდველ, გულწრფელ გოგოს. 593973994

29. ვარ თბილი და ყურადღებიანი, სიმპათიური მამაკაცი, ბინით და მანქანით უზრუნველყოფილი. ფარული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, გათხოვილ გოგონას. 593050806. ლაშა

30. ვარ სიმპათიური, თბილისელი. გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

31. ვარ თბილისელი, 32 წლის მამაკაცი, ცოლშვილიანი. გავიცნობ თბილისელ, ფინანსურად უზრუნველყოფილ 30-დან 40 წლამდე ქალს. 557544027. თაზო

32. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ასაკის ლამაზ და თბილ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 30 წლის, სიმპათიური, სპორტსმენი ბიჭი. 555458589

33. ვარ 40 წლის სიმპათიური, გაცილებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. 555639450

34. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ან რუსთაველ, სიმპათიურ, სუსტი აღნაგობის ქალს. ვარ 45 წლის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. 555348821

35. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-40 წლამდე ქალს. 555658562

36. ვარ 28 წლის, თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-დან 32 წლამდე თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის, არამსუქან ქალს. 555718831. გილ

37. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 29 წლის. 557240429. ნიკა

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 44 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-45 წლამდე ქალს, არ უნდა ჰყავდეს შვილი. 557763688. გოჩა

2. ვარ უცოლო, სიმპათიური, უზრუნველყოფილი, წესიერი, განათლებული მამაკაცი თბილისიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს. 593159188

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36 წლამდე ქალს. ვარ აზერბაიჯანელი, მაქვს საკუთარი სახლი. 555136026

4. გავიცნობ 40 წლამდე დედისერთა ქალიშვილს, ვისაც უნდა შვილები და თბილი ოჯახი. 599218955

5. ვარ 64 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

6. ვარ 52 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ სამეგრელოში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე უშვილო ქალს. 555594794

7. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. მსურს ვიპოვო ცხოვრების თანამგზავრი, დაგვიანებით შევქმნა ოჯახი, ვარ 55 წლის ქალი, გავიცნობ 45-55 წლამდე სიმპათიურ მამაკაცს. 551187853

2. გავიცნობ ჭკვიან, დასაქმებულ, თბილისელ 35-დან 40 წლამდე მამაკაცს, რომელსაც სურს ოჯახი. 557297331

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ 30-დან 35 წლამდე მამაკაცს. 558673176

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ 30-35 წლამდე მამაკაცს. 558673176

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

18 ვარ 35 წლის ლამაზი გარეგნობის ქალი, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 45 წლამდე ღირსეულ მამაკაცს, რომელმაც იცის ქალის ფასი. 591921654

2. ვარ 45 წლის ქალი. სამეგობროდ გავიცნობ ფინანსურად ძლიერ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად მხარში ამომიდგება. 555629927

3. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილ, ერთგულ და ფინანსურად უზრუნველყოფილ 40-დან 45 წლამდე მამაკაცს. 555737098

## გილოცავ

ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ლევანიკო შიუკაშვილს, ვულოცავ დაბადების ოთხი წლის იუბილეს, 30 ივნისს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გამრავლებას, მშობლებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. გფარავდეს უფალი. ლერი პაპა

ჩემს შვილიშვილს, თეონა სეთურს, ვულოცავ დაბადების დღეს. თეო, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს შენს დათუნასთან ერთად.

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 29 ივნისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ sms-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი ადრესატისადმი მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

← 10 ვიზიით და სწორედ ის ფრაზა უნდა თქვა სწორად-მეთქი. ვწერდით ხოლმე ამ ფრაზებს. ახლაც შენახული მაქვს ირინას ნაწერები. ცხონებული მამამისი ჟურნალისტი იყო, კარგი წერა იცოდა და ისიც გვეხმარებოდა. ირინამ მაშინვე ყველა ამხილა.

— **ბატონო გურამ, იმ ხანებში ვრცელდებოდა ხმები, რომ თქვენ ქალბატონ ირინასთან გაშორებული იყავით.**

— ხმებს სპეციალურად ავრცელებდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ მე სხვა შვილებიც მყავდა. ერთხელ ირინას უთხრეს, გურამს ორი შვილი კიდევ ჰყოლია, ეს თუ იცოდიო. ირინას უთქვამს, გადაეცით იმ ქალბატონს, ვინც გურამს შვილები გაუჩინა, ერთი მაინც მოგვცეს ჩვენო. ირინამ და მე მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ. ჩვენი გაშორების ამბავი შემოაგდეს, ყველაფერს კადრულობდნენ. მე და ირინა ერთმანეთს მხარს ვუჭერდით. ის მე მიფრთხილდებოდა, მე — მას.

— **თქვენზეც იყო რაიმე სახის ზეწოლა?**

— არანაირი. ჩემთვის ვმუშაობდი. პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ვასწავლი. მაინც ფრთხილად ვიყავი, რამე არ მომხდარიყო. ხმასაც არ ვიღებდი, რომ არ გადამკიდებოდნენ. ჩემი და ჩემი მეგობრების ბრძოლის გზა სხვაგვარი იყო. ისე უნდა გვემუშავა სანდროს საქმეზე, რომ არ გამოვჩენილიყავით. ახლაც ასე ვარ, ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ხმამაღლა არ ვამბობ. ესენი ისე არიან დაყურადებული, არავინ იცის, რას გააკეთებენ. ყველაფერი მალე გაირკვევა. რომ ვთქვა, შეიძლება სამხილი მოსპონ. ნახავთ, როგორც კი ვანო მერაბიშვილს ბრალს წაუყენებენ, რა მოხდება.

— **როგორ ფიქრობთ, თავო სალაყაიასაც შეეხება სამართლებრივი პასუხისმგებლობა?**

— ვერ გეტყვით. მან გასცა ბრძანება, რადგან სანდროს საქციელი არ მოეწონა, მაგრამ ეს სიტყვიერი იყო და დამტკიცება რთულია. არც დასჯადია მისი ეს ქმედება. არც იმის მჯერა, რომ ამბობენ, სალაყაია სანდროს წამებას ესწრებოდაო. მელნიკოვის ფაქტორი? მაშინდელმა ქალაქის პროკურორმა პირდაპირ თქვა, მელნიკოვს ხელი არ დაადოთო და მის მაგივრად ციხეში იჯდა კაცი, რომელიც შეიძლება საერთოდ არ ყოფილა მკვლელობის ადგილზე. მელნიკოვი სანდროს მეგობარმა, ბუხაიძემ ამოიცნო, მაგრამ მაშინვე მოაშთეს, არ დააპატიმრეს. ახლა ახალი სახეებიც გამოჩნდნენ. თუ იქ 4 კაცი იყო და აქედან 3 ბუხაიძეს სცემდა, მაშინ სანდრო იდგა და ხელს არ ანძრევდა, ყელი მიუშვირა, დამარტყითო? ჯანიანი ბიჭი იყო, ორი კაცი ვერ მოერეოდა. როცა ბრაზდებოდა, მით უმეტეს, სვანი გურული ხდებოდა. ჩემგან სვანური ჯიში მოსდევდა, დედისგან — გურულ-რაჭული.

— **ქალბატონ ირინას გარდაცვალებაზე ამბობენ, რომ მოწამლეს. თურმე ეს მეთოდი — სიმსივნის ხელოვნურად გაჩენა, აპრობირებული იყო.**

— როცა ბადრი პატარკაციშვილი, ასეთი საღსალამათი კაცი გარდაიცვალა და მასზე თქვეს, მოწამლესო, ირინაზეც იმავეს ამბობდნენ. თითქოს სანდროს საფლავზე დაყარეს რაღაც მომწამვლელი ნივთიერება. ვერ ვიტყვი, ეს მართალია თუ არა. ირინას დიაგნოზი პანკრეასის სიმსივნე იყო. როგორც მითხრეს, დიდ სტრესს შეუძლია მისი გამოწვევა, ირინა კი ბოლო დროს სულ სტრესში იყო. ერთ დღეს მისი სახე არ მოგვეწონა, ყვითელი ფერი ედო. ღვიძლის პრობლემა აღმოჩნდა, რომელსაც სწორედ პანკრეასის სიმსივნე აზიანებდა. ეს ისეთი რამეა, არაფერი შველის. დათო გამყრელიძე დაგვეხმარა ძალიან. საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანა პროფესორები, მაგრამ გვითხრეს, არ ღირს ოპერაციის გაკეთებაო. ორი თვე იწვა ირინა რეანიმაციაში ისე, რომ გონს არ მოსულა. გარდაცვალების წინ გამოცოცხლდა და თვალებით დაგველაპარაკა.

მგონია, რომ ირინა თავისი ავადმყოფობით გარდაიცვალა, მაგრამ ამ ქვეყანაში არაფერი უნდა გამორიცხო. სამების საკათედრო ტაძრის გვერდით რომ ელია წინასწარმეტყველის საყდარია, ირინა იქიდან გამოვასვენეთ. სამებაში იმიტომ არ დაასვენეს, რომ 28 აგვისტო იყო,

„ჩემი და ჩემი მეგობრების ბრძოლის გზა სხვაგვარი იყო. ისე უნდა გვემუშავა სანდროს საქმეზე, რომ არ გამოვჩენილიყავით. ახლაც ასე ვარ, ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ხმამაღლა არ ვამბობ. ესენი ისე არიან დაყურადებული, არავინ იცის, რას გააკეთებენ".

მარიამობადღე და დიდი წირვა ტარდებოდა. პატრიარქი თავად მობრძანდა და ირინას პარაკლისი გადაუხადა. ამაზე საშინლად აღშფოთდა მიშას ხელისუფლება — ეს როგორ გააკეთაო. ეს ნაბიჯი პატრიარქის მხრიდან



გურამ გირგვლიანი

„იმასაც ამბობდნენ, რომ მე სხვა შვილებიც მყავდა. ერთხელ ირინას უთხრეს, გურამს ორი შვილი კიდევ ჰყოლია, ეს თუ იცოდიო. ირინას უთქვამს, გადაეცით იმ ქალბატონს, ვინც გურამს შვილები გაუჩინა, ერთი მაინც მოგვცეს ჩვენო. ირინამ და მე მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ. ჩვენი გაშორების ამბავი შემოაგდეს, ყველაფერს კადრულობდნენ".

წინააღმდეგობის გამოხატვად ჩათვალეს.

— **მერაბიშვილის დაკავებიდან მეორე დღეს სანდროს საფლავი გაძარცვეს. როგორ ფიქრობთ, ეს გამიზნული, მოტივირებული ზიანის მიყენება იყო?**

— დიახ, ასე დაემთხვა. ბოლნური ბრინჯაოს ჯვარი მოიპარეს, რომელიც დაახლოებით 18 კილო იყო, მეგობრებმა გაუკეთეს სანდროს. მესამე დღეს დაიჭირეს ქურდები, რომლებმაც ეს ბრინჯაო ჯართში ჩააბარეს. კერძო სასაფლაოზეა დაკრძალული სანდრო და უფრო ძვირფასი მეტალებითაც არის ზოგი საფლავი გაკეთებული, მაგრამ მაინცდამაინც სანდროს საფლავს მიადგნენ. მიუხედავად ამისა, ამ ამბისთვის პოლიტიკური სარჩულის მიკერება არასწორი მგონია.

— **ის წლები, როცა შვილიც დაკარგეთ, ცოლიც და მარტო დარჩით, როგორ გამოიარეთ დღემდე?**

— როცა ირინაც გარდაიცვალა, სასმელს მივეძალე. მერე მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი. მარტო დავრჩი და მივხვდი, თუ მეც აღარ ვიქნებოდი, სანდროსთვის აღარავინ იბრძოლებდა. სარჩელი სტრასბურგში უნდა გაგზავნილიყო და ირინას ხელმოწერა აკლდა, მაგრამ გონება დაკარგა. ადვოკატი რამდენჯერმე შეეცადა, ირინასთვის ხელი მოეწერინებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. მერე საბუთები შეიცვალა და ჩემს სახელზე გაფორმდა. ბევრი ვუცადეთ ამ პროცესს. ორჯერ გადაიდო. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს სასამართლო პროცესი არ შემდგარიყო. სტრასბურგი ასეთ საკითხებს წერილობითი სახით განიხილავს ხოლმე, ჩვენ კი იქ ჩავედით და ჩვეულებრივი პროცესი შედგა. ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ ეს მათივე მოთხოვნა იყო, იმდენად დაინტერესდნენ.

თეა წულუკიანი მუშაობდა მაშინ იქ და ძალიან დაგვეხმარა. ამათ ველარაფერი მოახერხეს, რადგან მესამედ პროცესის გადადება არ შეიძლებოდა. სტრასბურგში ამათი წარმომადგენელი ბურჯალიანი ურცხვად აცხადებდა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ არასწორად შევიტანეთ სარჩელი. ოთხი ვიღაც დააკავეს, ციხის მაგივრად სანატორიუმში აცხოვრეს და თურმე მათ წინააღმდეგ უნდა შეგვეტანა სარჩელი.

ბურჯალიანის გამოსვლა მხოლოდ ჩვენი ოჯახის კი არა, მთელი ქვეყნის დაცინვა იყო. ახლა გავიგე, რომ მის ქმარს შვიდწლიანი ციხე შეუფარდეს. რომელიღაც თანამდებობის პირის მოადგილე ყოფილა. ბურჯალიანი გამოდიოდა და ამბობდა, ვერაფერსაც ვერ მოიგებენო. არ ეგონათ, რომ სტრასბურგი ასეთ მძიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა. მერე უთქვამს, რა პრობლემაა, 50 ათასს გადავიხდითო. ამ ფულით სანდრო გირგვლიანის და ირინა ენუქიძის სამართლიანობის ფონდი გავაკეთე. ჩვენი მიზანია წელიწადში ერთხელ დავჯილდოვდეს პიროვნება, რომელიც უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოლებს. მნიშვნელობა არ აქვს, წინა ხელისუფლებას შეეხება თუ ახალს. ჟურნალისტებს, ადვოკატებს და ა.შ. დავაჯილდოებთ. აგრეთვე იმ სპორტსმენებს, რომლებსაც მომავალი აქვთ, პრემიებს გადავცემთ, რომ ფინანსურად ხელი შევუწყოთ. ჟურნალისტებს საგამოძიებო საქმიანობაში და პროფესიულ ჩამოყალიბებაში დავეხმარებით და ა.შ.

— **როცა სანდრო გარდაიცვალა, თავიდან ეს ყველაფერი სვანურ გარჩევას დააბრალეს. თქვენ, როგორც სვანს, გიფიქრიათ, სვანური წესით აგეღოთ სისხლი?**

— სვანეთში კი დავიბადე, მაგრამ სამი თვის ვიყავი, თბილისში რომ გადმოვედით. იქ რომ გავზრდილიყავი, ალბათ წინ ვერაფერი დამიდგებოდა. თბილისელი, ვაკელი კაცი ვარ, 63 წელია აქ ვცხოვრობ.

— **ქალბატონი ირინა რამდენი წლის იყო, როცა გარდაიცვალა?**

— 51-ის. სანდროს გარდაცვალებიდან მხოლოდ წელიწადნახევარი იცოცხლა. 50-ის რომ უნდა გამხდარიყო, მე და სანდრომ მოვილაპარაკეთ, მისი იუბილე აღგვენიშნა, მაგრამ არ დაგვცალდა. 51 წელი კი საავადმყოფოში შეუსრულდა. 16 ივლისს იყო დაბადებული. ირინა მუდამ პირდაპირი ადამიანი იყო, პირში გეტყოდა სიმართლეს. ისეთი ძლიერი იყო, მის დანახვაზე მთელი ხელისუფლება კანკალებდა. როცა ბრიფინგებს აწყობდა, პოლიცია იქაურობას არ ეკარებოდა. როგორც კი სახლში წამოვიდოდა, მაშინ ეცემოდნენ ხოლმე სხვებს.

— **ალბათ ნანობდით, მხოლოდ ერთი შვილი რომ გყავდათ.**

— კი, ირინა ნანობდა ძალიან, მაგრამ სანდრო ისე უყვარდა, ამბობდა, სხვა შვილს აღარ გავაჩენ, ამის წილ ქონებას სხვას ვერ გავუყოფო. ეგოისტობაა ეს, მაგრამ სწორედ ამიტომ აღარ გააჩინა კიდევ შვილი. მერე კი ამბობდა, ეს რა სისულელე გავაკეთეო. ირინა ბოლოს ჩემზეღა დარდობდა. ჩემს მეგობრებს უბარებდა, გურამს მიმიხედეთ, ოჯახი შეაქმნევინეთო. 7 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ცოლის მოყვანაზე არც მიფიქრია. ეს ტრაგედიები ჩემმა მეგობრებმა გადამატანინეს, სულ ჩემ გვერდით იყვნენ და მარტო არ დამტოვეს.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black



# გვირგვინი მხოლოდ თავგანწირულების ხვედრია და საჩუქარი

## ცხოვრება წმინდისა და სასწაულთმოქმედისა, დიდმოწამისა ქსენიასი

დღეს ვისაუბროთ დიდმოწამე სასწაულმოქმედ ქსენიაზე, რომელმაც ყველაფერი დაითმინა სარწმუნოების სიყვარულით, გაუძლო ენით აუწერელ ტანჯვა-წამებას, სანაცვლოდ კი მიიღო უჭკნობი გვირგვინი და ანგელოზების წიაღში სუფევს, რაც ყველა ქრისტიანის უმთავრესი მიზანია.

დაიბადა 201 წელს საბერძნეთში, კერძოდ, პელოპონისის გუბერნიის ულამაზეს სოფელ კალამაში. წმინდანს ქრისტიანი მშობლები ჰყოლია. მამას ნიკოლოზი ერქვა, დედას კი დესპინა. მოგეხსენებათ, იმ დროს, მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, რა გაუსაძლისი მდგომარეობა სუფევდა ქრისტიანთათვის, ამიტომაც წმინდა ქსენიას მშობლებმა უსაფრთხოების მიზნით სოფლის განაპირას გადაწყვიტეს ცხოვრება, რათა ნაკლებად ყოფილიყვნენ ყურადღების ცენტრში. მამა მიწათმოქმედი იყო და უმეტეს დროს მამულში, მიწის დამუშავებაში ატარებდა, ოჯახს თავისი შრომით და ოფლით აპურებდა.

ოჯახს სწორედ ამ დროს შეეძინა პატარა ქსენია, რომელიც სულ არ ჰგავდა დანარჩენ პატარებს. სიყრმიდანვე ზომიერი ბავშვი იყო, მისთვის უცხო ყოფილა მრისხანება, ჭირვეულობა, ხმაური, სიცელქე. უმეტეს დროს დედის გვერდით ატარებდა, გულდასმით აკვირდებოდა საშინაო საქმეებს. როცა წამოიზარდა, კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდა მასში სხვადასხვა სათნოებანი. მიუხედავად სიღარიბისა და სიშორისა სკოლისგან, რის გამოც დიდი განათლება ვერ მიიღო, დედისგან ისწავლა სხვადასხვა ლოცვები, ზოგიც ეკლესიაში სიარულისას.

წმინდა ქსენიას მთავარი საზრუნავი გახლდათ, როგორ ყოფილიყო სულიერ მზადყოფნაში, სხვა ყველაფერი მისთვის მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენდა. სიყრმიდანვე ისწავლა მარხვა, მდუმარება, ლოცვა, სინანული და მღვიძარება. რაც უფრო ემატებოდა ასაკი, უფრო უმძაფრდებოდა ქვრივ-ობლებისადმი სიყვარული და მათზე ზრუნვა.

კაცთმოძულე დემონმა, გაცოფებულმა ქსენიას კეთილშობილებით, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, შემდეგნაირი ფორმით მიიტანა მასზე იერიში: კალამას, სადაც ის დაიბადა, რადგან დიდი დასახლება იყო, თავისი ეპარხოსი ჰყავდა განმგებლად. ამ კაცის სახელი იყო დომეტიანოსი, რომელიც მაინცდამაინც არც კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა, არც ქრისტიანული პრინციპების ერთგულებით და არც ღარიბ-ღატაკთა მიმართ სიბრალულით. ასეთი ადამიანები ყოველ დროს ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება.

ერთხელაც, როცა დომეტიანოსი ნადირობიდან ბრუნდებოდა, შემთხვევით გზად შემოხვდა უმშვენიერეს ქალწულ ქსენიას, რომლის მიმართაც ავხორცული ზრახვები გაუჩნდა და მისი ცოლად შერთვა მოინდომა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ გადაწყვიტა, ადგილობრივი ჯადოქრისთვის მიემართა და ჯადოქრული გზით აესრულებინა თავისი ბოროტი განზრახვა წმინდა ქალწულის ნების საწინააღმდეგოდ, თავისი ნება-სურვილი აესრულებინა. როცა ვერაფერს გახდა, ბრძანა, ძალით მიეყვანათ გუბერნიაში.

მართლაც, როგორც დიდი დამნაშავე, ძალით შეიპყრეს და გაუყენეს გზას. მთელი გზა ლოცულობდა წმინდა ქალწული და ღმერთს ევედრებოდა ხსნას, რათა საბოლოოდ მოეპოვებინა უჭკნობი გვირგვინი, თუნდაც ეს გვირგვინი მოწამეობრივი ყოფილიყო. როცა გუბერნიამდე მოაღწიეს, ტირანმა დომეტიანოსმა ბრძანა, პირადად მისთვის წარედგინათ. მაშინვე ჰკითხა, რა ერქვა, საიდან იყო და რა აღმსარებლობის მიმდევარი. ქალწულმა გამოისახა ჯვარი და მიუგო შემდეგი სიტყვები: „მეძახიან ქსენიას, ვარ ქრისტიანი მშობლების შვილი ამავე გუბერნიიდან, კალამადან, აგრეთვე ვოცნებობ, ღირს ვიქმნე მონობისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც სამყაროს ამშვენებს“.

ყველა, ვინც კი იქ იმყოფებოდა, განცვიფრებას ვერ მალავდა წმინდა ქსენიას გამბედაობის და აღიარების გამო, მარტო ბოროტეული, უზომოდ დაბოღმილი და ვნებით გონებადაბნელებული დომეტიანოსი ინარჩუნებდა მოჩვენებით სიმშვიდეს და ცდილობდა, მშვიდად, აუღელვებლად დაესვა მისთვის სასარგებლო კითხვები, რაზეც უზომოდ აღელვებული ელოდა პასუხს: „ქსენია, ჩვენი დიდებული ღმერთების ძალით თითქმის უნაკლო ახალგაზრდა ქალი ხარ. მაქვს წინადადება, გახდე ჩემი ცოლი, მე კი სანაცვლოდ შემიძლია შემოგთავაზო უამრავი სიმდიდრე და პატივი, რომელიც მივიღე თვით ჩვენი უკვდავი და უხრწნელი ღმერთებისაგან. ხოლო თუ არ დათანხმდები ჩემს წინადადებას, მაშინ იცოდე, შეუბრალებელი ვიქნები და სიცოცხლეს დაამთავრებ საშინელი წამებით და სასტიკი, საზარელი სიკვდილით, რომელიც ჯერ არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია“.

წმინდანი მშვიდად უსმენდა ტირანის ამაო სიტყვებსა და მუქარას, რომელსაც სიბრაზისაგან პირიდან დუჟი გადმოსდიოდა და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. მშვიდად მიუგო მას: „ნუ ფიქრობ, მთავარო, რომ ასე ადვილად შეგიძლია განმაშორო ჩემს ქრისტეს ან დაპირებებით, ან კიდევ მუქარით საშინელი სიკვდილისა. წარმოუდგენელია, შევერთო სხვა ღმერთებს და მით უმეტეს, მოკვდავ, ხორციელ ადამიანს, რომელსაც სწამს ცრუ და ხელით ქმნილი ღმერთების, რომლებიც უძლურნი არიან საკუთარი თავის დაცვის და მით უმეტეს, რომელიმე ჩვენგანის. შეგიძლია გამოიყენო, რა ძალაც გინდა ჩემ წინააღმდეგ და თუნდაც ეს იყოს საშინელი სიკვდილი, მე მზად ვარ, მაგრამ იცოდე, რაც უფრო მეტად მაწამებ, უფრო მეტად განმადიდებს ჩემი უფალი იესო მომავალ ნეტარებაში, საუკუნო სიცოცხლეში. არაფრად მიღირს ეს მიწიერი სიცოცხლე. ამ წუთისოფელში ერთ მშვენიერ დღეს ყველანი გარდავიცვლებით, წუთისოფელი არავის შეიბრალებს საუკუნოდ, რადგან თვითონაც არ არის საუკუნო, ამიტომაც მივსცემ ჩემს სხეულს ჩემი სულის სანაცვლოდ, ვითარც ერთ დროს ეს უკვე გააკეთა ჩვენი სულებისთვის იესო ქრისტემ, როცა ჯვარს ეცვა და აღსდგა მკვდრეთით. ნუღარ უცდი, მტარვალო, მე აზრს აღარ შევიცვლი, რადგან, როგორც უკვე გითხარი, არ არსებობს არანაირი ადამიანური ძალა, რომელიც აზრს და, მით უმეტეს, რწმენას შემაცვლევინებს ჩემი უფლის იესო ქრისტესადმი, რომელსაც მივენდე წუთისოფელშიც და საუკუნო სიცოცხლეშიც“.

ამ სიტყვების გამგონე მტარვალმა ბრძანა, ჩაეგდოთ წმინდანი ბნელ დილეგში, სადაც გონს მოვიდოდა და შეინანებდა თავის საქციელს, მაგრამ წმინდანი კიდევ უფრო განმტკიცდა სარწმუნოებრივად და თუ აქამდე წამების ცოტათი მაინც ეშინოდა, დილეგში ჩამწყვდევის შემდგომ ეს შიში და განცდაც სადღაც გაქრა, მისთვის მხოლოდ ბედნიერების მომტანიღა აღმოჩნდა წამება.

ბრძანა რამდენიმე ხნის შემდეგ დომეტიანოსმა, ქსენიასთვის ანთებული ლამპრები შეენთოთ და ისე ეწამებინათ. ამას როდი დასჯერდა ჯალათი, რომელიც იმის გამო, რომ მოწყენილი ვერ ნახა წმინდანი, ბედნიერი არ იყო თავისი მოქმედებით. მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ გრძნობდა თავს მხნედ ამ ყველაფრის შემდგომ. წმინდა ქსენიას კი უფლის დაშვებით ეცხადებოდა ანგელოზი, რომელსაც მხოლოდ წმინდანი ამჩნევდა და წყლულებს უშუშებდა.

როცა ტირანი ვერაფერს გახდა, ბრძანა, მასთან მოეყვანათ საცხოვრებელში, ვინძლო დაეყოლიებინა წმინდანი, ცოლობაზე დათანხმებულიყო. ამის გამო დამწუხრდა წმინდა ქსენია და ითხოვა უფლისგან შემწეობა, ქალწულადვე დარჩენილიყო. მაშინ გამოეცხადა უფლის ანგელოზი და მოუწოდა: „ნუ გეშინია, ქსენია, რადგან წამებისას ჩემი წყალობა იქნება შენთან, რათა გიხსნას ყოვლისა განსაცდელისაგან“.

როგორც კი წმინდანი სრულიად გამოჯანმრთელდა ღვთის წყალობით, უფალი მაშინვე ამაღლდა ზეცად, წმინდანი კი



Cyan Magenta Yellow Black

უზომოდ ბედნიერი ჰმადლობდა და უგალობდა უფალს. როგორც კი გათენდა, მაშინვე მიჰგვარეს ეპარხოსის ბრძანებისამებრ, რომელმაც შეხვედრისთანავე მიუგო: „ხედავ, ქსენია, რა შეუძლიათ ჩვენს ღმერთებს. ვიდრე ჩემთან მოგიყვანდნენ, სასიკვდილო ჭრილობებით იყავი დაწყლულებული, დღეს კი მამა-პაპათა ღმერთების შემწეობით უკვე სრულიად ჯანმრთელად გამოიყურები. შენი მშვენიერება შეებრალათ ჩვენს ღმერთებს. ახლა კი, ჩვენი ღმერთები შენგან ითხოვენ, მიეახლო უფლის სამსხვერპლოს და თაყვანი სცე მათ სახელებს, რითაც კიდევ უფრო მადლმოსილი შეიქნები“.

წმინდა ქსენიამ ამ ანომალიის გამო სიცილით უპასუხა: „როგორ არის შესაძლებელი, ეპარხოს, შენს ღმერთებს, რომელთაც სიცოცხლის სულიც კი არ გააჩნიათ, ვერაფერს გრძნობენ და კაცის ხელით არიან ქმნილნი, ჰქონდეთ ამხელა ძალა, რომ მე, ქრისტიანი განმკურნონ. შეიგნე, რომ მე ღმერთებმა კი არა, ქრისტემ განმკურნა, ჭეშმარიტმა ღმერთმა, რომელსაც ვცემ თაყვანს მთელი ჩემი გულით და მთელი ჩემი სულით, თუმცა რადგან შენ ასე გსურს, რომ მივეახლოთ თქვენს ღმერთებს, შემიძლია წამოგყვე და ვინახულო თქვენი ღმერთების სამსხვერპლოები“.

უზომოდ გახარებულ დომეტიანოსს ეგონა, წმინდა ქსენია სინანულში იყო ჩავარდნილი და პატიების სათხოვნელად უნდოდა სამსხვერპლოებში მისვლა. რაჟამს მიუახლოვდა წმინდანი სამსხვერპლოებს, მაშინვე ლოცვა დაიწყო და სასწაულმაც არ დააყოვნა: დიდი დრო არ გასულა და მიწა იძრა ისე, რომ ტაძრები სულ ერთიანად გაასწორა მიწასთან, მათთან ერთად შიგნით მოთავსებული კერპებიც. ამის შემხედვარე განრისხებულმა დომეტიანოსმა ბრძანა წმინდა ქსენიას კიდევ უფრო მეტი სისასტიკით წამება, ისევ სანთლები შეენთოთ მისთვის და ამის შემდეგ მოუთვინიერებელი ცხენისთვის გამოებათ ფეხებით მისი სხეული, რათა საშინელი სიკვდილით მოეკლა ქალწული ქსენია.

სულ სხვა იყო ნება ღვთისა, როცა ამ საზიზღრობაზე ფიქრობდა მტარვალი. როცა ცხენს გამოაბეს წმინდანი მიწაზე სათრევად, იმის ნაცვლად, რომ დამფრთხალიყო და გაქცეულიყო, ცხენმა ნაბიჯიც კი არ გადადგა, მიუხედავად ჯალათების ცემისა. ამის შემხედვარე დომეტიანოსი გაცეცხლებული თვითონ ეძგერა ცხენს კეტით ხელში და სწორედ ამ დროს მოხდა ენით აუწერელი და დაუჯერებელი სასწაული: ცხენმა ადამიანის ხმით იწყო საუბარი. როგორც არის მოცემული საღვთო წერილში: „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“ (ლკ. 18.27).

ამ სასწაულის მნახველი ყველა ერთხმად გაიძახოდა: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანთა“, გარდა ერთისა — ეს იყო დომეტიანოსი, რომელსაც დაბნელებული ჰქონდა გონება და არაფრით სურდა სიმართლისთვის თვალის გასწორება. ისევ ბრძანა წმინდანის საპყრობილეში დატყვევება, ვიდრე არ გადაწყვეტდა, თუ როგორ მოქცეულიყო.

იმავე ღამით გამოეცხადა წმინდა ქსენიას თვით უფალი, რომელიც გარშემორტყმული იყო უფლის ანგელოზებით და ხმამაღლა მიმართა მას: „გიხაროდეს, ქსენია, მორწმუნეო მონაო უფლისა შენისაო, რომელიც მიისწრაფვი ღვთის სასუფევლისკენ მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით. გიხაროდეს და ბედნიერ იყავ, რადგან დადგა დღე, მოგენიჭოს გვირგვინი ძლევისა, რათა წარდგე ჩემ წინაშე სხვა დანარჩენ ქალწულთა მსგავსად, რომელთაც დაიმკვიდრეს გვირგვინის ტარების უფლება“.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# „ვინც ოთხშაბათს და პარასკევს არ მარხულობს, ის ქრისტეს გაცემის და ჯვარცმის მონაწილე ხდება“

მართლმადიდებლური ეკლესია პეტრეპავლობის მარხვისთვის ემზადება. ის ერთ-ერთია იმ ოთხი მეტნაკლებად ხანგრძლივი მარხვიდან, რომლებსაც ქრისტიანები წლის განმავლობაში ინახავენ. ამჯერად პეტრეპავლობის მარხვა მცირე პერიოდი გრძელდება. ამ მარხვების გარდა, მორწმუნეებს ოთხშაბათს და პარასკევსაც უწევთ სახსნილო საკვებისგან თავშეკავება მთელი წლის განმავლობაში. ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარხვას, ძალზე ვრცელი თემაა სასაუბროდ, მოკლედ კი, ამ ღვაწლის ერთ-ერთი დანიშნულება ადამიანის სულიერი გაძლიერებაა იმ ბრძოლაში, რომელიც მას ბოროტების სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან უწევს საკუთარ თავსა თუ გარე სამყაროში.



■ მამა გიორგი

იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) სწორედ ამ ორ საკითხს განგვიმარტავს — ოთხშაბათსა და პარასკევს მარხვის აუცილებლობასა და ბოროტების არსს, რომელიც თავისუფალი ნებით წარმოიშობა და სიკეთის ნაკლებობის შედეგია.

**„დიდმარხვებს შორის დიდი შუალედია და როცა ამ ხნის განმავლობაში ადამიანი საერთოდ არ მარხულობს, მისი სულიერი ცხოვრება მიშვებულია და თავაშვებულ ცხენს ემსგავსება, რომელსაც მხედარი ჰყავს, მაგრამ მას ლაგამი ძლიერად არ უჭირავს ხელში. ასეთ შემთხვევაში ცხენიცა და მხედარიც შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხონ".**

— **მამაო, რატომ არის აუცილებელი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ოთხშაბათსა და პარასკევს მარხულობა და ითვლება თუ არა ცოდვად მისი დარღვევა?**

— ვინც ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვას არ ინახავს, მას გაცნობიერებული არ აქვს ეკლესიური ცხოვრების ანი და ბანი. მორწმუნემ კარგად იცის, რომ ამ დღეებში მარხვის დაუცველობით მონაწილე ხდება ქრისტეს გაცემისა და ჯვარცმისა. ამიტომ ოთხ ხანგრძლივ მარხვასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ამ ერთდღიანი მარხვების შენახვა. დიდმარხვებს შორის დიდი შუალედია და როცა ამ ხნის განმავლობაში ადამიანი საერთოდ არ მარხულობს, მისი სულიერი ცხოვრება მიშვებულია და თავაშვებულ ცხენს ემსგავსება, რომელსაც მხედარი ჰყავს, მაგრამ მას ლაგამი ძლიერად არ უჭირავს ხელში. ასეთ შემთხვევაში ცხენიცა და მხედარიც შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხონ. ამდენად, ოთხშაბათი და პარასკევი დღეების მარხვა მუდმივად გვაფხიზლებს და მისი დაუცველობა მორწმუნეთა მხრიდან უპასუხისმგებლობაა.

არ მეგულება მოძღვარი, რომელიც მრევლს, იმ ადამიანებს, რომლებსაც ცოცხალი ურთიერთობა და კავშირი აქვთ ეკლესიასთან, არ ესაუბრებოდეს ამ დღეების მნიშვნელობაზე და ამ ორი დღის, ოთხშაბათისა და პარასკევის, მარხვის უგულებელყოფას მოუწონებდეს.

— **ბავშვებსაც მართებთ ამ ერთდღიანი მარხვების შენახვა?**

— წმიდა ნიკოლოზის შესახებ პატერიკებში წერია, რომ იგი დედის მუცლიდანვე გამორჩეული გახლდათ და პატარაობიდანვე ოთხშაბათსა და პარასკევს დედის რძის მიღებაზე უარს ამბობდა. ეს მაგალითია იმისა, რომ ბავშვს ყრმობის ასაკიდანვე ესაჭიროება მშობლებისაგან მიმართულების მიცემა, იქნება ეს მარხვის დაცვა თუ ღვთის მცნებების აღსრულება. მშობელმა ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში შვილში უნდა ჩადოს კეთილი მარცვალი ღმერთთან სიახლოვისათვის, რაც, პირველ რიგში, მშობლის ეკლესიური ცხოვრებით გამოიხატება.

ეკლესია 7 წლის ასაკიდან ურჩევს ბავშვს ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვის დაცვას და, თუ ის მანამდეც ხედავს მშობლების ეკლესიურ მაგალითს, მარხვის შენახვის წინააღმდეგი არ იქნება და თავად მიხვდება, რომ ეს ყოველივე მისი სულისათვის სასარგებლო და საჭიროა. ამ დღეებში გარკვეულ სახსნილო პროდუქტზე უარის თქმით ბავშვის ნებისყოფა იწრთობა და ბევრ ცოდვასთან საბრძოლველად მისი სულიც ძლიერდება და მტკიცდება. 12 წლიდან ბავშვს უკვე შეუძლია →74



Cyan Magenta Yellow Black

დაიცვას დიდი მარხვებიც, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობაც ხელს უწყობს. მოგეხსენებათ, 12 წლიდან იწყება მოზარდის ე.წ. გარდატეხის პერიოდი, როდესაც გულისთქმები და ზრახვები მატულობს, მარხვის შედეგად კი ბავშვში ცუდი მიდრეკილებები სუსტდება.

**— რატომ უჭირთ ადამიანებს მარხვის დაცვა?**

— ეკლესია სულის საკურნებლად მარხვებს გვთავაზობს. ხშირად გვიმძიმს მარხვის დაცვა და ჩვენი თავშეუკავებლობის გამო, უარს ვამბობთ მასზე. ღირსი მამა სერაფიმე საროველი გვასწავლის, რომ წყალსა და პურს ჯერ არავისთვის უწყენია და არც მარხვის დაცვით მომკვდარა ვინმე. რომ არ ვმარხულობდით, ამ მიზეზით გამოგვაძევეს სამოთხიდან და ახლა ვსაჭიროებთ მარხვის დაცვას, რათა კვლავ შევიდეთ სამოთხეში. ზოგს მიაჩნია, რომ მხოლოდ ხორცისა და არასამარხვო პროდუქტისგან თავშეკავებაა მარხვის დაცვა, მაგრამ ვინც ხორცს არ ჭამს და გადამეტებულად იღებს სხვა საკვებს, ასეთი მარხვაც უსარგებლოა. ვისაც არ შეუძლია, საკუთარ თავს აუკრძალოს ზედმეტი ჭამა-სმა, ის ვერ შეძლებს, წინ აღუდგეს თავისი გულის რომელიმე სურვილს ან ცოდვილ მიდრეკილებებს.

> **„როცა მარხვისგან ხორცი უძლურდება, სული უფრო თავისუფალი ხდება და ადამიანსაც შემოქმედებისა და სულიერი ცხოვრების კუთხით მეტი უნარი ეძლევა".**

ხშირად მორწმუნეები, რომელთაც სხვადასხვა სნეულება აწუხებთ, გარკვეულ არასამარხვო პროდუქტის მიღებაზე კურთხევას ითხოვენ. ცხადია, ეკლესიისთვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვანია და კურთხევას ვაძლევთ არასამარხვო პროდუქტის მიღებაზე და, პირველ რიგში, მარხვის დაცვაში მცნებების დაცვას ვურჩევთ. ჭეშმარიტი მარხვა არამარტო ხორციელი საქმეა, არამედ სულიერიც. წმინდა ბასილი დიდი გვასწავლის, რომ ადამიანები, რომლებიც მოიკლებენ საჭმელ-სასმელს, მაგრამ არ იშლიან ცუდ საქმეებს, ემსგავსებიან ეშმაკთ, რომლებიც არაფერს ჭამენ, მაგრამ ღმერთის წინააღმდეგობას არ იშლიან.

მარხვა და მარხული ცხოვრება საუკეთესო საშუალებაა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად. როცა მარხვისგან ხორცი უძლურდება, სული უფრო თავისუფალი ხდება და ადამიანსაც შემოქმედებისა და სულიერი ცხოვრების კუთხით მეტი უნარი ეძლევა. ეკლესიის ოცსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არ გვახსოვს, ვინმე წმინდანად შერაცხულიყოს და მას მარხვა არ შეენახოს. მარხვა სასარგებლო და მადლმოსილია იმ შემთხვევაში, თუ გულში მწუხარებას, გლოვას, თავმდაბლობას გვაგრძნობინებს ჩადენილი ცოდვების გამო. მარხვა ცოდვის ძილისაგან გამოღვიძების საუკეთესო პერიოდია.

**— რა არის ბოროტება?**

— ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა. იგი მდგომარეობაა და არა — არსი. სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენებით, სამყაროს ორი საწყისი აქვს — სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის. ასეთი წარმოდგენები სულიერი ბრძოლის ნიადაგზე წარმოიშვა. მაგრამ მეტად არასწორი და არამართებულია. საინტერესოა, რომ თვით მატერიალურ სამყაროში ბოროტი და ბნელი ნაწილაკები არ არსებობს. არის ცოცხალი და მკვდარი ელემენტები. ფიზიკაში ნეგატიური ენერგია არ არსებობს. მატერიაშიც სიბნელე სინათლის ნაკლებობაა. სამყაროს ერთი საწყისი აქვს. ღმერთის ერთ-ერთი განსაზღვრება სიკეთეა — „ყოვლადკეთილი“. მასში ბოროტება არ არსებობს.

ბოროტების წარმოშობა ბიბლიურ თხრობაშია მოცემული და ანგელოზის დაცემასთანაა დაკავშირებული. წმინდა იოანე დამასკელის სწავლებას მოვიტან, რაც ჩვენს კითხვაზე პასუხს ყველაზე მეტად და ნათლად გასცემს: „იყო რა კეთილი, შექმნილი სიკეთისთვის და შემოქმედისგან უკეთურების არანაირი ნაკვალევის არმქონე თავის თავში, ვერ გახდა დამტევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისგან, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისკენ, თავი აიმაღლა მისი შემქმნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება. და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა, რადგან ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ისევე, როგორც სიბნელე ნაკლებობაა სინათლისა. სიკეთე გონისეული სინათლეა. მსგავსადვე, ბოროტება გონისეული სიბნელეა. ღვთისგან სწორედ სინათლე შეიქმნა და შეიქმნა, როგორც კეთილი,

> **„პირადი არჩევანის გარეშე ბოროტება პასიური და ნეიტრალიზებული ხდება, კარგავს თავის არსებობას. ბოროტს ფიზიკური ზემოქმედების უფლება პიროვნების სურვილის გარეშე არ აქვს".**

მაგრამ თვითუფლებრივი ნებით სიბნელე გახდა იგი, რომელთან ერთად გამოცალკევდა აგრეთვე (რადგან თან გაჰყვა მას) და მასთან თანადაეცა მისდამი დაქვემდებარებულ ანგელოზთა უსასრულო სიმრავლე“.

**— თავისუფალი ნებით ბოროტების არჩევა რას ნიშნავს?**

— ბოროტების დაშვება მოაზროვნე არსებათა (ანგელოზთა და კაცთა) თავისუფალი ნების არჩევანითაა განპირობებული. ღვთის ხატად ქმნილნი, წარმომშობელი წყაროს ბუნების თვისებისკენ — სიკეთისკენ არიან მოწოდებული. მათ პირადი ნებით დაიცარიელეს ღვთისგან თავი, რამაც მათში სიკეთის ნაკლებობა გამოიწვია.

ანგელოზებმა შეგნებული ქმედებით აირჩიეს ის და სამუდამოდ მიიდრიკნენ, ადამიანები — მოტყუებისა და ურჩობა-ურწმუნოების შედეგად. ამიტომ ადამიანს კვლავ არჩევანის საშუალება მიეცა. მან ურჩობა-ცდომით ნაადრევად, მოუმწიფებლად სცადა ხე ცნობადის ნაყოფის მიღება, როდესაც ეჭვი შეიტანა საღვთო სიტყვებში — „ხიდან კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა არ ჭამოთ, რადგან რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, სიკვდილით მოკვდებით“ (დაბ. 2.17). არჩევანი გააკეთა შეთავაზებულ ცილისწამებაზე: „უთხრა გველმა დედაკაცს: რატომ თქვა ღმერთმა, არ ჭამოთ სამოთხის ყველა ხიდან? უთხრა გველმა დედაკაცს: სიკვდილით არ მოკვდებით“ (დაბ. 3.2,4). აქ დაიწყო შინაგანი განდგომა, მათ იგრძნეს მადლისგან დაცარიელება: „აეხილა თვალები ორივეს და შეიცნეს, რომ შიშვლები იყვნენ“. მათში ღვთისადმი გაუცხოება და შიში წარმოიშვა. როგორც იოანე დამასკელმა აღნიშნა: „ბოროტება გონისეული სიბნელეა“.

> **„12 წლიდან იწყება მოზარდის ე.წ. გარდატეხის პერიოდი, როდესაც გულისთქმები და ზრახვები მატულობს, მარხვის შედეგად კი ბავშვში ცუდი მიდრეკილებები სუსტდება".**

ადამის შემდგომი ნაბიჯები დაბნელებული გონების ნაყოფი იყო. ბოროტება, ანუ ცდომა, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. ღვთის მცდელობის მიუხედავად, ადამი მას უფრო და უფრო სცილდებოდა. ამან განაპირობა ღვთისა და კაცის დროებით დაშორება, რათა მისი ნაკლებობის განცდით კვლავ შეძენის სურვილი გასჩენოდა. მან ცნობადი ხის ნაყოფი პირადი თავისუფალი ნებით იგემა. ამის შემდგომ მას ორი მდგომარეობის შედარებით კვლავ არჩევანის საშუალება მიეცა. „აჰა, ადამი გახდა, როგორც ერთი ჩვენგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 3.22). მათი გარჩევა თვალსაჩინოებას საჭიროებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადი არჩევანის გარეშე ბოროტება პასიური და ნეიტრალიზებული ხდება, კარგავს თავის არსებობას. ბოროტს ფიზიკური ზემოქმედების უფლება პიროვნების სურვილის გარეშე არ აქვს. ასევე, შემოქმედს არ სურს თავისი ქმნილების ლიკვიდირება, თუნდაც ბოროტების სახემიღებულისა. ისინი მან უკვდავ სულებად, თავის ხატად შექმნა.

**— როგორ ვბრუნდებით ღმერთთან?**

— ღვთის შეცნობით საკუთარ თავს შევიცნობთ. შემეცნების გზაზე ადამიანი იწყებს სიბნელიდან სინათლისკენ სვლას. რამდენადაც სიბნელეში, ბოროტებაში შესვლა ღვთისადმი უნდობლობამ, ეჭვმა და ურჩობამ გამოიწვია, ამდენად შემოქმედისადმი რწმენა-ნდობით და მისი მცნებების მორჩილება-გათავისებით საწყის წიაღში ვბრუნდებით. ღმერთი კი ყოვლადსახიერია: „არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოი ღმერთი“ (ლუკ. 18.18).

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

## გზა ტაძრისაკენ

# ბიჭი, რომელიც პროკურატურაში მუშაობისთვის ემზადებოდა, მოძღვარი გახდა

## მამა ლაზარე: „უფლისგან ასეთ წყალობას არ ველოდი“

წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში უკვე ორი წელია, რაც ახალგაზრდა მოძღვარი, მამა ლაზარე (დულუზაური) მსახურობს. მთაში გაზრდილი ბავშვისთვის, რომელიც მხოლოდ ოჯახის სალოცავში ლოცულობდა, ეკლესიური ცხოვრების არსი მოგვიანებით გახდა ცნობილი, როცა თბილისში დაიწყო ცხოვრება. მანამდე მოძღვართან არ ჰქონია ურთიერთობა. ერთი პერიოდი ეგონა, რომ იურისტობისთვის იყო მოწოდებული, პროკურატურაში ან პოლიციაში მუშაობის დასაწყებად ემზადებოდა. ეს მშობლებსაც ძალიან უნდოდათ, მაგრამ მის ცხოვრებაში მკვეთრი შემობრუნება მოხდა და იმ გზაზე აღმოჩნდა, რომელიც ღმერთმა განუსაზღვრა — ეკლესიისკენ მიმავალზე. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, მისი მშობლებისთვის ეს დიდი დარტყმა იყო, თანდათან კი ყველაფერს შეეგუვნენ. თუ როგორ „ეძია და ჰპოვა“ ჭეშმარიტი ღმერთი, მამა ლაზარე „სარკის“ მკითხველებს მოუთხრობს.



**„შეიძლება ადამიანი არ იყოს ეკლესიის წიაღში, ცუდ საქმეებს აკეთებდეს, მაგრამ ჩვენ ის არ უნდა განვიკითხოთ, რადგან სიცოცხლის ბოლო წუთს მაინც მივა ტაძარში და შეინანებს".**

— **მამაო, თანამედროვე ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ბევრი გამოწვევა და საცდურია ერისთვის, ახალგაზრდა თაობისთვის. ეკლესიას რა როლი აკისრია ასეთ შემთხვევაში?**

— ეკლესია ყოველთვის არის ხსნა, მიუხედავად იმისა, რა გამოწვევების წინაშე დგას ერი. თუ უფლის სჯულს გავითავისებთ, მაშინ მივალთ იმ აზრამდე, რომ, როცა რწმენა გვაქვს, ყველა პრობლემის დაძლევა შესაძლებელია. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ადამიანს აუცილებლად სჭირდება მოძღვართან ურთიერთობა. განსაკუთრებით ეს ახალ თაობას ეხება, რომელსაც კეთილად უნდა წარვუმართოთ გზა. ეკლესიის გარეშე ახალგაზრდა ადვილად ასცდება კეთილ გზას. მეტი ეკლესია და მეტი სასულიერო პირია საჭირო, რათა მათი ქადაგებებიდან ადამიანებმა კეთილი ცხოვრება შეითვისონ.

ახალგაზრდებმა უნდა შეისისხლხორცონ ის ფაქტი, რომ ამქვეყნად ერთადერთი მაცხოვნებელი ადგილი არის ეკლესია. გზა სამოთხისკენ მხოლოდ ტაძარზე გადის. ამის გარეშე ვინც ცხოვრობს, ის უფალს ვერ შეიცნობს და ვერც მასთან დამკვიდრდება. ჩვენი ცხოვრება არ არის მარადიული, ყველაფერი წარმავალია. ყველაფერი ბერდება, კვდება, მათ შორის ადამიანიც ხორციელ სიკვდილს ექვემდებარება. ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ოდესმე სიკვდილი მასთანაც მივა და უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ სად წავა მისი სული: უფალთან იქნება სამოთხეში თუ უკეთურ ძალასთან ჯოჯოხეთში.

— **ზოგი მხოლოდ სიბერეში იწყებს ეკლესიურ ცხოვრებას. მნიშვნელობა აქვს იმას, ადამიანი პატარაობიდან ივლის ტაძარში თუ უკვე ასაკში მყოფი?**

— ყველა ადამიანი განსხვავებულია თავისი ფსიქიკითა და აზროვნებით. ეკლესიაში ვინც მიდის, ამას ყველა არ აკეთებს რწმენით. ზოგს მოცემულ მომენტში განსაცდელი აქვს და იძულებულია, მივიდეს ტაძარში, რადგან სხვა გამოსავალი აღარ რჩება. ზოგი კი ნამდვილად უფლის სიყვარულით მიდის ღვთის სახლში, რომ ის უფრო მეტად შეიცნოს და შეიყვაროს. ვიღაც ბავშვობიდან ადგას ტაძრის გზას, ვიღაც ახალგაზრდობიდან, ვიღაც კი — ასაკში ყოფნისას. მთავარი ის არის, რომ ადამიანი ღვთის სახლში მივიდეს.

ჩვენ ქრისტიანები ვართ და ისეთი ცხოვრება მოგვეთხოვება, როგორიც იესო ქრისტეს ჰქონდა. ადვილი არ არის, ბოლომდე მისდიო ეკლესიურ ცხოვრებას, მაგრამ ისიც ნუ გვავიწყდება, რომ უფალი გვაძლიერებს. იგი გვაძლევს ძალასა და შემწეობას სულის საცხოვნებლად. ტაძარი ყველას მოუწოდებს, ყველას ელოდება. შეიძლება ადამიანი არ იყოს ეკლესიის წიაღში, ცუდ საქმეებს აკეთებდეს, მაგრამ ჩვენ ის არ უნდა განვიკითხოთ, რადგან სიცოცხლის ბოლო წუთს მაინც მივა ტაძარში და შეინანებს. რაც უფრო ადრე ვიგრძნობთ უფლის არსებობას, რა თქმა უნდა, მით უკეთესია ჩვენი სულის ცხონებისთვის.

— **საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდებით და უკვე მოძღვარი ხართ. ალბათ ძალიან ადრე ეზიარეთ ეკლესიურ ცხოვრებას.**

— ვერ ვიტყვი, რომ ადრე ვეზიარე, რადგან ეს ბავშვობაში არ მომხდარა. მე თიანეთში დავიბადე და გავიზარდე, სადაც ეკლესიური ცხოვრება ნაკლებად იყო. მთაში უფრო სხვანაირი ტრადიციები და რწმენა არსებობს. ღმერთის არსებობა გვწამდა. ეკლესიაში არ მივლია, რადგან ჩვენთან ტაძარი არ იყო, მოგვიანებით აშენდა. თბილისში, მცხეთაში ან თელავში თუ ჩავიდოდით, მშობლები იქ შეგვიყვანდნენ ხოლმე ეკლესიაში. მოძღვრებთან ურთიერთობა არ გვქონია. როცა სტუდენტი გავხდი და თბილისში გადმოვსახლდი, ეკლესიაში სიარულიც მაშინ დავიწყე. იმის რწმენა და მოწოდება კი, რომ უფალთან ახლოს ვყოფილიყავი, მანამდეც მქონდა.

**„იურისტობა, კანონები ძალიან მაინტერესებდა, სასამართლოსა და სხვადასხვა ინსტანციაში მუშაობაზე ვოცნებობდი. რაღაც დროის შემდეგ კი მივხვდი, რომ უფალია ერთადერთი და ჭეშმარიტი მოსამართლე".**

— **მთაში ყველა ოჯახს აქვს თავისი სალოცავი. ალბათ თქვენც გქონდათ.**

— ფშავში ბევრი სალოცავია. ჩვენი ოჯახის სალოცავად კი მთავარანგელოზ მიქაელის ხატი ითვლებოდა. მას ვეთაყვანებოდით, მასთან მივდიოდით და ვლოცულობდით. ჩვენთან იყვნენ ხევისბერები. როცა პატარა ვიყავი, ვუყურებდი, როგორ ლოცულობდნენ და როგორ სწირავდნენ მსხვერპლს. ასეთ გარემოში გავიზარდე და მინდოდა, ხევისბერების მსგავსად მეც მელოცა. შემდეგ უკვე გავიგე, რა არის ჭეშმარიტება, რას მოიცავს ჩვენი რელიგია და რაც უფრო ღრმად ვეძიებოდი, მით უფრო მატულობდა სურვილი, რომ ეკლესიის წიაღში ვყოფილიყავი. ჭეშმარიტი ღმერთის ძიების სურვილი ყოველთვის მქონდა. ამაში ხელი იმანაც შემიწყო, რომ თიანეთში დედათა მონასტერი გაიხსნა, სადაც მამა იაკობი (უშიკიშვილი) ცხოვრობდა. მამა იაკობი ახლოს გავიცანი და მასთან ხშირად მივდიოდი. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ყველაფერი უფლის განგებით ხდება. ამ ადამიანის გაცნობის შემდეგ დაიწყო ეკლესიასთან ჩემი დაახლოება. ამ ამბიდან 4-5 თვეში სტიქარით შევიმოსე და თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში დავიწყე მსახურება.

მამა იაკობი თბილისში რომ წამოვიდა, მეც აქეთ დავიწყე სიარული. სტიქაროსნობის პარალელურად სასულიერო აკადემია დავამთავრე. ამის შემდეგ დავოჯახდი და მალევე დიაკვნად მაკურთხეს. ასე წარიმართა ჩემი ცხოვრება ეკლესიისკენ. უფლისგან ამდენს არ ველოდი, უფრო ნაკლების იმედი მქონდა, მან კი ინება, რომ სასულიერო პირი გავმხდარიყავი.

— **სასულიერო აკადემიამდე იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრეთ. იურისტობაც თქვენი მოწოდება იყო?**

— კი, რაღაც პერიოდი ასე ვთვლიდი, რომ ეს იყო ჩემი მოწოდება და ეს იყო საქმე, რომლითაც ქვეყნისთვის სულ პატარა სარგებლის მოტანას მაინც შევძლებდი. სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. ჩემი პროფესიით რამდენიმე ადგილას ვიმუშავე კიდეც, მაგრამ მადლობა უფალს, დროულად მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. მივხვდი, რომ ჩემი ფიქრები სულ სხვაგან იყო. უფრო მეტი სიახლოვე მინდოდა უფალთან. ჩემი სული და გული მეტს მთხოვდა. იურისტობა, კანონები ძალიან მაინტერესებდა, სასამართლოსა და სხვადასხვა ინსტანციაში მუშაობაზე ვოცნებობდი. რაღაც დროის შემდეგ კი მივხვდი, რომ უფალია ერთადერთი და ჭეშმარიტი მოსამართლე. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებოდი ღმერთს, მით უფრო ვშორდებოდი საერო ცხოვრებას და →76

ჩემს პროფესიას.

პროკურატურაში უნდა დამეწყო მუშაობა, ტესტირებაც გავიარე, მაგრამ ბოლო მომენტში ეს გადაწყვეტილება აღარ მივიღე. როდესაც პროკურატურაში რაღაც შანსები გამოჩნდა, რომ მემუშავა, ჩემს სულიერ მოძღვარს რჩევა ვკითხე. მამა იაკობმა მითხრა, კურთხევას არ მოგცემ და შენ თვითონ გადაწყვიტეო. იყო შესაძლებლობა, ძალოვან სტრუქტურაშიც მემუშავა. ჩემი მშობლები ამ მხრივ ძალიან აქტიურობდნენ. ბიძაჩემი პოლიციის უფროსი იყო, ჩემი ბიძაშვილი — რიგითი პოლიციელი და იქიდანაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი. ჩემთვის მისაბაძი ადამიანები იყვნენ ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ჩემი მოძღვარი — მამა იაკობი, ჩვენი მეუფეები. მივხვდი იმას, რომ მეც მათ გზას უნდა გავყოლოდი და მათ გვერდით ვყოფილიყავი.

**— როდესაც უარი თქვით პროფესიაზე, უკვე იცოდით, რა გზით წახვიდოდით?**

— მართალია, გადაწყვეტილება მივიღე, რომ იურისტობისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ მღვდლობაზე მაინც არ მიფიქრია. უფრო მეტად მონასტრული ცხოვრება მიტაცებდა. განმარტოება მინდოდა. სასულიერო აკადემიაში სწავლისას მერჩივნა, მარტო ვყოფილიყავი. ხომ იცით, როგორია სტუდენტური ცხოვრება, სულ ურთიერთობ თანატოლებთან, ახალ მეგობრებს იძენ, მათთან ერთად ერთობი. მე კი ეს ყველაფერი ნაკლებად მიტაცებდა. საათობით ვიჯექი ბიბლიოთეკაში და სასულიერო ლიტერატურას ვკითხულობდი. მყავდა რამდენიმე მეგობარი, რომლებსაც ჩემსავით მარტო ყოფნა სურდათ და ერთად დავდიოდით ბიბლიოთეკაში. ასკეტი მამების ცხოვრების კითხვას დიდ დროსა და ყურადღებას ვუთმობდი. მოვლენები ისე განვითარდა, რომ აგერ უკვე ორი წელია მოძღვარი ვარ. ყველაფერი თავისთავად მოხდა და ბევრი არც მიფიქრია.

დიაკვნად რომ მაკურთხეს, ცოტა ხანი სამების საკათედრო ტაძარში ვიყავი, შემდეგ ვარკეთილის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გადამიყვანეს მამა იაკობთან, სადაც ოთხი თვე გავატარე. მერე უკვე მღვდლად მაკურთხეს და იმ დღიდან წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში ვარ.

**— როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას მშობლები, რომლებიც ოცნებობდნენ, რომ ძალოვან სტრუქტურაში გემუშავათ?**

— ჩემი მშობლებისთვის პირველი დიდი დარტყმა ის იყო, როდესაც სასულიერო აკადემიაში ჩავაბარე. მერე და მერე კი შეეჩვივნენ ყველაფერს. მათ იმის ეშინოდათ, რომ ბერი არ გავმხდარიყავი, რადგან მონასტერში წასვლაზე ხშირად ვლაპარაკობდი. როცა დავოჯახდი და სასულიერო პირად მაკურთხეს, დიდად უარყოფითი რეაქცია არ ჰქონიათ. მათთვის მთავარი იყო, რომ მონასტრული ცხოვრება არ ავირჩიე და ჩემს მღვდლობას როგორღაც შეეგუვნენ. თავდაპირველი წინააღმდეგობა იმიტომ იყო, რომ ისინი ეკლესიურად არ ცხოვრობდნენ და ბევრი რამ არ იცოდნენ ამ მხრივ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, სანამ ცოლად გამომყვებოდა, დარწმუნებით არ იცოდა, რას ვაპირებდი სამომავლოდ. პრინციპში, არც მე მქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი. როცა ფაქტის წინაშე დავაყენე, თავიდან გაუჭირდა, თანდათან კი შეეჩვია.

**„ერისკაცი იმდენს ნამდვილად ვერ გაუძლებს, რისი ატანაც სასულიერო პირებს უწევთ. ჩვენ უფალი გვაძლებინებს, რომ ძალიან მძიმე ტვირთი ვატაროთ. ეს არის მძიმე ჯვარი, მაგრამ საბოლოოდ ტკბილი. მე ვგრძნობ, როგორ მაძლიერებს თითოეული ლოცვა და ჩემ მიერ ჩატარებული საეკლესიო მსახურება".**

სანამ მღვდლად გაკურთხებენ, რამდენიმე ეტაპის გავლაა საჭირო. შენი დახასიათებები უნდა წარადგინო და მსგავსი რაღაცეები. ამას გარკვეული დრო სჭირდება. მეც ვფიქრობდი, რომ ჯერ არ მაკურთხებდნენ, მაგრამ ყველაფერი უცებ მოხდა. ჩემი მეუღლე გაოგნებული იყო, მაგრამ მალევე გადაუარა. ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**— გვიამბეთ, როგორ შეხვდით მომავალ მეუღლეს, რომელიც ფოფოდიობის ასევე მძიმე ტვირთს შეექადა.**

— ჩემი ცოლისძმა, კახა ავალიანი, ჩემი მოძღვრის მეგობარია. თათიაც მამა იაკობის სახლში გავიცანი. რაღაც დროის შემდეგ ისევ შევხვდით ერთმანეთს და ნელ-ნელა აეწყო ჩვენი ურთიერთობა. თათია ექიმი-კარდიოლოგია, ამჟამად ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს. ორი გოგო გვყავს: ანასტასია წლინახევრის არის, თეკლა — 7 თვის. ახლა ჩემი მეუღლე ბავშვებს უვლის და დეკრეტული შვებულებაშია. სამსახური აქვს და არაფერშია შეზღუდული.

**— მღვდლობა ასეთ ახალგაზრდა ასაკში რთული არ არის?**

— ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ყველაფერი უფლის შემწეობით და მისი მადლით უნდა აკეთო. ამან გამიადვილა ახალ გარემოსთან შეგუება. ერისკაცი იმდენს ნამდვილად ვერ გაუძლებს, რისი ატანაც სასულიერო პირებს უწევთ. ჩვენ უფალი გვაძლებინებს, რომ ვატაროთ ძალიან მძიმე ტვირთი. ეს არის მძიმე ჯვარი, მაგრამ საბოლოოდ ტკბილი. მე ვგრძნობ, როგორ მაძლიერებს თითოეული ლოცვა და ჩემ მიერ ჩატარებული საკლესიო მსახურება.

**— დაბოლოს, რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?**

— ყველა ადამიანს ეკლესიურად ცხოვრებას ვუსურვებ, რომ ყველანი იესო ქრისტეს წიაღში იყვნენ. უფალი ამქვეყნად ჩვენთვის მოვიდა, მას ვუყვარვართ და ჩვენ გამო ეცვა ჯვარს. სიყვარული და მადლიერება მის მიმართ ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებით უნდა გამოვხატოთ. ყველა ქრისტიანს სულის ცხონებას ვუსურვებ და იმას, რომ ისეთი მიმტევებლები, შემწყნარებლები იყვნენ, როგორიც ჩვენი უფალია. ამ ცხოვრებაში ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ უფალს მივემსგავსოთ, განვაღმრთოთ ჩვენი სულები. დალოცვილები ყოფილიყავით!

✓ **თეონა კენჭიაშვილი**

# „დედის მონატრება“ — მოძღვრის საჩუქარი მრევლს



ჯვრის მამის ტაძრის დეკანოზი მამა თავმასი (ჩოხელი) რამდენიმე წელია ლექსებს წერს. დალოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ისგან მიიღო და ორ-სამ წელიწადში მამა თავმასმა უამრავი ლამაზი ლექსი დაწერა, მათ შორის 37-ზე სიმღერა შეიქმნა. მოძღვრის გულიდან ამოსული ულამაზესი სტრიქონები მუსიკამ კიდევ უფრო გაალამაზა. საბოლოოდ სიმღერებს თავი მოეყარა და დისკად გამოვიდა.

30 ივნისს, 5 საათზე, სამების ახალგაზრდულ ცენტრში მამა თავმასის საავტორო მუსიკალური დისკის პრეზენტაცია გაიმართება. ამ სასიამოვნო ამბის შესახებ მოძღვარმა „სარკეს“ აცნობა და ჩვენი ჟურნალის მკითხველი, ასევე ყველა მსურველი საღამოზე მიიწვია.

**მამა თავმასი:**

— ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევა მაქვს, რომ ლექსები ვწერო, რაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. 3 წლის წინ ჩემი ლექსი პირველად ამღერდა, ეს იყო „გუდამაყრელი“. მას მოჰყვა სხვა ლექსების ამღერებაც. ჩემს ლექსებზე 37 სიმღერა შეიქმნა. აქედან 21 მომღერალმა დათო არჩვაძემ დაწერა, დანარჩენი 16 კი სხვა კომპოზიტორებმა შექმნეს. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემი ლექსები სიმღერებად აქცია. ესენი არიან ყველასათვის საყვარელი მუსიკოსები: დათო არჩვაძე, ნუკრი კაპანაძე, ნუნუ გაბუნია, თემურ წიკლაური, დათო კენჭიაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, ზურა დათიკაშვილი, გიორგი ჩიტაური, მაცაცო სეფისკვერაძე, სოფი რაფაელა, მიშა ზაქარიაძე, ქეთევან გაბისიანი, ანსამბლები „ქართული ხმები“, „ქალდეა“, „თეატრალური კვარტეტი“, „გერგეთი“ და სხვები. 30 ივნისს, 5 საათზე, სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩემი პირველი საავტორო მუსიკალური დისკის პრეზენტაცია გაიმართება. დასწრება თავისუფალი იქნება და ყველას გეპატიჟებით!

ყველა ეს სასიმღერო ლექსი ღვთის მადლით შეიქმნა. დისკს ჰქვია „დედის მონატრება“, რადგან მასში შედის ამავე სახელწოდების ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომელიც დათო არჩვაძემ შეასრულა. ეს ლექსი დედაჩემს მივუძღვენი. იმედი მაქვს, რომ დისკის პრეზენტაციაზე ყველა ის სიმღერა შესრულდება, რომლებიც მასშია შესული. აგრეთვე ჩემს ლექსებზე სამი ცეკვაა დადგმული, მაგრამ სამების ახალგაზრდულ ცენტრში ცეკვების შესრულება ვერ მოხერხდება. 30 ივნისიდან დისკები გაიყიდება, ფასი მინიმალური იქნება, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ჩემი ლექსები სიყვარულზეა, ქართული ოჯახებიც სწორედ სიყვარულით იქმნება. მინდა, მივმართო ხალხს, რომ ერთმანეთი უყვარდეთ. ეს ყველაზე დიდი ნიჭი ღმერთმა გვიბოძა და არ უნდა დავკარგოთ. თქვენს მკითხველსა და სრულიად საქართველოს დიდ სიყვარულს ვუსურვებ. სიმღერა ერის კულტურის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია და თუ მე ამაში მიმიძღვის მდოგვის მარცვლისოდენა წვლილი, ამისათვის ვმადლობ უფალს!

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# ლაბირინთი

გაიკვლიეთ გზა ლაბირინთში



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# განახლებული სამაჯურები

ასეთი სამაჯურების დამზადება უმარტივესია. სახლში ყოველთვის შეიძლება გამოვძებნოთ თხელი, ჰაეროვანი ქსოვილის, მაქმანისა თუ ატლასის ლენტის მონარჩენები, რომლითაც ძველ სამაჯურებს გავაფორმებთ. მათთან ერთად კი დაგვჭირდება: უბრალო სამაჯურები, წებო და მაკრატელი.

ქსოვილს (სასურველია შიფონი, აბრეშუმი...) სპირალისებურად ვახვევთ წებოწასმულ სამაჯურზე, ბოლოს შევკრავთ ბანტივით და ზევიდან გადავახვევთ მაქმანს. ასევე ვაკეთებთ ატლასის ლენტის შემთხვევაშიც — წებოწასმულ სამაჯურზე სპირალისებურად ვახვევთ და ზევიდან, ისევ წებოს საშუალებით, ვაკრავთ სასურველ მაქმანს.

სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე







### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 8 | 9 | 4 | 5 | 1 | 6 | 2 |
| 6 | 9 | 2 | 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 1 | 2 | 6 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 1 | 2 | 3 | 7 | 9 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 2 | 6 | 4 | 7 | 3 |
| 4 | 6 | 7 | 8 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 7 | 3 | 9 | 4 | 8 | 2 | 5 | 1 | 6 |
| 8 | 1 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 4 | 7 |
| 2 | 5 | 4 | 6 | 7 | 1 | 8 | 3 | 9 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 8 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 8 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 7 | 6 | 8 | 5 | 3 |
| 8 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 6 | 2 | 7 |
| 2 | 6 | 7 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 7 | 8 | 1 |
| 3 | 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 2 | 6 | 5 |
| 6 | 1 | 5 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 |

## ეს იცოდით?

- თუ ორსულის მუცელს ფანარს მიანათებენ, 4 თვიდან ჩანასახი კრთება და მოძრაობას იწყებს.
- სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის 75% ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ სმს-ს უგზავნის ან ურეკავს ყოფილ პარტნიორს.
- შეშინებული ადამიანი უკეთ ხედავს.
- ადამიანის თითების ტემპერატურა ემოციური მდგომარეობის მიხედვით იცვლება.
- ქერა მამაკაცებს წვერი უფრო სწრაფად ეზრდებათ, ვიდრე შავგვრემნებს.
- ადამიანის დნმ დაახლოებით 80.000 გენს ინახავს.
- ლეიკოციტები ადამიანის ორგანიზმში 2-4 დღე ცოცხლობენ, ხოლო ერითროციტები — 3-4 თვე.
- ადამიანის ტვინი დღეში უფრო მეტ ელექტრულ იმპულსს წარმოშობს, ვიდრე მთელი მსოფლიოს ტელეფონები ერთად.
- ფენომენს, როდესაც ძლიერი სინათლის დროს ადამიანი დროებით მხედველობას კარგავს, „თოვლის სიბრმავე“ ეწოდება.
- ადამიანის ორგანიზმში არსებული ბაქტერიების წონა 2 კგ-მდეა.
- ადამიანის მარჯვენა ფილტვი უფრო მეტ ჰაერს იტევს, ვიდრე მარცხენა.
- ზრდასრული ადამიანი დღეში 23.000 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას აკეთებს.
- ადამიანის თვალი 10 მილიონ ფერს არჩევს.
- ადამიანს დაახლოებით 2000 გემოს რეცეპტორი აქვს.

- ნაპოლეონის აზრით, მან სახელი გაითქვა არა იმიტომ, რომ 40 ბრძოლა მოიგო, არამედ იმიტომ, რომ 1804 წელს შექმნა სამოქალაქო კოდექსი. ეს კოდექსი 70 ქვეყანაში მოქმედებდა და მისი 2281 მუხლიდან 1200-ს დღემდე ცვლილება არ განუცდია.
- 1902 წელს ამერიკელმა ინჟინერმა კერემ გამოიგონა კონდიციონერი და მას ოთახის გამაცივებელი ყუთი უწოდა. დანადგარს კონდიციონერი 1906 წელს ინჟინერ-ფეიქარმა კრამერმა დაარქვა.



Cyan Magenta Yellow Black

სამომხმარებლო სესხების აქცია

# ტკბილი და სასარგებლო სიახლე საზაფხულო მენიუში!

11,95%-დან



**ტკბილი და სასარგებლო სიახლე** ბანკ „რესპუბლიკის" მენიუში! მხოლოდ ამ ზაფხულს და მხოლოდ ბანკ „რესპუბლიკისგან", აიღეთ სამომხმარებლო სესხი ლარში ყველაზე მიმზიდველი პირობით! სესხი გაიცემა 200-დან 50 000 ლარამდე მოცულობით.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

F 1029
2013



Silk lab

აირჩიე თემატური პაკეტი

დაიმატე პირდაპირ ტელევიზორიდან

პლიუსი + / სპორტი / კინო
საბავშვო / ჰობი / HD / 18+

2 100 100
www.silknet.com

Find us on: facebook

